

აჭარული დიალექტი

Аджарский диалект

Ш. Нижарадзе

Верхнеаджарский диалект
грузинского языка

Исследование и тексты со словарем

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
БАТУМИ—1961

შ. ნიუარაძე

ქართული ენის
ზემოატარული დიალექტი

გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ

ენობრივი მიმოხილვა

რ ე ლ ა ჭ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ ე

აპარული კილო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ დიალექტოლოგიაში. მისი ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა მეცნიერებისათვის ფრიად ფასეულია. ქართული ენის ისტორიულ კვლევადობაში ამ მეტად საინტერესო დიალექტური ერთეულის მონაცემებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს.

საქართველოს შესანიშნავი კუთხის — აპარის ხალხური სიტყვიერების, კილოს, ეთნოგრაფიის, მხარეთმცოდნეობის, არქეოლოგიის მასალების შეგროვება და სისტემატიზაცია, ბუნებრივია, ინტენსიურად წარმოებს აპარის ასსრ-ში, სადაც საამისოდ ყოველგვარი პირობებია შექმნილი.

წინამდებარე ნაშრომი ამ ნაყოფიერი მუშაობის ერთი რგოლია.

აპარული დიალექტი, კერძოდ — მისი ზემოაპარული სექტორი, ერთობ საყურადღებოა სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის დასადგენად. ცნობილია, რომ ჩვენი სამშობლოს ამ მხარეში მომხდარი ისტორიული პროცესების წყალობით ქართული ენის სამხრულმა მეტყველებამ ძირეული ცვლილებები განიცადა. ქოროხის ხეობის, ისევე როგორც მტკვრის აუზის, ქართული დიალექტური ერთეულის უცხო ენობრივ სინამდვილესთან კატასტროფულმა შეხებამ გადაშენების გზაზე დააყენა მესხური დიალექტის ის ძველი სახე, რომელიც გარკვეულ საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის შენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ტაო-კლარჯეთში შემუშავებული სალიტერატურო სკოლების ტრადიცია ჟამთა უკუღმართობის გამო შეწყდა და იქაური მეტყველება ნამსხვრევების სახით-ღა შემოგვრჩა. თუ ეს ანალოგია გამოდგება, სამხრეთ საქართველოს მეტყველება ჟამთა ვითარებაში ისევე იქცა ნანგრევებად, როგორც უბრწყინვალესი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, ამსახველი ამ ძველ ქართულ სავანეში შემუშავებული მდიდარი კულტურული ტრადიციებისა.

ზემოაპარული (resp. აპარული) მეტყველება ერთადერთი მსხვილი კილოური ერთეულია, რომელიც გვესახება, როგორც „ცოცხალი მოწმე“ ქართული ენის სამხრული დიალექტური ჯგუფის ისტორიუ-

ლი ვითარებისა, მესხეთის მეტყველების სტრუქტურის მაჩვენებელი, მესხეთისა, რომელიც ერთ დროს ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა.

საბჭოთა აჭარაში, საერთოდ — საბჭოთა საქართველოში, სოციალისტური მშენებლობის გაშლისა და განვითარების პირობებში აჭარულმა კილომ ძირეული ცვლილებები განიცადა. განახლებული და აღორძინებული აჭარის კულტურულმა ცხოვრებამ ქართულ სალიტერატურო ენას გავრცელების ჯერ არნახული ასპარეზი გადაუშალა, თანდათან იშლება და დავიწყებას ეძლევა დრომოკმული და საუკუნეთა წიაღში შემუშავებული სიტყვები და გამოთქმები, მათ ნაცვლად მკვიდრდება და ფეხს იდგამს ახალი ყოფის ამსახველი ტერმინოლოგია, იცვლება დიალექტის გრამატიკული სტრუქტურა, ლიტერატურული ფორმები ღრმად იჭრება მოსახლეობის ფართო ფენებში, დიალექტის დაფენებაში აქტიური ხდება ქართული საერთო-სახალხო ენისათვის ნიშანდობლივი სტრუქტურული ნიშნები.

რაკი აჭარული მეტყველების არქაული ფორმები ქრება. ბუნებრივია, საშურიაა მათი აღნუსხვა და მეცნიერული სისტემატიზაცია. აჭარის დიალექტოლოგიურმა გამოკვლევამ უნდა ასახოს ეს გარდასული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, ისევე როგორც უნდა გამოავლინოს ის ცვლილებანი, ის ახალი ენობრივი მოვლენები, რომლებიც წარმოშობილია ახალი აჭარის მჩქეფარე და სისხლსავსე ცხოვრებაში.

აჭარული კილოს შესწავლის დარგში ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი. განსვენებულ დოცენტ მაკარ ხუბუას წიგნი „ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა“, რომელიც გამოქვეყნდა ბათუმში 1932 წელს, პირველი ნაშრომია, სადაც მკითხველი ეცნობა აჭარულის ზოგიერთ თავისებურებას (გამოკვლევას ერთვის ტექსტებიც). განსაკუთრებით აღსანიშნავია დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის დეაწლი: მან გამოაქვეყნა აჭარული დიალექტის შესანიშნავი ნიმუშები და გამოკვლევები. ჯ. ნოღაიდელის ეს ნაშრომები ქართული დიალექტოლოგიის კარგი შენაძენია.

შ. ნიჟარაძის წინამდებარე შრომა წარმოადგენს ზემოაჭარულის მონოგრაფიულ მიმოხილვას. აქ მოცემულია აჭარული კილოს ზემოაჭარული კილოკავის სრული სურათი, ვრცელი გამოკვლევა, მრავალფეროვანი შედგენილობის ტექსტები და ლექსიკონი.

ამ სახით ნაშრომი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქართულ დიალექტოლოგიაში.

შესავალი

ქართული ენის დიალექტთა შორის აქარულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას ისტორიულად გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებადღე, VIII-IX საუკუნეებიდან, აქარა, სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, შედიოდა ტაო-კლარჯეთის სამთავროში. საქართველოს ისტორიაში ეს ის ხანაა, როცა ტაო-კლარჯეთი ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მესხურ-იმერხეულ დიალექტებთან ახლო მონათესავე აქარულ მეტყველებას (განსაკუთრებით — ზემოაქარულს) შეუძლებელია ისტორიულად დიდი წილი არ დაედო თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ფორმირებაში.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგაც, რაც მე-12 საუკუნეში საქართველოს ფეოდალურმა მონარქიამ ეკონომიურად და პოლიტიკურად მიაღწია მანამდე არნახულ წარმატებას, აქარა, როგორც ამ მონარქიაში შემავალი ერთეული, კვლავ მოწინავე მხარედ რჩებოდა, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს აქარის ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების არსებობა.

უძველესი დროიდან აქარა შედიოდა დასავლეთ საქართველოს სამეფოში — კოლხიდაში. ჭერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქსენოფონტესთან აქარა მოხსენებულია, როგორც კოლხიდის ნაწილი.¹

მძიმე და აუტანელი იყო აქარის მშრომელთა ცხოვრება წარსულში. ქართულ-რუსული და უცხოური საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ აქარა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა სათარეშო ხდებოდა. საქართველოს სისხლხორციელ ნაწილს,

1 BC3, ტ. I, 1949 წ., გვ. 309.

მესხეთის ამ მშვენიერ კუთხეს იპყრობდნენ და ანადგურებდნენ რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ოსმალები, სპარსელები.

მე-16 საუკუნის ბოლოს ჩვენი სამშობლოს ოდესღაც ერთი ყველაზე დაწინაურებული კუთხე—მესხეთი თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცა. თუმცა აქარა თავგანწირული ბრძოლით ერთხანს კიდევ იგერიებდა კარზე მომხდურ მტერს, მაგრამ მე-17 საუკუნის დამდეგს ისიც ხელთ ჩაიგდო ვერაგმა მტერმა.

დადგა სამხრეთ საქართველოსათვის ძნელბედობის ხანა — იწყება „გათათრების“ პროცესი. დამპყრობლები ქართველებში ავრცელებენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას, ველური მეთოდებით სპობენ ქართული კულტურის შესანიშნავ ძეგლებს, უნიკალურ მონუმენტებს; აქარა სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოწყდა დედასამშობლოს — საქართველოს. იგი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობა არასოდეს არ შელახულა აქარელი მშრომელის შეგნებაში. ხალხი თურქ დამპყრობლებს გაუგონარი თავგანწირვით ეკვეთა და ისე გამოატარა თავისი მდიდარი კულტურა, თავისი ენა, მაგრამ გათურქების ბარბაროსული პოლიტიკა მაინც თავისას აკეთებდა. მოზღვავებული უბედურება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, ქართველი ერის სულიერ ორგანიზმზე თავის სისხლიან კვალს ტოვებდა.

ამ გარემოებამ ღრმად ჩააფიქრა საქართველოს მოწინავე ადამიანები. სულთანის თურქეთის ბატონობის ქვეშ მოხვედრილი მუსლიმანი ქართველების მძიმე ისტორიული ხვედრის შესახებ აი რას წერს ილია ჭავჭავაძე: „თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემშჰკალეზა, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რომ იფეთქოს, იჭექოს დაძინებაულმა ისტორიამ, და, ერთსულობამ, ერთგულობამ, თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენ და ოსმალეთის საქართველო“.¹

მოწინავე ქართველ ინტელიგენტთა ეს პატრიოტული მოძრაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დღითი-დღე ფართო ხასიათს იღებდა. ამ კეთილშობილურ საქმიანობას ნოყიერი ნიადაგი დახვდა თვით ადგილზეც იმ მაჰმადიან ქართველთა შორის, რომელნიც სულ მუდამ დედასამშობლოსთან — საქართველოსთან დაბრუნებაზე ოცნებობდნენ.

¹ ი. ჭავჭავაძე, ოსმალეთის საქართველო: თხზულებანი, ტ. II, 1941 წ. გვ. 367.

ცნობილ აქარელ ბეგს შერიფ ხიმშიაშვილს, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ფარულად ჩასულა თბილისში, ასე მიუმართავს მისთვის მოწყობილ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებისათვის:

„კაი იქნება, ბატონებო, რომ აქარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული, მაგრამ თუ იგი არ მოხდა, საცაი უნდა იქნან, ვინატროთ. ბედნიერად იყვენ. განათლებათ ეკირება, ბატონებო, იმათ, ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ, ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ასე აბღღურად დატოვებთ“.¹

რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ 1878 წლის ბერლინის კონგრესის ტრაქტატით აქარა სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებთან ერთად შეუერთდა რუსეთს. ხოლო 1921 წლის 18 მარტიდან მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოძვე ქართველობასთან ერთად აქარის მშრომელებმა საბოლოოდ განდევნეს მენშევიკები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. — დაიწყო აქარის მშრომელთა ბედნიერი ცხოვრება, აღსავსე ბრძოლითა და გამარჯვებებით. მდიდარი შინაარსით, შესანიშნავი აწმყოთი და კიდევ უფრო წარმტაც მომავლით.

ჩვენი კვლევის ობიექტი — ზემოაქარული მეტყველება მრავალმხრივ იქცევა მკვლევართა ყურადღებას, სახელდობრ:

ა. ზემოაქარული ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით ძირითადად უახლოვდება ქართული ენის როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ დიალექტებს. ეს სიახლოვე განსაკუთრებით ხელშესახებია ერთი მხრივ მესხურთან და იმერხელთან, ხოლო მეორე მხრივ — გურულთან.

ბ. ზემოაქარული, როგორც ცნობილია, ხანგრძლივად მოქცეული იყო უცხო ენობრივ გარემოში, რის შედეგად საკვლევმა მეტყველებამ წარმოაჩინა ენათმეცნიერულად საინტერესო ენობრივი ფაქტები.

გ. გამოიყოფა აგრეთვე ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება, რაც განპირობებულია ხანგრძლივი დროით აქარულის განვითარების ბუნებრივი გზიდან გადახვევით.

მიუხედავად იმისა, რომ აქარული, საერთოდ, და კერძოდ ზემოაქარული, საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში უცხო, თურქული

¹ ვაზ. „დროება“, 1878 წ., № 126.

ენის გავლენას განიცდიდა, ზემოაქარულმა, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. უცხო ბარბაროსულ ხალხთა ძალით ასიმილაციის მიუხედავად აქარის მოსახლეობამ მტკიცედ დაიცვა და წამების ქარცეცხლში გამოატარა ქართული ზნე-ჩვეულება და რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა. აქარულმა ორგანული კავშირი არ გაწყვიტა ქართულ ენასთან, მის დიალექტებთან. აქაური „население состоит из одного грузинского элемента (за исключением Черкесов) и говорит языком, ничем не отличающимся от грузинского говора“¹

მართალია, აქარულში შემოვიდა ზოგიერთი უცხოური სიტყვა, მაგრამ აქარულის ლექსიკური შედგენილობა ძირითადად უცვლელი დარჩა.

აქარული (resp. ზემოაქარული) მეტყველება არაა სისრულით შესწავლილი. ჩვენს მიზანს შეადგენს ზემოაქარულის თავისებურებათა შესწავლა და იმის ჩვენება, თუ რა მიმართებაშია ზემოაქარული² ქვემოაქარულთან, იმერხეულთან, მესხურთან და გურულთან.

ზემოაქარული გავრცელებულია აქარის ასს რესპუბლიკის ხულოსა და შუახევის რაიონებში. ამ რაიონებს უკავია 1300 კმ² ფართობი. ზემოაქარა მდებარეობს აქარის აღმოსავლეთ ნაწილში. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ადიგენის რაიონი, დასავლეთით — ქედის. ჩრდილოეთით — მახარაძისა, ხოლო სამხრეთით — საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

ზემოაქარულის გავრცელებულობის შესახებ როცა ვმსჯელობთ, სრულყოფილობისათვის არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მისი გავრცელების არე სცილდება ზემოთდასახელებული ტერიტორიის ფარგლებს. ზემოაქარლები, როგორც ცნობილია, ცხოვრობენ აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის სოფლებში — ჩხაკაჭრასა და ზოტში და ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

¹ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаро, СПб, 1878, გვ. 15.

² ქ. ნოღაიძე ზემოაქარულისა და ქვემოაქარულის ნაცვლად ხმარობს ტერმინებს: მთის აქარულსა და ბარის აქარულს (იხ. მისი „აქარა დიალექტოლოგიურად“, ბათუმი, 1936 წ., გვ. 1-2. „აქარული კილოს თავისებურებანი“: ბათუმის სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომების კრებული, 1941, გვ. 133-134). ვფიქრობთ, ამ ტერმინების ხმარება არაა გამართლებული, ისტორიულად აქარა იყოფოდა ზემო აქარად და ქვემო აქარად (იხ. პ. უშიკაშვილი. ოსმალის საქართველო: გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 12; დ. ბაკრაძე (დასახ. შრ. გვ. 53); Э. Такайшвилл, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, 1952, გვ. 17.

ზემოაქარულის შესახებ ჩვენ დღესდღეობით მხოლოდ ერთი სპეციალური გამოკვლევა მოგვეპოვება, რომელშიც რამდენადმე სრულადაა წარმოდგენილი მისი თავისებურება, ესაა მ. ხუბუას შრომა „ზემოაქარის ენობრივი მიმოხილვა“ (1932 წ.). გვლევარს 1926 წლის ზაფხულში უწარმოებია დაკვირვება ზემოაქარულზე. გამოკვლევა წარმოადგენს ამ მუშაობის შედეგს. ნაშრომი შედგება გამოკვლევისა (1-22 გვ.) და ტექსტებისაგან (25-46 გვ.). ავტორს კარგად აქვს შენიშნული ზემოაქარულის რიგი თავისებურებანი. ხშირ შემთხვევაში ფაქტთა კვალიფიკაცია დამაჯერებელია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მოკლე დროის განმავლობაში აწარმოებდა ზემოაქარულზე დაკვირვებას, ჩაწერილ ტექსტთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა (ტექსტები ჩაწერილია ზემოაქარის 10-12 სოფელში, მაშინ როდესაც აქ სულ 100-120 სოფელია), რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა შრომის ხასიათზე. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ზემოაქარულის არაერთი თავისებურება.

დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული აქარული კილოს შესწავლის საქმეში ჯ. ნოღაიდეღის. მას გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტები („ნარკვევები აქარულთა ყოფაცხოვრებიდან“, ბათუმი, 1933, „აქარის ხალხური პოეზია“, ბათუმი, 1936, და ნარკვევი „აქარა დიალექტოლოგიურად“, 1936). ჯ. ნოღაიდეღის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში საკმაოდ ადგილი აქვს დათმობილი ზემოაქარული მეტყველების ნიმუშებს. იგი თავის გამოკვლევებში ხშირად ცალკე გამოყოფს იმ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც ზემოაქარულისათვის (ავტორის თქმით: მთის აქარული-სათვის) არის დამახასიათებელი.

აქარული დიალექტის შესწავლის საქმეში გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქ. ლომთათიძეს. აღსანიშნავია მისი ორი გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აქარულში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 6, 1938 წ. და „დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1, 1946.

გარკვეული წილი უდევს აქარული კილოს შესწავლის საქმეში ი. მეგრელიძეს, რომელმაც გაარკვია არაერთი საკითხი ჩვენთვის საინტერესო დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ კრებულებში: „იაზიკი მიშლენიე“, ტ. 10, მოსკოვი-ლენინგრადი, 1950 წ., „პომიატი ნ. ი. მარრა“, მოსკოვი-ლენინგრადი, 1940 წ., ასევე უნ-

და დავასახელოთ მისივე: „მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 6, 1938 წ. და „ლაზსკი ი მეგრელსკი სლოი ვ გურიისკომ“, მოსკოვ-ლენინგრადი, 1938 წ.

საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა აჭარის მკვიდრთა (ქედისა და ხულოს რაიონების მცხოვრებთა) მეტყველების შესწავლას აგრეთვე პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე მ. მათგან დასახელებული უნდა იქნეს: „აჭარული დიალექტის მორფოლოგიის საკითხები (ქედის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით)“: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის 23-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, 1959 და „აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი (ხულოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით)“: იმავე ინსტიტუტის 24-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, 1960.

მხატვრულ ლიტერატურაში აჭარული მეტყველების ნიმუშები გვხვდება პ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ს თ ა ნ,¹ ზ. ჭ ი ჳ ი ნ ა ძ ე ს თ ა ნ,² დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ს თ ა ნ.³

დასახელებული ტექსტები აჭარული მეტყველების თავისებურებათა გასათვალისწინებლად ყოველთვის ვერ არის სანდო.

აჭარული დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს, ს. ყ ღ ე ნ ტ ს, ა. შ ა ნ ი ძ ე ს, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ს და სხვ. მათ ჩვენ შევეხებით სათანადო ადგილებზე.

ზემოაჭარულზე დროდადრო დაკვირვებებს ვაწარმოებდით და სათანადო მასალებს ვკრებდით სტუდენტობის წლებიდან (1938). ამ მიზნით ვმუშაობდი არა მარტო მშობლიურ სოფელში, ვაიოში, არამედ ზემოაჭარის სხვა სოფლებშიც.

ზემოაჭარულის სისტემატურ შესწავლას შევეუდექი 1946 წლიდან (როდესაც მუშაობა დავიწყე რუსთველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტში); დიალექტოლოგიური მასალების შეკრების მიზნით რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სამეცნიერო მივლინებებსა და ექსპედიციებში.

ტექსტების გარკვეული ნაწილი შეკრებილი და ჩაწერილია

1. პ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მოთხრობები, ტ. II, 1925 წ., გვ. 297-304.

2. გამოქვეყნებულია ავტორის მიერ სხვადასხვა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

3. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. შრ. გვ. 161-191, სადაც მოცემულია მოკლე შედარებითი ლექსიკონი ქართულ-კახურ, იმერულ, გურულ, ქობულეთურ და აჭარულ თქმათა.

სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის წევრების მიერ ჩვენი პირადი დავალებითა თუ თხოვნით, ან ექსპედიციებში მათი მონაწილეობით. ბევრ შემთხვევაში ავტორს ცალკეული დიალექტური მოვლენებისა თუ ახალი სიტყვა-ტერმინების გამოვლინებასა და ჩნიშვნელობათა დადგენაში შევლოდნენ ადგილობრივი სტუდენტები: ლ. გაბაიძე, ნ. გობაძე, ნ. თურმანიძე, შ. მიქელაძე, ა. მაკარაძე, ვ. მაკარაძე, ალ. დავითაძე, ს. დუმბაძე, შ. ფუტყარაძე, თ. ტარიელაძე, ნ. ბერიძე და სხვები. მაგრამ ზემოაქარული მეტყველების ენობრივი მიმოხილვა ძირითადად მაინც ცოცხალ მეტყველებაზე ავტორის უშუალო დაკვირვებას ემყარება. შეკრებილი დიდძალი ლექსიკური მასალებიდან და ტექსტებიდან. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მცირე ნაწილი იბეჭდება.

ნაშრომს დართული ტექსტები და ლექსიკონი შინაარსობრივად მრავალფეროვანია. ტექსტები შეიცავს თქმულება-გადმოცემებს, წეს-ჩვეულებათა და სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობათა აღწერას; მოცემული გვაქვს აგრეთვე გამოცანები, ანდაზები, ლექსები, დიალოგები, ბუნებრივი საუბრის დროს ჩაწერილი ფრაზები და სხვ.

დიალექტოლოგიური დანიშნულების გარდა, ჩვენი მასალები რამდენადმე ყურადღებას იპყრობს ეთნოგრაფია-ფოლკლორის თვალსაზრისითაც.

ტექსტებში დიალექტური ფორმების პარალელურად საგრძნობ ნაწილად შევიდა ლიტერატურულიც, რაც ძირითადად ახალი თაობის მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი.

ეფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი დაინტერესებულ სპეციალისტ-მკვლევართა გარდა ერთგვარ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთაც სასწავლო გეგმით ეკითხებათ ქართული დიალექტოლოგიის კურსი.

ფონეტიკური თავისებურებანი

ზვანიური ფონეტიკა

ქართული ენის სხვა დიალექტების მსგავსად, თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ზემოაქარულში მოიპოვება: **ა ზ**, გრძელი ხმოვნები: **ა̄, ე̄, ი̄, უ̄**, ნეიტრალური ბგერა **ჟ** და წყვილბაგისმიერ ხშულ-მსკდომი **ც**. **ა** (ნახევარხმოვანი ყრუ პალატალური ბგერა) ზემოაქარულში ფართოდაა გავრცელებული. როგორც ცნობილია, **ა** ძველი ქართულის ბგერათსისტემაში ფონემას წარმოადგენდა¹ და იგი დამახასიათებელია თანამედროვე ქართული ენის² მრავალი დიალექტისათვის.

ა გვხვდება:

ა. სახელობით ბრუნვაში **ა ე და ი-ზე** დაბოლოებულ ფუძეებთან. ასეთ პირობებში **ა**-ის გაჩენა შეპირობებულია სახელობაი ბრუნვის ნიშნის **ი**-ს დასუსტებით:

დამიძახე ა ს ლ ა ნ ა ა, წყალი აჟმიტანოს!.. რას გავს კო, დ რ უ-
ნ ჩ ა ა!.. ჯერ ჩ თ ი ლ ა ა (<ჩრდილი ტოპ. სახელი) გავთონნოთ...
ე ლ ე ნ ე ა უმფოსია თუ ზ ე ქ ი ე ა ?.. ბ ა ბ ო ა არ დაბრუნებულა
ლაკლაკეთიდან?

ბ. ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში (მოქმედებითში უფრო იშვიათად) ბრუნვის ნიშნების ხმოვნი ნაწილის (**ი**) დასუსტების შედეგად:

ყურდღელმა თქვა: ჩემ საწოლი ლ ო ბ ი ა ა-ს ძირი ბენჩქიავო...
ათასი ო ქ რ ო- ა თ ერთ სახენწიფოს ავაშენეფ... ჩამეილო თ ა რ ო-
ა და ნ და ლაჩაქი ყურში გამოკოქა... საშოფრო დუნთაერებია ხ ა-
ს ო-ა ს ბაღ...³

¹ ა. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე და ი. აბულაძე, ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1947, გვ. 234.

² შლრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 65.

³ **ა**-ს ნაცვლად **მ**, **ხ** უბუნა ამ შემთხვევაში **ი**-ს ადასტურებს: ...ესროლეს ბარდენაი... ჰემ დღეითა... მუმიანი... თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს ხმოვანი ლექსში (ავტორით: წყობილსიტყვაობაში) ზოგჯერ ქმნის მარცვალს, ზოგჯერ კი არაო (იხ. მისი „ზემოაქარის ენობრივი მიმოხილვა“, 1932, გვ. 7), შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954, გვ. 133.

გ. ვითარდება ფუძის შიგნით, როდესაც ი ხმოვანი ემეზობლება ა, ე და ო-ს (ჟუსწრებს ან მოსდევს): ორი დღია მ დ ე რ ე დ ვთოხნი ჭალი კისერ... წო ლ ძარ ე მ გააგორვა მოღალატე თურმე... ჰელბეთ რო ი ც ხ ა იქნება გაწვიმდება, სულ გვალვები ხომ არ წაეა... რა იყო უწინ ჭეფერავ, მა ძ ლ ი ც' რომ გვენატრებოდა... შ ძ ა ნ ე დ ა მ ა ქ საკლეთი...

დ. დატულია რუსულ და უცხო წარმოშობის სიტყვებში: პ რ ძ ა მ ა, ძ ა შ ი კ ი, ა ბ ძ ე შ ი კ ი, კ ა ზ ხ ო ნ ი, შ ე ძ თ ა ნ ი (ემშაკი, ცბიერი); ყ ა ძ მ ა ლ ი (ნაღები), ძ ა ლ ი (ერბო), ძ ო ლ ი (გაფანტვა, განიავება), ძ ე თ ი მ ი (ობოლი)² ძ ე მ ი, ყ ძ ა მ ე თ ი³ და სხვა.

აღმოსავლურ დიალექტთაგან შენიშნულია გარეკახურში, კახურში,⁴ სადაც იგი ხმოვნის შემდეგ გვხვდება; მთიულურში.⁵ აქ ძ მიღებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დასუსტების შედეგად; ქართლურში;⁶ დასავლურ დიალექტთაგან იმერულში⁷ და სხვა.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზემოაქარულში ძ გვხვდება როგორც დამავალი, ისე აღმავალი დიფთონგის ელემენტად.

1 მ ა ძ ლ შ ი (← მაილი ← მარილი) ძ -ს მიღება უფრო ზუსტი იქნებოდა აგვეხსნა რ-ს დასუსტების (რამაც გამოიწვია მისი ვოკალიზაცია) ნიადაგზე, როგორც ამას ადგილი აქვს ქანურში (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 13), ანალოგიურ პროცესთან უნდა გვეკონდეს საქმე აქარ. ხ ე ლ ც ა ძ ე ლ-სა, და გ ე მ ძ ე ლ-ში (ფრაზაში: ხ ე ლ ც ა ი ე ლ ი არ დაბრუნდე, ქესა ქქონდეს ფარიანი) აქარულში ძ -ს არსებობის შესახებ მიუთითებს ჟ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, იგი აღნიშნავს, რომ ეს ბგერა უმთავრესად ქობულეთურ პეტყველებს ახასიათებს, რასაც გურული კილოს გავლენას მიაქვია (იხ. მისი „აქარა დიალექტოლოგიურად“, 1936, გვ. 7), როგორც ცნობილია, ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ძ ფონეტიკურ ნიადაგზე ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტშია წარმოქმნილი. ამ მხრივ ქობულეთური პეტყველება არ დგას განცალკევებით.

2 შ რ. იოტიანი ხმოვნები ქანურში უცხოური წარმოშობის სიტყვებში: ძ ა ლ ი, კ ა ზ ძ ა ლ ი, (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანური ტექსტები, 1929, გვ. 112), ძ ა ჰ ლ დ ი (იქვე, გვ. 3), შ ე ძ თ ა ნ ი (იქვე, გვ. 25), ყ ი ფ შ ი ძ ე ს თ ა ნ შ ე ძ -ტ ა ნ ი (ქანური ტექსტები, 1939, გვ. 35); ძ ე თ ი შ ი, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 141.

3 ვაგვე სიტყვები გურულში წარმოდგენილია ყ ი ა მ ე თ ი-სა და ი ე მ ი-ს სახით (შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, 1938).

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 62-63, ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი დ ა გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 29-34 (მომდევნო გვერდებზე აღნიშნავთ შემოკლებით: კახური).

5 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II, 1937, გვ. 43-44.

6 ქ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილი, 1925, გვ. 129-130.

7 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, იმერული დიალექტი: ძიებანი გვ. 147

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული-სათვის დამახასიათებელია დამავალი დიფთონგები,¹ ასევე, „ქართულს კილოებში შემონახულია, როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: ა ე, ე ა, ო ე, უ ა“², ხოლო „მეგრულ-ქაზურში და სვანურში ქარბობს აღმავალი დიფთონგიზაცია...“³

აჭარულში აღმავალი დიფთონგის გაჩენას ჯ. ნოლაიდელი თურქულის გავლენას მიაწერს.⁴ იგულისხმება დიფთონგი, რომლის პირველ ელემენტს ა შეადგენს. საკმარისია დავეყვირდეთ აჭარულის, კერძოდ ზემოაჭარულის მონაცემებს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ, აღნიშნულის გარდა, მასში უ-თი დაწყებული დიფთონგებიცაა გავრცელებული.

საკმაოდ ხშირია დიფთონგი, რომლის პირველ ნაწილს უ წარმოადგენს. მაგალითად: მ უ ა ტ ა ნ ი ა (<მუატანია<მოატანია<მოატანინა> ფორმულით: ოა>უა>უა), მ უ ა ხ ე რ ხ ე, მ უ ა ხ ა რ ტ ი ე, გ ა დ მ უ ა წ ე რ ი ე, გ ა მ უ ე ქ ე ე ც ი, გ ა მ უ ე ტ ი რ ა; შ უ ა ვ ი. ძ უ ა ლ ი, გ ო გ უ ე ბ ი, თ ა რ უ ე ბ ი, კ ი კ ი ლ უ ე ბ ი და მისთ.

მაშასადამე, ზემოაჭარულში ა ა, ა ე, და ა ო დიფთონგები არ დგას განცალკევებით. თუ დავუშვებდით, რომ ა ა, ა ე, ა ო განვითარებულია თურქული ენის გავლენის შედეგად, მაშინ აუხსნელი რჩება უა, უე დიფთონგთა წარმოშობა.

აღმავალი დიფთონგის ელემენტი ზემოაჭარულში ხშირად ვითარდება ი ხმოვნისაგან, რომელიც მიღებულია ე-ს ან ი-ს დავიწროების შედეგად: შ ა ა ყ ე ა რ ა (<შაყვარა<შეაყვარა), შ ა ა ტ ყ ო შ ა ა ძ ლ ი ა, შ ა ა კ რ ა, შ ა ე ხ ვ ე წ ა (<შეიხვეწა<შეეხვეწა), შ ა ე გ ე ბ ა, მ ა ე ხ მ ა რ ა და სხვა.⁵

წინადადებებში:

ქოროლიმ შ ა ა კ ა ზ მ ი ა ცხენი და ხუთ მინუჩი გაქარდა იმ არემარეში... ვეზირმა ადრე შ ა ა ტ ყ ო, რომ იქ აღარ გ ა ე ჩ ე რ ე ბ ო ლ და... მონადირესაც სწორეთ ის უნცროსი გოგო მ ა ე წ ო ნ ა...

აღმავალი დიფთონგები ა ა, ა ე, ა ო იქმნება აგრეთვე ზმნე-

1 გ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 104.

2 ა რ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჯან. გრამ. ანალიზი, გვ. 13.

3 ს. ე ლ ე ნ ტ ი, მეგრულ-ქაზური ვოკალიზმი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 352.

4 ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმის სამასწ. ინსტიტუტის შრომები, I, 1941, გვ. 135.

5 ამ ფორმების პარალელურად ზემოაჭარულს არ ეუცხოება ასეთი შესატყვისი ფორმების ხმარება: შ ა ყ ე ა რ ა (<შაყვარა<შეაყვარა), შ ა რ ი გ ა (<შეარიგა) და მისთ. ამთ შესახებ იხ. ქვემოთ, სხვა საკითხთან დაკავშირებით.

ბში შუალობითი კონტაქტის საწარმოებელთა — ინ, — ევინ თანხმონითი ნაწილის (ნ) დაკარგვის შედეგად. მაგალითად: და ა წ ე რ ა ა (<დააწერია<დააწერინა), და ვ ა ხ ვ ე ვ ე მ ე (<დავახვევით<დავახვევინე), და ვ ა დ გ მ ე ვ ე მ ა (<დავადგმევით<დავადგმევინო) და მისთ.

ზემოაქარულში (და, საერთოდ, აქარულში) აღმავალი დიფთონგი ვითარდება ასევე ასეთ ბგერობრივ პოზიციაში: დ ღ მ ა ბ ა (<დღეობა), მ ა მ მ ა ბ ა, დ ე დ მ ა ბ ა, ნ ე ფ მ ა ბ ა, ს ი ძ მ ა ბ ა და მისთ.

წინადადებებში:

არ შექმამო ქათმი კუჭი, თუ არა ნ ე ფ მ ა ბ ა შ ი ჩაკუჭტები... ზიქმა უთხრა: მ ა მ მ ა ბ ა, დ ე დ მ ა ბ ა ბევრი მიყავით, მარა... ჭემალ-ბეგის დ ღ მ ა ბ ა შ ი ხალხი აწიოქებული იყნენ...

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ფაქტები სხვა დიალექტებშიც გვხვდება. ეს მოვლენა მარტო აქარულისათვის არაა სპეციფიკური, ოღონდ ეს კია, რომ იოტიზაციის პროცესი ჭერ კიდევ ყველგან არაა დასრულებული. ასე, მაგალითად, სავსებით ანალოგიური შემთხვევები დადასტურებული აქვს ო. კ ა ხ ა ძ ე ს იმერული კილოს ოკრიბული მეტყველების მასალათა საფუძველზე, იგი მიუთითებს შემდეგ მაგალითებს: შ მ ა ხ მ ა, შ მ ა გ ი ნ ა, შ მ ა ნ ტ ვ რ ი ა, შ მ ა ფ უ რ თ ხ ა; მ ტ ა ყ ა რ ა, მ ტ ა წ ე რ ა, მ ტ ა რ თ ვ ა.¹

ზემოაღნიშნული მოვლენის განვითარების შუა საფეხურის (ია, იე, უა, უე) დამადასტურებელი ფაქტები საკმაოდ ხშირია ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, მაგალითად: გურულში: შ ი ა დ ა რ ა, შ ი ე ძ ი ნ ა, შ ი ა ტ ყ ო, დ ი ე ს ი ზ მ ა, დ ი ე კ ი თ ხ ა, დ ი ე ხ ო ც ა, დ ი ე მ შ ვ ი დ ო ბ ა, წ ა მ უ ა რ დ ა, მ ო თ ხ უ ა, წ ა მ უ ა ტ ა ნ ა, მ უ ა, ზ ო ლ ო ო რ ტ ე, შ ვ ი დ ლ ე, ჩ ტ ე ნ, თ ქ ტ ე ნ და სხვ. სიტყვებში გვაქვს ზემოაქარულისათვის დამახასიათებელი ბგერათკომპლექსები.²

მესხურში: გ ი ე ქ ა ნ ო ს, გ ი ე პ ა რ ა... დ ი ე ლ ი ა, დ ი ე ს ტ რ ო ს ო..., მ ი ე წ ო ნ ე ნ, მ ი ე კ ლ ე ნ ო..., გ ა მ ი ე გ ზ ა ვ ნ ა, გ ა მ ი ე კ ი დ ნ ე ნ.³

ჯავახურში: დ ი ე ბ ა, დ ი ე ბ ა დ ა, მ ი ე კ ლ ა, გ ი ე შ ი ნ

¹ ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი: იმერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 169.

² ს. ე ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 46, 51, 52 და 57.

³ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი: ძიებანი... გვ. 134-135.

ჯა...¹ იმერხელში: შიანდო, შიაწერეს, შიებრალა, ჩამუელით, მუათავეთ.²

რაქულში: მიეწყინა, მიეცალა, გადიეგლო...³

აღნიშნული მოვლენა მეტ-ნაკლებად დადასტურებულია აგრეთვე აღმოსავლურ დიალექტებში (ქართლური, გარეკახური, მთიულური და სხვ.).

დასახელებული მოვლენა ზემოაქარულში ბოლომდისაა მისული. მაშასადამე, აღმავალი დიფთონგის განვითარების საფუძველი ქართულ დიალექტებშივე დასტურდება. ამრიგად, ამ შემთხვევაში სხვა რომელიმე ენის გავლენის საკითხი უნდა მოიხსნას. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ის უცხო წარმოშობის სიტყვები, სადაც აღმავალი დიფთონგი გვხვდება, ემორჩილება აქარულისათვის (resp. ქართულისათვის) დამახასიათებელ წესს.

გარკვეულია, რომ „ნასესხობას — რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს იგი — არ შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს მსესხებელი ენის ბგერათსისტემაში“.⁴ სპეციალურ ლიტერატურაში იმის შესახებაცაა მითითებული, რომ „მსესხებელი ენა თავისი მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად აფორმებს ნასესხებ მასალას“.⁵

უმარცვლო უ ზემოაქარულში გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოსალოდნელია ძველი ქართულის მიხედვით.⁶ იგი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დავიწროებულ უ-ს ვ-საკენ გადახრილს, სახელდობრ უ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ: თ უ ა ლ ი, თ უ ა რ ა, თ ქ უ ა, ს ხ უ ა, ღ უ ა რ ი, ნ ა კ უ ე რ ც ხ ა ლ ი, ე ქ უ ს ი და ს ხ ვ.

უ გარკვეულ შემთხვევაში მიიღება ვ-საგან, თუ ეს უკანასკნელი მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, მაგ., ბ ე უ რ ი.⁷ გვაქვს ზოგჯერ შემთხვევები, როცა უმარცვლო უ მიიღება უ-ს დასუსტების შედეგად. მაგალითად: ოვა და ოვე კომპლექსები იქ-

1 არ. მარტიროსოვი, ქავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. პუშკინის სახ. თბილ. სახ. პედაგოგ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 293.

3 М а р р, ТР, 7, გვ. 48-63.

3 შ. ძიძიგური, მთარაქული: ძივანი..., გვ. 187.

4 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველ. გვ. 246.

5 არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 246.

6 ა. შანიძე, ძვ. ქართული ენა, გვ., 235; არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 45.

7 ს. ედენტი, გურული კილო, გვ. 46; ასეა ეს სიტყვა იმერხელშიც: ქვეყანა რომ შეაწუხა, ახლა ბეჭერი ყავს ღუშმანი: ნ. შარტი იმერხ. ტექსტები გვ. 48.

ცევა ჟა-ჟე-დ შემდეგი ცვლილების შედეგად: ოვა-ოვე > ოა-ოე > უა-უე > ჟა-ჟე: გა დ მ ჟ ა წ ე რ ი ე (<გადმუაწერიე <გადმოაწერიე <გადმოვაწერიე <გადმოვაწერინე), შ ა მ ჟ ა ტ ა ნ ი ა, წ ა მ ჟ ა ლ, ვ ა ძ ჟ ე (<ვაძჟე <ვაძოე <ვაძოვე). ვთხუე და მისთ.

ანგარიშგასაწევია შ. ძიძიგურის მოსაზრება, რომ „ოა კომპლექსი ისწრაფვის დიფთონგად გადაქცევისაკენ. ცვლილების პირველი საფეხურია ო-ს დაიწროება უ-დ: ოა > უა“.¹

ასევე, აუ > აუ||ავ, ეუ > ეუ||ევ, მაგალითად, ტოპ. სახელებში: ფუ შ რ უ კ ა ჟ ლ ი, კოპილა ჟ რ ი, ფიცრა ჟ ლ ი, კობალავ რ ი, ხიჭავ რ ი, ნიგაზ ჟ ლ ი, ჩანტრე ჟ ლ ი, ჭანგრე ვ ლ ა...

უ გაუმარცვლოებულია აგრეთვე ერთმარცვლიან გო (<გოგო) და ჭო (<ბიჭო) სახელთა წოდებით ბრუნვაში; ორსავე შემთხვევაში ო გამოითქმის გრძლად, შესამჩნევად ახასიათებს დაყოვნება, რის შედეგად ზოგჯერ ვლებულობთ უმარცვლო უ-საკენ გადახრილ ხმოვანს. სადაც ო-ც შენარჩუნებულია: გო ჟ! ჭო ჟ!² მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ გზით მიღებული უ ზოგჯერ არ ტოვებდეს ვ თანხმონის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას.

ჟ-ს მიღების სხვა გზებიც შეინიშნება ზემოაქარულში. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ეს გზები თვალნათლივ გამოჩნდება: ბაბოვ, ი ქათიწალა ჯ ხარი დურსუნასე ჟ ლ ი ხომ არაა?... იქა ჟ ხენწიფეს ერთი ფათერი ჰყავდა თურმი... ზედა ჯ დიდ ჟ ა ნ ე ბ ის ყონალი იყო... რა 'ვ' ჟყოთ ახლა მაქ კაც?... იქნობამდი გ ჟ - ძალ ჟ ა ნ დ ა უნცროსმა ძმამ, ჰილამდი არ დეკვერცხა ძირს... ყ ჟ ე ლ დ ლ ე მიაკითხვიდა თურმი ი ნეთეუხე თავის შეყვარებულ...

ოა (||ოვა) კომპლექსის ჟა-დ ქცევის წინა საფეხური დადასტურებულია დასავლურ და აღმოსავლურ კილოებში.³ ოე (||ოვე) კომპლექსის ჟე-დ ქცევა ზემოაქარულში ისეთივე გზით მიდის, რო-

1 შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები (დასავლური კილოების ელემენტები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში), ძიებანი გვ. 80.

2 მსგავსი ფორმები ჰოე, ჰოჟ დადასტურებულია იმერხელში, ნ. მარი, იმერხელური ტექსტები, გვ. 80.

3 ვარნ. ჩიქობავა, მთიულური, გვ. 47 და სხვ., მისივე გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 64; კახური, გვ. 49-50.; ვ. თოფურია, ქართული, გვ. 138; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 11; ჯ. ნოლაიძე, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 9, 10, 15; ს. ელენტი, გურ. კილო, გვ. 57. Мapp TP. VII, გვ. 48-53..., შ. ძიძიგური, შესხური დიალექტი, ძიებანი, გვ. 136., მისივე, იმერული დიალექტი, იქვე, გვ. 148; მისივე, ლეჩხუმური დიალექტი, იქვე, გვ. 166-167.

გორითაც ეს აღმოსავლურ კილოებშია დადასტურებული,¹ ოლონდ
ეს პროცესი (ე. ი. იოტიზაცია) აქ დასრულებულ სახეს გვაძლევს
და ვლებულობთ უე-ს. მაგალითად: მჭეხმარე, მჭელთ, გა-
მჭეეცა და მისთ.

ზემოაქარულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე სახელებთან
ჭ-ს მიღების ისეთი გზა, როგორც ეს ახსნილი აქვს ქართლურის მა-
სალების მიხედვით ვ. თოფურიას.² ზემოაქარულში, მსგავსად
ქართლურისა („გოგუები, პალუები, კალუები...“), ო-ფუძიან სა-
ხელთა მრავლობითობის წარმოების დროს ოე კომპლექსი ო-ს და-
ვიწროებით უე-დ იქცევა, ოლონდ აქ ო-ს დავიწროების პროცესი
უფრო შორს მიდის და ჭ-ს ვლებულობთ, მაგალითად: ოქრტეზი
(<ოქრუები<ოქროები), წყარტეზი, კოლტეზი „ქაობები“,
ურტეზი და სხვ.³

წინადადებებში:

რტეზის გაყვანამდე იმ ალიგეფში კოლტეზი იდგა... ქე-
ლოლანმა სულ ოქრტეზით გაბეზა ტუმრები... გოგოვ, შენი-
წელი წმინდა, მომიქსტე კრელი წინდა... ეს ტყიებიც რომ გა-
ვჩეხთ, ხომ დაშრა წყარტეზი...

გრძელი ხმოვნები: ა, ე, უ. ი ზემოაქარულში მიღებულია ფო-
ნეტიკურ ნიადაგზე ორი იდენტური ხმოვნის შერწყმის შედეგად.
ზანურის მსგავსად, ცხადია, აქ ბუნებრივი ანუ ისტორიული წარმო-
შობის გრძელი ხმოვნები არა გვაქვს, არამედ ხმოვანთა პოზი-
ციური სიგრძე მიღებულია ორი ერთნაირი ხმოვ-
ნის გაერთიანებით. ხმოვანთა პოზიციური სიგრ-
ძის წარმოშობის საფუძველია ასიმილაცია.⁴ მა-
გალითად: მამისი (<მამისი<მამამისი),⁵ აფერი (<ააფერი
<არაფერი), მშცია (<მიუცია), რწყავ (<რუყყავ<როყყავ
<რა უყავ), ეთრიე (<ეეთრიე<აეთრიე) ეტოლოშინება,
ეწფერი (<ვეეფერი<ვერაფერი), ნწფერი და სხვ.

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 29, შ. ძიძიგუ-
რი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში.
თიბანი, გვ. 117.

2 ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 138.

3 ამ მოვლენის შესატყვისი ფაქტები სახელებთან დასტურდება სპორადუ-
ლად იმერზელშიც (იხ. დასახ. შრ., გვ. 59), ხოლო მესხურში სავსებით ანალო-
გიური მაგალითები: ოქრტეზი, პალტეზი, წყარტეზი და სხვ. დადას-
ტურებული აქვს ი. მაისურაძეს (იხ. მისი „ძირითადი ფონეტიკური თავი-
სებურებანი მესხურში“, 1942, გვ. 3).

4 შდრ. ელენტი, კანკრ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 53.

5 გურულში ეს სიტყვა მამისი-ს სახითაა წარმოდგენილი (ს. ელენტი-
გურული კილო, გვ. 54).

წინადადებებში:

კარქა მუკურცხე ზეინს თავი, წყალი არ ჩევდეს... ღრიკეთ არ დაპტიო კარები, მაგრათ დუბიქსე... აფერი არ მინდა, მხოლოთ ჩემ ქვეყანაში გამაგზანე რამეთო (ნოღ. II, 49),... შენ ნუ ფერ ნუ იმჯავრეფ... ერთი წერილიც არ მიელო მამისი დან თურმეც...

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად ასეთი ვითარება სვანურშიც, სადაც „გვაქვს პოზიციით გამოწვეული სიგრძე ხმოვნისა. ამდენად ხმოვანთა სიგრძე სვანურში, — ამბობს ს. ჟღენტი — არა ფონოლოგიურია, არამედ ფონეტიკური“.¹

აქარულში გრძელი ხმოვნების შესახებ მსჯელობს შ. ძიძიგური.² ასე, მაგალითად, ავტორი გრძელ ი-ს მიღებულად თვლის კონტაქტური ასიმილაციის გზით (ი+ი: წიღო, გიქნია და პარალელურად გრძელი ხმოვანი: ი+ი=ი: გიქნია...) პრევერბის ხმოვნით ნაწილსა და ქცევის ნიშან ი-ს შორის. აქარულში პრევერბის ხმოვანთა და ქცევის ნიშანთა ასიმილაცია მართლაც ფართოდაა ფეხმოკიდებული; რომ არც ერთ დიალექტში არ გვხვდება აქარულის მსგავსი შემთხვევები (დიმინახა, წიმილო, გიდიმიტანა...), მაგრამ ასიმილაცია არასოდეს არაა კონტაქტური. პრევერბსა და ქცევის ნიშანს შორის ასეთ შემთხვევაში ყოველთვის პირის ნიშანი აღმოჩნდება. ასე რომ, აქარულში გრძელი ი-ს განვითარების ის გზა, რომელიც შ. ძიძიგურს აქვს აღნიშნული. ექვის ქვეშ უნდა დაეაყენოთ. უნდა ითქვას, რომ ზემოაქარულში მართლაც დასტურდება გრძელი ი, რომელიც ვითარდება სიტყვის ფუძეში რ-ს გაუჩინარების შედეგად, რ-ს აქ გარკვეულ ბგერობრივ პოზიციაში ახასიათებს პალატალიზაცია, რომელიც ხშირად ისე შორს მიდის, რომ ბოლოს და ბოლოს სრულიად უჩინარდება. მაგრამ გაუჩინარება როდი ჩივილის უკომპენსაციოდ: ამა თუ იმ ხმოვანთან (უმეტესწილად მომდევნო პოზიციაში) შერწყმის შედეგად ხდება მისი ვოკალიზაცია. ამ გზით იქმნება საფუძველი გრძელი ხმოვნების — ი-სა და ე-ს განვითარებისა. ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები სწორედ ამ პროცესს უნდა ასახავდნენ: რ'უმ გიგინათეფ ყური ძი'ში... სიციხვილი შენი, უმფოს-უნცროს აღა ცნობილოფ... იმფრათ დუყიში ზღე ბა თვალები. რომ... თურმი იმ ვაქარ ეთი ლამაზი

1 ს. ჟღენტი, გრძელი ხმოვნები სვანურში: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949. გვ. 73.

2 შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში: ძიგანი, გვ. 108-109.

ცოლი და ეთი ც უწლივანი ბოვში ხყავდა... ვერ დაჯდები, ჭო, ერთ ალიგზე, ამდენი სი ბილი იქნება!.. ეცხვა (<ერთ სხვა <ერთის სხვა ..ერთის გარდა, ამის გარდა“) ალ ს ქნა, თუარა ყურეფ შაგაფრეწ!.. ჰო შენი ჭი მე და... იმა გებნევილი, რომ...

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გრძელი ხმოვნის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია ხმოვნის შემდეგ რ-ს გაუჩინარება. შენიშნულია, რომ აქარულში რ ბგერას განსაკუთრებულად ახასიათებს სისუსტე-სირბილე. მისი წარმოთქმა აქ ხშირად უჭირთ. ასე რომ, ეს ბგერა ადგილობრივი მკვიდრის მეტყველებაში ან სრულიად იკარგება ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალზე შერბილებულია, პალატალიზებულია.

გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს ასეთი ზოგადი დასკვნა: ზემოაქარულში გრძელი ხმოვნები არ ჩაითვლება ფონემებად, მათი გაჩენა შეპირობებულია პოზიციით.

ჰ სალიტერატურო ქართულისა და მისი დიალექტების მსგავსად, უმათავრესად გვხვდება ზმნაში პირის ნიშნებად.² როგორც ცნობილია, ჰ „არაა სრულდირებული ფონემა სალიტერატურო ქართულში (და, როგორც ჩანს, არც დიალექტებში): ხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში იგი იხმარება საყოველთაოდ გავრცელებულ მხოლოდ ორ სიტყვაში (ჰაერი და ჰავა) და ზოგიერთ ძახილში, მაგ. ჰა, ჰე, ეჰე, აჰა.³ დადგენილია ისიც, რომ ჰ „თანხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში წარმოადგენს უფრო მეტად თანხმოვნის ფუნქციურ შემართვას, ვიდრე დამოუკიდებელ ფონემას.⁴

ზემოაქარულში ჰ დასტურდება უცხო წარმოშობის სიტყვებშიც — როგორც დასაწყისში, ისე სიტყვის შიგნით: ჰ ე ლ ა ლ ი (ალალი), ჰ ე რ ა მ ი (არამი), ჰ ა მ ა (მაგრამ), ჰ ე ქ მ ა (ზლაპარი), ჰ ე გ ი ბ ა || ჰ ე გ ბ ა (აბგა),⁵ ს ი ლ ა ჰ ი || ს ი ლ ა ლ ი (იარალი), ყ ა ჰ ვ ე (ყავა), მ ა ჰ უ დ ი (ებრაელი),⁶ ჰ ა ზ ი რ ი (და მისგან ნაწარმოებ სიტ-

1 შდრ. „ერთ-სხვა“ ზევს. ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 194.

2 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 177.

3 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 286.

4 იქვე.

5 შდრ. ინგილ. ჰ ა გ უ ბ ა (მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 231).

6 ანალოგიური სურათი გვაქვს უცხოური წარმოშობის სიტყვებში ჰ-ს შენარჩუნების მხრივ ქანურში (იხ. ს. ელენტი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 38, 39, 49, 65), ასევე, ზემოაქარულის მსგავსად, ჰ შენარჩუნებულია თურქულ-არაბული წარმოშობის სიტყვებში იმერხელსა (მარი, დასახ. შრ.: 32)... და მესხურში (ჰარამი, ჰალალი, ჰექიმო, ჰოქმში, ჰარლი, ჰასუთა 84, ჰეგვა 124, ჰაული 77, რაქათი 48, მაქნი 84, იშტაქი ი. მაისურაძე, დასახ. შრ. გვ. 7).

ყვებში), გაჭაზირება, მოჭაზირება.¹ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, როგორც ცნობილია, აქ ჩამოთვლილი სიტყვები ზგერის გარეშე გვხვდება: ალალი, არამი (შდრ. კარამხანა), ყავა და სხვ. შენიშნულია ზემოაქარულში უცხოურ სიტყვათა (უმთავრესად თურქულის) ზუსტად გადმოცემის ტენდენცია.

ზოგჯერ ზენაცლება არაბულ ე-ს (ذ), მაგალითად: საპათი.²

ზემოაქარულში გ-ს შესატყვისი ნეიტრალური ბგერა იშვიათ შემთხვევაში დასტურდება. ამ ბგერას გ. ახვლედიანი ასე ახასიათებს: „სევანურში თავშეყრილ თანხმომვანთა შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი. გ: ხგნსგა ნახევარი“ კვლდე-კლდე, ჰგრელ-კრელი და ა. შ.³

ზემოაქარულში ნეიტრალური ბგერა გ მ. ხუბუას ორიოდ მაგალითში აქვს შენიშნული. ავტორი ამ ბგერის (მ. ხუბუას გამოთქმით: გაურკვეველი ბგერის) გაჩენის მიზეზად თვლის მიჯრით თანხმომვანთა კომპლექსის გაჩენას სიტყვაში. ავტორი სხვა შემთხვევაში გ-ს გაჩენის ფაქტორად ასახელებს ორი სიტყვის ერთბაში აღქმის დროს სიტყვის („უნდა“ ნაწილად) თავკიდური უ-ს დავიწროებას, რომელიც კვალს ტოვებს გ-ს სახით.⁴

ზემოაქარულში გ-ს აღქმა ადვილად ხერხდება ზოგ ისეთ სიტყვაში. სადაც თანხმომვანთა თავმოყრილი და სადაც არ იქმნება პარმონიული კომპლექსი. მაგალითად: ღრგმანის (||ღრიმანის), ღორგმის (ღორგომის, ფრაზაში: ორი ღორგმელი იყო.. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 28). რიცხვით სახელში ცგრა და სხვ.

ე (წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკდომი) ბგერა ზემოაქარულში უმთავრესად გვხვდება შორისდებულებსა და ჩვენებითი ნაცვალსახელების დასაწყისში (ხმოვნის წინ),⁵ როცა ფრაზით სამწუხარო გა-

1 აღსანიშნავია, რომ ქობულეთურ მეტყველებაში ამ სიტყვაში (ჭაზირი და მისგან ნაწარმოები ფორმები) ქ-ს ენაცლება ხ: ხაზირი, გახაზირება, ასევეა იქ ხავა (ჰავა), ხაერი (ჰაერი)... (იხ. ამ საკითხის შესახებ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 286).

2 შდრ. ჯან. საპათი, ს. ელენტი, იქვე, გვ. 38.

3 გ. ახვლედიანი, დასახ. შრ., გვ. 223.

4 მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 7; არ. მარტიროსოვი, მესხურის ჯაე-ხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 291.

5 ე-ს გავრცელების შესახებ ქართულ დიალექტებში იხ. ჩენი: „ზემოაქარულის თავისებურებანი“, 1957, გვ. 13, სქოლიო, 1.

კვირება ან დაეინებული აკრძალვა სურთ გადმოსცენ. სხვა ქართული დიალექტების მსგავსად, ცხადია, იგი ფონემად არ ჩაითვლება და არსებითად ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგად ვითარდება. ასეთი შემართვა დამახასიათებელია შორისდებულთა და ჩვენებით-ნაცვალსახელთა თავიკიდური ხმოვნებისათვის.

მაგალითები წინადადებებში:

ე ე ჰ, რამითი ხანია აღარ მითევზნია!.. ე ა ჰ, არ მესროლო, კოჟ!.. ე ო ე, შენ არ გაჟმიწყდი.. ე ე, რამითათაა, ქო!.. ე შერ-ჩენილი აქვს ზემოაქარულს უცხოური (არაბულ-თურქული) წარმოშობის სიტყვებში, სადაც ადგილი აქვს აინიზებულ ხმოვანთა (resp-დასახელებულ ენებში ე-ის, როგორც ფონემის) გამარტივების ტენდენციას. ვერ ვიტყვი, რომ ზემოაქარულში ე ზოგჯერ ზუსტად წის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას არ ტოვებდეს ისეთ სიტყვებში, სადაც ეს უკანასკნელი ფონოლოგიურად სიტყვის შემადგენელ ბგერას წარმოადგენს. მაგალითად: ე ის ა ე. ე ა ბ დ უ ლ ა მ (საკუთარი სახელებია), ე ე მ ი ა ე (მამით ბიძა) და სხვ.

ფონეტიკური პროცესები

ზემოაქარული ხასიათდება მდიდარი ფონეტიკური მოვლენებით. მართალია, ამ მხრივ იგი ძირითადად დასავლურ დიალექტთა წრეს განეკუთვნება, მაგრამ რიგი სპეციფიკური მოვლენებით (პრევერბისეული ხმოვნის სრული ასიმილაცია სათავისო ქცევის ი-სთან, როცა მათ შორის ობიექტური ნიშნებია: დ ი მ ი წ ე რ ა..., ქცევის ან ენ. გვარის ი ხმოვანთა მიერ პრევერბისეულ ა, ო ხმოვანთა დამსგავსება და შემდეგ მისი უკვალოდ გაქრობა: გ ე ვ ე ე თ ე..., თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის სიჭარბე, ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება, სრულხმოვნობა: თ ი ბ ი ლ ი, ხ ო ბ ო..., არქაული ვითარების გადმონაშთები: ც ა მ მ ე ტ ი..., გემინაცია: ჩ ე ვ ვ ა რ ე... და სხვ.) საკმაოდ განსხვავდება როგორც დასავლურ, ისე განსაკუთრებით, აღმოსავლური დიალექტებისაგან.

ასიმილაცია

ზემოაქარულში ფონეტიკურ პროცესთაგან ასიმილაცია ძალზე ფეხმოკიდებულია. შეინიშნება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. როგორც ცნობილია, „ქართულსა და ჰეგრულში

ყველა სახის ასიმილაცია და დისიმილაცია გვხვდება, მაგრამ უპირატესნი და დამახასიათებელი არიან: რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია.¹ ხმოვანთა სრული ასიმილაციის შემთხვევებს ვხვდებით უმთავრესად ზნის ფორმაში. „საყურადღებოა, რომ უფრო ძლიერაა გავრცელებული პრევერბისეული ა ფონემის, ისე როგორც ყველა სხვა პრევერბისეული ხმოვნის სახეცვლილება, ვიდრე ფუძისეულისა, — მეტადრე დასავლურ კილოებში.“² ზემოაქარულშიც ფართოდაა გავრცელებული

პრევერბთა ასიმილაცია

განსაკუთრებულ მასიმილებელ ძალას იჩენს აქ უ. რომელიც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ა, ე, ო და ი ხმოვნებს; სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი იდენტური ხმოვანი (უ) შეერწყმის ერთმანეთს და იქმნება გრძელი უ-ს შთაბეჭდილება. ამ გზით მიღებულ უ-ს ახასიათებს ერთგვარი დაყოვნება.³

პრევერბთა ხმოვნითი ელემენტების ასიმილაციასთან დაკავშირებული ბგერათცვლილებანი უმთავრესად შემდეგ სახეობებს გვაძლევს:

აუ → ოუ → უუ → შ.

ასიმილაცია რეგრესულია და სრული:

ნეფემ იმაჰაც შშენა ცალკე სარაჰ ა... არ ჭშევა ხეზე!.. გუ დ ვეს ჭოკი დინარეზე... ადგა იმ ფათერმა და გუ დ გა მის გზაზე... გუ დ ჭ წერა და გადაცო ყადის... ერთქვანეფში გუ დ ჭ რია და წყლათ გედექცა... ქალ რომ ჩუ დ გეს ჭიფრში, არც მია ეკადრება... პაწაჰ წუჟი ცხებდენ და მემრენ მაჰ ლივით იფშენბოდა...

ხმოვანთა ასიმილაცია აქა-იქ სახელებშიც შეინიშნება:

ვეზირის ბძანებაზე შეიყარნენ შუვარებელი ხალხი... ეს სა-

1 ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და გერულში, ტფილისის უნივერსიტეტის შოამბე. 1, 1919, გვ. 8.

2 გ. ახვლედიანი, საფუძვლ. გვ. 284.

3 გრძელი ხმოვნების შესახებ იხ. ზემოთ „ბგერითი შედგენილობა“, მ. ხუბუა (დასახ. შრ., გვ. 11), ასეთ შემთხვევაში გრძელ უ-ს ნაცვლად ორ უ-ს აღნიშნავს (უუ დ ო... უუ წევია... გუუ ც დია...), რაც შეეხება ჭ. ნოღაი დ ელს, მას გრძელი ხმოვნების არსებობა აქარულში პრევერბების დამსგავსების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მრავალი მაგალითით აქვს დადასტურებული (აქარა დიალ. გვ. 14-15), მაგრამ ავტორს გრძელი ხმოვნების მიღების გზა არა აქვს ნაჩვენები.

ქმე უმჟღარაპარიკებლათ არ დახერხდება... ისე ჩამოსიცხა, რომ შუცილვებლათ გაწვიმდება... შრომა-დღეში ჩუთლელი იყო... გაბრუნდა უკან მჭრავი (ნოღ., III, 24)... არ დაპტიო ებღვი ჩჭრიცხველი!..¹

იუ → იუ → უუ → შუ:

ასიმილაცია რეგრესულია და სრული:

შუდგა გუგუმი წყაროთვალში... რუს რომ შუერთთა საქართველო... შუჯლიკინე, ჭოჭი, ცეცხლ... შუდარე მეგეც შრომადღეფ... სახელებში: ერთი შავგრიმანდი და შუხედავი ქალია, მარაკაი ნასტავლი ყოფილა... ამ ქვირთთუ შუსვენებლაე ეფტან სახლიკისერ, ბრავა შენ!... შუდარებლათ არ გედეტანო წიგნაკებში!.. რა შუსმინარი რამაა მაე ბღვი...

იუ → უუ → შუ:

აქაც ასიმილაცია რეგრესული და სრულია:

ანდგარაი ხუმბარი კაცი და ნეფისთვინ მჟყვანია ეს ფარშავანგი... უნცროსი გოგოშვილი ბიძამისისთვინ მჟწერი... გვერძე ერთი საბძელიც მჟდგეს... იმტონი გზითევი მჟტანა რომ... სახელებში:

ძალჭან გამხერხოა, მარა მჟდგომელი კაცია... მჟზმანლაე არ შუჟერო, თუარა მიწროს გამეფუჭანს... მისას და სხვი-სას არ არჩევს, მჟდგომელი კაცია ჩვენი თავეღუმარე...

იუ → უუ → შუ:²

ცოტა მჟწყე გვერძე... კარქამ შუწმინდე წყაროთვალი!.. გუდ შგდე წყალი, წისკვილ ამჟგულავს... გადმჟთერჯვე ჩემკენ, თუარა დატრინკავს შენკენ... წამჟწიე თავი, ბრუნდეთ დგას... რა უქნია აქაუბა, სულ არ ჩამჟრეცხავს.. სტორათ შამჟმგვალე!..

სხვა მაგალითები:

ხვალდამ ჩამჟსლელი არ ქნა ჩვენათკენ.. ჟერ ვერ შევებარგვი მჟწყობელ სახლში... მჟმზადებლაე რაფერ მიცემ პი-

1 ხმოვანთა სრული ასიმილაცია (აუ → იუ → უუ და ეუ → იუ → უუ) დამახასიათებელია ძირითადად გურულისა და ფერეიდნულისათვის, შედარებით ნაკლებად იმერულისათვის და ნაწილობრივ კახურისათვის.

2 ფუნისეული უ სრულად იმსგავსებს არა მარტო მარტივი მოპრევერბის, არამედ რთულ ამო-, გამო-, გამო-, წამო-, ჩამო-, შემო-პრევერბთა ო-საც და ელმბულობთ: \bar{u} (<უუ<იუ)-ს, რომელიც მიღებულია სააქეთო ორიენტაციის ფორმებთან. ამდენად ზემოაპარული ნაწილობრივ იმსგავსება გურულსა და მესხურს, სადაც იუ → უუ-ს.

რობას!.. რა მწესვენარი რამე ყოფილა ე ფაცია ე კო!.. გამოშ-
პა იმ დეემა და ს უ ლ მ წ თ ქ მ ე ლ ა ე გადაყლაპა...

აე→ეე || ე, აე→ეე=ე:

ფუძისეული ე ავიწროებს პრევერბთა ა, ო ხმოვნითს ელემენ-
ტებს და სრულად იმსგავსებს მათ. მაგრამ პროცესი აქ არ წყდება.
თავს იჩენს დისიმილაციისა და აღმავალი დიფთონგიზაციის პრო-
ცესი, რომელთაც განვიხილავთ ქვემოთ.

ასიმილაცია რეგრესულია, სრული და ახლოური:

ხელწერილი რომ დეწერა, ამტონი ამბავიც არ მოხდებოდა...
ორჯელ რომ წეკითხა, ზეპირათ ეცოდინებოდა... რომ ეტოლ-
ო შინ ე გვერძე, ვერ გეძრები ცოტას!.. აქნობამდი რომ მეტანა,
ხომ აჯობებდა!.. ჰევენგები რომ არ გა დმეწყო... დილა-საღამ რას
დეტრევა ნეტა ე გზა-შარაში... კილარმი გება ბელაში... ერთი
კურდღელი ძვილა ე მეკლა... წე ე სვა ბურღლა და თვალევი ემ-
ხილა...

ზემოაჭარულისათვის (და, საერთოდ, აჭარულისათვის) დამახა-
სიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქეე-
ვის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის
ობიექტური პრეფიქსებია. ასე რომ, I და II ობიექტური პირის ნი-
შნები მ, გ, გვ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისა-
თვის. მათი მომდევნო ი იმსგავსებს ზემოდასახლებულ ა, ე, პრე-
ვერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას.¹

მაგალითები:

ა+ი>ი-ი: იმიყვანა (<ამიყვანა), იგიშენა, იგვი-
წონა... გა+ი>გი-ი: გიმიშენა, გიგიტანა, გიგვიგზა-
ნა...

და+ი>დი-ი: დიმიწერა, დიგიჩემა, დიგვიბიწყა...

ჩა+ი>ჩი-ი: ჩიმიწყო, ჩიგიქდუმლა, დიგვიპი-
რა...

წა+ი>წი-ი: წიმიწერა, წიგილო, წიგვიყვანა...

¹ ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით იმერხეულსა და ქვემოიმერულში, მაგრამ აჭარულის მსგავსად, ეს მოვლენა მაინც არაა ისე ფეხმოკიდებული.

გადა+ი> გიდი+ი: გიდიმიხატა, გიდიგიბარა, გი-
დი გვიზიდა...!

შე+ი> ში-ი: შიმიბრუნა, შიგიგძნა, შიგვიშვა...

საერთოდ, აქარულის და, კერძოდ, ზემოაქარულის სპეციფი-
კურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ი თავსართთან (იქნება ეს ქეცვის
ნიშანი თუ ვნებიტის საწარმოებელი) პრევერბისეული ხმოვნის და-
მსგავსების შემდეგ მისი (ი-ს) უკვალოდ გაქრობა I პირის ფორ-
მაში.

მაგალითები: ფაცუკავ, მამაშენი რომ დევბარე კანტორში,
რატონ არ ამოვდა?.. ტილიფონითაც გამევეძახეფ, რათ უნდა
შენი ჩასლა!.. შარშან 3 პექტარზე გევეშენეთ ყურძენი...

აღსანიშნავია, რომ მსგავს ვითარებაში ძირისეული ი-ც იკარ-
გება ვიდა ზმნაში: გევედა (<გევიდა<გავიდა), მოვდა, წევე-
და და ა. შ.

ხმოვანთა სრული ასიმილაციის სხვა მაგალითები სახელებში:
ი ბალვი გუშინდელოდმა პარანგიტაჟ დამეტრეოდ...შევეგებე-
ვით, დოდოფალი მოყავან!.. ახლა ვეფერვერ მოქცემ, ცოტა
კიდევ უნდა მადროვო... ვნახოთ, რემელი გებედავს... ყური ათ-
ხტე აქატრობას, ოზო-კარ არ მოცილდე!... დღე ფოტოროში
(ტობ. სახ.) უნდა წევდე... გესმის დოზომოზიკას ხმა?..

ზოგჯერ ო ხმოვანი მ-ს გავლენით იქცევა უ-დ: რუმ (||რუმე,
რუმენ),² ხუმ, მეფდუმა, ხტუმა, ზუმა (ინდ.), დგუმა-
რობა...

1 რთულ პრევერბიან ზმნაში ორივე პრევერბისეულ ხმოვანს მოუდის ასი-
მილაცია: გიდიმიხატა (<გადამიხატა); მ. ხუმბუა ჩამოთვლის შრავალ მაგალითს
პრევერბ. ზმონისა და ქეცვის ი-ს სრული ასიმილაციის განხილვისას (იხ. მისი
შრ., გვ. 12); ჩვენ საექვოდ მიგეჩნია ისეთი მაგალითები, როგორცაა: დივინა-
ხე, გიდივიხატო, ამგვარი ასიმილაცია რომ მოხდეს, ზმნა ობიექტური
წყობისა უნდა იყოს —მ-ს რიგისა, სადაც I და II ობიექტური პირის ნიშნები
ა, ე-სა და ი-ს შორის ასიმილაციას ხელს არ უშლის შორეულ მეზობლობაში.
რაც შეეხება სუბიექტური წყობის —ვ-ს რიგის ზმნებთან ა-ს და ე-ს შორეული
მეზობლობა ი-სთან ნაწილობრივი ასიმილაციის (ეი → ეჟ) პირობას ქმნის, სა-
დაც მასიმილებელი ი-ც იკარგება ზოგჯერ (ჩევეტან).

2 შდრ. ინგლ. რუმ, ჰუმ (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო,
II, გვ. 192 და 199); ო. კახაძე, დასახ. შრ. გვ. 169, რუმ, ხუმ გეხვდება
გურულშიც (ს. ქლენტი, გურული ელო, გვ. 53), ს. ქლენტი იქვე შენიშ-
ნავს, რომ ეს მოვლენა აქარულისა და მესხურისათვისა უფრო დამახასიათებელ-
ლო. ამავე რიგისა უნდა იყოს ზემოაქ. ტუმბარა (ტუ-ტუ ტუმბარა, სახეობა
გეტყვი, ვეარს არა! გამოცანა); ო ვიწროვდება ფ-ს წინაყ: შუფერ (ფრაზა-
ში: შუფერ, გიმიჩერე მაშინაჟ რა იქნება!), ეს მოვლენა განვითარებულია
იმერხელში (იხ. ო. კახაძე, დასახ. შრ., გვ. 169).

არსებითად ასეთი ვითარება უნდა იყოს მუშრობაში-იც (მოუ-
რაობა), ოღონდ ამ უკანასკნელის ფორმირებაში სხვა ფონეტიკური
მოვლენებიც უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას. ადვილად შეინი-
შნება ეს მოვლენა პროცესის გრადაციამი: მო უ რ ა ო ბ ა > მო უ-
რა ო ბ ა > მო ვ რ ა ო ბ ა > მო მ რ ა ო ბ ა' > მ უ მ რ ა ო ბ ა.

პრევერბისეულ ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია

ხმოვანთა ნაწილობრივ ასიმილაციას ადგილი აქვს უმთავრესად
პრევერბისეულ და ქცევის ნიშნის ან ძირის ხმოვნებს შორის. მაასი-
მილებელ ხმოვნად გვევლინება ი, რომელიც ავიწროებს პრევერბი-
სეულ (ა. ო) ფართო ხმოვნებს და ა>ე, ო-ც> ე-ს. მაგრამ პროცე-
სი აქ არ თავდება. ასიმილაციის შედეგად მიღებული ე (>ო,-ა)
თვითონ ახდენს გავლენას ი-ზე და ე-მდე ასუსტებს, მაგალითად:

აი → ეი → ეა

ასიმილაცია რეგრესულია, ახლოური და ნაწილობრივი:²
ე მ ე კ ი დ ა ქ ო ს ა მ ე რ თ ი ხ უ რ ჭ ი ნ ი და... მე ც ხ რ ე თ ვ ე ზ ე ე მ დ გ ა ფ ე-
ხ ი... დ ი დ ი წ რ ჭ ა ლ ო ბ ი თ გ ე : ა რ ა ი გ ზ ა - ბ ა წ ა რ ა ე ... გ ე მ ხ ე დ ა,

1 შტრ. ემსობოლა, გამომლიხან, ამლებიფს (აელებინებს)..., აქვე ვ-მ-ს სუბ-
სტიტუცია.

2 ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე გურულში (ს. ე. ლ. გ უ რ უ ლ ი,
51-52), ლეჩხუმურში (მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ალ. წუ-
ლუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. II, 1941, გვ. 230), ქვემო იმე-
რულში (Ш. Дзидзигури, к характеристике нижнеимерского говора Груз-
яныка წიგნი: „Памяти акад. Н. Я. Марра, გვ. 121), უხუთურში (ქ. ძ ო-
წ ე ნ ი ძ ე, ქვემოიმერული უხუთური მეტყველება, ალ. წულუკიძის სახ. ქუთა-
ისის პედინსტიტუტის შრ., VIII, 1948, გვ. 42), ვახანურას ხეობის მცხ. მეტყვე-
ლებაში (პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ვახანურას ხეობის მეცხოვერებთა მეტყველების თავისე-
ბურებანი, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომე-
მები, VIII, 1948, გვ. 74-79), ოკრიბულში (გვ. 169). ზემორაქულში (ძიებანი,
224), მესხურში (ძიებანი, 133, 155), არაგვის ხეობის ქართლურში (გრ. ი მ ნ ა ი შ-
ე ი ლ ი, არაგვის ხეობის ქართლური, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
ტ. VI, 1953, გვ. 319), ბორჯომის ხეობის ქართლურში (გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი,
ბორჯომის ხეობის ქართლური, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII,
1956, გვ. 89), ხანურ-ზეგნურ მეტყველებაში (113, 116), ოღონდ ზოგან პროცესი
II საფეხურზეა შეჩერებული (აი → ეი, ოი → ეი) და რთულ პრევერბებთან არ
გვხვდება ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია. (მომდევნო გვერდებზე აქ და ზე-
მით დასახელებულ ლიტერატურას შემოკლებით ვუჩვენებთ, სადაც ეს მოსახერ-
ხებელია).

რომ პირვანდულა მოდის რაცხა... გამოშპა და გე ექ-
ცა... შიშარამაც მაგინთან დე ე წყო ცხოვრება... დე ე წყეს დიდ-
რული მცხოვრობა... მოფრინდება მამზაკუნა ე და დე ე წყეს
კული ქანებას... ჩე ე ხე და რომ... წიგინს რომ წე ე კითხვი და...

ოი → ეი → ეჲ:

ამე ე სვა ბურღა თვალეფში და... ორნავე ე კიბილები
მე ე გლიჯა... მტაგონდა თავის შეყვარებული და ველარ მე ე თ-
ბინა... თიკანმაც პაკი-პუკი და ამე ე ბინა... გამე ე ქცა და
მკმისან მივდა... მძერე ტოტი რომ ჩამე ე წია...

ზემოაქარულში ვხვდებით ნაწილობრივი ასიმილაციის ისეთ
შემთხვევასაც, როდესაც ადგილი აქვს ასიმილაციას პრევერბისე-
ულ ა ხმოვანსა და ქცევის ნიშან უ-ს შორის, მაგრამ აქვე უნდა შე-
ვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა ზემოაქარულში ნაკლებადაა გავრცე-
ლებული, ხოლო ქვემოაქარულში, შეიძლება ითქვას, სრულიად არ
გვხვდება.

აუ → ოუ

უ-სთან მეზობლობაში ა ვიწროვდება და გვაძლევს ო-ს. ასი-
მილაცია რეგრესულია და ნაწილობრივი:¹

დო უ მ ი ზ ნ ა და პირდაპირ თვალი კაკალში გამჭარწყო...
დო უ კ არ ერთი კიდვენ კეკელა და მარო, რა იქნება!.. ფაშას გო-
უ მ კ ლ ა ვ და ი წყემსი თურმი... მო უ ქ ნ ი ა ხელი...

ეს მოვლენა ძირითადად იმერული დიალექტისათვისაა დამახა-
სიათებელი, გვხვდება აგრეთვე მესხურში, იმერხეულში, გურულში
და სხვა.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული („ხმოვანთა სრული ასი-
მილაცია“), აქარულისთვის უფრო ბუნებრივია პროცესის შემდ-
გომი საფეხური: წ(← უუ ← ოუ ← აუ).

¹ გ. აბულდიანი, საფუძელ. (118), Быховская С. „Некоторые фонетические особенности нижнеимерского говора грузинского языка: Яфетический сборник“, 1931. Ленинград, გვ. 60, ძიებანი (139); მარბი (80); ს. მღენტი (51-52)

ამგვარად, ასიმილაციის შედეგად ზემოაქარულში პრევერბები ასეთ სახეს იღებს:

ა —	→	ჲ	—,	ჲ	—,	ი	—,	ე	—,	ო	—,
ბა —	→	ბჲ	—,	ბჲ	—,	გი	—,	გე	—,	გო	—,
და —	→	დჲ	—,	დჲ	—,	დი	—,	დე	—,	დო	—,
ჩა —	→	ჩჲ	—,	ჩჲ	—,	ჩი	—,	ჩე	—,	ჩო	—,
წა —	→	წჲ	—,	წჲ	—,	წი	—,	წე	—,	წო	—,
შე —	→	შჲ	—,	შჲ	—,	ში	—,	—	—	შო	—,
მი —	→	მჲ	—,	—	—	—	—	—	—	—	—
მო —	→	მჲ	—,	—	—	—	—	მე	—,	—	—
ამო —	→	ამჲ	—,	—	—	—	—	ამე	—,	—	—
გამო —	→	გამჲ	—,	—	—	—	—	გამე	—,	—	—
ჩამო —	→	ჩამჲ	—,	—	—	—	—	ჩამე	—,	—	—
წამო —	→	წამჲ	—,	—	—	—	—	წამე	—,	—	—
შემო —	→	შამჲ	—,	—	—	—	—	შამე	—,	შამო	—,
გადა —	→	გუდჲ	—,	გედჲ	—	გიდი	—,	გიდე	—,	გადო	—,
გაღმო —	→	გადმჲ	—,	—	—	—	—	გადმე	—,	—	—

სრულყოფილობისათვის მოცემულ ცხრილში შეიძლებოდა შეგვეტანა სხვა სახის ბგერათცვლილებებიდან გამომდინარე პრევერბებიც, როგორცაა და —: დაეწერა (<დიეწერა<დეეწერა<დაეწერა).

გა —, შა —, ჩა —, წა —, გედა —, მედა —, ამა —,

გამა —, შამა —, ჩამა —, გადმა —, წამა —,

მჲ: მჲახერხა (<მუახერხა<მოახერხა), ამჲ —, გამჲ —, შამჲ —, ჩამჲ —, გადმჲ —, წამჲ —.¹

თანხმოვანთა ასიმილაცია

ზემოაქარულში თანხმოვანთა ასიმილაციის მრავალფეროვანი მაგალითები გვხვდება. აქ უფრო რეგრესული ასიმილაციაა გავრცელებული, რომელიც ნაწილობრივია და კონტაქტური. ასიმილაციას ადგილი აქვს როგორც წარმოების ადგილის, ისე ბგერათა გვარეობის მიხედვით.

თანხმოვანთა ასიმილაციის მაგალითები:²

ბ → პ, ფ:

მქლერ ბ-ს იმსგავსებს მომდევნო ან წინამავალი (უფრო იმ-

1 ეს ფორმები გაანალიზებული გვაქვს აქვე დიფთონგიზაციისა და ასიმილაციის მოვლენებთან დაკავშირებით.

2 მეტი წილი ამ მაგალითებისა ცნობილია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურადან.

ვითაღ) ყრუ ბგერები. დამსგავსებას ადგილი აქვს ზოგჯერ შორეულ მეზობლობაშიც: კარქა გაპტყელე ცომი!.. სიპტყეზე დაალაგა... შვით წელწად საპკოს წვერი ვიყავ... კარქა დშ ცევ ბოთ პროფკა!.. გამწხსენ ტაპიკები (||ტაბიკები)!.. ციცას დშპწენ თმა, გო!.. ხელავ. რაფერ ჰ'რ'წყინავს!.. ხეჭეპ-ჟები (საბათი: ხეჭები) არ შაყოლო, გო!.. მზეზე თფე ბა... ორმოცი წელწადია ფაფერიკა-ქარხნები მუშების ხელშია... რაც და-ვთფინე ვერცხლია, რაც არა და — ცეცხლია... ვეზირეფ მდე-თათფირა... ძმეფთან, დეფთან..., კელოფს, ააშენეფს... დაფჩინა პირი... გიგოკეთეფთ, გიგოშენეფთ... ახორეფში, დერგეფში, გვერდნეფში და სხვ.

ფ → პ: ფშვინვიერი ფ ბგერა ყრუ ტ-სთან შორეულ მეზობლობაში გამკვეთრდება და მოგვეცემს ფ-ს მკვეთრ ვარიანტს — აბრუპტივ პ-ს:

დაბნელდა უჟე, არ დეეპანტნოთ?.. აქამდი ჰა დეჰპანტ-ტენით, ბიჭებო?.. შეიძლება მოხდეს პირიქითაც

პ → ფ:

რა ფროსტო, ფოზუკ თუთუნ წვე, კო!.. ფაჩინკა...

მ → ფ: უკანანისმიერი სპირანტი ხ იმსგავსებს რა წყვილბა-გისმიერ მკლერ მ-ს, ასიმილაციის შედეგად ვლებულობთ ქართუ-ლისათვის სპეციფიკურ ბუნებრივ კომპლექსს-ფხ: ფხარი, ფხალი, აფხანაკი (||ამფხანაკი), დამფხოზა, დომფხალი.¹ დ → თ, ტ: დ ყრუელება და თ, ტ-ს გვაძლევს ყრუ ბგერებთან მეზობლობაში: მიმართულების მიხედვით აქ ზოგჯერ პროგრესული ასიმილაციაც დასტურდება.²

არ გათეთ [რ] თება ყორანი... ხითთან შევხდეთ ერთმანეფ... მაშინ უნდა მიმხთარიყავ, რომ გავცელდა სწავლა ხალხში... ჩთილას წასულიყენ... კუტტანტრუქამ ჩიტი ყანი ხნობაზე იცის... თუთუნები სკლატში შევზიდევით... უფროსმა

1. აღსანიშნავია, რომ, როგორც უკანასკნელი სამი მაგალითიდან ჩანს, ასიმი-ლირებული მ-ანი ინარჩუნებს თავის ადგილს, რაც ჩვენის აზრით განპირობებუ-ლი უნდა იყოს პარმონიული კომპლექსის შექმნით. პარმონიული კომპლექსისაკენ ტენდენციითეე უნდა აიხსნას ისეთი ფორმების არსებობა აჭარულში, როგორიცაა: ფხავსი, მიფხავსე ბული, დაფხავსე ბული... (იყო ერთი ბებერი, დაფხავსე ბული კაცი... ნოლ. III, 5), ავამტყოფი (ავატყოფის პა-რალელურად) და სხვა.

2. თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, როგორც ვაარკეია ბ. ფოჩხუ-ამ, დასავლურ დიალექტებს ახასიათებს. ზემოთქმულის შესახებ იგი შენიშნავს, რომ ეს მოვლენა აქ სპორადულია, როგორც იმერხეულში (იხ. „თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში: სტალინის სახ. თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 187 და შემდეგ).

ძმამ გაკუქტა ამაზე და უთხრა (ნოღ. III, 10)... კამუტი თავ შამ ეწყყო თურმი... ჰატყავს ნეტა ე მოზვერი წაყვანილი?.. კრეპტი შენის კაბა გეცვა, წელში გამოჰირებული...

ასეთივე პროცესის შედეგადაა მიღებული ავატყოფი (წავანტყოფი), დავატყოფთა..., სადაც იქმნება ქართულისათვის ბუნებრივი ბგერათკომპლექსი ტჟ, ოღონდ ასიმილაციამდე, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურაში,¹ თავს იჩენს მეტათეზის-სუბსტიტუცია.

გ → კ, ქ: O₂ გ ყრუ ბგერებთან მეზობლობაში დაყრუების შედეგად ქ-დ ან კ-დ იქცევა. ასევე ანალოგიურ პირობებში ასიმილირდება O₁ პირის გვ პრეფიქსის გ ელემენტი:

ერთხელ შექთხტე და იპიც გამაწპილე!.. საყვარელო, თუ მოგიდექ. ხელში უნდა მოქცე დანა... ნუ უჯლიკინეფ თქარა, მახ ხარი ამოქთაწლავს... ზემ არ დაკკრას... მოკვეტაცეს და მოკვეტაცეს, ქალი... თქარ დაქვხდა...

გ მქლეოი ყრუვდება აგრეთვე და ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად ქ-დ იქცევა თანდებულისეულ თუ ბრუნვისეულ ყრუ ხშულ თ-სთან და სპირანტ ხ, შ-სთან:

ჯემალ-ბექთან ვიდავენით... ბარქს ალაგებდა... დერქში კარქა შეინახვის... უწინ ალ-ყველ ოზრუქეთში წევლებდით...

სხვა მაგალითები გ-ს ასიმილაციისა:

დავამღეროთ კიტარაზე... მტაცეცე კარქა, დოშექქვეშ უნდა იყოს.. აქობამდი ჰადეკარქე. კო!.. დიდიხანია, ქუთანი შამოვდა ჩვენში... კ→ქ: მკვეთრი კ-ს გაფშვინვიერებით ქ-ს მიღების ერთადერთი შემთხვევა ასეთ ფრაზაში დადასტურდა:

აქოშკაზე მომდგარიყო თვალუუუნ თეთრი ქალია. ხოლო ბ-სთან შორეულ მეზობლობაში მქლერდება ყრუ მკვეთრი კ და ვლებულობთ: ბრაგი (← რუს. Брак, აქედან დაბრაგული, დაბრაგა და სხვ.).

ერთადერთი შემთხვევაა, როცა ყრუ აბრუპტივი იმგავსებს სიმკვეთრის მიხედვით ყრუ ფშვინვიერ თ-ს და ვლებულობთ: ლუსკუმეტი (ფრაზაში: რაფერ გეიკლოვ გზას ამ ლუსკუმეტ ღამეში!..), ამოსაუალ ფორმად ნავარაუდევია ლუსკუმეთი (შღრ. ვაჟასთან: შავეთი, სულეთი).²

1 გ. თოფური ა, ქართლური, გვ. 131, კახური, გვ. 38.

2 შღრ. ძვ. ქართ. კრეტსამბელი (<კარესამბელი) ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 5, 1953, გვ. 522-523.

ს → ზ: სისინა სპირანტი ს მელერ ხშულ ღ, გ-სთან და მელერისავე აფრიკატ ძ-სთან ნაწილობრივი დამსგავსების შედეგად ზ-დ იქცევა:

ბიკი სულმშე თქმელა მ ი ზ დ ე ვ და უკან... სულ უმფოსი ბაბრამის დ ე ე მ გ ზ ა ვ ს ა... თ ა ვ ი ზ დ რ ო ზ ე, რომ მოსულიყო... ყრელ ხ ი ზ ძ ი რ შ ი წყარო გამოდიოდა თურმი...

ც → ზ: სისინა აფრიკატი ც მელერ ღ-ს წინ თუ მოექცა, დამსგავსების შედეგად მელერ სპირანტს (ზ) მოგვეცემს. ეს პროცესი ასახულია „და“-თი შეერთებულ რიცხვით სახელებში, რომლის კომპონენტად „ოც“-ია ნავარაუდები: ო ზ დ ა ა თ ი, ო ზ დ ა თ ხ უ თ-მ ე ტ ი და ა. შ.

ძ → ც: მელერი აფრიკატი სრულად ემსგავსება ყრუ აფრიკატ ც-ს. ასიმილაცია რეგრესულია და შორეული: უწინ კვირა არ გვედოდა, რომ 2-3 კაცი არ გ დ ე ც ა რ ც ვ ე ნ ბათუმ-ხულა შტა... ახლა სულ მეისპო ც ა რ ც ვ ა გ ლ ე ჯ ა...

ხ → ჟ, შ: იგივე ხ მელერ ბგერებთან მეზობლობაში ჟ-დ იქცევა, ხოლო ყრუებთან — შ-დ: უნცროსმა აღარც იმას და ე ჯ ე რ-და... ქალი რასძალა ე ჯ ო ბ ნ ი და საქმაროს... დევრიშმა შეიკითხა: რ ა შ შ ო ბ ი ვაპარო (ნ ო ღ. III, 100)... მარტო მაგი რ ა შ შ ვ ე-ლი ის!.. ნამთრალევ ხალხ... ყველას თავები წ ა ვ შ ქ ა რ ი (ნ ო ღ. III, 105)... შ ა შ ტ ა ლ ო პირათ ცოტა შავგრიმანდი და თვალჭრელია... შ ო შ ე ' გზა შუბანშიც გვეყვება თ... გ ა თ ხ ტ ე ბ უ ლ ი ქა-ლი მამის ოჯალს შ ა მ შ ო ბ ლ ო ს ეტყვის.

ღ → ხ: უკანანისმიერი სპირანტი ღ სისინა აფრიკატ წ-სთან და სისინა სპირანტ ს ბგერებთან ხ-დ იქცევა. დამსგავსებას ადგილი აქვს როგორც ახლოურ, ისე შორეულ მეზობლობაში:

ბ ა ხ ჩ ა-ბ ა ხ ჩ ა შევიარე... ბ ა ხ ს მარე კედრით ვენახი ესამ-ზღვრება... ქალის წაყვანამდი სამქრომ ბ ო ხ ჩ ა-ნ ი შ ა ნ ი უნდა მიიტანოს... ქ ვ ე ნ ა წ ი ა ხ ი, წ ი ა ხ ი (ტ ო პ. სახ.)...

ამრიგად, როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია დამახასიათებელია როგორც ზე-მოაჭარულისათვის, ისე ქვემოაჭარულისათვისაც.² ეს მოვლენა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ქობულეთურ მეტყველებაში, რაც გურულთან მკიდრო კონტაქტით უნდა აიხსნას. ფონეტიკურ ნიადაგზე

1 შდრ. ალ. დლონტი, გურული ფოლკლორი, გვ. 16.

2 ქვემოაჭარულში აღნიშნული მოვლენების შესახებ მსჯელობისას ძირითადად ვყარდობით ქ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი ს ზემოდასახელებულ შრომებს; პროგრესული ასიმილაციის ცალკეული შემთხვევები აღმოსავლურ დიალექტთაგან დადსტურებულია კახურში (კახური, გვ. 40).

წარმოქმნილი გრძელი ხმოვნები თანაბრად გვხვდება ზემოაქარულსა და ქვემოაქარულში.

ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად მიღებული „ლოწერს“ ტიპის ფორმები ზემოაქარულისთვისაა უფრო დამახასიათებელი.

თანხმოვანთა ასიმილაციის მხრივაც ზემოაქარული სხვა ქართულ კილო-თქმათა ფარგლებს არ სცილდება.

დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა

ბგერათა განმსგავსების მოვლენები ისე არაა გავრცელებული ზემოაქარულში, როგორც ბგერათა დამსგავსებისა. ქართული დიალექტების მსგავსად აქ „დისიმილაცია ხდება უმთავრესად ნარნარა და ცხვირისმიერ ბგერებში“.¹

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ერთ სიტყვაში ორი სონორი რ ჩვეულებრივ არ წარმოითქმის და ერთი მათგანი ლ-დ გადაიქცევა.

ზემოაქარულშიც სხვა ქართული დიალექტების მსგავსად დისიმილაცია უმთავრესად ლ-ს მოუღის და ამ ნიადაგზე აქაც ასეთი ცნობილი მაგალითები დასტურდება: ო რ ო ლ ი, ა რ ა ფ ე ლ ი, ნ უ რ ა ფ ე ლ ი.²

წინადადებებში:

ვითომც ა რ ა ფ ე ლ ი ც არ ზონხდარიყო (ნ ო ლ. I § I. 147)... მაშჩემს მე ა რ ა ფ ლ ა თ არ ნივაჩნივარ (ნ ო ლ. II. 15)... ორეში ო რ ო ლ ი ოქრო ამოჩინდა...

რ-სავე დისიმილაცია მოუღის —ჭერ ნაწილაკდართულ ისეთ სახელებში, რომელთა ძირში (ფუძეში) რ არის, მაგალითად:

ო რ ჭ ე ლ, რ ვ ა ჭ ე ლ. ბ ე ვ რ ჭ ე ლ, ც ხ რ ა მ მ ე ტ ჭ ე ლ, ზ ო გ ჭ ე ლ და მისთ.

გვხვდება სხვა ბგერათა დისიმილაციით მიღებული მაგალითებიც: კ ა ლ ო ნ ი (||კანუნი), ნ ა მ ე ტ ა რ ი (ფრაზაში: „ჩვენი სიძე ქოშეში დგას, ნ ა მ ე ტ ა რ ი ცხვენია), წ რ ე ჭ ლ ა ჯ, ყ ა რ ა ლ ი.³ კიდეც: წყვილბაგისმიერმა ზ-მ შეიძლება განიმსგავსოს წარმო-

1 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური. გვ. 131, კახური. გვ. 40.

2 როგორც ორი ამ უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, რ-რ-ს დისიმილაცია მოსდის „ფერ“ დართულ უარყოფით ნაცვალსახელებში, რომელთა წინამავალ კომპონენტებში რ შედის: ვერაფელი და სხვ.

3 შტრ. გ შ ა რ ა შ ი მ ე („გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა“, 1938) ყალბი.

ების ადგილის მიხედვით იმავე რიგის მ და იქცეს ნ-დ. მაგალითად: ა ნ ბ ა ვ ი, ბ უ ნ ბ უ ლ ი.¹

ბატი ბ უ ნ ბ უ ლ ი ს ბალიშებით დოშეგი გამოტენილი იყო... ხენწიფეს გიელვიძა და რა ა ნ ბ ა ვ ი ა ო, იკითხა... (ნ ო ლ. III, 144)...

პროგრესული დისტანციური დისიმილაციის შედეგად ნ-ნ > ნ-ლ-ს „წყენინება“-ში: კაცის წყენილებამე არ გიმხარდება... ტყვილათ რატონ უნდა აწყენილო...

დისიმილაციის გზითაა მიღებული აგრეთვე „სუნყველა“ (ფრაზაში: ვეცლები სუნყველასა... გაზ. „საქ.“, 1916, № 248), სუნთელი.²

დისიმილაციის ცნობილ მაგალითებს წარმოადგენს უცხოური: წარმოშობის გაქართულებული სიტყვები: ორდელი, დილექტორი, ბრიგადელი.

ზემოაქართულში ყურადღებას იქცევს ძლიერი დისიმილაციის შემთხვევები. „დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგება დისიმილირებული ბგერა“.³ უმთავრესად იკარგება რ ბგერა მომდევნო იდენტური ბგერის გავლენით, ე. ი. ადგილი აქვს რ ბგერის დისიმილაციურ დაკარგვას,⁴ თუმცა გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც — პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვაც. მაგალითად: აფერი, ვეფერი, ცხვიპირი, თეთ-ყემიზი, ყურიძიში, სნბილი, სნცხვილი, არცეთათ და სხვა.

მარცვლის დისიმილაციური დაკარგვის (პაპოლოგია გ. ახელელიანი) შედეგად გვაქვს ფეხშველა (<ფეხშიშველა), ვაწყინე,⁵ დინნეჩემი (=დიდნენეჩემი)... დინეჩემიდან მეშინოდა: ღმერთო, შენის მომიკალი!.. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 29...

ზემოაქართულში ნახულ იქნა რამდენიმე მაგალითი: კონდალი, ჩირული (<ჩირუხი მთის კურორტი ზემოაქარაში), ტორული (<თურქ. doruk-tutun „წვერის თუთუნი“), კაჰმალი (||ყაჰმალი, „ნაღები“), მახრიჯი (||მაკარიჯი), ყაილი (ნავი), ციმიინდი

1 ასეა კახურშიც (იხ. კახური, გვ. 41).

2 შდრ. იმერს. ფული, საქონელი სუნთელი თქვენი იყოს... მარი, იმერს., გვ. 59.

3 გ. ახელელიანი, დასახ. შრ., გვ. 201.

4 ამ მოვლენის შესახებ სხვა საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. აქვე „გრძელი ხმოვნები“.

5 იმერხელშიც გვხვდება ეს ფორმა: არა ვისაც არ ვაწყინე, ისე ღვეი-არე ტყეები, მარი, იმერს., გვ. 50.

კაბუსტა, დეხნიკი, სკოროდა, პრობუსკი, ტყუბი, წყვედ ფუძის შემკველი ზმნა და მიძლეობა, წებო¹ ტკიბაჲ, კოროლი (||კოროხი)...², რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ისინი მიღებული უნდა იყოს ხშულთა (და სპირანტთა) დისიმილაციური გამჟღერების შედეგად. მანამ. როგორც გ. ახვლედიანმა გაარკვია, ოსურში ქართულიდან ნასესხებ სიტყვებს ახასიათებს ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვაში შემავალი ორი ყრუ ხშულიდან ერთ-ერთი (მეტწილად პირველი) მჟღერდება, ე. ი. ყრუ ხშულები (აგრეთვე აბრუპტივიცა და ასპირატიც) განემსგავსებიან ერთმანეთს მჟღერობა — სიყრუის მიხედვით.³

ვ. თოფურიასთან⁴ და ს. ჟღენტთან⁵ ერთად გ. ახვლედიანმა დაადგინა აგრეთვე, რ-მ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერების მოქმედება თითქმის ისევე ძლიერი ყოფილა სვანურში, როგორც ოსურში და რომ იგი მეტ-ნაკლებად მოქმედებს ხევსურულსა და მთიულურ დიალექტებში. აღნიშნულია აგრეთვე, რომ სვანურში „დისიმილაციური გამჟღერება არსებობს არა მხოლოდ დისტანციური (როგორც ოსურში), არამედ კონტაქტურიც, არა მხოლოდ რეგრესული (როგორც ოსურში...), არამედ პროგრესულიც. გამჟღერების მოქმედებაში მონაწილეობს არა მხოლოდ ხშული (როგორც ოსურში...). არამედ სპირანტიც“.⁶

ჩვენ მიერ მოტანილი აქარ. სიტყვების უმრავლესობა უცხოური და რუსული წარმოშობისაა. დისიმილაციური გამჟღერებაც სწორედ ნასესხებ სიტყვებს შეეხება, მაგრამ აქარულში დისიმილაციური გამჟღერება იმდენად მოქმედი ენობრივი კანონზომიერებაა, რომ იგი მშობლიურ სიტყვებსაც შეეხო (ტყუბი, ტკიბაჲ, წყებო...).

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, უფრო კი ტიპიური:

1 ეს მავალითები აღებულია სხვა ქართულ დიალექტებთან და არა ლიტერატურულ ქართულთან შეპირისპირებით.

2 შდრ. თურქულიდან შესული დორუქ-თუთუნი ქანურში (არნ. ნიქობაჲ ეა, ქანურის გრამატიკული ანალოზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1938 წ., გვ. 105; 13, ს. ჟღენტი, კან-მეგრ. ფონეტიკა, გვ. 162).

3 გ. ახვლედიანი, საფუძვლები, გვ. 204, 378-387.

4 ვ. თოფურია, სვანური ენა, 1, ზმნა, 1931, გვ. 60 და გ. ახვლედიანი, იქვე.

5 ს. ჟღენტი, სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 30/16, 1947 წ., გვ. 430-6 და გ. ახვლედიანი, იქვე.

6 გ. ახვლედიანი, საფუძვლები, გვ. 385.

ა. კონდალი: ეს სიტყვა უცხოური წარმოშობისაა, რომელმაც სალიტერატურო ქართულსა და რიგ დიალექტებში კონდახი-ის სახე მიიღო, ხოლო აჭარულში იგი კონდალი-ის სახით გვხვდება. ასე რომ, ყრუ ხშულმა კ-მ განიმსგავსა ყრუ სპირანტი ხ, გაამჟღერა იგი და მივიღეთ ხ-ს მჟღერი ვარიანტი ლ. აქი სვანურის მონაცემების მიხედვით გამჟღერების მოქმედებაში მონაწილეობს სპირანტიც! ამგვარად, სვანურისაგან განსხვავებით და ოსურთან მსგავსებით ზემოაჭარულში დისიმილატორის როლში ხშული გამოდის, ხოლო სვანურის მსგავსად დისიმილაცია პროგრესულია. ოსურთან მსგავსებით კი — რეგრესული: ასევე, ოსურის მსგავსად სპირანტი დისიმილირებულის როლშიც გამოდის.

ბ. ჩირული. ეს სიტყვაც არაქართული წარმოშობისაა. სალიტერატურო ქართულში იგი ჩირუხი-ის სახით გვხვდება. ჩანს, საანალიზო სიტყვას ისეთივე პროცესი გაუვლია, როგორც ჩვენ მიერ განხილულ პირველ სიტყვას (კონდახი) იმ განსხვავებით, რომ „ჩირუხში“ დისიმილატორის როლში გამოდის ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი ჩ.

გ. ტორული. შემოსულია თურქულის გზით. აჭარულში ამ სიტყვას ცვლილება რომ არ განეცადა, მაშინ იგი დორუგი-ის სახეს მიიღებდა. ანდა ქანურის¹ მსგავსად აქაც უნდა მიგველო დორუქ. დორუქ-თუთუნი. მაგრამ ჯერ რეგრესული ასიმილაციის გზით (ტორუქ. ტორუქ-თუთუნი), ხოლო შემდგომ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების შედეგად მივიღეთ ტორული, ტორულ-თუთუნი.

დ. კაჰმალი, ყაჰმალი (თურქ. kaymak (кѣм) „ნალები“). აქაც ადგილი აქვს კ (k) -ს დისიმილაციურ გამჟღერებას.

ანალოგიური ვითარებაა რუსულიდან ნასესხებ სიტყვებშიც: ციმენდი, კაბუსტა, დეხნიკი...

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზემოაჭარულში დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება შეეხება თვით ქართულ სიტყვებსაც. წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულისა და მისი დიალექტებისა, აქ დადასტურებულია ტყუბი (ტყუპი), წყვედ ფუძის შემცველი ზმნა და მიმღეობები, წებო (წებო) და სხვ. ამ უკანასკნელთაგან უნდა გამოვყოთ წყვედ ფუძე, რომელშიაც დისიმილაციურ გამჟღერებას ვგულისხმობთ ახალ ქართულთან შეპირისპირებით, თორემ ძვ. ქართულში ეს სიტყვა ამ სახით (წყვედ) გვხვდე-

¹ იხ. ზემოთ.

ბოდა. ამდენად, აქ შეიძლება ლექსიკურ არქაიზმთან გვეკონდეს საქმე.

ამრიგად, მოცემულ სიტყვათა გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

ზემოაქარულში (resp. აქარულში) დისიმილაციური გამჟღერება წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედით ფონეტიკურ მოვლენას.

ხმოვანთა დისიმილაციიდან ყურადღებას იქცევს ზემოაქარულისთვის დამახასიათებელი შემთხვევები, როდესაც დისიმილაცია მოუღის პრევერბისეულ (ა, ო) ხმოვანს ფუძისეულ (ძირითადად ენ. გვარის ე პრეფიქსთან) ხმოვნებთან.

მაგალითები:

აე>ეე>იე>აე, ოე>ეე>იე>აე: დ ა ე წ ე რ ა (<დეწერა< <დეეწერა<დაეწერა). გ ა ე შ ე ნ ე ბ ი ა. ჩ ა ე ყ ლ ა პ ა, მ ა ე ტ ა ნ ა, გ ა მ ა ე ს ხ რ ი კ ა. ჩ ა მ ა ე ც ი ლ ვ ე ბ ი ა და ა. შ.¹

ხმოვანთა დისიმილაციას აღილი აქვს სახელებშიც: მრავლობითის — ებ ფორმანტის ე ხმოვანსა და ფუძის ბოლოკიდურ — ე, —ა ხმოვნებს შორის.

მაგალითები:

კ ი ლ დ ა ე ბ ი, ღ ე ლ ა ე ბ ი, პ ა ქ ს ა ძ ა ე ბ ი (ტოპ. სახ.), უ ს ტ ა ე ბ ი, ს ი რ თ ე ბ ი (გორები), ა ღ ა ე ბ ი და სხვ.

... ვ ი ე ყ ვ ა ნ ე ნ გზი პირზე და ორმოში ჩ ი ე გ დ ე ნ (ნოღ. III, 158)... სამნავე ა დ ა ე ბ ი რეჟერბოდენ აქოშკილამ... თავის ხელით ა მ ა ე გ ლ ი ჯ ა კიბილი... უწინ ქუცავეფ (მძარცველებს) პ ა გ ა ე ქ ც ე ვ ო დ ი... სტორეთ მაგ ბ ე გ ა ე ბ მ ა დნქციეს ქვეყანა... ამ წვიმებმა თლათ გადარია ღ ე ლ ა ე ბ ი... გადაშლილი ლ ო ყ ა ე ბ ი ვართს მიუგაედა...

ამ მაგალითებიდან მტკიცდება, რომ ზემოაქარულში ეე>იე>აე-ს ტენდენცია დასრულებულ სახეს ღებულობს. ეს გარემოება დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილების ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს,² როგორც ვარაუდობს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი. ამ მოვლენის წინამავალ საფეხურს გვიჩვენებენ გურული, იმერული, მესხურ-ჯავახური, იმერხეული და სხვ. ე. ი. ამ კილოებში (და სხვაგანაც) დისი-

1 უფრო ვრცლად იხ. ზემოთ — დიფთონგიზაცია.

2 იშვიათად ვხვდებით ტრიფთონგსაც, რომელიც მიღებულია იოტით და ბოლოებულ სახელთან მეშველი ზმნის ხმოვნითი ნაწილის ა-ს (<არს) დართვის შედეგად, მაგ.: მ ე მ ე ღ ა ა ე ა. ს ე რ დ ა ღ ა ა და მისთ. წინადადებაში: გოგო ჩივის ვერ წაყვები, სერდალაჯა ჩემი ქმარი... შდრ. რა ა ე გ ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, დასახ. შრ., გვ. 104.

მილირებული ხმოვანი ჯერ კიდევ 4-მდე არ დასულა, დიფთონგის ელემენტად არ ქცეულა.

მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი

მეტათეზისი შეინიშნება უმთავრესად სონორულ თანხმოვნებთან. ეს მოვლენა დასტურდება როგორც ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, ასევე თანხმოვნებში მახლობელ და შორეულ პოზიციაში.

ხმოვნისა და თანხმოვნის მეტათეზისს ჩვეულებრივ ადგილი აქვს ახლოურ პოზიციაში, მაგალითად: ზ რ უ გ ი (და აქედან ნაწარმოები მოზრუგვა, მოზრუგვილი...), ღ უ რ ბ ე ლ ი (||ღრუბელი). კ რ ო ფ ლ ი, ნ ა ს ლ ი კ ა მ, გ უ რ ძ ა ვ ო მაშინა (ასევე, გურძავიკი), ი ნ დ ა ყ ვ ი (შესაძლებელია ი ნ დ ა ყ ვ ი-სა და ი დ ა ყ ვ ი-ს კონტამინაციით იყოს მიღებული),¹ დ ე რ ე უ ნ ე უ ი...

თანხმოვანთა კონტაქტური გადასმა ხდება სიტყვებში: პ ე ე შ ი, უ ბ ა ნ ლ ო (ასევე ბანლიანი), ვ ი ღ ა ნ, გ ყ უ ა ვ ს,² მ ე მ რ ე ნ (||მემრე).³

ბგერათა დისტანციური გადასმის შედეგად გვაქვს: მ ი ე ნ ა ლ ა (<მიელანდა, ასევე მომენალა, მოგენალა...), დ ლ ე კ ნ ე ს ვ ი ა, წ ა მ ო რ დ გ ე ნ ა, დ ი დ თ ე რ ნ ა ლ ი (<დიდთელნარი), ძ ვ ი ლ ა ჯ (||ძვილ), მ ა დ რ ი ე ლ ი, თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ ა (||თვარიელე-ბა), ა ნ უ რ ი ე ფ ს (<არუნიეფს <არონიებს), ნ ა ქ ა რ ვ ა ლ ა (ტოპ. სახ.), ხ ე რ ტ ა ლ ი (თითისტარი), ლ ი ვ ე რ ი, ხ ე ლ ბ ო - გ ა მ (||ხელგობამ.), გ ე რ ნ ა ლ ი, ს ა კ ა რ ტ ო ლ ო, ს უ რ ი ე ლ ი წინადადებებში:

გლიშამ სულ დ ე რ ე უ ნ ე უ ბ ი შამუამწკავრეს... მისაქმელ ვ ი ღ ა ნ ჩივოდა, ხოლოთ ქადი გამგეცხო (ხ უ ბ. 41)... იმის სანიშნოთ ორი ღერი ბ ა ნ ა ლ ი შვჭიკვა... იმხელა ქვირთი ამე მტანა და ერთი არ დ ლ ე კ ნ ე ს ვ ი ა... უ ბ ა ნ ლ ო შოფს ბ ა ნ ლ ი ა ნ ს ა... ამ შუადლი გულზე რა მ ო გ ე ნ ა ლ ა, კო! აგრანომა ნაკვეთები დ ა მ თ ვ ა რ ი ე ლ ა... ხ ე რ ტ ა ლ კვირთავი წამოძრობია... ამ დროს იმ-

1 იხ. ი—დაყვ ნ—ი—დაყვში ი—||ნი-ს პრეფიქსაციის შესახებ არნ. ჩი-ქ ო ბ ა ვ ა, შედ. ლექსიკ., ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართულურ ენათა სიტყვანარმო-ბიდან, 4, ხმოვანთავსართოვანი სახელები: თბილისის უნივერსიტეტის შრ.. XXX/B, 1947, გვ. 456-457; ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტო-რიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 264-265.

2 ამოსავლ ფორმად კვარაუდობთ გუყავს.

3 ეს ფორმა გვხვდება იმერხეულშიც: „წუღლა მ ე მ რ ე თეპარ-მირზამა“, მ ა რ ი, იმერხ. 55.

პუნლა ლივერი... მაგენი კაცს რავე დატევს საკარტოდო ფირალსაო... (ხ უ ბ. 37)... ქაჭანება, სურიელი აღარავინ იყო... თელ სურიელს გუხარდება ზამფხული და გამოსული... გაზ. „საქ.“, 1916, № 248.

ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა

ბგერათშენაცვლება ზემოაქარულში ფართოდაა გავრცელებული. სხვა ქართული დიალექტების მსგავსად ხშირია შემთხვევები წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით მსგავს ბგერათსუბსტიტუციისა. ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც თანხმოვნები, ასევე ხმოვნები. გვხვდება ზემოაქარულისათვის დამახასიათებელი ბგერათშენაცვლების სპეციფიკური მაგალითებიც.

თანხმოვანთაგან სუბსტიტუცია უპირატესად მოუღის ბაგისმიერ და წინაენისმიერ ხშულმსკდომ ბგერებს, ასევე სპირანტებს.

ვ → ბ: კბილბაგისმიერ ვ-ს ენაცვლება წყვილბაგისმიერი ბ.

მაგალითები: ბ ა რ ც ხ ა, და ბ ა რ ც ხ ი ლ ი, და ბ ი წ ყ ე ბ ა...

ვ → ნ: იგივე ვ-ს ხშირად მ ენაცვლება: მ ე ნ ა ხ ი, მიწრო, მასკლავი (||მარსკლავი, მასკლიავი). ე მ ს ე ბ ო და (თვალები ემსებოდა), ა მ ლ ე ბ ი ე ფ ს (საქონელ ამლუბიფეს). გ ა მ ო მ ლ ი ხ ა ნ, შ ე მ ლ ი ხ ა ნ, ჩ ა ა მ ლ ო (ჩაამლო ხელი ყაზმას ქუჩუქ ალამ... ხ უ ბ. 36)...

ბ → მ წყვილბაგისმიერ ბ-ს ენაცვლება არტიკულაციურად მონათესავე მ ბგერა: მ ა ყ ა ყ ი, მ ა ყ ა ყ უ რ ა მ (ცურვის სახეა), ხოლო იმავე ბ-ს უკანაენისმიერი გ: გ უ ფ ე ტ ი (გვხვდება ბუფეტის). ზემოაქარულში ჩვეულებრივ ერთიმეორეს ცვლიან ნაზალური თანხმოვნები: აქ ხშირია ნ-სა და მ-ს მონაცვლეობა.¹

მ → ნ: ვ ი თ ა ნ (||ვითამ), ხ ე ნ წ ი ფ ე, ს ა ხ ე ნ წ ი ფ ო ;² უ ნ ც რ ო ს ი, ა ნ ბ ა ვ ი, (რ ა ა ნ ბ ა ვ ი ა ო, იკითხა ხ ე ნ წ ი ფ ე მ... ნ ო ლ. III, 114), ს ა ღ ა ნ ო ბ ა მ დ ი,³ ნ ე ფ ი ს გ ო გ ო, ნ ე ფ ი წ ყ ა რ ო (ტოპ. სახ.). და ა ა ნ თ ა ვ რ ა (||დაამთავრა), და ა ნ წ ყ რ ი ა (||დაამწყურია), ა ნ დ გ ა რ ა (||ამდგარა), მ ო ნ დ უ რ ა ვ ი

1 ამ საკითხის შესახებ იხ. ივ. გიგინეიშვილი, მივლინება სურამის მიდამოებში, ენიქის მოამბე, 43, 1939, გვ. 204.

2 გვხვდება რიგ დასავლურსა და აღმოსავლურ დიალექტში.

3 ვერ ვამბობთ კატეგორიულად, ამ მაგალითში სუბსტიტუციის აქვს ადგილი, შეიძლება აქ მ-მს რეგრესულ დისიმილაციასთან გვექონდეს საქმე.

განთელდა,¹ დნნახსოვრდა (||დნმახსოვრდა), ბარსანი (||ბარსამი „ბუერი“), ანგზობაჲ (=ამგზობაჲ „ამჭერად“), დაანტრია, რატონ, ნაგუზალი, დონებია (=ნდომებია). ნამდვილი-ს პარალელურად აქ გვხვდება არქაული ნანდვილი,² ბოქლონი...

ნ → მ: რამდენიმე სიტყვაში ნ-ს ადგილს მ იკერს: ოლომ (||ოლონდ¹), იალომზე, გამკარქულობა, იმტერესი.

ნ → რ: ყურწი, სხლიყურწი... გვაქვს ერთადერთი შემთხვევა, როცა მ-ს ვცვლის: წვინდა.

ბ → ვ: ებნევა, ვებნევი, გებნევა³, გეხევა (მაი შენ არ გეხევა!).

არის შემთხვევები, როცა არტიკულაციურად მონათესავე წინაენისმიერი ბგერები ნ და ლ ენაცვლებიან ერთმანეთს:

ლ → ნ: უმან (<უმალ), მოსლისუმან, წასლისუმან... სუნყველაჲ...

ნ → ლ: ლემსი, ლეკი (=ნეკი), ლაგანი, სულ⁴.

დ → ტ: წინაენისმიერ ხშულმსკდომ დ-სთან ამავე წარმოების მკვეთრი ტ-ს სუბსტიტუციის შედეგად ოდენ-ფუძიანი სიტყვები ასეა წარმოდგენილი: მაკტენი (||მაგდენი, მაგდონი), იმტონი, ამტონი და მისთ.

თ-სავე ბგერას ენაცვლება წყვილბაგისმიერი მეღერი ბ: ერთმანები (...ერთმანები შეირთეს ხუბ. 34).

რ → ლ: მეღერ ვიბრანტ რ-სთან ლატერალ ლ-ს მონაცვლეობის შედეგად გვაქვს: აპელეცია (ფრაზაში: აპელეცია რომ არ გჯეკეთებია დობტორს, იბალვი ვერ გადაარჩებოდა), ბულთი (ფრაზაში: ბულთინ გაგორდა).

1 ამ მაგალითში შეიძლება ნ მ-ს მონაცვლედ კი არ ჩაგვეთვალო. არამედ გან — პრევერბისეულისად, რომ აქარულისთვის დამახასიათებელი არ ყოფილიყო ძე. სასით ზმნისწინების (გან —, აღ —...) გამოუყენებლობა. ერცლად ამ საკითხის შესახებ აქვე, ზმნისწინები“.

2 ი. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ გურულში ეს სიტყვა ძველად გავრცელებული ნარიანი ფორმით (ნანდვილ, ნანდვილად), იხმარებოდა და არა მანითო (ნამდვილ, ნამდვილად): სახელთა... გვ. 656.

3 შდრ. ეუბნევა || ებნევა. კახური, გვ. 44.

4 ზემოაქარულში სულ ||სუნ-ის სემასიოლოგიური დიფერენციაცია არა მომხდარი, სულ — სულ-საც ნიშნავს (ძვილაჲ მფაქვა სული) და სუნ —საც (რა ყობია მისის ვარდის სულს), სუნ||სულ-ის სემასიოლოგიური დიფერენციაციის მეორეულობის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 43, შნშ. 1.

ს → ზ: სპირანტ ს-ს შეიძლება შეენაცვლოს მჟღერი სპირანტი ზ, ან ხორხისმიერი ყრუ სპირანტი ჰ.

მაგალითად:

პ ა პ ი რ ო ზ ი, ზ ა ბ უ თ ი, დ ო ხ ო მ ო ზ ი კ ა ე, პ ა დ (=სად),
პ ა ც ხ ა ნ, ა მ ი ჰ თ ა ნ ა, ი მ ი ჰ თ ა ნ ა...

შ → ს: ერთადერთი მაგალითით შიშინა სპირანტ შ-თან სისინა სპირანტ ს-ს მონაცვლეობაც დასტურდება: თ ე ფ ს ი (ერთი თეფსი ბაკლავა...).

კ → ყ: მკვეთრ კ-ს რომ ენისძირისმიერი მკვეთრი ყ ენაცვლება, ესეც ერთადერთი მაგალითით დასტურდება: ყ ა რ თ ო ფ ი, ყ ა რ თ ო ფ ი ლ ა ე ...

სუბსტიტუციის სხვა შემთხვევები:

რ → ლ: ჯ ო ლ გ ი, დ ა ჯ ო ლ გ ე ა (=დაჯორგვა), მ ი ა ჯ ო ლ გ ა ...

ხ → ყ: თ ა ნ ა ყ მ ა, შ ე თ ა ნ ა ყ მ ა ...

ყ → კ: კ ი ყ ი ნ ი (რას ძალა დ ა ა კ ი ყ ი ნ ა) ...

პ → ბ: ბ ა ტ ო ნ ი. ბ ა ტ ო ნ ი ა ნ ი ...¹

კ → ბ: ბ უ რ კ ა ...

ბ → პ: დ ა პ ნ ე ე ა, დ ა პ ნ ე უ ლ ი ...

ა ზ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა

ზემოაქარულში გვხვდება როგორც სპონტანური, ისე კომბინატორული აფრიკატიზაციის შემთხვევები.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფრიკატები მიიღება თანხმოვანთა შერწყმით და თანხმოვანთა (ხშულთა და სპირანტთა) აფრიკატიზაციით და რომ სპირანტები აფრიკატიზაციის დროს გადანდიან შესაბამის აფრიკატებში.²

სპონტანური აფრიკატიზაციის მაგალითები:

ა. ზ → ძ: ს ი ძ მ ა რ ი (ფრაზაში: ნეფეს ს ი ძ მ ა რ ი ე ს ი ძ მ ა ზ ელთ ექირა ოქროს ბულთი... „დ რ ო შ ა“, № 73, 1882), გ ა ძ ა ნ

1 აღსანიშნავია, რომ ბ ა ტ ო ნ || პ ა ტ რ ო ნ-ის სემასიოლოგიურ დიფერენციაციას აქარულში ადგილი არ აქვს. ბატონი, ბატონსაც ნიშნავს (შენ რომ ბატონი გიმიხდე, თავი მაქ მოსაკლავი) და პატრონსაც (ვინაა ამ ყანის ბატონი?); შდრ. სულ||სუნ-ი, აქვე, გვ. 44.

2 ი. ქობალავა, აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში. ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მე-7 სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბლისი, 1956, გვ. 35.

გ უ ლ ი (ზღრ. საბასთან ზანგი, ქკლ. გაზანგული), ს ა მ ძ ლ ვ ა რ ი, ს ა გ ძ ა ლ ი.

ანალოგიურადაა წარმოდგენილი ეს მაგალითები ქართლურსა, კახურსა და გურულში.¹

ბ. შ → ჯ: ჯ ა ნ გ ი, ჯ ა ნ გ ა რ ა ლ, პ ა ლ ჯ უ ლ ო ბ ა. დ ა პ ა ლ ჯ ნ ი ლ ი. ი ნ ჯ ი ნ ე რ ი (ინჯილერი), ჯ ე შ ტ ი, ს ტ ო რ ო ჯ ი, ს ა ჯ ე ნ ი, დ ა ს ა ჯ ე ნ ვ ა, დ ე ლ ი ჯ ა ნ ი (Деложани), ჯ ე ნ დ ე რ მ ე, ჯ ე ნ დ ე რ მ ჯ ე ბ ი.

გ. ენაბილისმიერი მკვეთრი ტ აფრიკატიზაციის შედეგად გვაძლევს: ქ ვ ი რ თ ი, დ ა ქ ვ ი რ თ უ ლ ი...

დ. ორიოდე მაგალითით დასტურდება ს → ც: პ ე ნ ც ი ა, ბ ლ ა ვ ი ლ ც (ი გელი შექმული რომ დეიწყეფს ბლავილც...), ც ი ც ჯ ე ლ ი (მეხი),² თ უ რ მ ე ც... ზროხები დეიწყებენ ბ ლ ა ვ ი ლ ც, ხბიებს ეკვინტირებიან (გაზ. „საქ.“, 1916, № 248).

ე. უკანანისმიერი მკვეთრი კ-ს აფრიკატიზაციის შედეგად გვაქვს კ → წ: წ ი ლ ა მ (<კინალამ||კილამ, კილარმი).³

კომბინატორული აფრიკატიზაციის მაგალითები:

ა. ჩვეულებრივ თს კომპლექსი ყრუ ფშვინვიერ ც აფრიკატს გვაძლევს. იგი მიიღება ფუძისეული თ-ს მიცემითი ბრუნვის — ს ნიშანთან შერწყმით. თუ ფუძისეული ბოლოკიდური ბგერა დ-ონია ან ტ (იშვიათად), მაშინ აფრიკატიზაციის პროცესს წინ უსწრებს ას-იმილაცია, რის შედეგად მივიღებთ თ-ს, მაგალითად:

ს ა ა ც (<საათს, ორ ს ა ა ც უკან მაგარი წვიმა მოვდა), ქ უ რ ც.⁴ ღ მ ე რ ც (ქურდმა ქ უ რ ც მოპარა და ღ მ ე რ ც გ ჯ ე ც ი ნ ა თურმი), ბ ე ქ ე ც (დედამთილი რომ დოდოფალ ბექეც წამტავამს...), ქ ე ც ი მ ე რ ი (<ქეთსიმერი<ქედსიმერი ტოპ. სახელი), ო რ შ ა ფ ა ც.⁵ პ ა რ ა ხ ო ც (<პარახოთს<პარახოტს<პარახოდს), ბ ა ც (მაგა ორ თავ ბ ა ც არ მიაბარეფს კაცი). კომბინატორული აფ-

1 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 137; გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, არაგვის ხეობის ქართლური, გვ. 314, კახური, გვ. 47; ს. ყ დ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 49.

2 ამოსავალ ფორმად ნაგარაუდვეი გვაქვს „ცისიერი“, ზღრ. იმერხ. ცისიელი (ლალში, რომ გვეიქნიე, ესკერს ეგონა ცისიელი, შ ა რ ი, დასახ. შრ., გვ. 48).

3 გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, ფონეტიკური შენიშვნები, 4, რთულია თუ არა ყველა აფრიკატი ქართულში. ენიმიკის შოამბე, 1, 1937, გვ. 117. კახური, გვ. 47.

4 ანალოგიური მაგალითები გვხვდება იმერხელშიც: „მივდა ე რ ც ქალაქში...“ შარი, იმერხ., გვ. 55.

5 ზღრ. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., 6, 1938, გვ. 349 და შემდეგი, კახური, გვ. 47-48.

რიკატიზაციის კიდევ ერთი მაგალითი: როცაც (<როთსაც<რო-
დსაც<როდესაც).¹

ბ. ფუძისეული დ-სა და თანდებულისეული (—ზე) ზ-ს შერწყმით მიღებულია წინაენისმიერი მეღერი აფრიკატი ძ: ვარძე (=ვარდზე უმფო წითელი ლოყჯები აქ), გვერძე (ბოსლი გვერძე საქათმე მიაშენა თურში).²

გ. ასევე, ფუძისეული თ-სა და —ში თანდებულის ზ-ს შერწყმით მიღებულია ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი ჩ: ნარჩი (<ნართ-ში<ნარდში), ბაღდაჩი.

კიდევ: ხუჩაფაც (ხუჩაფაც თელი დღე წვიმდა).

დეზაფრიკატიზაცია

შენიშნულია აფრიკატიზაციის საწინააღმდეგო პროცესიც. აფრიკატის გამარტივებასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითებში: კონტლობა (კინწლობა), დაჟდა, დაჟდუმლება.

იშვიათ შემთხვევაში მარტივდება ც ნაწილაკი და ვლებულობთ სისინა სპირანტი ს-ს, მაგალითად: შენას მიღიხარ?... სადიყამას დამპირდა... ასევე ძ აფრიკატის სპირანტიზაციის შედეგად გვაქვს ზ: ნიზლავი, დენიზლავა, ზროხა (ინდივიდუალურია)³..., ხოლო აფრიკატ ჩ-ს გამარტივება იძლევა ნაპრალოვან კომპონენტს ზ-ს: კამბეში (ფრაზაში: კამბეშის ტყავს რას უშველის... ნოღ. III, 3).

შენიშნულია წ-ს დეზაფრიკატიზაციაც, როდესაც მას წინ უსწრებს სპირანტი ს, სწ-ს ნაცვლად ვიღებთ სტ-ს: სტორეთ, დჟ-სისტორეს, გამსტრო, ისტავლა, მასტავლებელი, ძმისტული, მაზლისტული და სხვ.

სტ კომპლექსიანი ფორმები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება შუახვევის სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში.

¹ აფრიკატიზაციის წინაპირობად რედუქცია-ასიმილაცია მოჩანს.

² ამ ფორმითაა (გვერძე) ეს სიტყვა ქართულში (აღ. დლონტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები, გვ. 9), კახურში (გვ. 47-48), იმერულსა და ლეჩხუმურში (შ. ალავიძე, დასახ. შრ., გვ. 231).

³ ეს მოვლენა უფრო დამახასიათებელია ისეთი დიალექტებისთვის, რომლებმაც განიცადეს თურქულ-აზერბაიჯანული ენების გავლენა. იხ. შ. ჭანაშვილი, სინგილო, გვ. 226, შ. ძიძიგური, შდრ. კახური, გვ. 48.

ხმოვანთა სუბსტიტუცია

ხმოვანთა შენაცვლება ზემოაქარულში საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. გვხვდება ისეთი მაგალითებიც, რომელნიც სხვა კილოებს ეუცხოება.

ა—ე: ფერჩხატი.¹

ა-ი: ლინძღვა,

ა-ო: დედო: მაწნი დედო, დედომიწა (ფრაზაში...ბარობაში სულ თავალმა დედომიწაში მიძვრება... გაზ. „საქ.“, 1916, № 248).

ე-ი: შავგრიმანი, სიზონი (თის სიზონი დადგა უქე...), „პიკუნი“, შიშა (მოვკდი ამტონ შიში პობაში), ციმენდი...

ე-ო: ამტონი, მაკტონი (||მაკტენი, მაგდენი)...

ო-უ: ნამუნასტრევი, სანდუმიანი, კანუნი, კამუტი (КАМОД), უჩერედი, ზუმა, პლატუკი...

უ-ი: იმფო (||უმფო, უმფრო).²

უ-ო: ონაგირი, დაონაგირვა, დიდონაგირა (ტოპ. სახ.), ვარაოდათ...

ი-ე: წინე დამ... „გადამლილი თეთრი შუბლი, მოგანათესა წინე დამა“.

აქ მოტანილ ხმოვანთა სუბსტიტუციის ზოგიერთი შემთხვევა დისიმილაციური ხასიათისაა.

კოვლემთა შენაცვლება

ადგილი აქვს როგორც ბგერათკომპლექსთა შენაცვლებას, ისე კომპლექსის ხმოვანთა და ხმოვნის კომპლექსით შენაცვლებას. აქვე დასტურდება დისიმილაციური ხასიათის ხმოვანთა შენაცვლებაც.

ბტ—შტ: შტვირი, დწშტვირა, ფოშტალიონი,³ ჩეშტი (ტანციაში თელი ჭარი ჩეშტე დადგა).

¹ აქ პარალელურად დასტურდება ფარჩხატიც, იგი ნიშნავს შეჩხერებილებიან სავარცხელს, იტყვიან: ფარჩხატი სავარცხალიაო (იხ. საბა ფარჩხატი), აქარულშივე შემორჩენილი ფერცხი, ფერცხალი იმავე სიტყვასთან უნდა იყოს სემანტიკურად დაკავშირებული. ფერცხი, ფერცხალი ნიშნავს გვერდის ნეკნებს (საბათი: გვერდის წიბოს), შტრ. „...ფარჩხად წერისათვის...“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 50).

² შტრ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ. ქართულში, გვ. 296, კახური, გვ. 48 და სხვ.

³ კახური, გვ. 49.

სქ—სკ: წისკვილი.

რუსული ჩკ ჩვეულებრივ შეცვლილია ჰკ ქართული ჰარმონიული კომპლექსით: სპიჰკა, (||პიჰკა), ბოჰკა, პაჰკა, ტაჰკა; საროჰკა, სიმიჰკა... ჰკალოვს („ჰკალოვს კითხულოვს ტიგა...“).

ხოლო რუსულისავე ცკ-სკ-ს ენაცვლება ბუნებრივი წკ კომპლექსი მარინწკი (უწინ ლენინის ქუჩას მარინწკს ეძახდნენ... (მაგრამ: ბრაცკის სადგური), ჩერვონწკი...).

პკ—ფხ: შაფხა...

აღვნიშნავთ ხმოვანთა კომპლექსების სუბსტიტუციასთან დაკავშირებულ ძირითად მომენტებს.¹

ოა||ოვა → უა → უა:² მტათავა, დნთხტა, მტატანიე, შამტატანიე, ჩამტავორვა...

ოე||ოვე → უე → უე:³ ვაძტე, ვაწტე, თხჟეს, მჟელთ, გამტელაპარიკა, გათხტება, დატტება...

ოე → უე — სხვა მაგალითები: ოქრტები, ეზტები, გოგტები, კალტები და სხვ.

ეგვე პროცესი (ოა → უა, უე → უე) დადასტურებულია ორი სიტყვის შეხვედრისას, როცა წინამავალი სიტყვის ბოლოკიდური უან ო უშუალოდ ემეზობლება მომდევნო სიტყვის თავკიდურ ა-ს, ან ვ-ს რედუქციის შემდეგ ე-ს. მაგალითად: თტარ (< = თუ არ, თტ-არ წამოხვალ, თვითან წნგეფ!) თტერ (< = თტ'ვ'ერ)...

იშვიათად ეა კომპლექსს ენაცვლება ია. როგორც ცნობილია,

1 ბგერათცვლილებათა ამ მომენტებს უფრო ვრცლად ვეხებით ზემოთ (გვ. 16, 17) სხვა საკითხთან დაკავშირებით.

2 შდრ. ოა კომპლექსის უა-დ ქცევა, რომელიც მეტ-ნაკლებად გავრცელებულია დასავლურსა და აღმოსავლურ კილოებში: არნ. ჩიქობავა, ფერეიდნელის მთავარი თავისებურებანი, გვ. 202, მისივე, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 47, კახური, გვ. 50, შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, გვ. 25-26.; გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 8, 1958, გვ. 87.; ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 57.; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 75.; ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ქართლური, გვ. 284-285.; ჯ. ნოლაიდელი აღნიშნავს, რომ ოვა → უა-ს, (აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 10).

3 ოე → უე ძირითადად აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს. აქა-იქ ვხვდებით დასავლურ კილოებშიც: ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 138, ოტ. კახაძე, იქვე, გვ. 284-285, კახური, გვ. 49-50; გრ. იმნაიშვილი, იქვე, გვ. 86; ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, გვ. 46; შ. ალავეძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, გვ. 232, ჯ. ნოლაიდელთან გვაქვს ოე → უე: იქვე, გვ. 9-10.

ასეთი პროცესი ძვ. ქართულშიც დასტურდება. ზემოაქარულში ამ ტიპის ხმოვანთშენაცვლება ჩვეულებრივ შე— პრევერბთან გვხვდება, მაგალითად: შ ი ა ყ ვ ა რ ა (ისმის შაყყარაც), შ ი ა მ ჩ ნ ი ა, შ ი ა წ უ ხ ა და მისთ.

ვე—ო: ქ ო მ ო რ, რ ა შ შ ო ბ ი... ჩ ო უ ლ ო ბ ა (იმათ აქვან ასეთი ჩ ო უ ლ ო ბ ა ნ ო ლ. III, 13), შ ო ბ უ ლ ო ბ ა.¹

ო—ვა: მ ა რ ტ ვ ა ჯ (<მარტუა<მარტუა<მარტოა), გ უ წ ვ ა და („გ უ წ ვ ა და ხელი“), შ ა მ ე ი დ ვ ა („მემრე შეებძოლა დათვმა მენადირეს და შ ა მ ე ი დ ვ ა ქვეშ“... ხ უ ბ. 35, „მაშინათვე ბიჭმა კინის ნაქრები და ა დ ვ ა ერთქვანებს“, ნ ო ლ. III, 50), კ ვ ა მ ლ ი (კომლის გაგებით: „ჩვენ სოფელში სულ 80 კ ვ ა მ ლ ი ა“).

ვა—ო: ქ ო შ ა რ დ უ ლ ა ჯ (შდრ. შარაშიძე, გურ. ლექსიკონი, ქვაშურდულაი).

როგორც თანხმოვანთა და ხმოვანთა, ისე ბგერათკომპლექსების შენაცვლების შემთხვევები, რომლებიც ზემოაქარულისთვისაა დამახასიათებელი, მეტ-ნაკლებად ცნობილია დასავლურსა და აღმოსავლურ დიალექტებში.

ბგერათა დაკარგვა

ზემოაქარულში ბგერათა დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული. თანხმოვანთაგან განსაკუთრებულ ხშირად იკარგება წინაენისმიერი სპირანტები, ბაგისმიერი თანხმოვნები, უპირატესად კი სონანტები. ბგერის გაუჩინარება სიტყვაში ძირითადად თანხმოვანთა თავმოყრითაა გამოწვეული.

თანხმოვანთა დაკარგვა

ძალზე გავრცელებულია რ-ს დაკარგვის შემთხვევები. ამის შესახებ გავკრით ზემოთაც გვქონდა საუბარი გრძელი ხმოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით. ნათქვამს დავსძენთ: რ ჩვეულებრივ იკარგება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოქცეულია თანხმოვანთა შორის. განსაკუთრებით ხშირად იკარგება რ ბგერა, თუ ის სპირანტებთან მოხვდა; რ-ს დაკარგვით გამარტივებულია თანხმოვანთა კომპლექსები:

¹ შდრ. იმერხ.: „ძლი, ქ ო მ ო ლ ა ნ წისქვილ ქვეშ დეიმალე!...“ მ ა რ ო, ტექსტები, გვ. 64.

ბრძ → ბძ: ბძოლა, შხეგბძოლა, ბძანება, მობძან-
და, ბძენი, საბძენო კიბილი.

ბრმ → ბმ: ბმა, დაბმავებუღი.

ზრდ → ზდ: ზდილობა, გაზდილი, ახალგაზდა, ამ-
ზღელი...

გრძ → გძ: გძელი, გძელგორი (ტოპ. სახ), გძეგძე-
ლა...

ფრთ → ფთ: ფთხილი, სიფთხილე, ფთა, საფთხო-
ბელაჲ, გაფთხილება, ვაფთხილეთ...

მრთ → მთ: ჭანმთელი, განთელდა...

ფრჩ → ფჩ: ფჩხილი, საფჩხილე.

ბრტყ → ბტყ → პტყ: პტყელი, გაპტყელება, გაპტყელა.

ბრწყ → ბწყ → პწყ: პწყინავს, პწყინვალე.

ჩრდ → ჩდ (||ჩთ): ჩდილი, მოსაჩდილებელი, ჩთი-
ლაჲ (ტოპ. სახ).

მრგვ → მგვ (→ ||გვ): მგვალი (||გვალი), გვალმინდო-
რაჲ, ტყემგვალაჲ (ტოპ. სახ).

ვრც → ვც: გავცელება, ვცელი. სივცე.

რ იკარგება რჩ ძირის მქონე ზმნის პირიან ფორმებში: შეეჩი,
მოეჩი, დაქჩა, დაქეჩება...

ზოგჯერ რ სიტყვის თავშიც იკარგება. მაგ: ბილი (ფრაზაში.
ბილი მე და ძვალი შენ, მაგრამ: ძვალ-მბილი ერთი გუხა-
და...), ქა (=რქა), კინა, კინიჭვარი (ტოპ. სახ.), კინიგზა,
ძალი, ჭული, წყილი,¹ კო (=რკო).

ისიც უნდა ითქვას, რომ არაა იშვიათი რ-ს დაკარგვა ხმოვანთა
შორისაც, მაგალითად: მაჲლი, ლაპაიკი, ცაჲელი, დაღა-
იბებულან, მე'რ'უმ (||მე'რ'ომ), ასე'რომ...

ფერ—კომპონენტთან უარყოფით ნაცვალსახელებში რ გაუჩინა-
რდება ა-სთან ერთად (რა): ნწფერი, აფერი, ვწფერი...

დაიძებნა რამდენიმე მაგალითიც, სადაც რ იკარგება თანხმოვა-
ნთა და ხმოვანთა შორის,² მაგალითად: ტიალი (ტრიალი მინდო-
რი, თავისუფალი, გაშლილი ადგილი), უმფო (||იმფო, შდრ. უმ-
ფრო), აღწვის, ანჲერცეთათ, არცეთათ (ფრაზაში: ბარი-

1 შდრ. მეგრ. წყ—ირ—ი, არნ. ჩიქობაჲვა, შდრ. ლექსიკ., გვ. 16.

2 შდრ. არნ. ჩიქობაჲვა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 69,
ვ. თოფურიჲ, ქართლური, გვ. 133; ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 54,
კახური, გვ. 53-54; მარი, ტექსტები, გვ. 56; მ. ჭ.უბუჲა, დასახ. შრ., გვ. 9; ქ-
ნოლაიდელი, აჲრა დიალექტოლოგიურად, გვ. 11.

შნას რომ გადავხედო, არცეთათ არ დამეწონა), ცხვიპირი, უცხვიპირი.

რ იკარგება აგრეთვე ხმოვანსა და თანხმოვანს შორის რბ ძირის შემცველ ზმნებში: ეახინე, გეახინე, ჩამეახინე, შამეიბინე...

რ შეიძლება დაიკარგოს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს უარყოფით ნაცვალსახელებში: მაგალითად: აღწამოხვიდე!.. ნუღმღწეცდი!..¹

მ იკარგება უმთავრესად არსებით სახელებსა და ზედსართავებში ხშულების წინ, ასევე, ზოგჯერ სპირანტების წინაც. რიგ სიტყვებში მ-ს დაკარგულად ვთვლით ახალ სალიტერატურო ქართულთან შეპირისპირებით, თორემ ისტორიულად, როგორც ეს ლიტერატურიდანაა ცნობილი, ძველად უ-მ-ანოდ იყო ისეთი სიტყვები, როგორცაა: შტენიერი, (ფრაზაში: ბედო, ბედო, ბედნიერო, სახელდიდო შტენიერი...), ტევანი, თა, ტერი...²

მ-ს დაკარგვის შემთხვევებს ეპოულობთ აგრეთვე მიმღობებსა და მისგან ნაწარმოებ სიტყვებშიც.

მაგალითები მ-ს დაკარგვისა:

ზე, ზითვალი, ზისუნახავი, ზისაქციელაჲ (მზესუმზირა), ზიახო (ტოპ. სახ.), ზიქციევა, თვარე, კლავი, გელი, გელისაწოლი (ტოპ. სახ.), კლე, გვალი, ძივი, ტრედი, ტრედიფერაჲ, ძიმე, ძევალი, სხვილი, კახე, დადე, წარე, დიდარი, წიფე, წიფობითვე, წვანილი, ღდელი, ჩატე, ლაშე, ჯილი, კვიდრეტლი (ნათესავი, თავისიანი), შვიდობა, შვიდობიანი, ყუდრო, შიერი, ძინარი, ქედელი, თავარი, ტყუანი, ხურვალაჲ ბალახი, ხდალი, შრომელი, დუღარი, კდარი, შრალი, წოლიარი, თხტელი (<თხუელი<მთხუელი<მთხოველი „მათხოვარი“), თხტარი, კედი, კედიძაფი, დგომჯარობა, ზითევი (||გზითევი, გზითევი), წყესი, სკნელი (ფრაზაში: დედა სკნიდა, შვილი ხსნიდა, სკნელსა ხსნელმა დააქარბა), ნახველი, გზავრი, გზავსი, ზარეტლი,

1 ჩვენ ზევითაც აღვნიშნავდით, რომ რ ასეთ პოზიციაში უკომპენსაციოდ არ უჩინარდება. მისი ვოკალიზაციის შედეგად აბსოლუტურ ბოლოში მოხვედრილი ხმოვანი გრძელდება.

2 შდრ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70; ვ. თ. ფურია, ქართლური, გვ. 134.

გალობელი, ტყუანი, თრალი, კბენარი, შობელი,
წუხარი, ედომარი, ხიარული.¹

მ დაკარგულია უფორმო სიტყვებშიც: ხოლოთ, მარა, რა-
ტო...

ნ დაკარგულია: კილამ,² ამტეხან (||ამტოხან, ამდოხან),
იმტეხან, მაფც. შეინახვა (ბიბილავ, შეინახვა მიხდა...)³

ნ იკარგება მოტანა, მოყვანა ფუძის შემცველ პირიან ფორმებ-
ში: მევეტაჲ, მევეყაჲ, მეყაჲ... .

ნ იკარგება სხვა სიტყუასთან შერწყმულ „უნდა“ ნაწილაკშიც
(იხ. აქვე დ-ს დაკარგვის შემთხვევები).

ასევე, ნ დაკარგულია ჩვეულებრივ, როგორც კაუზატივის ინ,
ვეინ სუფიქსთა ელემენტი:⁴ გააკეთებ იე, გადმტაწერი ა,
დავახვევიე, ამტათხრევი ა...

ვ-ს დაკარგვის შემთხვევები: ექსი, თექსმეტი, თრამ-
მეტი, კდარი, მოკდა, ოტკა, მაწნის; სვლა (<სლვა)—
ფუძიან სიტყვებში: წასლა, მოსლა, შესლა...; მომლელი,
მოკლა, მტაკლია, ძრება, გაძრა, ძეს, აძეს, მიძეს,
გიძეს...⁵ აქ, მამქ, გამქ, გვამქ... ნეტაი, მოხდა (||მოვდა),
წამოხდა..., მოყრობა, მეკუთნის, გვეკუთნოდა;
ვლ—ძირიან სახელებში: ამსლელი, წამსლელი, ჩამსლე-
ლი...; გზავნა—ფუძიან სიტყვებში: მიავზანა, გამოგზანა,
გავზანილი, გადმოგზანილი...

1 შდრ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70,
ვ. თოფური ა, ქართლური, გვ. 133-134. ს. ელენტი, გურული კილო. გვ.
54, გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლური, გვ. 93, ოტ. კახაძე,
ატენისა და წაღისის ხეობის ქართლური, გვ. 279, კახური, გვ. 54, მარი, იმერ-
ხეული, გვ. 48, ქ. ძოწენიძე, უხუთური მეტყველება. გვ. 43, ოტ. კახაძე,
ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 165, პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექ-
ტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, გვ. 122, შ. ძიძიგული, იმერული დიალექ-
ტი, ძიძიანი, გვ. 158, მისივე მთარაქული, გვ. 187, მ. ხუბუა, დასახ.
შრ., გვ. 9, ჯ. ნოღაიდელი, დასახ. შრ.. გვ. 11.

2 გვევლება კილარში-ც, რომელიც მიღებული უნდა იყოს იმერ. რაღ-
მე-სა და გურ. კილამ (||კახამ) ფორმათა კონტამინაციით.

3 ამ ფორმაში ნ დისიმილაციური დაკარგვითაა გაუჩინარებული.

4 შდრ. შ. ძიძიგული, К характеристике .. გვ. 131, მ. ალა-
ვიძე, დასახ. შრ., გვ. 234, ოტ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, გვ.
173, კახური, გვ. 55, გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლური, გვ.
93 და სხვაგან.

5 ვ-ს დაკარგულად ვთვლით ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრი-
სით, თორემ ძვ. ქართულში ეს ფორმა უ-ვინოდ იყო (ძეს...). ა. შანიძე, ქარ-
თული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 424 და სხვ. ი. ქაეთარაძე, რიცხვნაკლი
ზმნები ძველ ქართულში: იმერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ.
150-152, ამდენად ამ ფორმით ზემოაქარულს ძველი ვითარება აქვს შემონახული.

ვ ზოგჯერ, მსგავსად ძვ. ქართულისა და სხვა კილოებისა, იკარგება უ ხმოვნის წინ, როგორც პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი: რა უ თ ხ რ ა ახლა მე მაგ კაც... ადრე, გამთიას შუღლ ე ქ აღმართ... თითო—თითო ჩუკაკლე (მე)...

იმეფათად ვ, როგორც I პირის ნიშანი, იკარგება მ-თი დაწყებულ ზმნასთან: ჩვენ ზიართაჲ მ უ შ ა ო ფ თ...

ვ გაუჩინარებულია ოვე—ოვა—უვა კომპლექსებში: ვ ა ძ ტ ე ბ დ ი, მ ტ ე წ ყ ვ ე (<მუეწყვე<მოვეწყვე), გ ა დ მ ტ ა რ დ ა, მ ტ ა ტ ა ნ ი ე, (მოვატანინე)... ჩ ა უ ა რ დ ა, შ ე უ ა რ დ ა (||შუჟვარდა)...

რიგი ქართული კილოების მსგავსად ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ვ დაკარგულია ზეით, ქვეით ზმნისართებში. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, ვ სალიტერატურო ქართულში შემდგომაა განვითარებული.¹

სხვათა სიტყვის ო-ს წინ ავ და ევ სუფიქსისეული ვ-ს დაკარგვა, როგორც ეს სხვა დიალექტებში გვხვდება, აქარულში არ დასტურდება (იხ. ვ ბგერის განვითარება).

ვ-ს დაკარგვის შემთხვევები გვხვდება სხვა დიალექტებშიც.² გ-ს დაკარგვით მიღებულია შჲან (<შიგან; შდრ. შ ი გ ა ნ ი ტ ო ბ. სახელი).

დ-ს დაკარგვის შემთხვევები: მ ო ჲ (<მოდი)! წ ა ჲ ! წ ა ჲ თ !... კ ა (<ჰად<სად), ო ლ ო ნ (||ოლომ), მ ა ნ (<=მანდ, „რაჲები მ ა ნ, კოტ!), რ ო ჲ ს (ფრაზაში: მგზავრი ნატრობს... რ ო ჲ ს უნდა მომ-შივდეს და ვისადილოვო (ნ ო ლ. III, გვ. 154).

დ (ასევე ნ) თანხმოვნის დაკარგვის მხრივ საინტერესოა ნაწილაკად გაგებული „უნდა“ სიტყვა; „უნდა“ ნაწილაკში, ერთი მხრივ იკარგება დ თანხმოვანი, რაც სრულიად ბუნებრივია (ნ და დ ერთი და იმავე წარმოებისა და გვარობისანი არიან), ამის შედეგად ვიღებთ ფორმებს, ვთქვათ „დადგაუნა“, „საქმეუნა“, მეორე მხრივ,

1 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 134-135, კახური, 55-56, ს. ე ლ ე ნ ტ ი გურული კილო, 53-54, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი, ძიებანი, გვ. 137, იმერული, იქვე, გვ. 148, ო ტ. კ ა ხ ა ძ ე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 278-279, კ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, გვ. 121; ვ-ს დაკარგვის შესახებ ფერეიდნულში იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ვინის რეფლექსი ფერეიდნულში: „ჩვენი მეცნიერება“, 2-3 1923, გვ. 83, ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 170-171, მ. ხ უ ბ უ ა, დასახ. შრ. გვ. 9, ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 11-12.

2 ანალოგიური ფორმები გვხვდება გურულში, კახურში: ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 55, კახური, გვ. 59.

იკარგება ნ, მაგალითად, ს ა ქ მ ე დ ა (=საქმე უნდა) შიგიძლიოდეს...
თ ვ ა რ ე მ და (=მთვარემ უნდა) დაბნელდეს, შ ე ჯ ტ ყ ე ვ...-

აღნიშნული სიტყვა ასეთსავე ცვლილებებს განიცდის ჯავახურ-
შიც.¹

ს-ს დაკარგვის შემთხვევები კარგადაა ცნობილი ქართული ენის
დიალექტებიდან, ხშირად მიუთითებენ მიცემითი და ნათესაობითი
ბრ. ნიშნის ს თანხმონითი ელემენტის გაქრობაზე. ცნობილია აგ-
რეთვე თ თანხმონის წინ მისი (ს) ჰ-დ დასუსტება და სავსებით
გაქრობაც.² შეიძლება ითქვას, ქართული ენის დასავლურ დიალექტ-
თაგან ს-ს დაკარგვა არსად ისე არაა გავრცელებული, როგორც
აქარულში და, კერძოდ, კი ზემოაქარულში. თითქმის სისტემატურ-
რად იკარგება იგი ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში.

ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტი ს ეკვეცება
ჩვეულებრივ პრეპოზიციულ მსაზღვრელ სახელებს, მაგალითად:

ნაპწნები გადმოგეყარა პ უ რ ი კ ო ნ ი ქ ე ლ ი ვ ი თ ა... გეჯხე
ერთი, ქ ო ჯ, ძ ა ლ ლ ი ყ ე თ ა ისმის.. ე ნ ი წ ვ ე რ ზ ე მ ა ქ და არ
მახსენდება... ხ ი დ ი თ ა ვ ი მეიღლიზა, ხასოვ, შეიტყევე?.. ც ხ ვ ი-
რ ი ს ი ს ხ ლ ი ვ ი ნ წითელი... წ ყ ა რ ო თ ა ვ ზ ე... მ ა წ ნ ი დ ე-
დ ო... ყ უ რ ძ ნ ი თ ა თ ა (ფელამუში)... წ ი ნ დ ი ჩ ხ ი რ ი... ყ ა ნ ი
ბ ა ტ ო ნ ი... მ ა მ ლ ი ყ ი ვ ი ლ ი...

ს იკარგება თანა კომპონენტიან დეტერმინანტულ კომპოზიტ-
ებში: ა მ ი თ ა ნ ა ჯ , ი მ ი თ ა ნ ა ჯ . ჩ ე მ ი თ ა ნ ა ჯ , მ ა გ ი თ ა-
ნ ა ჯ... მ ა გ ი თ ა ნ ა ჯ სამა კაცმა არ იცის... ა მ ი თ ა ნ ა ჯ სიმინ-
დები ჯერ არ მომსტრია...³

ასეთივე ვითარებაა სხვა სახის კომპოზიტებში: წ ყ ლ ი პ ი რ ი...
ბ ი ძ ი შ ვ ი ლ ი... ბ ი ძ ი ქ ა ლ ი... დ ო შ ო რ ვ ა... ხ ი დ ი თ ა-
ვ ი... პ ა ტ ი ვ ც ე მ ა... ე ნ კ ე ნ ი თ ვ ე... ქ რ ი შ ო ბ ი თ ვ ე...
ზ ი ს ა ქ ც ი ე ლ ა ჯ , გაკომპოზიტებულ ადგილის სახელებში: ა ბ ა-
ნ ო ყ ე ლ ი... ვ ე ლ ი პ ი რ ი... რ უ ს თ ა ვ ი დ ე ლ ე... ა ლ ო გ ვ ე-
რ დ ი...

ზოგჯერ ს იკარგება თ ვ ი ს თანდებულისეული თ-ს წინ: ჩ ე მ ი ბ ა-
დ ი შ ე ბ ი თ ვ ი ნ... შ ე ნ ი გ უ ლ ი თ ვ ი ნ...⁴

1 არ. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მესხურის ჯავახურთან მიმართების საკითხისათ-
ვის: პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრ., 8, 1950,
გვ. 295, შ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სიინგილო, გვ. 229, კახური, 59.

2 კახური, გვ. 57.

3 იქვე.

4 იქვე.

ასეთივე ბედი ეწია ს-ს ოდენ-ნაწილაკიან სახელებში, რომლის პრეპოზიციული კომპონენტი მართულ მსაზღვრელადაა გაგებული, მაგალითად: მ უ შ ტ ი დ ე ნ ი... ც ე რ ი დ ე ნ ი... ჯ ი ლ ი დ ე ნ ი (იშვიათად: ჯილისდენი)... ბ ლ ი კ ვ ი დ ე ნ ი...

ს ეკვეცება მიცემით ბრუნვაში დაყენებულ ბოლოთანხმოვნიან სახელებსაც, იქნება ის პირდაპირი თუ ირიბი დამატება, ან ქვემდებარე, წინ უსწრებს შემასმენელს თუ მოსდევს მას: კ ა რ დ ლ ე ფ მ ჭ ა კ ა ლ ი ე ფ... ც ხ ვ ა რ ი ხ ო რ ც კ ა ა ფ ა ს ი ქ ო ნ ე ბ ი ა... ჩ ე მ ბ ა ლ ვ ე ფ წ ი გ ი ნ ე ბ ი ა ხ უ ქ ე ვ ს... მ ე ზ ო ბ ლ ე ფ დ ლ უ რ ი გ ე ს... შ ე რ ი ფ ბ ე ქ შ ე ს თ ხ ტ ე ს... ხ ა ლ ხ ზ ძ უ ლ და ჯ ე მ ა ლ - ბ ე გ ი... შ ვ ი ლ ე ფ გა მ ლ რ ი გ და... ფ ი რ ა ლ ე ფ გ ა ე ლ ვ ი ბ ა თ უ რ მ ი...!

ს არაიშვიათად მაშინაც ეკვეცება სახელებს, როცა ისინი შემასმენელს მოსდევს, მაგალითად: თურმი დეეწია გამფრინვალე ჩ ი ტ... საღამ-საღამ მე ჰ წ ე კ ვ და თითო ღერ ბ ა ნ ა ლ... მ ჭ ა ქ ვ ა ნ და მ ჭ ა ქ ვ ა ნ ხ ა ლ ხ... კ ი დ ვ ე ნ მი ვ ე კ ე მ ვ ო რ მ ო ზ და ა თ მ ა ნ ა თ... წ უ ძ ლ ვ ა ს ტ უ მ რ ე ფ...

იშვიათად ს დაკარგულია ბოლოხმოვნიან სახელთანაც: რას მი-ახდენ მ ა გ ა... წ ა მ შ ლ ი ა მ ა გ ა... რ ა ჰ ჯ ე ბ ი, კ ო!.. გ უ მ ც ხ და ი მ ა... მ უ რ თ ა ზ ა ქ ა ლ დ ლ უ მ უ შ ა ე ვ ე ბ ი ა...

— თან თანდებულნიან სახელებთან: ზ ე ქ ი ე თ ა ნ, რ ე ჯ ე ბ ა - თ ა ნ.²

მიცემითის ს იკარგება Localivus exterior-ის შინაარსის მქონე სახელებთანაც.³ მაგალითად: დ ლ ე ძ ა მ ლ ე თ მი ვ დ ი ვ ა რ... დ ი ო - კ ნ ი ს გ უ დ შ ტ ა ნ ი ა... დ ა ნ ი ს პ ა რ ა უ ლ გ ე გ ზ ა ნ ა... ქ ე ყ ა ნ ი ს ა მ - ო ს უ ლ ი ც ნ ე ნ... გა მო ფ ე ნ ა ზ ე მი ვ დ ი ვ ა რ თ მ ო ს კ ო ვ...

ს ზოგჯერ დაკარგულია, როგორც მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი: თელი ქონება სოფელ გა და ც ო... ოზდაათ მანათში მ ი ც ე ს... პ ა ს უ ლ ი მ ო თ ხ ტ ა...

ს-ს დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა მსაზღვრელად ხმარებულ ჩვენებით ნაცვალსახელებთანაც:⁴ ჰ ა წ ე ვ და ი ბ ი კ ი, ნ ე ტ ა ა?... ე გ ო მ ბ ი ო ჰ ა მი დ ის ა მ სა ლ ა მ ო პ ი რ?...

1 შდრ. იმერხ.: „დავჯდე და წიგნი დაეწერო, ჩიტ გავატანო ხებრათა“... იგი საყვარელ მუტანე, ველარ ვესტუმრე ჩქარათა...“ მარია, იმერხ., გვ. 49.

2 შდრ. იმერხ.: „...ხელი მომიწყვი, ზოპროთან მიმიყვანე! სულთანს კაც ყავს დაყენებულ მის გოგოთან... მარია, 58 და 59.

3 შდრ. შ. ძიძიგული, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიშის მოამბე, II, 1, 1937, გვ. 75.

4 ს მოკვეცილი ჩვენებითი ნაცვალსახელები თითქმის ყველა კილო-თქმაში გვხვდება.

ს შეიძლება დაიკარგოს დ, პ, ტ, კ თანხმობენების წინადაც: ტ ა ნ-
ც ი ა („შტალამე იქნებოდა, ჩაქვის ტ ა ნ ც ი ა ზ ე რომ ჩეე-
ელთ...“)... პ ი ქ კ ა ჯ („წიმიკიდე პ ი ქ კ ა ჯ ბიგარას, ქო!“)... მ ი დ-
ლ ე მ ჩ ი („მაგა მ ი დ ლ ე მ ჩ ი აღარ დველაპარიყები...“), ნ ი კ ა რ-
ტ ი („რას გავს მა ჯ ც ხ ვ ი რ ნ ი კ ა რ ტ ა ჯ...“).¹

ს-ს ზგერობრივი პოზიცია აქ იმდენად შერყეულია, რომ რიგ
კილო-თქმათა მსგავსად, ის როგორც მორფემა (III: პირის ნიშანი),
ფუძისეულ ვ-ინთან ერთად მოკვეცილი აქვს „ქონა“ პირიან ზმნებს,
მაგალითად: აქ ' ვ ს 1 , მ ი ა ქ , შ ა მ ტ ა ქ , გ ა დ მ ტ ა ქ და სხვ.

ასევე I-სა და II პირში: მ ა ქ , გ ა ქ , გ ვ ა ქ და მისთ.

ანალოგიური ვითარებაა ზოგიერთ ერთპირიან და ორპირიან
გარდაუვალ ზმნებთანაც მხ. რიცხვის III პირში: ჯერ წ ი ფ ე არ
ა რ ი... ის ე გ ა ე ამინდი მე ჯ შ ა ლ ო ს უ ნ და...
ს არა გვაქვს ზოგიერთ გაზმნიზებულ მარტივ და რთულ სა-
ტელთან. დ ლ ე („დღე კ ა ჯ ამინდია...“)... ა მ ტ ო ხ ა ნ („ჰაჰყავ,
ამტოხან?...“)... წ რ ე ტ ლ („წრეტლ||წროტლ მოსავალ კ ა ჯ პირი
უჩანს“) ...დ ი თ ხ ა ნ („დითხან აღარ გათოვდება...“)... ა ხ ლ ო („პა-
წ ა ჯ ა ხ ლ ო მე ჯ წ ი ე...“) ...ზ ა მ თ ა რ („ამ ზანთარ ბეტრი შიშა დაქ-
ვეპირდება...“)... შ ო რ (გედე ჯ კ არ ქ ა , პ ა ც ხ ა ნ , შ ო რ...“)...
ზემოქარულისთვის დამახასიათებელია ს ა დ > პ ა დ || პ ა : პ ა
გ ჯ ე ჩ ქ არ ე ასე მალე... პ ა ც ხ ა ნ მაგათ ჯ ე ფ შ ი უ ნ და ი ყ ო ს... პ ი დ ა-
ტ რ ი ხ ა რ , ბ ი ძ ა ე !.. პ ი მ კ ე ნ ა ც არ გ ე ჯ ხ ე ლ ო ...

ს-მ შეიძლება ცვლილება განიცადოს სიტყვის ბოლოშიც, მაგ:
ბ ი ქ ო პ ! (=ბიქოს!) გათენებულა უეე!..²

ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები:

ი ი კ ა რ გ ე ბ ა — ვ ე ნ ა წ ი ლ ა კ ი ა ნ რ ი ც ხ ვ ი თ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : ო რ ვ ე

1 აღსანიშნავია, რომ ნიკარტი საერო მწერლობაშიც ამ სახით გვხვდებოდა. ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი , საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 119.

2 ს-ს დასუსტება — დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული გარეკახურში (იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა , გარე-კახეთი... გვ. 65-68), გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხთან დაკავშირებით კ || ს-ს შესახებ იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა , გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 5, 1953, გვ. 59; ე . თ ო ფ რ ი ა , ქარ-თლური, გვ. 132-133; ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა მიუთითებს ამ ბგერის დასუსტებაზე მთიულურშიც, თუმცა როგორც იგი აღნიშნავს, ეს მოვლენა აქ ისე არაა გავრ-ცელებული, როგორც გარეკახურში, მეტადრე ქიზიყურში (მთიულური, გვ. 49-50), ავტორი სხვა ადგილას აღნიშნავს კიდევ, რომ ამ ბგერის დასუსტება განსა-კუთრებით შორსაა წასული ქიზიყურში (მ ი ს ი ვ ე , ს ბგერის დასუსტება ქიზი-ყურში: ენობის შოამბე, I, 1937, გვ. 66-69), ეს მოვლენა საკმაოდაა გავრცე-ლებული კახურშიც (კახური, გვ. 56-61) და სხვაგან.

(ორვე შენი იყოს...), სამვეს, ოთხვე, წელწადი, წელწადნახვარი.

უ-ს ჩავარდნის მაგალითები: მასქან (<მას უკან „მერე, შემდეგ“), „უნდა“ — ნაწილაკიან სიტყვებში: ყველთვინ მე რატომ და წევდე... ამგზობა შენდა ამოზიდო...

— უნ სუფიქსიან ნაზმნარ სახელებში: ბრაგნი შეიძახა... გვახნი გაცრევია...

ხმოვნის ელიზია

თუ ხმოვნით დამთავრებულ სიტყვას მოსდევს „უნდა“ ნაწილაკი, მაშინ იქმნება პირობა ორი ხმოვნის შეხვედრისა. ამ პირობაში მომდევნო სიტყვის „უნდა“ ნაწილაკი იკვეცს თავიკიდურ უ-ს და შეერწყმის წინამავალი სიტყვის ბოლოკიდურ ხმოვანს: მაგ: რა უნდა ქნა ახლა შენ!.. ამგზობა მე უნდა (||მენა) წევდე...

ამგვარად, ამ მაგალითების მიხედვით ხმოვნის ელიზიაც დასტურდება ზემოაქარულში.¹

ბზერათჩართვა

ხშირი და მრავალფეროვანია ბგერათჩართვის მოვლენები. ზემოაქარულში, მსგავსად სხვა კილო-თქმებისა, ძირითადად ის ბგერები ვითარდება, რომლებიც იკარგებოდა სხვა პირობებში.

უპირატესად ვითარდება მ, ნ, რ, ლ სონორული ბგერები.

მ ჩვეულებრივ ვითარდება წყვილბაგისმიერ ხშულმსკდომთა ბ, ფ, პ-ს წინ: ზამფხული (ფრაზაში: თელ სურიელს გუხარდება ზამფხული და გამოსული... გაზ. „საქ.“, 1916, № 248), გომფაკი, ყველამფერი (||ყველიმფერი), კახამბალი, დაღუმპვა, დაღუმპვილი, მომპყრობა (||შომყრობა), უმფო, უმფოსი; ვფიქრობთ, ზემოაქარულში „უმფოს“ სიტყვაში მ „უმცროს“-ის ანალოგიით არ უნდა იყოს გაჩენილი, ამაზე მიუთითებს სიტყვა „უმფო“ (<უმფრო<უფრო), რომელთანაც მ, რა თქმა უნდა, ანალოგიით არ აიხსნება,² მბილი, ძვალ-მბილი

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 30, კახური, გვ. 61.

² სხვაგვარი წარმომობისა ჩანს ფორმა „უმფროსი“ სხვა დიალექტებში. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, აქ მ გაჩენილია „უმცროს“-ის ანალოგიით (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 231).

(მაგრამ: მძვალ-ბილი), დამბილებული...; მ შეინიშნება სხვა ბგერათა მეზობლობაშიც, მაგალითად: ამთვარიელებდა (||ანთვარიელებდა), სამცხოვრებელი, მცხოვრობდენ, დამძმანი (||დან-ძმანი),¹ სიმძვირე, შემსრულება, გამჯავრება (||განჯავრება), გუმცხადა, მწვალება (||წვალება, წრვალება), მცხვარი, თხამცხვარი (ფრაზაში: „თლათამუათხა დამცხვარი... გაზ. „საქ.“, 1916, № 248), მემცხვარე, სიმწყნარე,² სიმყვითლე (სპორადულად), გადამფრიალება, შემქედლება, შეგემქედლა, იმგლოვეს...

რ-ს ჩართვის შემთხვევები: მურთაქა, მარყვალა, წრიხლი, დურყინა, არტაქა, კარნავო, სარჩხინავი, გულ-ღვირძლი, ხუთირწყვილი, სამირწყვილი... ურცხო,³ ნაარსლარი...⁴

ზოგჯერ მ-ს მეზობლობაში (მომდევნო პოზიციაში) ჩნდება წყვილბაგისმიერი ხშულმსკდომი ბ და ფ თანხმოვნები, მაგალითად: ხუმბარი (საბათი: ხუმარი), ხუმბრობა, კამბეჩი (შდრ. საბასთან: კამბეში) დომფხალი, დამფხობა, მფხარი,⁵ გამრავლება, გემბრიელი.⁶

ნ განვითარებული ჩანს დ. თ. ც, წ-ს წინ შემდეგ სიტყვებში: შახხვენდრა, მინდალი, მილინცია (||მელენცია). ზოგჯერ ეს ბგერა სახეცვალეობა ჩანს განვითარებული მ-სი: ანთვარიელებდა (შდრ. ანთვარიელებდა). დანწრილებით (შდრ. დამწრილებით), აღნიშნული თანხმოვანი გვხვდება სხვა ბგერათა მეზობლობაშიც: დაპაიჯნილი, დეინძრა, განაგძნო, გამოძახნილი, ტკენჩი.

ხშირად ნ ვითარდება უფორმო სიტყვის ბოლოს ე, ა, ი და ო ხმოვნების შემდეგ, იგი ხშირია ვე ნაწილაკთან, მაგალითად, ისვენ,

1 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძე. გვ. 7-9.

2 შდრ. ე. თოფური, ქართლური. გვ. 135-136. ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 55, კახური, გვ. 64 და სხვაგან.

3 შდრ. მეგრ. ურცხო; ასეა გურულშიც (ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 56).

4 ამ სიტყვის შესახებ იხ. სტ. მენტეშაშვილი, აპარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, 11¹, 1937, გვ. 153.

5 ფხ, მფხ კომპლექსთა განვითარების შესახებ ზოგ სიტყვაში იხ. ჩენი მოსაზრება, ზემოთ „თანხმოვანთა ასიმილაცია მ → ფ“.

6 ეს ფორმა, როგორც ენთეზისის ცნობილი მაგალითი, დადასტურებული აქვს შ. ძიძიგურს იმერულ დიალექტში (ბებანი, გვ. 157), შდრ. ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 55-56.

იქვენ, კიდვენ, ახლავენ, კიდონ, თურმინ (ისტორ-
მეც), მეთქინ, ჰაცხან, მემრენ, რომენ.¹

ზემოაქარულში დადასტურებულია „აქნობამდი“ ზმნისართი,
რომელშიაც ნ დეტერმინანტიხული ნა სუფიქსის ნ ელემენტს უნ-
და წარმოდგენდეს:² ვერ ამოზიდე აქნობამდი მამა ქირიშე-
ბი?... ჰად იყავ აქნობამდი?..

რაც შეეხება ნ-არიანი სიტყვა „შემწვენობა“, რომელიც აქაურ
ბეტყველებაში ერთობ გავრცელებულია, მიღებული უნდა იყოს შე-
წვენას ანალოგიით: ერთმანეთ შემწვენობა უნდა მიეცეთ...
ხოლო ჩინჩახვ-ში არქაული ფორმა უნდა იყოს შემონახული
(შდრ. ძვ. ქართ. ინჩაგვ.).

ნ-არიანი ფორმები გვხვდება გურულში, ქართლურში, კახურ-
ში, მესხურში, იმერხელურში, იმერულში და სხვ.

ვ-ს ჩართვის ცალკეული შემთხვევებია: საცოდვავი, საჩუ-
ქვარი, აჩუქვა, საჩუქვარა (ტოპ. სახ.). უცილვებ-
ლათ, მუცილვებელი, ვერ მეცილვეფ, კრეფ-
ვა, წერვა,³ მაშვინ (ფრაზაში: მაშვინ გა-
ხდებით თიებო... გაზ. „საქ.“, 1916, № 248), თხუნველა (მა-
გრამ საბას მიხედვითაც: თხუნველა).

ვ ვითარდება სხვათა სიტყვის ო-ს ან პროსოდული ხმოვნის
წინ: დაახვენდრავო, გაჩინდბავო (ფრაზაში: გევიარე
ქალეფშიეო, ყოფნა მინდა ქალეფშიეო...).

ვ სპორადულად ჩნდება სიტყვის დასაწყისში, უმთავრესად რა-
ცხვით სახელებთან ო ხმოვნის წინ: ვოცნებოფს (ფრაზაში: შე-
ნზე ვოცნებოფს ქვეყანა, სიმართლით გამარჯვებულო...), ვო-
რი, ვოთხი... რთულ რიცხვითებში: ვოზდახუთი..., მევო-
რე, მევოზდაშვიდე...

ღ განვითარებული უნდა იყოს სიტყვებში: ჰყინტლი (ჰყინ-
ტლი სიმინდი), ამეხსუნთქლა, შვანათლა, გვსინათა
(გვანათა), ბიგალი (შდრ. ბიგა გურულში), უკაცრავლათ,
უკაცრაჭლი, (უკაცრაჭლი პასულია)...

ზ ჩართული ჩანს გაკომპოზიტულ ზმნისართში „აქე-

1 შეიძლება ნ ლ-ს ენაცვლება (რომელ > რომენ); შდრ. ა. რ. მარტირ ო-
ს ოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 112,
მარი, იმერხ. გვ. 48. ჩიტრომენ გეგაჩუჩუნებს, შეწყვილი გრაქ თოფები.

2 ა. რ. ჩიქობავა, დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“: ენიშის მოამ-
ბე, III, გვ. 223, კახური, გვ. 132.

3 როგორც ლიტერატურადანაცა ცნობილი, ზოგიერთ სახელში ვ ანალოგიის
შედეგადაა გაჩენილი.

ზღამ“ (თუ აქ ბრუნვისეული ხ არ არის გამჟღერებული ღ-ს გავლენით).

თითო-ოროლა მაგალითითლა შეიძლება დადასტურებულ იქნეს პ, ფ, გ, კ ბგერათა განვითარების შემთხვევები: თ ხ ა მ პ ლ ი (შდრ. საბასთან: თხრამლი, შარაშიძესთან: თხამლი), გ ა რ გ ა ნ ი (საბათი: არგანი), კ უ კ უ ნ ე თ ი (უკუნეთი), დ ო მ ფ ხ ა ლ ი,¹ მ ო მ ფ ხ რ ე, დ ა მ ფ ხ ო ბ ა (პირჩაღმა ჩ ნ მ ფ ხ ო კარდალი).

ი, ო ხმოვნები განვითარებული ეგონება კაცს სიტყვებში: თ ი ბ ი ლ ი; კ ი ბ ი ლ ი, კ ი ლ დ ე, ხ ო ბ ო და მისთ., რომ ამ მოსახრების საწინააღმდეგოდ ქართველურ ენებსა და რიგ დიალექტებში ი-ნ-ო-ნიანი არქაული ფორმები არ იყოს შემონახული. ამ საკითხის შესახებ იხ. აქვე, „სრულხმოვნობა“.

მაგალითები წინადადებებში:

ამ კაცის წინ გაჩინდა გ ე მ ბ რ ი ე ლ ი შაკმელები... თვარესავენ შნსინათლა თვალეფში... ხალხი მოდიოდა უ რ ც ხ ო სახემწიფოებიდან საჩუქრებით (ნ ო ლ. III, 158)... იმ დოხტორის შემწევნობით ქე მიეცა საშტალება... პაწაჲ ჩვენი მ ფ ხ რ ი დ ა ნ ა ც მიეცა შე მ წ ე ვ ნ ო ბ ა... მინდა თქვენთან შე გ ე მ კ ე დ ლ ო (ნ ო ლ. III, 77)... დიდი ხ უ მ ბ ა რ ი კაცია ჩვენი ჯეფერაჲ... თანხმობის ნიშნათ შ ო ც ი ლ ე ვ ბ ლ ა თ თავს დ წ კ რ ე ვ და მეგემ... სააჲპ-საღამ ოქროჲთ სამსე მეშოკ დ ა ხ ვ ე ნ დ რ ე ბ დ ა... გ ა რ გ ნ ი თ ძვილაჲ მეძო... მაგა რაფერ მტაგლეჯიეფ კ ი ბ ი ლ... დ ო ჯ ზ ა ლ ი ვ ი თ წ რ ე ვ ი ა ყ ვ ე ლ ა მ ფ ე რ ი... ა მ ე ზ ლ ა მ კ ი ლ დ ი თ ა ვ ზ ე მოგვიწევს ღამი გათევა... ა ხ ლ ა ვ ე ნ გ ე ტ ყ ვ ი ყ ვ ე ლ ი მ ფ ე რ დ ა ნ წ რ ი ლ ე ბ ი თ...

რ ე ლ უ ქ ც ი ა

ხმოვანთა რელუქცია ერთნაირად არაა გავრცელებული ქართული ენის კილო-თქმებში; ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „ცოცხალ კილოებში რელუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული.²

ზემოაქარულშიც, ისევე როგორც სხვა დასავლურ დიალექტებში, ხმოვანთა რელუქცია სუსტადაა განვითარებული, თუმცა ისიც

1 მხალი—ფხალი-ს კონტამინაციით ჩანს მიღებული.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწადული, I-II, გვ. 11.

უნდა ითქვას, რომ აქ ზოგჯერ გვაქვს ისეთი შემთხვევები, რომელნიც ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. თვალი რომ გადავაგლოთ ზემოაქარულ ტექსტებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ ხშირად ერთი და იგივე სიტყვა ხან რედუცირებულია, ხან კი — ურედუქციო;¹ მაშასადამე, ზემოაქარულში რედუქციის პროცესი ჯერჯერობით არაა დასრულებული, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შეუკუმშავი ფუძეების რამდენიმე მაგალითს: ც ხ ვ ა რ ი ს ხორც ფასი დაკლებია... ქ მ ა რ ი ს თ ვ ი ნ უთხრობია... დ ე დ ა ბ ე რ ი ს მოსლა ყველას გაეგო... ს ა ნ თ ე ლ ი შ უ ქ ი მოჩანდა... ოღაში ე კ ა ლ ი ს გოლეფ (=რგოლებს) ჩამოკიდებენ... ერთმანეთ დ ო დ ვ ე ს ხ მ ა ლ ე ბ ი... გ ე ლ ი ს ა წ ო ლ ი (ტოპ. სახ.), ი რ ე მ ე ბ ი-ქ ა ლ ო (ტოპ. სახ.), ჯ ვ ა რ ი ს მ ი ნ დ ო რ ი (ტოპ. სახ.)...

იგივე სიტყვები ანდა იგივე ფორმები შეიძლება რედუცირებული სახითაც შეგვხვდეს, მაგალითად: ქ მ რ ი ს თ ვ ი ნ... ც ხ ვ რ ი ხ ო რ ც... ქ ე დ ლ ე ბ ი, ქ ა რ ხ ნ ე ბ ი (ტოპ. სახ.) და მისთ.

არაა იშვიათი — ა ვ და — ა მ თემის ნიშნების რედუქცია: მაგალითად: დ ა ნ ა ყ ვ ე ნ, ა ბ მ ე ნ, მ ო ზ ი დ ვ ე ნ, მ ო თ ი ბ ვ ე ნ, ნ ა ხ ვ ე ნ და სხვ.²

ზემოაქარულში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში (resp. დიალექტებში) ურედუქციოა, როგორც წესი, იყარება ი ხმოვანი ველშიდ ზმნაში, მაგალითად: მ ო ვ დ ა, გ ე ვ დ ა, გ ე დ ე ვ დ ა, წ ე ვ დ ა, გ ა დ მ ო ვ დ ა.³

ხშირია აგრეთვე სათავისო ქცევის ნიშნისა და ვნებითი გვარის პრეფიქს ი-ს რედუქციაც პრევერბიან ზმნებში, მაგალითად: გ ე ვ ხ ა რ ე, გ ე ვ გ ე, დ ა ვ ც ო თ, დ ე ვ ქ ი რ ე ნ ი თ, გ ე ვ პ ა რ ო, გ ე ვ ქ ც ე, დ ე ვ წ ე ვ ი თ, მ ე ვ ლ ა პ ა რ ი კ ე თ და სხვ.

ცალკეულ შემთხვევათაგან აღვნიშნავთ შემდეგ სიტყვებს:

1 როგორც მ. კობალაძე აღნიშნავს, ურედუქციო ფორმები ფართოდაა გავრცელებული გურულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-17 სამეცნ. კონფერენციის თეზისები, 1955 წ., გვ. 139, იგივე დასტურდება ქვემო იმერულშიც, ც. აბულაძე, ქვემოიმერულის როკითული მეტყველების თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები 15, 1952 (გვ. 199), ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია კაჭურშიც (ვახური, გვ. 63).

2 შტრ. სიზმარში ნ ა ხ ვ ე ნ: მ ა რ ი, დასახ. შრ., გვ. 79-80.

3 ანალოგიური ფორმები მხოლოდ იმერხეულში გვხვდება: ულოგინოდ და გორგოში გვერდზე ა მ ო ლ და ეკლები (იქვე).

კრეები (=კრავები), სკმები,¹ ნამწნები,² ბრე (<ბარე),
ნახვარი, ორ-ნახვარი..., პირვლაჟ (=პირველად),
უქელ (=ყოველ) ყველიმფერი...

წინადადებებში: აქეთ მორეკე მაჟ კრეები... კილარმი წეჟ-
ხრუკა წამწმები... ჩვენში ყველხიძირში წყარო გა-
მოდის... ძვილაჟ ჩეეტია ნახვარპინაში... პირვლაჟ
მჟერენეფს აჩვენა...

იშვიათად პრეფიქსისეული ხმოვნის გავლენით იკარგება ფუძი-
სეული ხმოვანი. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, რედუქ-
ციის ასეთი კანონზომიერება დამახასიათებელი იყო ძვ. ქართული-
სთვის.³ ამ არქაული ვითარების გადმონაშთად ლიტერატურაში და-
მოწმებულია ორიოდე მაგალითი: დიალექტ. სარცხი⁴ და სხვ. აქ-
არულში დავადასტურეთ ჩვენ ნარცხი.

ვფიქრობთ, ამ ფორმით აქარულმა გადმონაშთის სახით შემოი-
ნახა ზემოაღნიშნული არქაული ვითარება.

გ ე მ ი ნ ა ც ი ა

ზემოაქარულში ადგილი აქვს მარტივ თანხმოვანთა შერწყმას
— გემინაციას. თანხმოვანთა გაორკეცება აშკარად შეიმჩნევა რიც-
ხვით სახელში (და მისგან ნაწარმოებ ფორმებში), გაორკეცებულია
მ სიტყვებში: ცამმეტი, თრამმეტი. ცხრამმეტი (ასევე,
მეცამმეტე, მეოზდათრამმეტე)...⁵

აღსანიშნავია, რომ გემინირებული თანხმოვანი კახურში გრა-
ფიკულად არც დაწყვილებული ასოთია გამოხატული⁶ და არც თე-
შლიდით. როგორც ცნობილია, ვ. თოფურიამ გემინაციის გრა-
ფიკულად გამოსახატავად საჭიროდ სცნო გრძელ თანხმოვანზე თეშ-
ლიდის დართვა.⁷

1 შდრ. ხევს. შკმები.

2 დადგენილია, რომ ქართულში რედუცირდება ერთმარცვლიანებიც გაორ-
მარცვლიანებისას; ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, გვ.
:89.

3 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, გვ. 83 და 88.

4 ვ. თოფურია, იქვე, გვ. 83, სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლე-
ქსიკონი, შდრ. კახური, გვ. 62.

5 შდრ. ინგილი. ცამმეტი, რუამმეტი, ცრამმეტი. მ. ჭანაშვი-
ლი, საინგილო, გვ. 271.

6 კახური, გვ. 63-64.

7 ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 135.

აპარულში გემინირებული თანხმონის დაყოვნების მომენტი აკუსტიკურად იმდენად ხანგრძლივია, რომ კახურის მსგავსად მისი ცალი ასოთი გადმოცემა, ვფიქრობთ, ზუსტი არ იქნებოდა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცნობთ, გაორკეცებული თანხმონი ან თეშდილით გადმოვცეთ, ან დაწყვილებული ბგერით. ჩვენ უკანასკნელს ვარჩევთ.

ზემოთდასახელებული სიტყვა „ცამმეტი“ შესაძლებელია არქაიზმი იყოს (ათ-სამ-მეტი), „თრამმეტსა“ და „ცხრამმეტში კი მანალოგიით იყოს განვითარებული.

ვ ბგერის გაორკეცებასთან გვაქვს საქმე შემდეგ სიტყვებში: გევევარე, ჩევევარე, ოჯშშენ!.. უჯშშავ!.. ცოცოტა, ნენნელა...

წინადადებებში: წისკვილიკარ რომ ჩევევარე... ღელიპირ რომ გევევარე, რაცხა მომენალა... შამევევარე სხალთაში, თოფი ჩავდევ ხალთაში... ოზდათრამმეჩი გადავდგი უჟე ფეხი... ცამმეჩი თჟერ დავბრუნდი... ოჯშშენ რა გითხრა, ღარმი თვალეზი გამოთხარე!.. უჯშშავ, ე რა მოქსლია, გო!.. ცოცოტა დაყარე!..

ჩვენ ცალკე აღარ გამოვყოფთ გემინაციის ისეთ შემთხვევებს, როგორცაა: ტანისამოს ინახავდა... ჩემავგირათუთხრა... გაიყვანა ამდინარეში...¹ რამდენადაც ანალოგიური ფაქტები არც სალიტერატურო ქართულისთვისაა უჩვეულო.

ს რ უ ლ ხ მ ო ვ ნ ო ბ ა

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სრულხმონობა ქართული-სთვის ისტორიულად ისეთივე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო, როგორც დღეს მეგრულ-ჭანურისთვისაა.² საყურადღებო მონაცემები აქვს ამ მხრივ ზემოაქარულს. აღსანიშნავია თანხმონთან თავმოყრის დროს ხმონის, ძირითადად ი-ს, არსებობა რიგ სიტყვებში, მაგალითად: თიბილი, (ტოპ. სახელში: წყალთიბილა), ტკიბილი, კიბილი, კილდე (ტოპ. სახ. კილდიძირი, კილდილობილა),

1 მაგალითები ამოღებულია კახურიდან, გვ. 63.

2 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძე, გვ. 111, ს. ედენტო, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, გვ. 179.

წიგინი, ხეჭეპო,¹ ფილავი,² აშიქარე, ნობო (ტოპ. სახ. ხობოსაძეარა) და სხვ.³

შეიძლებოდა ამავე რიგის მოვლენა დაგვენახა რიცხვით სახელებში — რჟადაცხგრა (შდრ. მეგრ. რუო, ჩხორო), მაგრამ რამდენადაც აღნიშნულ ძირებში (ფუძეებში) არ ისმის სრული ხმოვნები, ამიტომ ამ მაგალითებისაგან თავი შევიკავეთ. პირველის ფუძეში გრაფიკულად ჟ გამოვიყენეთ, ხოლო მეორისაში — ნეიტრალური ბგერა გ.

როდესაც ვ. თოფური ა განიხილავს რელექციის საკითხს ქართველურ ენებში, იგი ეხება აქარულის ამ მონაცემებს, სახელდობრ „კიბილ“ სიტყვის შესახებ შენიშნავს, რომ იგი „კიბილ“ სიტყვის აღრინდელი სახეა, რომელსაც შეესატყვისება მეგრულ-ქანური „კიბირი“, თუმცა იქვე დასძენს, რომ ანალოგიურ შემთხვევებში — აქარ. კილდე, წიგინი, ტკიბილი, ხეესურულში ჩი-რდილი, ჩინდა (ჩნდა), ფირჩხილი (=მეგრ. კან. ბირცხა, ბუცხა), კილდე, გირწყილი, ინგილოურში შიტო და მისთ. — ი ფონეტიკური წარმოშობისა ჩანს.⁴

ჩვენ მიერ მითითებული ზემოაქარული (resp. აქარული) სიტყვები ორგვარი წარმოშობისა უნდა იყოს; ერთი მხრივ გვაქვს კიბილი, კილდე, ხობო (კან.-მეგრ. კიბირი, კირდე, სვან. ხაბნა, ლაბნა),⁵ რომლებსაც ქართველურ ენებში სრულხმოვნიათ ფორმები შეესატყვისება, მეორე მხრივ კი ფილავი, წიგინი, ხეჭეპო..., სადაც ი ე თანხმოვანთა გასაყარია.

ანალოგია

ბგერითი ანალოგიიდან შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაზე:

სიტყვა ალიგ-ში ი ხმოვანი ადგილი-ს ანალოგიით უნდა

1 შდრ. კან. ხეჭეპა, ს. ჟლენტი, იქვე, გვ. 180, ხეჭი (საბა).

2 ს. ჟლენტი, იქვე.

3 შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 12-13, ავტორი ერთი მხრივ თანხმოვანთა გამყარი ბგერის განვითარებას გულისხმობს, მეორე მხრივ კი მიუთითებს ქართველურ ენათა იმ ფენაზე, რომელსაც სრულხმოვნობა ახასიათებს, ჟ. ნოღაიდელი ამ მოვლენას ბგერის ჩამატებლად მიიჩნევს (აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 13).

4 ვ. თოფურია, რელექციისათვის ქართველურ ენებში, გვ. 76.

5 ხობო-ში, რომ ო ძირისეული უნდა იყოს, ამ ფაქტს ადასტურებს სვანური ენის დიალექტ. შესატყვისი ფორმები (ლაბნა, ხაბნა), ეს ფორმები მოგვაწოდა ა. დავითიანი.

იყოს მიღებული (ფრაზაში: ამ ალიგეფში უწინ კოლტები „კაობები“ იყო...), ხოლო სტიქანში — კიქის ანალოგიით.

ერთმანეთის პარალელურად აქ გვხვდება „ერთმანები“: „კილარში ერთმანები ცემეს...“, „ექს თვეს ერთმანეთ ეარელაპარიკებოდნენ...“, ებ კომპლექსი აქ ეთ-კომპლექსიანი სიტყვების ანალოგიითაა გაჩენილი.

ანალოგიური ვითარებაა „ინტურისტებ“-ში. აქაც ებ-იანი სიტყვების ანალოგიით ლოკატივუსში — ში თანდებულის წინ ჩნდება — ებ კომპლექსი. ეს მოვლენა განპირობებული უნდა იყოს ასეთი ფაქტორითაც: „ინტურისტში“ თავს იყრის „სტშ“ კომპლექსი, რომლის წარმოთქმა გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული, ამიტომ „სტ“ კომპლექსსა და თანდებულისეულ (—ში) თანხმოვნით ელემენტს (შ) შორის ებ გამოდის თანხმოვანთგამყარის როლში.

„უმფოსში“ (გვხვდება „უმფროსიც“) მ, როგორც ცნობილია, „უმცროს“—ის ანალოგიითაა მიღებული.¹

სიტყვებში ამტენეთი, იმტენეთი (ამტონეთი||ამდონეთი, იმტონეთი||იმდონეთი), მაკტენეთი (||მაკტონეთი, მაგლონეთი) — ეთ სუფიქსი მიღებული ჩანს ასეთ-ისა და მასეთ-ის გავლენით.

ამრიგად, წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით აქ საქმე გვაქვს ნეიტრალურ ბგერითს ანალოგიასთან და არა ფუნქციონალურ ანუ მადიფერენცირებელ ბგერითს ანალოგიასთან.²

მორფოლოგიური ანალიზი

სახელი. სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ბოლოვდება იოტით.³ უნდა ითქვას, რომ აქ $\chi (<ი)$ -ს ხმარება არაა ისე გავრცელებული, როგორც მაგ., გურულში. მეტიც, ზემოაპარულში ხმოვანფუძიან სახელებთან აღნიშნული ფორმანტი უფრო იშვიათია, ვიდრე ქვემოაპარულში:

ზემოაპარულში იოტი გვხვდება:

ა. კნინობითის ფორმებთან: განდაგანაჲ, პირდაპირაჲ ხერხი, კუდაჲ, ალაზანაჲ, მეხეჭრიაჲ, კუტტანტარუქაჲ ...

1 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 231-232.

2 იქვე.

3 იხ. ზემოთ „ბგერითი შედგენილობა“.

ბ. პიროვნების სახელებთან: უსუფაჲ, არჩილაჲ, ყადირაჲ, ზექიეჲ, ვესილეჲ...¹

გ. ვე— ნაწილაკიან რიცხვით სახელებთან: ორნავეჲ, სამნავეჲ, შვიდნავეჲ....

მაგალითები წინადადებებში:

ნათუზარში წრეჲლაჲ ალაზანაჲ უნდა დაეთესო... განდაგანაჲ ჩვენმა რიხალამ მასტავლა... ჩემფერი მეჩეჲრიაჲ სოფელში არაკაცი არაა!.. კუტტანტრუქაჲ ყანი ღნის დროს გაჩინდება... ზექიეჲ მასწავლებლათ დჷნიშენან... სამნავეჲ ჩაზადენ გოლში (ტბაში) თურმეც...

დ. ზემოგანხილულ ბოლოხმოვნიან სახელებს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნებებში ზოგჯერ უცვლელად ერთვის ბრუნვის ნიშანი-ის, -ით, მაგრამ ბრუნვის ხმოვნითი ნაწილის (ი-ს) დასუსტების შედეგად აღნიშნული ფორმანტები ასეთ სახეს იღებს:— მს, — მთ. თანაც ბოლოკვეცად ფუძეთა გარკვეულ ნაწილს ბოლო ხმოვანი არ ეკვეცება და ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი მ-თაა წარმოდგენილი, ისევე როგორც ძველ ქართულში.²

ნათესაობითში: სუნყველაჲს გულისთვინ (||სუნყველას გულისთვინ)... ქოსაჲს ძმები... ვინცხაჲს ბრალია, კი ვიცი... ემინეჲს ბაღვი... დედეჲს სიყვარული... გონია საცოლეის დაბარებული (ნოლ. III, 48)...

მოქმედებითში: ხეები მაშინაჲთ ამჷზიდვან... იმ არაზაჲთ მეიტანეს... ბაბოჲდან ანდერძი ქონდა... ვერცხლის წყაროიდანაჲ მოტანილი (ნოლ. III, 103)... ჩემ ქვეყანაში გამაგზანე რამეითო (ნოლ. III, 49)...

ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი ს მოკვეცილია პრეპოზიციულად ხმარებულ ბოლოთანხმოვნიან და ბოლოკვეცილ მსაზღვრელ სახელებთან, მაგალითად: ყურძნიწვენი, ქათმიხორცი, კინიკრავოტი, ბიძიქალი, დელიპირი, კილდიძირი...

1 ზოგჯერ მ ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში შენიშნულია მთიულურში (არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 49) და ქართლურში (ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 138-139); გავრცელებულია აგრეთვე გურულში, თუმცა იქ სრული ი-ც გვხვდება (ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 58); ასევე იმერულსა და ლეჩხუმურში (შ. ძიძიგური, ძიებანი, გვ. 148, 166-167).

2 ა. შანიძე, ძვ. ქართული ენა... გვ. 239, არნ. ჩიქობავა, მთიულური, გვ. 49, მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 17, ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 58-59. კახური, გვ. 68.

ასევე, მიც. ბრუნვა, როგორც წესი, წარმოდგენილია ხ თანხმონის გარეშე.¹

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისეული ა ელემენტი იშვიათად ბოლოხმოვნიანებთანაც გვხვდება: კრლარმი თვალეზი გამოკეკა მ ა ბ ზ ა კ უ ნ ა მ ა... თვითან დეიტირა თავის დ ე დ ა მ ა... მ ა რ ო ბ ა შ ი გამოვდა სამა დ დ ე მ ა.²

კითხვითი ნაცვალსახელი რა, მსგავსად ძველი ქართულისა, აღნიშნულ ბრუნვებში არ იკვეცს ფუძისეულ — ა ხმოვანს, მაგალითად: ...რა ვარ, რ ა ი ს მქნელი (გაზ. „საქ.“, 1916, № 248). რ ა ჯ ს ჩლუქია, ამხანაყო, ისი?.. რ ა ჯ თ კრი, ბიძავ, თუთუნ?..

ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი წოდებით ბრუნვაში ჩვეულებრივ ვ თანხმოვნით ბოლოვდება: ა ს ლ ა ნ ა ვ! ფ ა დ ი მ ე ვ! ა კ მ ე დ ა ვ! მ ი ხ ე ი ლ ა ვ!..

იშვიათად, მაგრამ ორიოდ მაგალითით მაინც დადასტურდა აქ წრფელობითი ბრუნვის შემთხვევები. იგი წინადადებაში გადმოგვცემს გარემოებას (დროის, ადგილის), მაგალითად: ს ა დ ა მ ო პ ი რ ჩავარდა... დიდ ტ ყ ე შ ი (ნ ო ლ. III, 11)... თელი დ ლ ჯ ა რ ა გაფდუმლეფს ც ე ც ხ ლ ა პ ი რ... შვით წ ე ლ ყურბეთ იყო თურმეც... ყ ვ ე ლ დ დ ე თითო ღერ ბანალ მეჯ წიკვდა... სოფლი ს ო ფ ე ლ იარებოდა...

ასევე გამოსვლითი ბრუნვის ფორმა.³ მაგალითად: მე ამას თ ა ო ბ ი თ ვამბობდი, მარა კაცმა არ დიმიჯერა... არც იკმება, არც ისმება, ა რ ა კ უ თ ხ ი თ არ მიჯსლება (ამოსახსნელი), ს ი რ თ ი ' თ სირთ გედევდენ ფირალეზმა... ბახს მ ჯ ე რ ე კ ე დ რ ი თ ვენახი ესამზლრება...

ვითარებით ბრუნვაში ქონების იან-სუფიქსიანი სახელები ოდენ ა — ხმოვნითაა წარმოდგენილი, მაგალითად: ქ ა ლ - ბ ა დ ვ ი ა ნ ა, ხ ი ბ ა კ ი ა ნ ა, გ ო დ რ ი ა ნ ა, გ ა რ გ ნ ი ა ნ ა...

წინადადებებში: შენი ხ ი ბ ა კ ი ა ნ ა რომ დაპტყელდი, პაწაჯ

1 იხ. „ფონეტიკური მოვლენები“.

2 ანალოგიური ფორმები გვხვდება იმერხელში: დუუძახა ჰ ა ს ა ნ ფ ა შ ა მ ა ქელოლანი... არ მიცა ნება თავის დ ე დ ა მ ა... (მ ა რ ი, იმერხ. გვ. 61), კახურში (გვ. 69), და სხვ.

3 შდრ. დაწყებითი ბრუნვა ქართულში, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 139.

გეგმარ და... ქორეზაჲ (ივნიანი) რომ დეჲლევს, ქალბადვი-
ანა თჳში გავჳსწევთ... იმანც მოცოცხა გუდიანად დიანა...¹

ხშირია იგივე ა დაბოლოება სხვა სიტყვებთანაც, ოღონდ აქ
მას დახლავს უპირატესად. მაგალითად: ამმეტა თჳარ შიგი-
ცლად... რატომ კილებს ხელს ცხენის მეტა სხუსო (ნოდ. 111,
39)... ამწახანებაჲ სულ ნამსხმანი მექედება... ვინ გითხრა,
რომ დჳკითხავაჲ ჩარგეთ ამ ალიგზე ეს ჩქოლა?!... ამხელა
ჳვართ... თუ უღჳსვენებლაჲ ჩეჲტან ხითთან, ბრავა მენ!
ჩემ გულობაჲჳენ რატონდა გეჲტანჯო თავი?...²

ეგვე ა დაბოლოება გვხვდება ზნისართებთან, რომლებსაც
ფუძედ გამოყენებული აქვთ მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, მა-
გალითად: მოცლითაჲ.³ წოლითაჲ, მანგლითაჲ და
სხვ.⁴

წინადადებებში: მოცლითაჲ თუ ხარ, პაწაჲ წაჳმკარ
ხელი!.. ენაკეთი ზიართაჲ დაჳმუშაოთ!.. შენითანა ვაჳაკეფ
წოლითაჲ გჳმკლავდები!.. აჳდენი ბალახი მანგლითაჲ
რაჲერ უნდა მოჳკრაჲ.. პარანგითაჲ არ გჳმვა ბლვი ოზო-
ში!..

როგორც ცნობილია, ამ მოვლენის ახსნა მოცემული აქვს
პროფ. არნ. ჩიქობავას, რომლის შეხედულებით ვითარებითი
ბრუნვის ნიშნად უძველეს ქართულს უნდა ჳქონოდა ერთის მხრივ
— ა და მეორეს მხრივ — დ.

ასე რომ, აჳარული მაგალითები, რიგ ქართულ კილო-თქმე-
ბთან ერთად, ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ზემოაჳარულში ყურადღებას იპყრობს მიცემითისა და ვითა-
რებითის ბრუნვამონაცვლეობა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში
გარკვეულია მიცემითისა და ვითარებითის კავშირი, მითითებულია

1 შდრ. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარ-
მოებისა და ისტორიისათვის: ენიმკი-ს მოამბე, 1. 1937, გვ. 18. ავტორი დასძენს,
რომ მსგავსი ფორმები ხშირია ინგილოურში. იმერულ მეტყველებაში ღღემდე
მოღწეულია ამგვარი გამოთქმები: ცოლშვილიანა, ძირფესვიანა, დედაბუღიანა...
(იქვე), მსგავსი ფორმები გვხვდება ჳვემოიმერულს უხუთურ მეტყველებაში (ქ.
ძოწენიძე, უხუთური მეტყველება, გვ. 48). ჳემოიმერულში (მისივე. ჳე-
მოიმერული კილოკავი: აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომე-
ბი, 11, 1952-1953, გვ. 79), კახურში (გვ. 70) და სხვა.

2 შდრ. იმერხ. „ეს უჩუჳალა ჳოპრეს (სი) უნდა მიიყვანო...“, „ოთ-
ხასი კსკით მოსული ვარ შენი თავის მოსაკლელაჲ“ (მარი, დასაბ. შრ.
გვ. 58-61).

3 შდრ. გურ. მოცლითაი (გ. შარაშნიძე გურ. ლეჳსიკონი).

4 მსგავსი ფორმები დადასტურებულია გარეკახურშიც: ბარითაჲ, ნიჩბითაჲ,
ნამგლითაჲ... არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. გვ. 62.

ამ ბრუნვათა ნიშნების ფუნქციის შესახებ.¹ ზემოაქარული ამ მიმართებით საყურადღებო მაგალითებს გვაწვდის. ხშირად ვითარებით ბრუნვაში მოსალოდნელი ფორმა მიცემით ბრუნვაშია. ეს მოვლენა შეეხება როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ სახელებს. განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როცა ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია თანდებულიანი (—ში,—ზე) ფორმა² მაგალითად: იმაზე ნაკლებს არ მუშაობს ი კაცი... მოცივის აკრეფელში არ მოხვალ, გო?... რალამც რუმ შენი ძმა სანადიროს დადის (ნოლ. II, 8)... იმდონზე რომ გაფართოვდებოდეს გზები, რომ მაშინაები უშუქევენენ ერთქვანეთ... ამდონზე თუ გეშინია, რალას მოდიოდი (ნოლ. III, 10)...

რალირს? — ხუთი მანათი. — ნაკლებში არ იქს?... ძვირი არ დიმიყდა, ხუთ თუმანში გამტელ... მაგიორში ის ორჯელ დახნავს... პირველში ვინცხას დეჟდება თავზე, ის ევჩით... უმფოსი ძმა მოსაგებზე იყო წასული...

იშვიათად ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება სახელობითის ფორმაც: მეტიკაია მაგია... ხედავ, აქეთ მეტი ბნელა... დიდიკაი არც მაგია... იმდონი სხვა არ ვართ ჩვენ, რატონ მორცხვოფ...

ე— ხმოვანფუძიანი სახელები თავისებურებას იჩენენ მრავლობითის წარმოებისას, ფუძისეული ე ხმოვანი ჩვენ მიერ ზემოთ განხილული წესის თანახმად დისიმილაციას განიცდის — ებ სუფიქსის ხმოვანთან,³ რის შედეგად მრ. რიცხვში ასეთ ფორმებს ვლდებულობთ: კილდეები (<კილდეები<კილდეები), დელდეები, დლდეები, ხდეები... ასეთივე სურათი გვაქვს ტოპონიმიკურ სახელებშიც: გორგაძეები, პაქსაძეები, მეკეიძეები, ქიძინიძეები, დარჩიძეები (სოფლების სახელებია ზემოაქარაში).

სხვა ფუძისეული ხმოვნები კი სრულ ასიმილაციას განიცდიან, მრავლობითი რიცხვის — ებ სუფიქსის ხმოვანთან, შემდეგ კი,

1 ვ. თოფურია, ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 5, № 3, 1944, 33-399.

2 შდრ. იმერხ. „ამ ლესისა (ლექსისა შ. ნ.). გამომქმელი, ნახეეარ... ზე ბეჩიაო... მარო, იმერხ. გვ. 53.

3 იხ. ზემოთ „ხმოვანთა დისიმილაცია“.

როგორც ზემოთაც ითქვა, დისიმილაციის შედეგად **ა-ად იქცე-
ვა.**¹ მაგალითები **ა-ზე დაბოლოებული სახელებისა:** **ყ ა ნ ჯ ე ბ ი**
(**<ყანიები<ყანეები<ყანაები**), **დ ე ბ ი**, **თ ე ბ ი**, **ს კ ე ბ ი**,
ლ ო ყ ე ბ ი, **კ ა ლ თ ე ბ ი** (შდრ. ძმები, თმები...)...

უნდა ითქვას, რომ „რა“ ნაცვალსახელი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. მრავლობითის ერთადერთი ფორმაა „რები“. იმ საწყაღს რ ა ე ბ ი არ გადახდა თავზე... ოღონდ კარქა ისტაველ და ნახე, რ ა ე ბ ი არ გიყიდო ამ ზაფხულ...

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თანხმოვანფუძიანი სახელი მრ. რიცხვს აწარმოებს ზმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით, მაგალითად: ბეგი — მრავლობითში: ბ ე გ ე ბ ი. დ უ დ ე ბ ი (თავეები, მაგ. კომბოსტოს დახვეული თავები) და სხვ.

არაიშვიათად გვხვდება რიცხვით სახელებში მრავლობითის ნ-არიანი ფორმა — ვე ნაწილაკის დართვით, მაგალითად ო რ ნ ა ვ ე მ (||ორნივემ) ამოჯით ჩემთან... ს ა მ მ ნ ა ვ ე ს (||სამნივეს) მჭურჭვე...
ეს ფუძე (ო რ ნ ა — ი ვ ე) გამოყენებულია ყველა ბრუნვაში სათანადო ბრუნვის ნიშნის დართვით: ს ა მ მ ნ ა ვ ე ს, ს ა მ მ ნ ა ვ ე მ და ა. შ.²

ეს ფუძე (ო რ ნ ა — ი ვ ე) გამოყენებულია ყველა ბრუნვაში სათანადო ბრუნვის ნიშნის დართვით: ს ა მ მ ნ ა ვ ე ს, ს ა მ მ ნ ა ვ ე მ და ა. შ.²

სახელთა ორმაგი მრავლობითობის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: **მ ჯ ე რ ე ნ ე ბ ი**, **ს ხ ტ ა ნ ე ბ ი**, **გ ე ე რ დ ე ნ ე ბ შ ი**, **ქ ე ბ ე ბ ი ა ნ ი** (=რქებიანი), **მ ო წ მ ე ნ ე ბ ი** და სხვ. ასევე ქობულეთურის მსგავსად ქვანის ზოგიერთ სოფლებში იგი, მაგნი ნაცვალსახელებთან, მრავლობითობის გადმოსაცემად ორივე — ნ, — ებ სუფიქსი გვხვდება ერთდროულად: **ი გ ი ნ ე ბ ი**, **მ ა გ ი ნ ე ბ ი**, **ი გ ი ნ ე ბ მ ა**, **ი გ ი ნ ე ბ ს...**

წინადადებებში:

მ ი ო რ ე ნ ე ბ მ ა შეიკითხენ (ნ ო ლ. III, 106)... გეცხება,

1 მ. ხუბუა მრ. რიცხვის — ებ ფორმანტსა და ფუძეს შორის **ი** ზმოვანს გაჩენილად თვის (იხ. დასახ. შრ. გვ. 13-14). ამ აზრს იზიარებს **ჯ. ნ ო ლ ა ი-
დ ე ლ ი** (აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 18), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, **აქ ე** მომდინარეობს ფუძისეული იმპონისაგან, ანალოგიური შემთხვევები აქვს დადასტურებული **ს. ე ლ ე ტ ს გურულში**, თუმცა როგორც იგი აღნიშნავს, ეს ნაკლებად და მამახასიათებელი ვერულისათვის. **ს. ე ლ ე ტ ი** ი ზმოვანს განიხილავს ფუძისეული ა-საგან განვითარებულ ბევრად (გურული კილო, გვ. 61); ასეთი ფორმები და მამახასიათებელია იმერხეულისთვისაც... **ა ჯ შ ა ზ ა ნ უ მ ის თ მ ი ე-
ბ ი...** მისთვის მომდის **ც რ ე მ ლ ი ე ბ ი**. ...**ს ო ფ ლ ი ე ბ ი**. **ტ ყ ი ე ბ ი...** (მ ა რ ი, იმერხ. გვ. 50), ანალოგიური ფორმები მრ. რიცხვში დადასტურებულია აგრეთვე მესხურშიც (ძიებანი, გვ. 138-139), **შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი** პარალელს აქვს მესხურსა და გურულ-აქარულ ფორმათა შორის (იქვე).

2 ო რ ნ ა ვ ე და მსგავსი ფორმები მიღებული ჩანს ო რ ნ ი ე ე-სა და ო რ-თ ა ე ე-ს კონტამინაციის შედეგად.

რომ წამოვდა რაცხა შავი ქებებე ბიანი... სხტანებმა ველარ მუსტრეს... ბოლოხან იგინებსაც გუნცხადა... მოწმენებსაც უნდებიან, რუმ (ნოლ. III, 128)...

მრ. რიცხვის — ებ ფორმანტია წარმოდგენილი ჩვეულებრივ საურთიერთო ნაცვალსახელში „ერთმანეთი“, მაგალითად: მამლეფსავენ წაეკიდენ ერთქვანეფ... დნდვეს ერთმანეფ ხმალები...

მრავლობითობა ზოგჯერ კრებითობის-ობა სუფიქსითაა გამოხატული: თელი ნათესაობა იქ იყენენ... ახლავენ შატყობი მეზობლობას...

რიგი სახელები მეტეოროლოგიური ნომენკლატურიდან მრავლობით რიცხვშია ნახმარი (მხოლობითის პარალელურად) წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულისა, სადაც — ებ სუფიქსის დართვა არ ივარაუდება ნორმით, მაგალითად: ამ სიცხაეფ წვიმები მოყვება... ათი დღე, რომ გუწიოს კიდვენ ამფერბა დარებმა...

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

პირის ნაცვალსახელები, „უნდა“ ნაწილაკის ნა და და ელე-მენტებთან შერწყმული, ასეთი სახით გვხვდება: მენა, მენდა¹ (ფრაზაში: მენა წევდე) შენდა („შენდა მოკწერო წერილი...“), ისნა, ისდა („ისნა მოვკლა ცემაში“), ჩვენდა, თქვენდა, ისინინდა („ისინინდა წეაყუანონ“).

მეორე პირთან ახლოს მყოფობის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები ეგ, მაგ, გვხვდება მეგ ფორმით. იგი მიღებულია ეგ და მაგ ფორმათა კონტამინაციით; ეს ნაცვალსახელი მხ. რიცხვში არ დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს: მეგ ჰა გადამჩქმანდა აქნობამდი?.. მაგრამ მეგენი მეიტანე აქ!.. მეგ რამხელა ჰვირთი მოგიკილია!.. ჯერ მეგენი მეაყუაფ აქეთ!.. მაგინო ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში წინააღმდეგ ლიტერატურული მაგათ ფორმისა, გვხვდება მაგინს, მაგინთან. მაგ.. მშიშარამაც... დეიწყო მაგინთან ცხოვრება (ნოლ. III, 31)... ზღვის ცხენმა უთხრა მაგინს (იქვე, 5)...

შენ ნაცვალსახელი ზოგჯერ შენე-ს სახითაც გვხვდება:

¹ იხ. აქვე, ელიზია, გვ. 54.

შეცვალა გახელებული ვარ და შენეც არ მანახეო ბელა!.. შენე, ტატულავ, მასვი წყალი კდრები სულისთვინ!..

ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, და ის, ისე როგორც რიგ სხვა დიალექტებში¹ ზემოაქარულშიც თანხმოვანმოკვეცილი ფორმით გვხვდება: ი ბაღვი, ე გომბიო და სხვ.

ეგვე ნაცვალსახელები წინადადების დამოუკიდებელ წევრებადაც ამ სახით წარმოგვიდგება: გეახედევი, ი რაახს ბულია, კო!.. ე მაქში ჩახყარე და კარქა წყურცე თაეი!..

როგორც ცნობილია, ეს ნაცვალსახელები გურულშიც თანხმოვანმოკვეცილი სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ იქ ხმოვანი უფრო გრძელია, მეორე ნაწილი, შეიძლება ითქვას, ნახევარხმოვანია: იჟ კაცი, ი კაცი. ეს იჟ (||ი) მიღებულია არა ის ნაცვალსახელისაგან. არამედ იგი ფორმისაგან გ-ს დაკარგვის შედეგად. ასეა ეს ნაცვალსახელი (იჟ) კახურში.² ზემოაქარული ამ მხრივ აღმოსავლურ კილოებს უახლოვდება.

ყურადღებას იპყრობს ისი, ესე ნაცვალსახელები. ეს ნაცვალსახელები წინადადების დამოუკიდებელ წევრებად იხმარება,³ შავალითად:

— მაჩვენე ერთი მაჟ წიგინი!

— რემელი, ესე?..

— ი გოგო რომ სამოფს, იცნოფ ვინს?

ისი?

— ჰოც ...

ქოთან დულდა, გადმოდულდა. ნეტაჟ ისი რა არივო?

ქივრი ჩიტი ქიკვიკობდა, ნეტაჟ ისი რა არივო?... .

1 არნ. ჩიქობავა, ვარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, 77-78, მისივე, მთიულური, გვ. 51, ვ. თოფურიია, ქართლური, გვ. 133, ს. ქლენტი, გვ. 60 და სხვ.

2 ნ. გოგუაძე, კახურის თავისებურებანი: „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 15. (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)“, 1953, გვ. 169.

3 იხ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“. ენიმკ-ს მოამბე, 111, 1938, გვ. 216 და 221, მისივე, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, გვ. 104. ისი, ესე შენიშნულია ფერეიდულში (არნ. ჩიქობავა, ფერეიდულის მთავარი თავისებურებანი, ტფილ. უნივ. მოამბე, 7, გვ. 213), შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 17, შ. ძიძიგური, იმერული და მთარაქული დიალექტები, ძიებანი, გვ. 159 და 191, ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 82, ასეთი ფორმები გვხვდება აგრეთვე ფშაურში: მ. კობალაძე, ფშაურის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. სამეცნ. კონფერენციის თეზისები, 16, 1954, გვ. 147, კახური, გვ. 76.

ხშირია ჩვენებითი ნაცვალსახელის შინაარსის გადმოსაცემად-
ეშე-ს ხმარების შემთხვევები. მაგალითად: ე მ ე კაცმა დღე ძალტან
ივარგა... ე მ ე ბაღმა...

ეგვე ნაცვალსახელი — ში თანდებულითაც გვხვდება, მაგრამ
ამ შემთხვევაში იგი ლოკატივუსის შინაარსის შემცველია, მაგალი-
თად: ე მ ე შ ი არ მიდინარ, ბიძავე?... ე მ ე შ ი ჩახყარა...

ჩვენებითი ნაცვალსახელი ა მ დ ე ნ ი, ი მ დ ე ნ ი, მ ა გ დ ე ნ ი,
როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, გვხვდება ა მ ტ ე ნ ი (||ამტონი,
ამდონი, ამტენეთი, ამდონეთი), ი მ ტ ე ნ ი (||იმტონი, იმდონი,
იმტონეთი, იმდონეთი), მ ა კ ტ ე ნ ი (||მაკტონი, მაგდონი, მაკტო-
ნეთი, მაგდონეთი)-ს სახით:

თ ვ ი თ ო ნ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის პარალელურად
იხმარება თ ვ ი თ ა ნ, ხოლო იმავე თ ვ ი თ ო ნ ნაცვალსახელს
ხშირად ენაცვლება თ ა ვ ა თ,² მაგალითად: თ ვ ი თ ა ნ მისი ხელით
ჩარგო ი ჩქოლა... თ ა ვ ა თ მას შეცთა...

თ ა ვ ა თ გვხვდება თ ვ ი თ ო ნ და III პირის ის ნაცვალსახე-
ლთა მაგივრადაც. ცნობილია, წინათ ცოლი ქმარს სახელით ვერ
მიმართავდა, ამიტომ იყენებდა თ ა ვ ა თ ნაცვალსახელს. მაგალი-
თად: თ ა ვ ა თ (ე. ი. ის, თვითონ) ხომ არ დიგინახავს, ბაღების
ბაბოჯ?... თ ა ვ ა თ მტა და იმას კითხევი!..

დასავლური კილოების მსგავსად არაა გარჩეული თ ა ვ ი ს ი
და მ ი ს ი კუთვნილებითი ნაცვალსახელები: „მ ი ს თავე (=თავის
თავე) ეილო დანაშატილი... ბეგმა მ ი ს ი საკუთარი ძმა არ დეინ-
ლო თურმი... (შღრ. თ ა ვ ი ს შობლეფსაც უმაღვიდა)...

ამა და ამ ნაცვალსახელს ჩვეულებრივ ენაცვლება ა მ ა ვ ა ლ:
ა მ ა ვ ა ლ სახენწიფოში ერთი ზისუნახავი ქალი ცხოვროფს... თუ
მომაკითხავ ა მ ა ვ ა ლ ადგილზე, უცილველათ დაგაზვენდრეფ...

ხაზი უნდა გაესვას ჩვენებით ნაცვალსახელებს: ა მ ი ე რ თ ე-
ბ ი, ი მ ი ე რ თ ე ბ ი, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ მრ. რიცხ-
ვის ფორმით გვხვდება, იგი შეიძლება სახელობითის გარდა სხვა
ბრუნვაშიც იყოს, მაგალითად: ა მ ი ე რ თ ე ფ ამგზობაჲ ნუ.
გეჲყჷან სამუშიერზე... ისეგავ, ი მ ი ე რ თ ე ბ მ ა უნდა აჯო-
ბონ...³

დადასტურებულია ასეთი სახის განუსაზღვრელი ნაცვალსახე-

1 ე მ ე რომ ამა ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს, ეს ახსნილია არ. მ ა-
რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ს ა და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (კახური, გვ. 78).

2 ი ქ ე ე.

3 შღრ. ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, უხუთური... გვ. 50-51.

ლები: ვინცხა, რაცხა, რომელიცხა, ვინძღა, რაძღა.
(||რაძღა).¹

სხვა რიგის ნაცვალსახელებიდან: რავარცხა, რაცხამეთი... „სიფართე, რაცხამეთი ლერწამი იქნებჲ, იმფერი გამოვა“ (ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I გვ. 339)... რავარცხა იქნა, გამოვდა გარეთ უნცროსმა დევმაც...

ფერ — კომპონენტიანი უარყოფითი ნაცვალსახელები ფონეტიკურ ნიადაგზე ასეთი სახეცვლილებით გვხვდება: ვუფერი, ვმფერი, ნუფერი, (||ნუფერი). ნულაფერი (||ნულარაფერი)...

წინადადებებში:... მარა ვეეფერი ვერ მოიგო (ნოლ. III, 130)... შენ მაგაზე ნულაფერ ნუ იჩივლეთ... ნუფერ ნუ იტყვი და ფარას მოგცემთო (ნოლ. III, 156)...

ურთიერთობითი ნაცვალსახ. ერთმანეთი-ს პარალელურად აქ ხშირად გვხვდება ერთქვანები: კილარმი ერთქვანები დამარცხეს... ერთქვანებს შეხედეს და თქვეს (ნოლ. III, 4)...

არაიშვიათად იხმარება ...პლეონასტური ერთი-ერთქვანები (← ერთი-ერთმანეთი). რომელიც „ერთიმეორისა“ და „ერთმანეთის“ კონტამინაციით. წარმოდგარო ჩანს“ (ა. შანიძე, საფუძვლ., გვ. 98). იმ ზისუნახავ ქალ რომ არ მხეხტრო, ერთი-ერთქვანეფ შასკედობდენ... ამის შემდეგ ისინი, ერთი ერთქვანებს აძლევენ ნაწილს ნაქურდალიდან (ნოლ. III, 164)...

ერთმანეთი კრებითობის —ობა სუფიქსის დართვის გამოეთ (←ერთ)-ს მოიკვეცს და —ში თანდებულის დართვის შედეგად ასეთ ფორმას მიიღებს: ერთმანობაში (=ერთმანეთს შორის, ურთიერთშორის): ერთმანობაში თუ მისლა-მოსლა არ გვექნება, რალა ნათესაობა ეგე!.. ერთმანობაში რომ ამბვის მიტან-მოტანა არ იცოდეს. მაგა ქალი არ აჯობეფს...

ხშირია აქ იმავ. იმანო² ნაცვალსახელები, რომელნიც წოდებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. მოლაპარაკე მიმარ-

¹ იქვე.

² შდრ. მავანი (ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 43), კახური ისემე, ესემე გვ. 77-78.

თავს მას, როცა არ სურს დასახელება, ანდა დაავიწყდა თანამოსაუბრის სახელი და გახსენების მოლოდინში იძულებულია მიმართოს ნაცვალსახელის გამოყენებას, მაგალითად: იმ ან ო, დღე არ მიდინხარ ხულას?... იმ ა ვ, არჩილ, რამითათაა ე რადიო?... იმ ა ვ, რა ქქვია შენ, ფაცუქელავ?...

გავრცელებულია უარყოფითი ნაცვალსახელების შინაარსის გადმოსაცემად ასეთი ფორმები: ა რ ა კ ა ც ი (=არავინ), ა რ ა ს უ ლ დ გ მ უ ლ ი, ა რ ა ს უ რ ი ე ლ ი (=არავინ), კ ა კ ა ლ ი კ ა ც ი (=არავინ), ვ ე რ ა კ ა ც ი (=ვერავინ), ნ უ რ ა კ ა ც ი (=ნურავინ), ვ ი ნ მ ე ა რ... (=არავინ), რ ა მ ე ა რ... (=არაფერი).¹

როგორც ქვემოთაც დავინახავთ, უარყოფითი ნაცვალსახელების მაგივრობას აქ ეწევა უარყოფით წინადადებაში შემავალი უარყოფით ნაწილაკიანი სახელები: კ ა ც ი, ს უ ლ დ გ მ უ ლ ი, ს უ რ ი ე ლ ი (სულიერი), რომელთაც წინ უძღვით უარყოფითი ნაწილაკები ა რ ა, ვ ე რ ა, ნ უ რ ა ან უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციით აღქურვილი კ ა კ ა ლ ი. ამავე შინაარსის შემცველია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ვ ი ნ მ ე, რ ა მ ე, რომელნიც ისეთ უარყოფით წინადადებაში გვხვდება, სადაც უარყოფითი ნაწილაკი წინააღმდეგ ჩვენ მიერ ზემოთგანხილული წესისა, ზმნას ეკედლება. ამგვარად, I შემთხვევაში ორმაგი უარყოფა გვაქვს, II შემთხვევაში კი ერთმაგი.²

იშვიათად უარყოფით წინადადებაში ა რ ა ვ ი ნ-ის მნიშვნელობით „კაცი“ უნაწილაკოდაც გამოიყენება.

მაგალითები წინადადებებში:

ა რ ი კ ა ც მ ა ა რ უნდა შეიტყოს (ნ ო ლ. III, 128)... კ ა კ ა ლ ი კ ა ც ი ა რ ჩანს... ვ ი ნ მ ე ა რ მოსულა... რ ა მ ე ა რ (=არაფერი) მ უ ტ ა ნ ი ა... ა რ ა ს უ რ ი ე ლ ი ა რ გაქაქანებულა... შენ ნ უ რ ა კ ა ც ნ უ უყურეფ, შენდათვინაჲ გ ა კ ე თ ე... ს ის ტ ო რ ა დ ე ზ ე ი მ უ შ ა ვ ე დ ა, შენ ვ ე რ ა კ ა ც ი ვ ე რ შეგეხევა...

1 იხ. ამ საკითხის შესახებ სპეციალური გამოკვლევა: დ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ო, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 4, 1953, ა. შ ა ნ ი ძ ე, გ რ ა-მატიკის საფუძვლებში (გვ. 44) შენიშნავს, რომ „არაკაცი“ ცოცხალ კილოებში გვხვდებაო.

2 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ორმაგი უარყოფა ქართულში. საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწადული“, I-II, თბილისი, 1923-1924, გვ. 74-116; ჩვენ შეგვეძლო ზემოთაც გვეთქვა, რომ უარყოფით ნაცვალსახელთა შინაარსის გადმოსაცემად აქ წარმოდგენილ ფორმათა (კონსტრუქციის) პარალელურად ზემოაქვარულ ჩვეულებრივ საშუალებასაც მიმართავს (არავინ, ვერავინ); ანალოგიური ფორმები გვხვდება აგრეთვე იმერხელში: „ა რ ა კ ა ც ი ს გასავალი არ იყო...“ (მ ა რ ი, იმერხ., გვ. 59).

მრავალფეროვანი და საინტერესო მონაცემები მოეპოვება ზემოაქარულს თანდებულთა ხმარებისა და წარმოების თვალსაზრისით. ბევრ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს ჩვენს მეტყველებას ამ მიმართებით არქაული ფორმები.

ზემოაქარულისთვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს —ში და —ზე თანდებულების დართვა ადგილის ზმნიზედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებზე. ამდენად —ში და —ზე თანდებულების გავრცელების არე აქ ფართოვდება, მაგალითად: ა გ ზ ე (აქ, ამ ადგილას) მინდა უოლი ჩქოლა ჩავგო... მ ა გ ზ ე დაალაგე!.. ა ქ შ ი ც ჩაპხყარე ცოტა!.. ი ქ შ ი ა ჩაწყობილი...

ამ ფაქტს საფუძველი აქვს ძველ ქართულშივე. ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ს თავის შრომაში „თანდებული ქართულში“ მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითები: ქმნა მ უ ნ შ ი ნ ა სასწაულნი მრავალნი (კიმ. ტ. I, 193, 20), ილოცე მ უ ნ შ ი ნ ა ფარულად (ბოლნ. 18, 28), პოონ ა ქ ა შ ი ნ ა მრავალი სარგებელი (Onuc: 170).¹ ასევე: ფერეიდნულში გვხვდება ი ქ ე ბ ჩ ი .² ზემოაქარ. „იქში“, „აქში“ ძვ. ქართ. „მ უ ნ შ ი ნ ა“, „ა ქ ა შ ი ნ ა“ და ფერეიდ. „ი ქ ე ბ ჩ ი“ ფორმათა კანონზომიერი მორფოლოგიური შესატყვისობებია. —ში თანდებულიან მიცემითს ზოგჯერ ენაცვლება უამთანდებულო ფორმა, სადაც ბრუნვის ნიშანი ხ ხან წარმოდგენილია და ხან არა, მაგალითად: ბ ა თ უ მ როჲს აპიროფ?.. ხვალდამ თ ა გ ო ს მიველ ქორწილში... ჩემი გოგო თჳარ მოქწონს კუდი ღ ლ ი ა ს და გზა-ბარაქას, ვინ გახევს კალთაჲე?!.

—ზე, —ში თანდებულიანი მიცემითი ენაცვლება ზოგჯერ უთანდებულო მიცემითსა და ვითარებითს, მაგ.. ამ დ რ ო ზ ე ქალ მ ლ ე ყ უ რ ა შეყვარებულის ხმა... ს ა ღ ა მ ო ზ ე ბიკმაც მოვდა შინ... ამ დ რ ო შ ი გული მ შ ე ვ და ხენწიფეს..... პ ი რ ვ ე ლ შ ი კოლექტივში მე შეველ... ი მ ტ ო ნ ზ ე გაფართოვდა გზაები, რომ მაშინაებო შუქქევეენ ერმანეფ... ოზდახუთ თ უ მ ა ნ შ ი ვიყიდე... ამ დ ო ნ ზ ე თუ ივარგებდა ი ბიკი, არ მეგონა...

„შემდეგ“ თანდებულის ფუნქცია აქ დაკისრებული აქვს „უკან“ ზმნისართს. ის დაერთვის დროის გამომხატველ სახელებს (ხანი, წელიწადი, აჭ. წელწადი, დღე...), სახელს მართავს ნათ. ან მიც. ბრუ-

1 იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, გვ. 218.

2 ა რ ნ . ჩ ი კ ო ბ ა ვ ა , ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 7, 1927, გვ. 214.

ნებაში და აღნიშნავს შემდგომობას, მაგალითად: ს ა მ დ ლ ე ს უ კ ა ნ რომ მე აწვევდე კრებას, უმფო მეტი ხალხი და. ესტრობა... ცოტა ხნის უკან წამოვდა სოროტი წვიმა...

ყურადღებას იპყრობს — დამ თანდებულის არსებობა ზემოაქარულში. იგი, როგორც გარკვეულია სპეციალურ შრომაში, მომდინარეობს და დამა ზმნისართისაგან.¹ მაგალითად: ნ ა ფ ო ც ხ ე ა რ ი და მ ჩამეცტა ე ს ე ნ ი... შ ა ნ ე და მ აქ საკლეთი... იმხელა ქ ა რ ა ფ ი და მ გადმტარდა, რომ მე მეგონა სული არ დაყვებოდა... კ ი ტ ი ნ ა და მ უყურებდენ...

პარალელურად შეინიშნება — დ ა ნ, — დ ა ნ: ს ი რ თ ი და ნ სირთზე გედევალთ... უწინ ნავთ ბ ა თ უ მ ი და ნ ვწიკევლით... ე ხარები უ ხ ხ ე და ნ ჩამევეყაა...

აქარულში — დამ თანდებულის შესახებ არც მ. ხ უ ბ უ ა ს და არც ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი ს შრომებში არაფერია ნათქვამი. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი გაცვრით აღნიშნავს გურულ-აქარულში ამ თანდებულის ხმარების შესახებ, საილუსტრაციოდ მოჰყავს ორი წინადადება აქარული დიალექტიდან, სამწუხაროდ წყაროზე მიუთითებლად.²

გან თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად ჩვეულებრივ აქამავე თანდებულიანი მოქმედებითი გამოიყენება, მაგალითად: ფ უ ლ ი ჩ ე მ ი და ნ, სიმართლე შ ე ნ ი და ნ (ნ ო ლ. III, 109)... თ ა ვ ე დ უ მ ა რ ი და ნ მიიღო ნებართვა... ერთი ოყა მ ა ტ ყ ლ ი და ნ ხუთი რწყვილი წინდა მოქსუა...³

იშვიათად — ში თანდებულის ნაცვლად გვხვდება — ჩი:⁴ ს ო ფ ე ლ ჩ ი, თ ტ ა ლ ჩ ი, ს ა ხ ჩ ი... ზამთარი რომე გამუა, ზ ა ფ ხ უ ლ ჩ ი იქ იარებიან (გაზ. „საქ.“, 1916, № 248)...

— თანა თანდებული კუთვნილებით ნაცვალსახელებს მოითხოვს

1 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმკის მოაპზე, 1, 1937, გვ. 56-65, ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 623.

2 დამ თანდებული გვხვდება იმერხელ ტექსტებშიც: ი ქ ი და მ ა ც გვიქციით... ჩ ი ტ ი და მ ა ც მეშინოდა... (მ ა რ ი, იმერხ. გვ. 58), შ დ რ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 78, კახური, გვ. 81, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური, ლეჩხუმური. ძიებანი, გვ. 137-138 და 171, ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, უხუთური, გვ. 49-50, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ბორჯომის ხეობის ქართურის თავისებურებანი, გვ. 96 და სხვ.

3 შ დ რ. იმერხ. ბ ი ქ ი და ნ შვილი არ ყავდა იმ ბეზირგანს (მ ა რ ი, იმერხ., გვ. 55).

4 ანალოგიურ ფორმას სხვა დიალექტებშიც ვხვდებით, მაგ.: ხევსურულში, დასავლური კილოებიდან იმერულში, გურულში, ქვემოაქარულში და სხვ.

ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაში,¹ რომელსაც თანხმობენითი ელემენტი ს მოკვეცილი აქვს, მაგალითად: ჩ ე მ ი თ ა ნ ა, ა მ ი თ ა ნ ა, ი მ ი თ ა ნ ა, მ ა გ ი თ ა ნ ა...

—ვით თანდებულის ნაცვლად სისტემებრ იხმარება —ვეთ|| —ვენ: შე ნ ს ა ვ ე თ (||შენსავენ), ჩ ე მ ს ა ვ ე თ (||ჩემსავენ), მე ზ ო ბ ე ლ ს ა ვ ე თ, თ ა ვ ე ლ უ მ ა რ ე ს ა ვ ე ნ და მისთ.²

მაგალითები წინადადებებში:

შ ე ნ ს ა ვ ე თ არ გავზღი ბაღანას, რომ ენა შიმობრუნოს!.. რას ყუნყულეთ ტ უ რ ე ფ ს ა ვ ე ნ... გაგადენ წ ყ ა ლ ს ა ვ ე თ, გაგაქროფ ქ ა რ ს ა ვ ე თ (უემურის შესალოციდან)... რას მესევით ფ უ ტ კ რ ე ფ ს ა ვ ე ნ... —ვენ წარმოშობით —ვეთ ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ვფიქრობთ, —ვეთ თანდებულის თ-ს დაკარგვის შედეგად მივიღეთ —ვე, რომელთანაც განვითარდა ნ ბგერა.³ —ვენ თანდებულის პარალელურად გვხვდება —ვინ ფორმა, რომელიც სახელს მოითხოვს სახელობით ბრუნვაში: კოტუშ უ ლ ვ ა შ ი ვ ი ნ რომ ამწევა, იმა ფუნჯულ ვეტყვით... კ უ რ დ ლ ე ლ ი ვ ი ნ დ ა ე ე ტ კ ი ტ ა ყ უ რ ბ ი... კ ი რ ი ვ ი ნ მეზარება ტრაბახა ე კ ა ც ი... —ვით თანდებულის შინაარსს გამოხატავს აგრეთვე ეფ (<ებრ), რომელიც სახელს მართავს მიც. ბრუნვაში. სალიტერატურო ქართულში, როგორც ცნობილია, იგი სახელს ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს.⁴ ამ თანდებულსა და სავრცობ ა-ს შორის განვითარებულია ვ თანხმობენი,⁵ მაგალითად: ჩ ე მ ს ა ვ ე თ უ უ ს ტ ა ვ ლ ი დარჩი, ძალთან არ ივარგეფ ცხოვრებაში!.. დ ე ლ ს ა ვ ე თ რა გაბტუმლეთს, ვერ გაბუცდები!.. ხედავ. რაფერ ზ ღ ვ ა ს ა ვ ე თ ლელავს... რას იბღვირვი ხ ა რ ს ა ვ ე თ, დაჯექ. უძრავ ქ ვ ა ს ა ვ ე თ (მუცლის ტკივილის შელოცვიდან)...

—მდე, —მდის თანდებულის ნაცვლად აქ —მდი, —მდინ ფო-

1 კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, წინაშე, თანა და ზედა თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 3, გვ. 286.

2 ამ თანდებულის —ვეთ სახეობა, როგორც ქვემოიმერულში, ასევე ზემოიმერულში დადასტურებული აქვს ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე ს (ქვემო იმერულის უხეთური მეტყველება, გვ. 49, ზემოიმერული კილოკაი, გვ. 80).

3 მ. ხ უ ბ უ ა ლნიშნავს —ვით თანდებულის —ვეთ სახეობას მხოლოდ, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩენია —ვენ ფორმა (იხ. დასახ. შრ., გვ. 16).

4 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 71, ა რ. მ ა რ ტ ი ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში, გვ. 227. ეფ (<ებრ) თანდებული დაერთვის ფუძეს მიც. ბრუნვაში დასმულ სახელს ზემოიმერულში (ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკაი, გვ. 81).

5 ეს თანდებული ამ ფორმით დადასტურებულია მთარაქულში (შ. ძ ი ძ ი. გ უ რ ი, ძიებანი, გვ. 190) და სხვ.

რმები გვხვდება აქამდღი ვერ მტათავე თუთუნი სხმა?.. აქიღამ-
ხიხადირამდინ ვოზღნთი კილომეტრი იქნება...

რიგ დიალექტებში — მდე, — მდის თანდებულის პარალელურად — მდი, — მდინ, — მდისინ, — მდენ არის გამოყენებული.

— თვის თანდებულის პარალელურად გვევლინება — თვინ: ჩემ-
თვინ, ძმისთვინ... ბადიშეხისთვინ ვმუშაოფ, თუარა,
მე ცალი ფეხი სამარეში მაქ... ყველთვინ რატონ აგდეფ ჩემზე
საქმეს!.. გესტუმრები, რახსთვინ არ გესტუმრები!.. (მაგრამ,
ჩემთვის ნუ შეწუხდები!...)...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ — თვინ (ძვ.
ქართ. — თვნ) მომდინარეობს თუ (← თავი) ძირიდან¹

გავრცელებულია — თვინ თანდებულიანი კუთვნილებითი ნაც-
ვალსახელები, სადაც თანდებულის მიერ მართულია ნაგენეტივარი
ვითარებითი: ჩემ-დათვინაჲ, შენდათვინაჲ, მიზდა-
თვინაჲ, მათდათვინაჲ. როგორც ჩანს, დანიშნულება —
კუთვნილების შინაარსის გამომხატველი — და ფორმანტი საძიებელ-
ფორმაში გაგებულ იქნა ფუძისეულად, გაქრა მისი პირვანდელი სი-
ტყვათწარმოებითი ფუნქცია, რის გამოც იმავე შინაარსის გადმო-
ცემა დაეკისრა — თვინ (ა) თანდებულს. ძვ. ქართ. — და თანდებუ-
ლის ფუნქციონალურ ეკვივალენტს რომ — თვის (დიალექტ. თვინ)
წარმოადგენს, ეს ლიტერატურიდანაც არის ცნობილი,² მაგრამ რა-
ღა ამ ფორმაში ბოლოს დართული — აჲ? თუ ა — ს ფონეტიკურ
ნიადგზე განვითარებულ ხმოვნად ჩავთვლით, სულ ერთია, აუხსნე-
ლი რჩება თვით ა-ს დართული იოტი. თუმცა შეიძლება ამ ფაქტს
ასეთი ახსნა დაეძებნოს: იგი შეიძლება ვითარებითი ბრუნვის ნიშ-
ნის თანხმონითი ელემენტის (დ) დასუსტების შედეგად იყოს მი-
ღებული. ამ ახსნას საფუძველი უნდა ჰქონდეს თვით აჲარ. ანალო-
გიურ ფორმებში: ჩემგულობაჲ (← „ჩემ გულობად“) ნაპი-
რეულაჲ, ჩემბარობაჲ, ერთჩავლაჲ და მისთ.

ამრიგად, თუ ჩვენი მსჯელობა საფუძველს არაა მოკლებული,
მაშინ ჩემდათვინაჲ და მისთ. ფორმებში — თვინ თანდებულს
ისეთივე ბედი უნდა სწეოდა, როგორც — და-ს.

მაგალითები წინადადებებში:

— რაშ შობი, ბაბუ, რას საქმოფ? — აგერ ჩემდათვინაჲ
ვეხაკუნები ეზო-კარ.. არავის საქმეში არ ერევა, მიზდათვინაჲ

¹ მარია Грамматика древнелит. груз. языка 94. არ. მარტირო-
სოვი, თანდებული ქართულში, გვ. 222-223.

² ა. შანიძე, საფუძველ., გვ. 621.

მეშაოფს... ჩემ დათვინა და თუ მკითხავ, მაგა არ გუწუ შევბლი...
შენ რატონ ერევი საქმეში, მათ დათვინა და¹ გადაწყვიდონ...

—თვის თანდებულის პარალელურად ამავე თანდებულის ფუნქციით კუთვნილებით ნაცვალსახელებთან გვხვდება გულობა და (შდრ. გულისათვის), ბარობა და. ჩემ გულობა და შენ ვფერი არ მოგეკრება... შენ გულობა და თავშეშავაკლავ... ჩემ ბარობა და² შენ ნუ წუხდები...

გამო თანდებულის მაგიერ აქ ხშირია „გამე და ეს“, იგი ნაცვალსახელებს დაერთვის უმეტესად, მაგალითად: ჩემ გამე და ეს შენ კაცი არ შეგეხევა!.. შენ გამე და ეს კილარში შეტემაკდა ი კაცი... შენ გამე და ეს თელი მეზობლები გედევკიდე... (შდრ. სალიტ. ქართ. გამოისობით).

გამო თანდებული გვხვდება გამომღმა-ს სახითაც, მაგალითად მაგი გამომღმა ხალხში თავი აღარ გამოვყო თუ?... ჩემ გამომღმა შენ ვინ მოქთხოვს პასულ!..

ასევე, გამო თანდებულის შინაარსი აქვს მგონე-ს; იგი დაერთვის ნათ. ბრუნვას: იმიმგონე ხალხში ვეღარ გავსულვარ... ი საწყალი შიშიმგონე კილარში გედე არია... სიხარულიმგონე ქედელი ცერი თითებზე იღვა (ნოლ. III, 78)...

ეს თანდებულები სახელებს მოითხოვენ ნათესაობით ბრუნვაში. მართულ სახელებად უპირატესად ნანათესაობითარი ნაცვალსახელები გვევლინება.

„შემდეგ“ თანდებულის როლში გვევლინება უფორმო სიტყვა ოღმა (|| ← მოღმა).³ იგი დაერთვის უფრო ხშირად დროის ზმნისართისაგან წარმოქმნილ ზედსართაუებს (resp. მიმღეობებს) და გამოხატავს მოქმედების დროს, მიზეზს ან მოქმედების ხანგრძლიობას. ზოგიერთ სახელთან შერწყმისას ფონეტიკურ ნიადაგზე ხშირად იკარგება თავკიდური მ, მაგალითად: გუშინ დელოღმა შიშაშ ვშქრიდი... დიღამ ოღმა თავი ზეზე არ იმიწევია... შარშან დელოღმა იმას გეხვეწებოდი რომ... მე, ჩემის ყმაწვილოღმის მოღმა, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ავახილე თვალი... [რუს ხელმწიფის]... მფარველობაში იყვნენ დიდის ხნის მოღმა... იმერეთი, ქართლი... მის მოღმა

1 გვხვდება მათმათვინა და პლეონასტური ფორმაც.

2 ჩემ ბარობა და კონტექსტში „ჩემ მაგიერ“ შინაარსსაც გადმოგვცემს: ჩემ ბარობა და: (ჩემ მაგიერ) შენ უნდა შეიღვა თავზე.

3 შდრ. ოღმა||ულმა, ქ. ძოწენიძე, ქვემოიბერულის უხუთური მერეველება, გვ. 50.

დავეუახლოვდი ქ. თბილისს... (შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის წერილი-დან. დაბეჭდილი გაზ. „დროებაში“ 1879 წ.).¹

„გარდა“ თანდებულის შესატყვისია შინაარსობლივ „გარეთ“. გვხვდება პარალელურად „გარდა“-ც „გარდაჟ“-ს სახით. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „გარდა“ გენეტურად გარე-ს უკავშირდება... გარდა<გარე-და (ასევე: გარნა<გარე-ნა). ძირეული მასალაა გა (შდრ გა-რე-გა-მო).²

მაგალითები:

ს ს ვ ა ს გ ა რ ე თ (||გარდაჟ) გზითიც კი გ ა ტ ა ნ ა თ თ ა რ ა ,
სხვას დ ე თ ხ უ ე შენ!.. შე ნ გ ა რ ე თ ვ ი ნ ი ყ ო კ ი დ ე ნ ? .. ი მ ა გ ა -
რ დ ა ჟ რ ა ი ყ ო კ ი დ ო ჩ ა წ ყ ო ბ ი ლ ი ზ ა ნ დ უ ლ შ ი ? .. შე ნ გ ა რ ე თ გ ზ ა
არ მაქ და ასთე ი ც ო დ ე !

„გარდა“ თანდებულის მნიშვნელობით ზოგჯერ გვევლინება „მეტი“, „გამმეტი“, იშვიათად — „მარტო“: შე ნ მე ტ ი გ ზ ა არ
მაქ... მ ა გ მე ტ ი თ უ აღ არ შე გ ე ძ ლ ო , რ ა დ ა ს კ ვ ბ ი რ დ ე ბ ო დ ო ... ა მ -
მ ე ტ ი რ ო მ გ ა კ ე თ ო , არ ვ ი ც ი , რ ა ს გ ი ზ ა მ ... შე ნ მ ა რ ტ ო ჰ ს ხ ვ ა ს
არ გ ა ვ ყ ვ ე ბ ი ... შე ნ გ ა მ მ ე ტ ი არ ვ ი ნ არ მი ჩ ა ნ ს თ ვ ა ლ შ ი ...

ძველ ქართულში ცნობილი თანდებულის „კერძო“-ს შესატყვისად აქ გავრცელებულია „კედაროს“, „კედრიით“, „კვედრიდან“, იგი გამონათავს ადგილს, ზოგჯერ კი „მხრით“ („მხრივ“) ზმნისართის შინაარსს გადმოგვცემს,³ მაგალითად: ც ა ლ ი კ ე დ რ ი თ ბ ო ს ტ ა ნ ი
ა კ რ ა ვ ს ს ა ხ ლ , მ ო ო რ ო კ ე დ რ ი დ ა ნ ბ ა ხ ჩ ა ... დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი თ ე ლ ი
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ო მ ო ბ ს ე რ თ ი კ ე დ რ ი თ (ნ ო ლ . III , 12) ...
თ ა მ ა შ ო ბ ა - შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ის დ რ ო ს : — ვ ი ს კ ე დ ა რ ო ს ი ჭ ი რ ა ვ ? —
ი მ ი ს კ ე დ ა რ ო ს ... ჩ ე მ ი კ ე დ რ ი თ ა ს მ ა ნ ა თ ვ ე წ ე ვ ი , მე ტ ი
რ ა ლ ა გ ი ნ დ ა ნ ა ნ ? .. ე რ თ მ ა ე რ თ ი კ ე დ ა რ ო დ ა ნ წ ე ვ დ ე თ დ ა მ ი ო რ ე მ
მ ი ო რ ე კ ე დ ა რ ო დ ა ნ (ნ ო ლ . II , 21) ...

1 ამოღებულია თ. სახოკიას წიგნიდან: „მოგზაურობანი“, 1950, გვ. 156-157.

2 ა.რ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 240.

3 შდრ.. იმერხეულში: „შენმარტო სხვა არმინდა, ასოთხ ქითაბ გეფი-ცები“ (მარი, იმერხ. გვ. 49).

4 ა. შანიძე, საფუძვლ., გვ. 621, ა.რ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 224-226.

წინ წინ გვხვდება უწინ, ძველად. პირველად ზმნი-
ზედების მნიშვნელობით: წინ წინ მე გენაცვალე. მერე ხუცუბ-
ნის ქალები („დრ.“ № 73)... წინ წინ ამ ალიგეფში უიარალოთ
ვერ გეხარდა კაცი... წინ წინ შენ გამოხ და მემრენ მე გამჟალ...

დღე: ღამე დროის ზმნიზედები და საზოგადოდ დროის ერ-
თეულის აღმნიშვნელი სახელები: წელიწადი, კვირა, თვე
და სხვ. ჩვეულებრივ გაუფორმებელია, სახელობით ბრუნვაში გვხვ-
დება, ხოლო თუ (იშვიათად) მიცემითშია, ბრუნვის ნიშანი მოკვე-
ცილი აქვს, მაგალითად: ეტყობა, დღე კახ ამინდი იქნება... თე-
ლი დღე ძინავს მამ კაც... ერთ წელწათ (იერთი წელიწადი)
კიდევ დარჩება კურსებზე... ერთი თვე რომ ამფერი ამინდები
წვედოდეს...¹

„დღისით“ ზმნიზედა. რომელიც გვევლინება „დღით“, ნანა-
თესაობითარი მოქმედებითის ნაცვლად. მოქმედებითი ბრუნვის
ფორმითა წარმოდგენილი: დღით ისვენებდა და ღამით მოდიოდა
(ნოღ. III, 12)...

დროის ზმნიზედებიდან ყურადღებას იპყრობს ასეთი ფორმები:
ერთ წამალაჲ (=ერთ წამს, ერთი წამით). მაშინათველაჲ
(=მაშინვე. იმ წამსვე). ერთ გაყოლაჲ (ერთ ხანს, ერთ ხანად):
მაშინათველაჲ გედეცვა ურუბა... შეეცაჲ ერთ წა-
მალაჲ...

დიდხანს ზმნიზედის პარალელურად იხმარება ბარსამ-
ხან: ეტყობა ბარსამხან ველარ დაბრუნდება... გვხვდება კი-
დევ:

აწმისიქით — ნიშნავს ამიერიდან. დღეიდან, ამას იქით:²
აწმისიქით რომ გაკეთო კიდევ, ყურეფ შაგაფრეფ... აწმი-
სიქით პა გეჲქევი, ჩიტიც რომ გახდე მფრინვალი (ნოღ. II,
137).

არცახან — არასოდეს: არცახან აღარ გამოჩენილა ი-
დევრიში...

დანაბოლოს — დაბოლოს, ბოლოს, უკანასკნელად: და-
ნაბოლოს გამჟმცხადა ხალხ...

¹ ანალოგიური ფორმები გვხვდება კახურში (გვ. 82) და ზოგ სხვა კილო-
თქმაში.

² შდრ. აწი (ა. შანიძე, საფუძელ., გვ. 203).

ხ ა ნ ჯ ე ლ — ზოგჯერ: უმფოსი ქალი ხ ა ნ ჯ ე ლ გულ ჰქიტი-
ნებდა ფანჯრიდამ...

გ ი შ ი ნ ა ს წ ი ნ, შ ა რ შ ა ს წ ი ნ: ხედველი, რანაირი თოვლი
მოვდა გ უ შ ი ნ ა ს წ ი ნ... ამ ნაკვეთზე შ ა რ შ ა ს წ ი ნ ნიქსარუ-
ლაჲ პური ეთესა...

უ ქ ა ნ — შემდეგ: ც ო ტ ა ხ ა ნ ს უ ქ ა ნ გადაქრა წყარო იმ
გველვეშაპმა...

მ ე მ რ ე ნ — მერე, მერმე, შემდეგ: ამის მ ე მ რ ე ნ რა მოხდა,
ღ ლ ა რ მახსოვს...

მ ა ს ქ ა ნ — მასუქან, შემდეგ, მერე, მერმე: ახლა თქარ ქცა-
ლია, მ ა ს ქ ა ნ იყოს... მ ა ს ხ ა ნ შ ი — ამასობაში, ამ ხნის განმავ-
ლობაში: მ ა ს ხ ა ნ შ ი მტაწია ცხენოსნებმა ავაზანთან... მ ა ს ხ ა ნ
შ ი ერთი წელიც გვედა (ნ ო ლ. II, 74)... დ ა ლ ა ნ დ ვ ა ზ ე — იმ
წამს, იმ წამსვე: დ ა ლ ა ნ დ ვ ა ზ ე გაქარდა...

ა მ ე ზ ლ ა მ (||ამელამ) — ამაღამ: ა მ ე ზ ლ ა მ თვარენდა დაბ-
ნელდეს...

წ რ ე ტ ლ ა ჲ წ რ ე ტ ლ (||წროტლ): წ რ ე ტ ლ ყურძნეფ კარქა
ასხია...

ა რ ა დ ლ ე ს — არასოდეს. უარყოფით წინადადებაში გამოხა-
ტავს „არასოდეს“ ზმნისართის შინაარსს: ამ ხნის კაც ამფერი სიც-
ხ ე ბ ი ა რ ა დ ლ ე ს არ მახსოვს...

ადგილის ზმნიზედებიდან აქ გვხვდება:

ა რ ა ა დ გ ი ლ, ჰ ა დ მ ე ა რ... — არსად. უარყოფით წინადა-
დებაში გადმოგვცემს „არსად“ ზმნიზედის შინაარსს: ხენწიფემ დე-
ინახა, რუმე ა რ ა ა დ გ ი ლ სინათლე არ არი (ნ ო ლ. I, 3)... გზაში
ჰ ა დ მ ე ა რ მწინვიო...

ზ ე დ ა ნ — ზედ, მაზედ: რაც დედამიწაზე ფერადი ყვაეილებია,
ზ ე დ ა ნ აქვს მოპეკლული (ნ ო ლ. III, 76)...

შ ე ა ნ — შიგ, შიგნით.¹ „შ ე ა ნ“ საშ. ქართულში გავრცელებუ-
ლი „შ ი გ ა ნ“ თანდებულის სახეცვლილ ფორმად მოჩანს ზემოაქა-
რულში. ოღონდ ეს ფორმა თანდებულს კი არ წარმოადგენს, არა-
მედ ზმნიზედად გვევლინება აქ: გარ ატლასი, შ ე ა ნ ათასი (გამო-
ცანა—ბროწეული)... სოფელი ვნახე უძალო, შ ე ა ნ გევვარე, უგა-
რგნო... (მაგრამ: კუნძულელი შიგ ჩაბძანდეს, დედოფალიც შ ი გ ა ნ
ჰყვესა — გაზ. „დროება“, № 73, 1882).

¹ შღრ. შინა, შიგან → შია: ა. შანიძე, საფუძვლ. გვ. 620; იმერხე-
ულში გვხვდება შიან, შიგან ორივე ფორმის სახით. შიგან დოუკარი ბო-
რი (მარი, იმერხ. გვ. 48).

მან —მაქ, მანდ: მან დანწყე... მან მოძებნე...

გლიშამ — ირგლივ: ცხეს გლიშამ შამჟვართ, ზეთ შე-
მოვდევი კირიო (ნოლ. II, 120).

გზობ, გზობაჲ — გზის, ჟერ. რიცხვით სახელთაგან და ზო-
გიერთ ნაცვალსახელთაგან აწარმოებენ ზმნიზედას. გურულის მსგა-
ესად რიცხვითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმო-
დგენილი, მაგალითად: ხუთი გზობაჲ, ამ გზობ და მისთ.

შინისკენ ფორმის პარალელურად გვხვდება შინათკენ
(← 'შინაჲ თენ):' არ მოხვალ უსუფავ, შინათკენ?... ერთწამ-
ლაჲ შევეარ შინათკენ და დეგეწევი...

ვითარების ზმნიზედები:

შარშანდულა, წინანდულა. პირვანდულა —
გადმოგვემს ისეთი მოქმედების ვითარებას, რომელიც შედარებუ-
ლია სხვა, უკვე ჩადენილ მოქმედებასთან. ამ ფორმებს ჩვეულებ-
რივ ვით. ბრუნვის თანხმონითი ელემენტი მოკვეცილი აქვთ: შუა-
ლამიხან პირვანდულა გეიხედა, რომ კიდვენ მოდის რაცხა
(ნოლ. II, 10)... წრეულსაც თუ შარშანდულა სიცხეები
დეჲ ქირა...

ნაპირეულა(ჲ) — ნაპირ-ნაპირ: ამ კედრით რატონ დეიწ-
ყე, ნაპირეულაჲ ვერ გათოხნი?..

რასძალა — ძლიერ, ძალიან: შაჰზადეს ქალი რასძალა
ლამაზი იყო...

ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი

ზოგიერთი ნაწილაკი ზემოაქარულში ნ დართული ფორმით
გვხვდება:

ისვენ², მემრენ, ახლავენ, კიდვენ³, მეთქინ:
ახლავენ გამევეყნანთ ჩვენ ფალავანსაც... კიდვენ კაჲ, რომ
გზაში არ შეფეთა... ჟერ მეგ იყოს და მემრენდელზე მემრენ
ვიფიქროთ...

ჰაგრე — აგრე. ჩვეულებრივ ჰაგრე აქ დადასტურებით
ნაწილაკად გვევლინება. იგი გადმოგვემს „კი“, „კარგი“, „ლიახ“

1 შღრ. კახური, გვ. 84.

2 ნ. იმერხ. „შენი ცხენი ისვენ... წოუყვანია“ (მარი. იმერხ., გვ. 63).

3 შღრ. ფშაური კიდენა (ალ. ლეკიაშვილი, იერის-ხეური ფშაური,
გვ. 166).

მიგებით ნაწილაკთა შინაარსს დიალოგში: — ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძაე?

— ჰაგრე...! — კრებაზე რომ წამოხვალ, ჯეფერაძე წამე და ყუანე, ჰაგრე! — ჰ ა გ რ ე...

კ ი ლ ა რ მ ი — კინალამ. დიალექტ. კ ი ლ ა მ და რ ა ლ მ ე ნაწილაკთა კონტამინაციით ჩანს მიღებული: კ ი ლ ა რ მ ი თავის კოროპინში მოხდა...

წ ი ლ ა მ (კილარმი-სა და ლარმი-ს პარალელურად) — კინალამ: წ ი ლ ა მ ერთმანები დაშვამეს იმ გელი შექმულებმა...

წინადადებაში კ ი ლ ა რ მ ი (||წილამ, ლარმი) ნაწილაკი ჩვეულებრივ უარყოფით — ნაწილაკიან ზმნასთან გვხვდება: კ ი ლ ა რ მ ი თვალი კაკალში არ მოხდა!.. ლ ა რ მ ი ხენდეკში არ ჩავარდა!.. წ ი ლ ა მ თავი წაკლა...

უ ნ და ნაწილაკი, სხვა სიტყვებთან შერწყმული, ფონეტიკურ ნიადაგზე ნ ა, ნ და, და სახითაა წარმოდგენილი,³ მაგალითად: გევიარე გუდასახო, გოგუე ბი ნა დე ვ ნ ა ხ ო (ნ ო ლ. II, 113). ეს სიმღერა არ ნ და მ ე თ ქ ვ ა, ჩემი დერდი მეტია, არ მომიკტე, არ დამტოვო, ჩემო წარბებ წყენტია (იქვე, 116)...

ზ მ ნ ა

პირის ნიშნები

ობიექტური ნიშნები. ზემოაქარულში, როგორც, საერთოდ, დასავლურ კილოებში, მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი აღარ იხმარება, ხოლო III პირის ობიექტური პრეფიქსი უმრავლეს შემთხვევაში დაკარგულია.⁴ ეს პრეფიქსები გურულსა და აქარულში სპეციალურად შეისწავლა ქ. ლომთათიძემ. მას გათვალისწინებული აქვს ზემოაქარულის მონაცემებიც.⁵ აქარულში III პი-

1 შღრ. ინგლ. ჰერაგრ (მ. ქანაშვილი, ინგლ. გვ. 231).

2 შღრ. კახური. გვ. 86.

3 იხ. აქვე, „ხმოვნის ელიზია“, შღრ. ა. რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, 8, 1950, გვ. 294, კახური, გვ. 86.

4 შღრ. ა. შ ა ნ ი ი ე, სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობ. პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920, გვ. 172.

5 ნაშთები III პირის ობ. პრეფიქსებისა გურულსა და აქარულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 5, 1937.

რის ობიექტური პრეფიქსი თითქმის ისევეა წარმოდგენილი, როგორც გურულში.¹

აჭარულში ხშირია აღნიშნული პრეფიქსების ხმარება პირდაპირ ობიექტთანაც, მაგალითად: ანურია, ანურია ე ბ ა ღ ვ ი და ბოლოს ერთ წისკვილი ღარში გაჰკეცა... ი ს ა ც ო დ ვ ა ვ ი ასე უპატრონოთ დაჰტია...

ხშირია ჰ, ს პრეფიქსთა გამოყენება უასიმილაციოდაც. პთი დაწყებულ ზმნებში ირიბი ობიექტის პრეფიქსად ხ გვხვდება.² რაც შეეხება ზემოაჭარულის ფორმებს. ისინი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აქვს მითითებული ავტორს. ზემოაჭარულის მონაცემები ცალკე არა აქვს გამოყოფილი ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ს ა ც. ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ სათანადო მაგალითები ზემოაჭარულიდან.

III პირის ობიექტური პრეფიქსები არაა წარმოდგენილი ზმნებში: ყ ა ვ დ ა, მ ი ც ე ს. მ ო პ ა რ ე ს, გ ა ვ ს (ინეგავ „როგორც ჩანს“), მ ი გ ვ ა რ ე ს, მ ი ყ ი ღ ა (მან, მას, ის).³

წინადადებებში:

უნცროსი გოგოშვილი სულ არ მოწონდა... ქურდმა ქურც მოპარა და ღმერც გაეცინავო... შუათანა თლათ მან მის გავეს... უწინ ამ სოფელში იშვიათ, რომ ვინმეს უღლათ ხარი ყოლოდა!...

ზემოაჭარულს აღნიშნული პრეფიქსები უპირატესად შემოუნახავს. აქ გვხვდება პრეფიქსთა შემდეგი სახეობები: ჰ, ს, ზ, შ, ჟ, ჰს, ჰშ, ჰხ, ხ. ოღონდ უნდა დავსძინოთ. რომ აქ დასახელებულ პრეფიქსებს (resp. ფონეტიკურ ვარიაციებს) ერთნაირი გავრცელება არ ახასიათებს: შედარებით უფრო ნაკლებად გვხვდება ჰშ და ჰხ სახეობები.

ჰ პრეფიქსი გვხვდება წინაენისმიერ, ენანუნისმიერ და დენტალ ბგერებთან (იქაც კი, სადაც სალიტერატურო ქართულში მის ხმარებას გამართლება არ აქვს), მაგალითად: რათერ ხამივით დაჰცქერი ს, კო! ამ შვიდმა ძმამ შისიშვილი დაჰჰჰაიჯათვის სახში (ნ ო ღ. III, 25)... ისე აჰტკივდა მუცელი, რომ... ე ფარა გაშპება-გამოშპება, შეჰჰამს და კიდევ დურჩება სახლი გუჟე-

1 ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 135 და 138. ს. ყ ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 62-63.

2 ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 135-136.

3 შღრ. ანალოგიური ფორმები კახურ დიალექტში (კახური, გვ. 107).

4 ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია იმერხეულში: ქოროლიმ მიცა დეგირმანჩის ურუბა... ცემა ერთი კარქა... ცხენი არ ყავს (ძარბ, გვ. 64).

თებელი... ხუთნავე მ ე კ ა ა ჯ ა თურმი სახლში... მ ო კ წ ყ დ ა
ლოდი და ჩავარდა ღელეში...¹

ს პრეფიქსი გვაქვს ძ და თ თანხმოვანთა წინ: ი ჩაღრი ბითევი
მ ო ს ძ ტ ე ს საქონელმა... შეეჭიტინა ქოსამ რომ სამნავე დ ე ფ
ს ძ ი ნ ვ ა ნ... ამ ალღეფში ბიძაჩემი პურ ს თ ე ს ე ვ დ ა...²

ზ დასტურდება დ თანხმოვანთა: მენადირეც შჭსვენებლა ე
დათვი კვალ მიზღვეს... ერთიც ვნახოთ, მეიხედა, რომ სამნავე ე
და ზ დ გ ო მ ი ა ნ თავზე...

შ გვხვდება ჳ და ჩ თანხმოვნებთან: ჟამობი ღროს ტყეში გახი-
ზნული ვიყავთ და პანტი სხალ ვ შ ჳ ა მ დ ი თ... ერთ დასმა ე ო რ ი
კილო ხორცი ჩ ა მ ო შ ჳ რ ა... ასახსნელსა მოგახსენეფ, ახსნა გაგი-
ქირდება, იმითანა ე რ ა რ ი, ქვეყანას ომ შ ჳ ი რ დ ე ბ ა...³ თუ კიდ-
ვენ შე ე შ ჳ ი რ დ ე ბ ა, მომაკითხოს მე...

ჟ პრეფიქსი ჳ თანხმოვნის წინ გვხვდება: სულ პაწაი გოგო
უმფოსვანებ ჟ ჳ ო ბ ნ ი ს... იმაპაც აღარ დაჟ ჳ ე რ და და ცალი
მენჯი ამ ჟგლო...

ჰს შეინიშნება ძ, ც/წ თანხმოვანთა წინ:⁴ ერთ ღონუმა ე მ ი ჰ ს-
ც ა ყ არ ს ი შერიფ-ბეგმა... ა ვ ჰ ს წ ო ნ ე ვ ი თ. და ცოცხალათა ე
თრამმეტი ფუთი გამოვდა... ამტონი შიშა რაფერ და ჰ ს წ ვ ე ს მ ა-
ე ც... იმ დედაბერ მ ი ჰ ს ც ა ერთი ჳ ა ჳ ვ ი ალთუნი... ა ჰ ს წ ი ა და
გაგზანა ბაღდათ...

ჰშ გვხვდება ჳ თანხმოვნებთან: ერთ მოქნევა ე შტაზე გა ჰ-
შ ჳ რ ა უხსენებელი... გველვეშაპივინ რომ დ ა ლ ე ბ და პირ. ერთ
ხარ ერთათ შე ჳ ჳ ა მ და თურმი... თუ და ჰ შ ჳ ი რ დ ე ბ ა ამ ე ლ-
ლოს ფთა...

ჰჰ პრეფიქსი იშვიათად მოისმის კ და ყ თანხმოვნებთან: ნეფის
შვილი შ ე ა ნ ჩაბძანდეს, ღოდოფალიც თან ჩ ა ჰ ს ყ ვ ე ს ა... მ ო ჰ ს-
კ ი და ნაგუზალ ხელი და მოწიწინდა... მ ი ჰ ს ყ ე ა—მ ო ჰ ს ყ ე ა
და მიადგა ერთ კუკუნეთ მაღარას... შე ე ვ ჰ ს ყ ე ვ ი კატრიანში...
მ ო ჰ ს ყ ე ერთი, დ ე დ უ ლ ა ვ, ჩემკენ!..

1 შღრ. ვ.თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 144, კახური, გვ. 105, ა რ. მ ა რ-
ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჭავჭავაძის შესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 293.

2 შღრ. იმერს. „ცხენს მივსცემ“... (მ ა რ ი, იმერს. გვ. 105), გ. ხ უ ბ უ ა დასახ.
შ რ., გვ. 14-15.

3 ჳ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. შ რ., გვ. 136.

4 დაწერილებით: ვ. თ ო ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 144-145 და 148-149,
ჰს პრეფიქსის შესახებ იხ. აგრეთვე ი ვ. ჳ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ალექსანდრე ჳავჭავა-
ძის ენის თავისებურებანი: სტალინის სახ. თბილისის სახელ. უნივერსიტეტის
შ რ. 55. 1954, გვ. 306, შღრ. კახური, გვ. 107-108.

ხ ჩვეულებრივია ზემოხსენებული თანხმობების წინ: გოგო ჩივის ვერ წავხყვები, სერდალა და ჩემი ქმარი... ახკიდებდენ ჰეგზეფ ცხენეფ და გუდგებოდენ ფოცხოვ... მებადემ ბადე გააგო, ერთი თევზი გამოხყვესა... თუ მოცალივთ ხარ, შემოხყე, ბიძავ, დღე ჩვენათყენ!.. რომ მოვლიან ვაჰრები, წავხყვე და (ნოღ. II, 42)...¹

სუბიექტური ნიშნები

ნამყო წყვეტილში მრ. რიცხვის III პირის ნიშნად გარდამავალ ზმნაში ზოგჯერ ევხვდება — ენ სუფიქსი — ეს ნიშნის პარალელურად. მაგალითად: მწთხრენ ერთქვანეფ... გადაჰკიდენ ცხენეფ ხურჩინები და გუჟვენ შავშეთ... ზი ჩასლამდინ შუსვენებლა მჟუშავენ... (მღრ. პარალელურად: გადაჰკიდეს, იმუშავეს...).

გარდაუვალ ზმნაში III პირის მრ. რიცხვის ირიბი ობიექტი ხშირად — ენ, — ეს სუფიქსების საშუალებითაა გამოხატული, მაგალითად: თელ დღეს ოინავდენ... უნდოდენ. გავეტყავებინ... შტა გზაზე დელივენენ საგალი... გავეყთანენ გზი პირზე და ხენდექი ჩავგდენ... მათ რაცხაფერ უნდანან, ისე იჯებიან..., იმათაც მიეწყინეს იქ ყოფნა... თავედუმარეთ ისვენ ისამტერჩიეს... ორი წყვილი კამბეჩი ეყიდნეს...

ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული სუფიქსები გაჩენილი უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტურ ნიშანთა ანალოგიით.

მსგავსი ფორმები ახასიათებს იმერხელს, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: მათ ჯუმბუში აქვან... სავაგინდანან?.. ქელოლლანი ბეგებდენეძინენ... არაქვან არა ხებერი... წევან დაძინჟან, დეგირმანჩებს რაუქვან...²

— ინ, — ენ-იან ვნებიტებს წყვეტილში მრ. რიცხვში ხშირად

¹ იხ. ქ. ლომთათიძე, დასახ. შრ., გვ. 136, მღრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 15, ქ. ნოღაიდელი, აჰარა დიალექტოლოგიურად, გვ. 19.

² მარი, იმერხ. ტექსტები, გვ. 62, 63, 64; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 18; ქ. ნოღაიდელი აჰარა დიალექტ., გვ. 19-20; შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი: ძიებანი, გვ. 151, ანალოგიური ფორმები შ. ძიძიგურს დადასტურებული აქვს აგრეთვე მესხურში (იქვე, გვ. 142). ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა დასავლური კილოების კუთვნილებათაა. ქ. იოწენიძე, უხუთური მეტყველება, გვ. 53; ამ ფორმების შესახებ იხ. დაწვრილებით: ვ. თოფური, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვარი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 6, 1954, გვ. 452-453.

ძველი ქართლისათვის დამახასიათებელი — ენ სუფიქსი აქვთ შე-
ნახული, მაგალითად: ცოტა ხანს უკან გე ვ ე მ ზ ა დ ე ნ ი თ წ ა ს ა ს-
ლულათ... ბექთან ვ ი დ ა ვ ე ნ ი თ, მარა მა ე ც ა ფერი არ გამოვდა...
(ხენწიფე) ყვიროდა — მ ო მ ე შ ვ ე ლ ე ნ ი თ, ვიწვიო (ნ ო ლ. III,
115)... ვერ დ ე ე ტ ი ე ნ ი თ ამხელა სექვზე თუ... მათაც კაი არ და-
მ არ თ ნ ე ს, ბაწრით ჩაიყვანეს გემში... (დ რ., № 73)... მეზობლებმა-
მ ი ვ ე შ ვ ე ლ ე ნ ი თ თქარა, დ ე მ წ ვოდა...¹

დადასტურებულია აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა, როცა —ინ,
—ენ-იანი ვნებითის მრავლობით რიცხვში მეორე კავშირებითის
საწარმოებლად ე-ა გამოყენებული,² მაგალითად: გამოი და დ ე ვ ე-
ქ ე დ ნ ე თ, თუ ბიჭი ხარ!.. ერთმანობაში თქარ დ ე ე ხ მ არ ნ ე თ
ერთქვანეფ, რა გამტა ამისობით... ახლან დ რტა გევეყარნეთ...

დაიძებნა ორიოდე მაგალითი, სადაც —ენ (ი → ნ) ჩნდება
სხვა ზმნებშიც, მაგ: ხვალ აქ და ვ დ გ ნ ე თ (ნ ო ლ. ა. დ. 24)... ტე-
რის ჭინაზე არ უნდა გ ა რ ი გ დ ნ ე თ!..

ჩვენის აზრით ამ ზმნებში —ენ (ი → ნ)-ის გაჩენა ანალოგიით
უნდა იყოს გამოწვეული.³

საინტერესოა, რომ მეტაანალიზის შედეგად —ენ (→ ი/ნ) სუ-
ფიქსი მხოლოდით რიცხვშიც არის გადმოტანილი, მაგ: ღორი ვ ი ყ-
ნ ე (დამახასიათებელი გამოთქმავა), თუ დღე არ ჩამტელ შენთან...
რამდენხან უნდა ი ყ ნ ე კიდვენ ბეშუმ, კო?..

ა. შ ა ნ ი ძ ე „ვიყვე“, „ვიყვენთ“ და მისთ. გაჩენას მიაწერს
„ვიქნე“ ზმნის ფორმათა გავლენას.⁴

თ ე მ ა. ზოგიერთი ზმნა, რომელსაც სალიტერატურო ქართუ-
ლში თემის ნიშანი აქვს, ზემოაქარულში ზოგჯერ ამ ნიშნის გარეშე
გვხვდება, მაგალითად: იმფერი სულგაპი რომ მოვდეს კიდვენ, თლათ

1 ძვ. ქართულში —ინ, —ენ-იანი ვნებითის II სერიის მრ. რიცხვის ფორმე-
ბი ყოველთვის ნ.ს ჩაირთავს (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენა, საშ. სკოლის სახელ-
მძღვანელო, 1947, გვ. 249); შდრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულური, გვ. 51: ე-
თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 143, კახური, გვ. 95.

2 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელი-
თში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში, „უნივერსიტეტის
შეკრება“,⁹ გვ. 196; მსგავსი ფორმები გვხვდება ქართლურში, კახურში, მთიულ-
ურში და სხვ.

3 ნ. კახური, გვ. 95.

4 ა. შ ა ნ ი ძ ე, საფუძვლ. გვ. 462; შდრ. ფერიდნ. „იყნეს“ (ა რ ნ. ჩ ი ქ ო-
ბ ა ვ ა, ფერიდნული, გვ. 210). ავტორი შენიშნავს, რომ ეს ფორმაა გამოსავალი,
როცა იწარმოება II და I პირი: ი ყ ნ ე ს, ი ყ ნ ე ვ ი თ, ვ ი ყ ნ ე ვ ი თ (ი ყ ვ ნ ე ს,
ი ყ ვ ნ ე თ, ვ ი ყ ვ ე ნ ი თ). ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, „ვიყვენთ“ დიალექტიზმე-
ბი 15-18 ს. ს. კახურ ისტორიულ-სახუთებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნი-
ერება, 4, 1953, გვ. 253.

ყანა ეფ წაღეკს... კარქი ცელით ორ დღეზე მოვთიბ...¹ ზამ-
ფხულობით საქონელ თა ებზე გავრეკთ... სიძინდი კობერ და ვ-
ნაყთ, წყალ მტაშეშხეფთ, მაღლ მტაპუჰკავთ და საქონელ მივართ-
ვამთ...² ერთ დღეს და აღამ წასლით, ერთ დღეს და აღამ მოს-
ლით (ხუბუა 25)... ბოლოს თლათ უმფოს დევს მოკლენ... ის
არ და გვიმტკეცია ჯერ (ნოლ. ა. დ. 24)...

ზოგიერთი — ევ სუფიქსიანი ზმნა — ამ თემის ნიშნითაა წარ-
მოდგენილი, ხოლო — ებ თემის ნიშნიანი — ავ, — ევ თემის ნიშნით,
მაგალითად: მივართვამ, ჩამჭართვამ. რას არქვამ,³
ესმევ, შენ ბაღვ?... კვერცხეფ ექიდვდა. მაღუ უჩეჩღებოდა
(ნოლ. II, 98)... დეექიდავს ყამას და გუყევა ჭალაქში...

— ებ თემის ნიშნის ნაცვლად ჩვეულებრივ — ობ (resp. || — ოფ)
გვხვდება სტატიკურ ზმნებში: ი საწყალი გაცხრებულსავენ
კანკალობდა... თელი დღა სუფრისხელა ნაპირზე ჩუჩუ-
ნოფს... არ გეყო, ორი საათია სვენოფ... ჰიღამდი ძარეფს
აამსობდეს... რას ტრილოფ ბუზანკალიფით... რას აპი-
როფ, ბიძავ...

უთემისნიშნო ზმნებთან ზოგჯერ შეინიშნება — ავ, ეს უმთავ-
რესად ახასიათებს ფუძედრეკად ზმნებს, ისიც უნდა ითქვას, რომ
მათთან I სერიაში ხშირად ე ხმოვანი ი-თაა შეცვლილი, მაგ.: ვინც
ცოცხლათა დეექირავს. ათასო ოქროა მისთვის გადადებუ-
ლიო... თელი ქერქიდან ჩვენ თოკ ვგრიხავთ... მე ისეც ავათ-
მყოფი ვარ და ვინცა გამქეპავსო (ნოლ. III, 50)... კინა
წერავს, ტარი დაზღევს... რას ჩხრიკავ ქათამსავეთ... სხაპ
მოუწყოფ, დეეიქირავ,⁴ თოკ წაგებამ ფეხზედავო...

მოყვანილ ფუძედრეკად ზმნებში ე ხმოვნის ნაცვლად ი-ს არ-

¹ შტრ. სტ. მეტეშაშვილი, თბს. თბენ „აქარის ეთნოგრაფიული მასალები: ენიმეის მოამბე, III, 1937, გვ. 163.

² აღსანიშნავია, რომ აქარულში „შირთმევა“ არაა პატივისცემის ნიუანსის შემცველი: „ნარცხი შიართვი. ციკავ, ხობოს“ ჩვეულებრივ გამოთქმავ.

³ ამ ფორმას შეიძლება ასეთი ახსნა დაეებნოს: ჯრ ვ-შ-ს მეტათუზის მო-
ხდა, ხოლო შემდეგ — ამ სუფიქსიანი ზმნების ანალოგიით მივიღეთ არქვამ. აქვე
შეიძლება გავიხსენოთ ამ ზმნის ნ-უსრულის ფორმა „ქვილოდა“, რომლის შესახებ
არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „ქქია“ ზმნამ, რომელსაც თქვა — ზმნასთან
საზიარო ძირი აქვს, გაიჩინა ნამყო უსრული დასავლერ კილოებში: „ქვილოდა“
ლიტერატურული: ერქვა“ (ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-
კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 58, სქოლიო 1).

⁴ ა. შანიძე „დაქირავ“ ზმნას XI ს-ში გავრცელებული დამკვირვა „ფორ-
მიდან მომდინარედ თვლის, რომელსაც შემდეგ მ ჩამოქმორდაო; ზმნა ავ-იანი
იყო. მაგრამ იგი ხმოვანმონაცვლებში გადავიდა, თუმცა საბოლოოდ არა: გვხვ-
დება როგორც დ. ა. ე. ი. ქ. რ. ა. ვ. ისე დ. ა. ვ. ი. ქ. რ. ა. ვ. (საფუძელ. გვ. 418).

სებობა შემდეგნაირად უნდა აიხსნას: თემის ნიშნის დართვის გამო ზნა იქცევა ორთენიანად, I სერიის ფუძე წარმოადგენს II სერიაში ხმარებულ ფუძეს (ვ-გრიხ-ე, დევი-ჰირ-ე) — ავ თემის ნიშნით.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს მოვლენა დასავლური კილოებისათვისაა დამახასიათებელიო.¹

ზოგიერთ ზმნასთან — ებ თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება — ი, მაგ. რატონ არ უჭერი მასტავლებელს... პაწა მადრტე და, ხომ ხედავ, ვის ვენი!..

შეიძლება ზემოაღნიშნულ მაგალითებს სხვაგვარი ახსნაც დაეძებნოს, ვთქვათ, ასე: ი წარმოადგენს მეორე ხოლმეობითის (წყვეტილის ხოლმეობითის) საწარმოებელ მორფოლოგიურ ელემენტს, რაც დამახასიათებელი იყო უძველესი ქართულისათვის. მაგრამ ვის ვენი, უჭერი და მისთ. რომ I სერიის ფორმებია ?!

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ფორმები I სერიის მწკრივებშია შეიძინეს წყვეტილის ხოლმეობითისაგან.

ცალკეულ შემთხვევებში „წერა“ ზმნასთან აწმყოში — ი თემის ნიშანი გვხვდება. მაგ.: შენ რას წერიო... თესავს ხუთ კოდ და წერის ერთს... იგინი წერია (ხუბუა 17-18).

ეგვე — ი გვხვდება ზოგჯერ — ავ თემის ნიშნის ნაცვლად: უწინ ყაზაღი ძნელათ იშონებოდა და კვარს ვწვიდით... მე უმ არ მიმესტრო, ცემაში მოკლიდა... ყანას ჯილით ვხნიდით...

წყვეტილში — ე ბოლოსართიანი ზმნის ფორმა I და II პირში სისტემებრ — ვი-ს დაირთავს,² მაგალითად: ბათუმიდან ხარ მოსული, კაბა გაცვია რუსული, შაშანჯველაა რომ მობძანდი, რა

1 ი. ლ. ცერცვაძე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941, გვ. 181-186; შ. რ. კახური, გვ. 86-87.

2 შ. რ. კახური, ქართული, გვ. 143, კახური, გვ. 94, მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 18, ჯ. ნოლაიძე, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 19, მარი, იმეზრ. ხელი მომიწყვეი... ეილევი ჩემგან ბეური ფული... (გვ. 64), შ. ძიძიგური ამ ფორმის გაჩენას აპარულში მესხურის გავლენით ხსნის (ძიება-ნი, გვ. 132 და 140), მსგავსი ფორმები გვხვდება შთარაქულში (იქვე, გვ. 196), ი. ლ. მსაძე, ჯავახური მეტყველების თავისებურებანი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-13 სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1951, გვ. 57, ე. მგალობლიშვილი, კახური დიალექტის თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდ. მე-14 სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1952, გვ. 64, ჯ. ძიძიგური, ზემოიშვრული კილოავი, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 11, 1951-1952, გვ. 90.

გვინახევი ყუსური... წყალი მასვი, კოკითა, გამაძღვევი
ლოყითა (ნოლ. II, 113)... დეა წყევი სიმღერა, თუ კაცი ხარ!..
ქადი გამტაცხევი... წყრწევი აკვანი...

არის შემთხვევები, როცა ამ ტიპის ზმნებს —ვი კომპლექსის
ხმოვნითი ნაწილი (ი) არ აქვთ ისევე, როგორც ზემოთ განხილულ
„გითხარ“, „ვიყავ“ და სხვა ზმნებს: დეა წყევი (=დაიწყე). გეა გევი
და მისთ.¹

ასევე ნართაული ი არ გააჩნიათ მრ. რიცხვშიც: პაწაა თქვენც
შიმი წყევი თ ხელი... ტომპოყოში ჩავაგღვეთ... რომ შე-
ვატყევთ, საქმე წამხთარიყო... ი — და ე — თავსართით ნაწარ-
მოები ვნებითი გვარის ზმნები დროთა I სერიაში გვხვდება —ებ
თემის ნიშნის გარეშე. მაგ.: ძე რომ გეა წურვის საწურა აში,
მემრენ წამტადლუღეთ... დიგინახე. რაღას იმაღვი... თვალები
ეკურცხლის... თა რომ მეა შლება. მემრენ ყიშლუღეში გე-
ღევი ბარგვით... რას. იბღვირვი, მაშინეფ თუ?! თუ მართალი
იყავ, რას იმაღვიოდი?!. მაა სოკო არ იქმის!.. რას
იკრიკვით, ღარკებო!.. ბეც (=ბედს) არ ვენღურვი... ვერ
გეამართვი, რას იკაკვი წელში!.. მე მგონია, ხვალაც
არ გამეღვირის...²

—ი თემის ნიშნიან „ეკრი“ ზმნის ფუძეს II სერიის ნამყო
წყვეტილში ე-ს ნაცვლად „ა“ ხმოვანი აქვს: სადაც წევა, იქ მივა-
გნებ, თუ გინდა თავი მომქარი („თეატრი და ცხოვრე-
ბა“, 1915 №29)... ანალოგიური ვითარებაა გურულში, იმერხე-
ულში („გარეთ ავა სამე ჭარი, მაზღალები გამოვქარი...“ მა-
რი, იმერხეული, გვ. 48) და სხვ.

ნ/წყვეტილის ფუძეა გამოყენებული მიმღეობებშიც: ნაკა-
რი, საქარი („პურის საქარში მივიღვიარ“)...

ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი

ზემოაქარულში ზმნისწინთა სახეობები წარმოდგენილია ზე-
მოთ „ხმოვანთა ასიმილაციის“ დასკვნით ნაწილში.

ზმნისწინთა ფუნქციისა და წარმოების თვალსაზრისით აქ შე-
ნიშნულია რიგი თავისებურებანი.

1 შღრ. კახური, გვ. 94.

2 შღრ. მარი, იმერხ. ვინ ხარ შენ. რომ იმაღვი (გვ. 64). მ. ხუბუასა
ასეთი ფორმები (ეკითხვის, იპარვის, დეიმაღვის) შეცდომით ხოლმეობითის ფორ-
მებად აქვს მიჩნეული (იხ. მისი დასახ. შრ., გვ. 15).

ზშირად მოსალოდნელი ზმნისწინი შეცვლილია სხვა ზმნისწინით.

ქართული ენის რიგ დიალექტთა მსგავსად შე— ზმნისწინის ცვლის შა—, მაგრამ ამ მოვლენის პირობად, როგორც ეს ქვემო-იმერულშია დადასტურებული, ითვლება შო-ს დართვა (შემო— შამო—):¹ იმხელვანი დუდები აქ დახვეწილი, რომ ხელ ვერ შამო-ტე ვ... ლოდას გარედამ შამტაკრავთ ჭიხურ... გოგო მს შობლებმა ცივი ატკაზი შამოკრეს... ბაღნელ შამჭრიგეს თეთ-თეთრი პურები... ოზრუქეთი მერია, ღვინო შამომელია...²

მართალია, დაიძებნა რამდენიმე მაგალითიც, როცა შე → შა-ს, მაგრამ ეს მოვლენა აქ კანონზომიერების ხასიათს მაინც არ ატარებს, მაგალითად: კიდვენ არ გაკეთო, თჳარა ყურეფ შაგაფრეწ... რატომ და შავაძულევო თავი... შატანა ხელი... შაკყირდა.³

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ზმნისწინთა მორფოლოგიური ღირებულება სალიტერატურო ქართულთან შედარებით უფრო მეტია, ან ადგილი აქვს ზმნისწინთა მონაცვლეობას.

ზემოაქარულში პრევერბები გა—, და—, შე— ზშირად დადასტურებულია ისეთ ფუძეებთან, რომელთაც იგი ან სულ არ ახასიათებს სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში, ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებადაა გავრცელებული ასეთი ფორმები. ზოგჯერ საქმე გვაქვს არქაულ წარმოებასთანაც,⁴ მაგალითად: შაჰზადემ და დივების ნეფემ ისე შეიჩხუბნენ (წაიჩხუბნენ),⁵ რომ დედამიწა გაექანა... ორმოცი დღის შემდეგ შეჰჰაიჯეს სახლში (ნოღ. 11, 86).. ამაზე იმ ვეზირმა ძალთან შეკუჭტა... ნუ შეჩქარდებოთ (= აჩქარდებით), ცოტა წევხევსოთ და

1 იხ. ქ. ძოწენიძე, უხუთური მეტყველება, გვ. 42.

2 შღრ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნული, გვ. 209-210, ვ. თოფურიკია, ქართლური, გვ. 131, კახური, გვ. 90, მარი, იმერხ. გვ. 47, ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული, გვ. 72; აქარულში ფართო ხმოვნების არსებობას პრევერბებში შ. ძიძიგური მესხურის გავლენას მიაწერს (ძიებანი, გვ. 132 და 139), იქვე აღნიშნავს, რომ შა.შა საყოველთაოდ გავრცელებულია ქართულ კილოებში, განსხვავება მეტ-ნაკლებ ხმარებაშია მხოლოდ. იგივე ავტორი დასძენს აგრეთვე, რომ ეს პრევერბები ზშირია გურულ-აქარულში (ძიებანი, გვ. 180).

3 ორ უკანასკნელ და მისთ. მაგალითებში შა ზმნისწინში ა ხმოვანი რომ სხვა წარმოშობისაა და ის პოზიციითაა მიღებული, ამ საკითხს ჩვენ ზემოთ შევხებთ გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებით.

4 შღრ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 76.

5 შღრ. შეიჩხუბა, ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 298.

ისე წაბძანდით... ეს ფთა პაცხან... შეეგვირდება, ერთმანეთზე დუუსვი (ნოლ. II, 86)... თუ შეემშოოს... ცოტა რომ შესაღამოვდა (შდრ. ძვ. ქართ. შეწუხება)... დუულოდნელათ (=მოულოდნელად) გაჩთა მიორე გლებმა (ნოლ. III, 143)... კარქა დამისმინე, არ დაგაბიწყდეს... რაც დავთფინე ვერცხლია, რაც არა და—ცეცხლია... ისთე დავბრაზდით, რომ... დღე თუ დავახერხე. წყილვებლათ ამტალ... ქუუას დუხმე (შდრ. მოუხმე)... დავეთათფირე (=მოვეთათბირე)... რატონ დამატყვილე (=მომატყუე) ამ დროტლი კაცი?!.. ბარისნას რომ გადავხედე, არცეთათ არ დამეწონა...

ასევე, გა—ენაცვლება ზოგჯერ სხვა ზმნისწინებს: ხალხს ისე ხყავდა გაძულვებული ჭემალ-ბეგი, რომ იძულვებული გახდა ბეგი არდაჰან გაქეუულიყო... ჩვენშიც იციან საქონლის გაბაბება (=მიბარება)... აქეთ-იქით სიარულში თლათ გაფორიაქდა...

აღ—, გან—, წარ—, გარდა— ზმნისწინებში ღ, ნ, რ თანხმოვნები ჩვეულებრივ დაკარგულია ასეთ მაგალითებშიც: შვილი... ავზარდე, ცამეტ წელიწადს ტყეში და ღრეში (ნოლ. II, 22)... ამ ამბავმა რუსეთამდინ მიაწია... ორვეში ოროლი ოქრო ამოჩინდა (ნოლ. II, 144)... მე თაობით (=იმ თავითვე, თავიდან) ავნიშნე... ამოსავლეთით ერთი წლის... სავალი გზა არის (ნოლ. I, 41)... ორი დღის განავლობაში... შერიფ-ბეგი დიდი გათქმული იყო... ამ სინორს იქით გამავლობა არ აქსო (ნოლ. III, 44)... ხვალსაღამ წამოღგენა (მაგრამ|წამორდგენა) უნდა გეიმართოს... ი ყაჩალი ვეზირ წყდგინა... სელიმ-ფაშა ძალტან წამოსადეგი კაცი ყოფილა... ლენინი რომ გედეიცვალა, თელი ქვეყანა ატირდა...

ნამყო უწყვეტლის, კავშირებითისა და თუკამოგითის წარმოება

ზემოაქარულში —ავ და —ამ სუფიქსიან ზმნებს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში რიგ ქართულ დიალექტთა მსგავსად ახასიათებთ —ევ-დ, —ვი-დ, და —ემ-დ. —მი-დ წარმოება. ამდენად აქაც დღემდე შემონახულია გადმონაშთის სახით —ავ და —ამ სუფიქსიან ზმნათა უღლების ძველი ქართულის ნორმა. ოღონდ უნდა დავძინოთ, რომ ჩვენს საკვლევ მეტყველებაში წინააღმდეგ ძველი ქართულის წარმოებისა, უწყვეტლის I-II პირ-

ში —ევ-დ ფორმანტთა პარალელურად ვხვდებით —ვი-დ ელემენტსაც. ასეთივე პარალელური ფორმები გვაქვს —ემ-დ, —მი-დ წარმოების დროსაც,¹ მაგალითად: კარქა და ვნაყვი დით მიწას, და ვასხემ დით წყალ და მემრენ მოვზილევ დით... რას მეთაწველ ვიდენ შენი ხრიკები, შტამთობამდინ გაშრენ ი მულრეგები (ნოლ. ა. დ. 28)... უმფოსეფ რომ დევნახვი-დით, გვეშინიოდა ახლოს მისლა... იმ თავსახურ რომ დეახურე ვედა თავზე, ვერავინ ვერ დეახახვიდა (ნოლ. II, 11)... ჰაცხან მალვიდენ იმ გოგოს, მარტო ერთმა კაცმა იცოდა... უწინ ჩვენში საშრობი არ ვიცოდით, ნელ თუთუნ სახლი კედელზე გავაბემ დით (შდრ. ძალღაქვეთ დავაბმდით)... მეთაურ აები დვირბილებით ყველამფერ ხედვიდენ...

მეორე კავშირებითში მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად ზოგჯერ —ო იხმარება: არ შეგეშინდოს (ნოლ. III, 110).. დღე წევდოთ ხულას... ახლო არ მოხვიდო, შენ ყეადში არ ვარ ახლა... რამდენჯელ გითხართ, ზაპაზი ლემსები თან ქქონლონ — მეთქინ...

ხშირად მეორე კავშირებითის მრავლობითში თავს იჩენს არქაული წარმოება, მაგალითად: მოდი, ამ მდინარიდან გავიყარნეთ (ნოლ. II, 21)... მოკრიფოთ ყველამფერი და ისტეველ შევეყარნეთო (იქვე)... ამეზლამ ამ ფაცხაში დავდგნეთ...

თურმეობით პირველში —ავ და—ამ სუფიქსიანი ზმნების ნაცვლად აქ ჩვეულებრივ —ი-ა დაბოლოებიანი ფორმები გვხვდება: ბარსამხანია რამაზანი აღარ დიმიკირია... ამდენი წვიმები ჩემს სიცოცხლეში არ მიინახია...

აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულის

1 არხ. ჩიქობავა ანალოგიურ ფორმებს ადასტურებს „ვეფხისტყაოსანში“: ვკითხვი, ვნახვიდი, ვხელოდი და სხვ. ავტორი აღნიშნავს, რომ მოვლენა ცოცხალია აქარულში. გვხვდება გურულში და ზემოიმერულშიც, უცხო არაა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებისათვისაც. ეს მოვლენა არაა მიჩნეული დასავლური კილოების დამახასიათებლად. (იხ. „დიალექტიზმების საკითხებისათვის“ „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკი-ს მოამბე, III, 1938, გვ. 219), მასვე შენიშნული აქვს ეს წარმოება ფერეიდნულში (ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 210). მარია, იმერული: „იმ სანდუქში მალევეა ბიქ (გვ. 59, 159 და სხვ.), დაწერილებით ამ საკითხის შესახებ იხ. ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XXX — XXXI B, 1947, გვ. 341-342., ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 89-91, პ. ჯაჭანიძე, ხოლმეობითის გადმონაშთისათვის გურულში: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 13, 1955, გვ. 79-87, მ. ცინცაძე, დაკვირვებები ბათუმის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაზე, გვ. 24 და სხვა.

ნორმისა, თხრობა ზმნა — ია-თი აწარმოებს პირველ თურმეობითს: თელი მეზობლებისთვის უთხრობია ნ... ხენწიფეს უთხრობია მის მემარცხნიზა... (ნოლ. III, 52).

ზოგჯერ — ი-ა დაბოლოების წინ შემონახულია რედუცირებული სათანადო თემის ნიშანი, მაგალითად: არადროს ტყვილი არ მოთქმია... ხობუები ჩუბშია ბახჩაში...

ეს მოვლენა დამახასიათებელია აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვისაც. გვხვდება ახალ ქართულშიც.¹

გვარის წარმოებიდან:

უდას (||ჯდას; ლიტ. ზის). საშ. გვარის ზმნისაგან მოქმედებითი გვარის ზმნა თავისებურადაა ნაწარმოები:² აუდუმლეფს, ვაუდუმლეფ...

იმავე ზმნისაგან შეიძლება ვაწარმოთ ი-ნიანი ვნებითიც, მაგალითად: ამ ცხენზე არ შეეუდუმლებ... კალთაში ჩეუდუმლა ბლანა...

„მშია“ ძირი, როგორც ცნობილია, სალიტ. ქართულში აწარმოებს დ-ონიან ფორმებს. ზემოაპარულში კი გაბატონებულია ე-თი წარმოება, მაგ: ხასოვ. სახში მივალ. მომეშოია...

წარმოვადგინოთ აღნიშნული ზმნის უღლების პარადიგმა:

I შ. მომეშოია — მოგვეშოია.

II მოგეშოია — მოგეშოენ.

III მიეშოია — მიეშოენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ზმნა ძვ. ქართულშიც ე-თი იყო ნაწარმოები, ოღონდ პრევერბად შე— იყო გამოყენებული: შეეშოია.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში „შეშინდა“ დ-ონიანი ვნებითის ფორმაც (სუბიექტური წყობის) იხმარება და „შეეშინა“ ე-ნიანი (ობიექტური წყობის) ფორმაც.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „გვხვდება ორმაგი წარმოების ფორმებიც. ე. ი. ფორმები, რომელთაც პრეფიქსიც აქვთ და სუფიქსიც, რაც კონტამინაციით აიხსნება: შეეშინდა (ყაზ., 137, 7, 231, 6, კონტამინაცია პერსონალური „შეეშინდა“ და იმპერსონალური „შეეშინა“-სი)“.³

1 არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით: ლიტ. ძიებანი, ტ. II, 1944, გვ. 129.

2 შტრ. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, 1940, გვ. 534.

3 ა. შანიძე, საფუძვლ. გვ. 311.

ზემოაქარულში პრეფიქსული წარმოებაც გვხვდება („შეეშინა“) და ორმაგი წარმოებაც („შეეშინდა“): ამ ვაქს შეეშინდა და გეიქა სახში (ნოღ. III, 47)...

უნიშნო ვნებითის ნაცვლად დ-ონიანი წარმოება გვაქვს „გაქრა“ ზმნასთან, მაგალითად: ჰა გაქარდა მა გასაქარებელი და აქნობამდი... გაქარდი ამინუჩი და შატყობიე!..

ზემოაქარული გაურბის ზოგიერთი ზმნის აღწერილობითი ვნებითის წარმოებას. რის გამოც მის მაგივრობას ე-ნიანი ფორმები ეწევა. ამის შედეგად აღწერილობითი ვნებითისა და სათავისო ქცევის ფორმათა შორის გარეგნული განსხვავება წაშლილია, მაგალითად: ბილალასეჟლი ნაქეთი უეე მეეკრიფა (მოკრეფილქინა)... შკოლის მასალა გეექრა... გოგომ უთხრა. ახლა არ იქს, თველზენდა მეექსეოსო (ნოღ. II, 3)...

სამაგიეროდ აღწერილობითი ფორმები გვაქვს ისეთ ზმნებთან, რომელთანაც არაა მოსალოდნელი სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით: შაჰზადე ვერტანულობდა ბიქის შეჩერებას (ნოღ. II, 79)... მე იმას არ ვჯერულოფ (ნოღ. II, 32)... თლათ დაყრუვდა უბედური, სულ ვეღარ გონილოფს...

საშ. გვარის ზმნები „მღვიძავს“ და „მძინავს“ შეიძლება იწარმოოს დ-ონით უწყვეტლის გაგებით. მაგ.: გუშინ დღე ძინავდა... ბოვშს ღვიძავდა...

„რბენა“, „წოლა“ და მისთ. მედიოპასიური ზმნები I-II პირში ზოგჯერ ძველი ქართულისებურადაა წარმოდგენილი, ე. ი. სათანადო მეშველი ზმნებით (ვარ, ხარ) არაა გაფორმებული, მაგალითად: თელი დღი და რომ წევოზოში, შენ ნორმას მე შევასრულეფ თუ?! ჰად მირბი, კოტ, ამ სალამოპირ? — ჰამივრბი და, კორომხეთ, რა შენი საქმეა!..

ზოგიერთი ზმნა, რომელიც სალიტერატურო ქართულში დ-თი აწარმოებს ენ. გვარს, აქ —ინ, —ენ-იანი პრეფიქსებით გვხვდება, მაგ.: რომ გეეგძელე სიგძეზე, შენ მეტ ვერვის ხედვ... (შდრ. გაგძელდი)... ტორმუზი მაქ, რომ შენი მოწონებული, შენსავეფქარ გეეგძელე ბი მაშინაის ქვეშ... ზულქიფლავ, გეექენე ქომო და ცხვრები ამორეკე!..

ზემოაქარულისთვის ერთობ დამახასიათებელია სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისაგან უწყვეტლის წარმოება აწმყოს იწკრივის ფორმაზე (სტატიკურ ვნებითებს ზომ საკუთრივ მხოლოდ

აწმყოს მწკრივის წარმოება შეუძლიათ!) მაგალითად: წინა მ კიბი-
ლები სულ არ აკლიოდა... არ ცალიოდა, თუარა ამუს-
ლელს არ იზამდა...

აქ ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი, თუ რა მორფოლოგიური
ფუნქციისა უნდა იყოს ი, რომელიც გამოიყოფა დასახელებული
ზმნების ფორმებში (აკლ-ი-ო-დ-ა, ცალ-ი-ო-დ-ა). ჩენის ვარაუდით
აქ საქმე უნდა გვექონდეს მორფოლოგიურ არქაიზმთან, როცა ი ძველ
ქართულში გამოხატავდა მოქმედების მრავალგზისობას.

კაუზატივის წარმოება

კაუზატივის წარმოების თვალსაზრისით ზემოაქარულში შენი-
შნულია რიგი თავისებურებანი. აქ, როგორც წესი, კაუზატივი მხო-
ლოდ — ი სუფიქსითაა გამოხატული. მაგალითად: აქ რ ა მ გ ა გ ა -
ბ ე დ ვ ი ა მოსლა!.. ყანას მ ტ ა თ ხ რ ი ე ფ... ხენწიფემ ყაჩაღები
დ ო ს რ ე ტ ი ა... თავმედომარემ ბულალტერ შ ე ა მ ო წ მ ე ბ ი ა ...
ამ ალიგზე ატმი ჩქოლა რამ ჩ ა გ ა რ გ ე ვ ი ა?!. რაფრათ ა თ ქ მ ი -
ო ს მართალ კაც ტყვილი (ნ ო ლ. III, 110).

ასეთი ფორმები ახასიათებს ქართული ენის დასავლურ კი-
ლოებს, განსაკუთრებით გურულს.¹

როგორც გ. კვერენჩილაძემ გაარკვია, გურულში კა-
უზატივის ი საწარმოებელი ორგვარი წარმოშობისაა: ერთი მხრივ,
იგი მომდინარეობს — ი სუფიქსისაგან (მაგ.: დააწყებია). მეო-
რეს მხრივ, — ი სუფიქსისაგან (გავსხლიე).²

ასევეა ზემოაქარულშიც. ზემომოყვანილ მაგალითებში — ი
ორგვარი წარმოშობისაა: ერთი მხრივ იგი მომდინარეობს — ი
სუფიქსისაგან (შეამოწმებია ← შეამოწმებინა), მეორე მხრით კი
— ი სუფიქსისაგან (მტათხრიეფ < მოვათხრიეფ).

გარდა ამისა — ევინ სუფიქსის ნაცვლად ზემოაქარულში
გვხვდება — ევი, მაგ. ოზოში ფეხს არ დ ო დ გ მ ი ე ფ ს (= დაადგ-
მევინებს) ვინმეს... შიმიცა მ ერცულულზე კარტიკანდა გ ა დ ა -
ვ ა რ თ მ ე ვ ი ო ბამფორთისთვინ...

1 იხ. მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკულ მოკლენათა განვითარების ტენდენცი-
ები გურულში: ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მე-7 სამეცნიერო
კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1956, გვ. 19.

2 გ. კვერენჩილაძე. კაუზატივის წარმოებისათვის გურულში:
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამე-
ცნიერო შრომების კრებული, წიგნი 1, თბილისი, 1941 წ., გვ. 205 და შემდეგ.

ისიც უნდა ითქვას, რომ კაუზატივი ზემოაქარულში იშვიათად სალიტერატურო ქართულის მიხედვით იწარმოება,¹ მაგალითად: საქონლის ალათ თვლიპირაჲ ხარეფ მ ჟ ა ზ ი დ ვ ი ნ ე ფ თ... ახალი კეცი თჳარ გამ ჟ ა წ ვ ე ვ ი ნ ე თ კარქა, მალე გასკდება...

კაუზატივის წარმოების მხრივ ზემოაქარულთან ახლოსაა, გარდა გურულისა, იმერული დიალექტი² და იმერხეული.³

თავისებური ზმნები

ძ ე ვ ა, გ ა მ ო ძ ე ვ ა გამოყენებულია ძ ი ე ბ ა, გ ა მ ო ძ ი ე ბ ა-ს მნიშვნელობით:⁴ ჯერ არ დაუმთავრებია პროკოლოვს ამ საქმის გ ა მ ო ძ ე ვ ა.... წარმოვადგინოთ ამ ზმნის უღლების პარადიგმა:

აწმყოს წრიდან:

მყოფადის წრიდან:

აწმყო

მყოფადი

ვ ი ძ ე ვ (=ვიძიებ) ვ ი ძ ე ვ თ გ ა მ ო ვ ი ძ ე ვ გ ა მ ო ვ ი ძ ე ვ თ

ი ძ ე ვ ი ძ ე ვ თ

გ ა მ ო ი ძ ე ვ გ ა მ ო ი ძ ე ვ თ

ი ძ ე ვ ს ი ძ ე ვ ე ნ

გ ა მ ო ი ძ ე ვ ს გ ა მ ო ი ძ ე ვ ე ნ

ნამყოს მიმღეობისაგან ნაწარმოები ზოგიერთი ზმნა გამოყენებულია დრო-კილოთა პირველ ჯგუფში: ერთმანეფ ვერ ტანულობდენ... ნეტაჲ რას ტკენულოფს?... სულ ველარგონილოფს!.. არ ჯერულოფს!.. (ინდივიდ.) ნუ გ³ხსენეფ, ხომ ხედავ, წყენულოფს...

ასეთივე წარმოებისაა გაქარვებულა, რომელიც თურმეობით პირველში გამქარალა ზმნის მნიშვნელობას ატარებს. იგ-

¹ ა. შანიძე, საფუძვლ. გვ. 369-370.

² შდრ. ოტ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 173, შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი: ძიებანი, გვ. 151, ვ. კახაძე, კაუზატივის წარმოებისათვის ქვემოიმერულში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. მე-14. სამეცნ. კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1952, გვ. 74.

³ ნ. მარი, იმერხ. ერთი ზანდული გააქეთებია... (გვ. 59), ცხენი მოაპარეია... (გვ. 68), ქეროღლიმ ქალი გააშვებია... (გვ. 69).

⁴ შდრ. კახური, გვ. 102.

ივე გაქრა ზმნა ნამყო წყვეტილში დ-ონიან წარმოებას მიმართავს: ამინუჩი აქ იყო, ჰა გაქარ და ნეტაა ?..

ე ყ უ რ ე ბ ა დადასტურებულია ეს მის მნიშვნელობით: პაწაა ხმამაღლა, ხომ ხედავ, სულ აღარ მე ყ უ რ ე ბ ა!..

მის დევე ზმნის მნიშვნელობით ზოგჯერ მეშველზმნიანი მიღვევხარ ფორმა გვხვდება: ვინ კააჯოთს ნეტაა , რომ მიღვევხარ!..

მ წ ყ ვ დ ე ვ ა ზმნა მ წ ყ [ვ] რ ე ვ ა-ს სახითაა წარმოდგენილი, მაგალითად: შნამ წყრია მაღარაში და გარედან დუბიქსა მაგრა კარი... სამ დღეს გამომ წყრეთ ლი ხყავდა თურმი...

გ ა ა ნ ა თ ა-ს შინაარსს ატარებს გ ა ა ნ ა თ ლ ა და გ ა ა ს ი ნ ა თ ა. როგორც ჩანს, პირველი ნათელ-თანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე სინათლე-სთან, ორივე კი ნათ ფუძესთან;¹ იქაჟრება ისე გ ა ა ს ი ნ ა თ ა, რომ ზეს სინათლე დუქარქა... ელექტრონებმა თლათ დელე-დურდანი გ ა ა ნ ა თ ლ ა...

ნა— წარსულ-დროიან მიმღეობურ ელემენტთან ზმნად მოჩანს დეჟანაძირა: სულ დეჟანაძირა ლაპო წყალმა (=დაწდა)...

მიირთვი (კამას-მნიშვნელობით) ზმნას ენაცვლება ბძანე, რომელიც წინააღმდეგ კამე ზმნისა, პატივისცემის ნიუანსს გადმოგვცემს, მაგ.: ჰეჰ, ბძანე (მიირთვი), რაღას უცდი!..

სამაგიეროდ, მიირთმევა ზმნა გაფართოებული მნიშვნელობით იხმარება და საზოგადოდ კამას აღნიშნავს: ძროხას ნარცხი მიართვი! ბალვ შაკმელი მივართვი... აქ ჩვეულებრივი გამოთქმებია.

გ ა ა შ ვ ა (საარვისო ქცევის ფუნქციით) გამოხატავს გა.უშვა, დატოვა ზმნების შინაარსს, მაგალითად: ბილაღამ ქალი გააშვა, შეატყევე, კო!..

გ ა ძ ე ბ ა (=გაძეგება) ძვ. ქართ. გან-ძ-ე-ბ-ა-დან უნდა მომდინარეობდეს. გა—(← გან—) პრევერბიანი ზმნიდან ამქამად ვაწარმოებთ გავაძე, გავაძო, გააძეს და სხვ. ასე რომ ამ ზმნამ შეინარჩუნა ძვ. ქართ. მარტივი თემა (ფუძე) ძ.²

ძ ე ს (ახალი ქართ. ძეგს) გარდაუვალი აბსოლუტური აგებულების ზმნა რელატიურად წარმოგვიდგება ა-ძეს და უ-ძეს ფო-

1 ა. შანიძე, საფუძვლ. გვ. 408.

2 ა. შანიძე, იქვე.

რმათა სახით:¹ ხედავ, რა წითელი ფერი აქვს!.. ღვიძავს თუ ძინავს.. ის საათი ყველთვის თავთან უქვს...

ამჟამად, ზემოაქარულმა ამ ზმნით შემოგვიანა ძვ. ქართულის ერთ-ერთი ვითარება.

დასმა — შობა.² აქედან დასმული ნაშობი, შობილი, შენ ღორის დასმული!.. ლანძღვა-გინებისას ჩვეულებრივი მიმართვაა აქ; ჩვეულებრივ ბავშვს მიმართავენ. „ბაწამ თქვა, რომე მე რომ ხენწითე შემირთავდეს, ჩიფთათ ბაღნებ დავსვამ, სირმიანი ქოჩრები ჰქონდესო (ნოღ. II, 3)...

ნქრევა, წანქრევა დენას მნიშვნელობით შეიძლება ასეთ გამოთქმაში დავიმოწმოთ: ცხვირიდან ვანქრევიე (= ცხვირიდან ვადენინე). გადატანითი მნიშვნელობით: არ შევარჩინე. ერთი ორად „დაუჭინე“: თუ ჩვევდევ ხელში, ღორი ვიყენე, თუ ცხვირიდან არ წავანქრევიე!..

ზი, ჯელ, ჯექ ფუძე სალიტერატურო ქართულისა და რიგი დიალექტების მსგავსად რიცხვში შენაცვლების არსებულ წესს არ მიჰყვება. ამჟღავნებს ზოგიერთ თავისებურებას, რაც კარგად გამოჩნდება ამ ზმნის უღლების პარადიგმაში:

ა წ მ ყ ო

- | | |
|--|-----------------------------|
| მხ. 1. ვზივარ. (ქედავარ ← „ვჯდავარ“) | მრ. ვზივართ
(ქედავართ) |
| 2. ზიხარ (ქდახარ) | ზიხართ (ქდახართ) |
| 3. ზის (ქდას) | ზიან (ქდანან) |

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

- | | |
|-----------------|---------------|
| მხ. 1. ვედებოდი | მრ. ვედებოდით |
| 2. ედებოდი | ედებოდით |
| 3. ედებოდა | ედებოდენ |

1 ა. შანიძე, საფუძვლ. 387, ი. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნებო ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 150-151.

2 იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 184-186, 212-214, ს. ყაუხჩიიშვილი, ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 382-383.

წყვეტილი

მხ. 1. ვიჯექი

2. იჯექი

3. იქლა

მრ. ვიჯექით

იჯექით

იქლენ

1 თურმ.

მხ. 1. მედარვარ

2. მედარხარ

3. მედარა

მრ. მედარვართ

მედარხართ

მედარან

სერზე ვედავარ, სეარს ვუყურე... გზაზე ნახა, სამი მოხუცებული ერთათ ზიან (ნოღ. III, 52)... ედანან სასამართლოს წინაშე (ნოღ. III, 111)...

თავისებურადაა ნაწარმოები ამ ფუძისაგან მოქმედებითი ჯვარის ზმნა: დაეაქდუმლეფ, დააქდუმლეფ და ა. შ.¹

შერება ზმნის შინაარსით აწყყოს წრეში გამოყენებულია ქცჃ!ჭ (← რჯა, გარჯა) ძირი: რას ექცევი, კო!.. რა ძეგები, რას აპროფ, ბიძავ!..

ენებითის მიმღეობის (ცნობ-ილი) ფუძედ გამოყენებით გაკეთებულია მიმღეობითი ზმნა გამიეცნობილა (I პირში გამიეცნობილე...): ახმელმა გამიეცნობილა და გუუდგენ გზას (ნოღ. I-II, 44)... რა გარცხვენს, მიდი და გამიეცნობილე!..

ასეთნაირადვეა ნაწარმოები ელოდინა ზმნა: შაპხადემ დითხან ელოდინა...

ჩაქრობა ზმნის პარალელურად იხმარება დაპარებჃ გოპარებჃ: მე რომ სანთლეფ დავაპარეფ, ჯარმა გამოვდეს მე და ნზე... შუგძენ ცეცხლ, არ გეძპაროს!..

დახელება ნიშნავს შეშინება-დაშინება-ს. გვაქვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობისა:

- | | |
|-----------------------|------------------------------------|
| 1. მხელავს (მაშინებს) | ვხელავ (ვაშინებ) გვხელავს, ვხელავთ |
| 2. გხელავს | გხელავს |
| 3. ხელავს | ხელავს |

¹ იხ. ზემოთ „გვარის წარმოებიდან“.

6. წყვეტილი

1. დამხელა (შემაშინა) და ვხელე (შევაშინე) და გვხელა (შეგვაშინა) და ვხელეთ (შევაშინეთ).
2. და გხელა და გხელა
3. და ვხელა და ვხელა

თუკმ. პირველი

დუხელავარ (შევეუშინებევარ, დავეუშინებევარ) დუხელავართ (შევეუშინებევართ, დავეუშინებევართ)

დუხელავხარ

დუხელავხართ

დუხელავს

დუხელავან

შემოკლებული ზმნები

ძალზე გავრცელებულია აქ ზმნების შემოკლება ბოლო მარცვლის ან ასოსა თუ ასოების მოკვეციტ. ეს მოკლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ბრძანებითი კილოს ფორმებისათვის. მოტანა, მოყვანა, მოცდა, გაგზანა (= გაგზავნა), მიცემა და სხვ. ბრძანებით კილოში წარმოდგენილია მარცვალმოკვეცილი ფორმით,¹ მათგან ნაწილი ბოლოში დაირთავს დასუსტებულ ი ხმოვანს, მაგალითად: აქ ჩამეეტაჲ, ჰო, მაჲ უღელი!.. უცილვებლათ თან წამეეყვაჲ ჩემი ბადიში, მომენატრა... მიე მაგას!.. მეეცა, შენთან სიტყვა მაქ!.. საყვარელო, გეხვეწები, ამ ჩემ სიტყვას მიე ყური!.. ახლავენ გაგზაჲ მაჲ დარბაზეტლი ღელეს!.. გეექედა, ერცულულზე წალდი აჟმირბენიე!.. მოხყე ჩემკენ!..

როგორც აქ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ბრძანებითი კილოს II პირის ფორმებში იკვეცება ბოლო მარცვლები ვო, ცო, ღე, ნე.

ზმნების შეკვეცას ადგილი აქვს თხრობით კილოშიც: ნაფოცხვარიდამ ჩამევეტაჲ ესენი... ე ხარები უჩხუდან ჩამევეყვაჲ...

შეიძლება შემოკლდეს აგრეთვე წინადადებაც, როცა მისი უკანასკნელი წევრი გაწყვეტილია, მოკვეცილია—ცი მარცვალი „ვიცი“ ზმნაზე და გვრჩება მხოლოდ ვი—, მაგალითად: მე რა ვი...—ჰა წევდა ჰო, მამაშენი? — მე რა ვი!..

¹ გარეკახური მეტყველების მიხედვით ეს საკითხი სპეციალურად შესწავლილი აქვს დ. ჰანტურჩიას — სიტყვათა და წინადადებათა შემოკლების შემთხვევები გარეკახურში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული 1, 1941 წ., შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ძიუბანი, გვ. 137; კახური, გვ. 66-67.

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო მ ბ ა

ხშირია ვნებიანი მიმღეობის — უღ და — იღ საწარმოებელთა მონაცვლეობა. — ავ თემისნიშნისანი ვნ. გვარის მიმღეობა აქ ჩვეულებრივ — იღ სუფიქსით იწარმოება, მაგალითად: გაწურვილი, გაბუტვილი, დაღუმპვილი.. შდრ. დაჭირული, ძველთესული, შეწვილი, დაბადილი.¹ — ა-თი ან — ება-თი ნაწარმოები სახელებისაგან მიმღეობა თუ ზმნა უპირატესად — იღ-ით იწარმოება: გამზადება — გამზადილი, გამზადილია, გავსილი, გაუთვილი, დაძახნილი. წინადადებებში: კრებაზე ვარ დაძახნილი... საქორწილოთ ყველამფერი გამზადილი ქონდა... რაცხა დაწვილი კინკის სული მცემს... კაჟ შეწვილი თუ არაა ყვერცხი. ვერ ვკვამ... რას ფართხლოფ დაკლილ ქათამსავენ!..

მოქმედებითი გვარის მიმღეობაში — ავ თემის ნიშანი არაა წარმოდგენილი ორიოდ მაგალითში: უწინ ჩვენში ალაგობრივ ღვინის დამწური არვინ არ იყო... კარქ საქონელ კაჟ შემნახი შქირდება — ძველები იტყოდენ...

წარსულ-დროიანი ვნ. გვარის — იღ სუფიქსიანი მიმღეობის გადახდილი პარალელურად გვაქვს ნა-პრეფიქსიანი ფორმაც: გადანახადი: მე რომ გადანახადი მაქ თავზე, ბალეებო, თქვენ არც ღეგესიმებთან ისი...

სი-იღ აფიქსით წარმოქმნილი სიტყვა „სიძულვილი“ სი-არე-თი წარმოებისას ასეთ ფორმას მიიღებს: სიძულვიარე: სიყვარულმა სიცხე მომცა, სიძულვიარემ სიგრილე (ნოღ. II, 121)...

ორმაგადაა წარმოდგენილი ნა-პრეფიქსი ნანათხტეფში (ნანათხოვები „ნათხოვარი“); გვხვდება ნათხტებიც: ნათქვამია: ნანათხტებ კაბას ფერი მალე წყუვაო... (მაგრამ: ნათხტები ახ-ააკები).

არაიშვიათია ორმაგი წარმოების უარყოფითი მიმღეობები: უმწლ აპარიკებლათ, უღწსვენებლათ, უწსლელაჟ, უღწღებელი, უღწლეველი...²

1 შდრ. ქართლ. დატოვილი. (ვ. თოფურიია, ქართლური, გვ. 144); ახური გვ. 112-113.

2 იხ. ანალოგიური წარმოება ინგილოურში (მ. ჭანაშვილი, სინგილო, გვ. 231), მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 16, შ. კიდიგური, იმერული დიალექტი. ძიებანი, გვ. 149-150, მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: რუსთველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, 1, 1954, გვ. 10.

ერთი სტუმარი მესტუმრა, მიღღემჩი უსტუმრებელი, ერთი შა-
კმელი მივართვი, სუფრაზე უ დ წ დ ე ბ ე ლ ი... ჩემი ბაღვი არ დაჰ-
ტო უ ჩ წ წ ე რ ე ლ ი!.. უ დ წ ს ვ ე ნ ე ბ ლ ა ჯ თუ ჩე ჯ ტ ა ნ ა მ
კვირთ ხიდზე?.. უ წ წ ს ლ ე ლ ი რ ა ვ ა რ ი ქ ნ ე ბ ა, რ ა ს ი ტ ყ ვ ი ა ნ მ ე ზ ო ბ -
ლები... უ დ წ თ ლ ე ლ ა ჯ არ ჩე ჯ ბ ა რ ო !..

—ოჰ-ზე დაბოლოებული საწყისებისაგან ზმნა თუ მიმღეობა
იწარმოება —უმ (||უნ) სუფიქსის საშუალებით. ამ სუფიქსს ზემო-
აქარულში, როგორც წესი, ლ დაერთვის. ჩვენის აზრით ეს —უმ||უნ
კონტაქტის საწარმოებელ სუფიქსებს უნდა განეკუთნებოდეს, ხო-
ლო ლ —ელ სუფიქსისაგან მომდინარედ ჩანს, მაგალითად: ძალი
ხიდზე გ ა ვ ა ხ ტ უ მ ლ ე, სურდო წყალში ჩ ა ვ ა ხ ტ უ მ ლ ე... შ ა -
მ ა ე დ უ მ ლ ე ცხენზე, რა იქნება!!

ლ-ს —ელ სუფიქსისაგან მომდინარეობას გვაფიქრებინებს ზე-
მოაქარულში ასეთი ფორმების ხმარება: გ ა ს ა ტ ა ნ ლ ა თ (=გასა-
ტანად) წ ა ს ა ყ ვ ა ნ ლ ა თ და მისთ.

—ება სუფიქსს ხშირად —ობა ენაცვლება: თავედუმარემ მე-
ორეჯელ გაცო გ ა მ კ ა რ ქ უ ლ ო ბ ა... საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ო -
ბ ა საქონლის პატრონ კითხევით!.. ამაზე ვეზირეფსაც დიდი წ უ ხ ა -
რობა შეხდენ... შეიქნა ელვა, წვიმა და ვ ა ი - უ ბ ე დ უ რ ო ბ ა
(ნოღ. 11, 22)...

მო-ე აფიქსს ზოგჯერ მე-ე ცვლის: ი კ ა ც ი განთქმული მ ე ნ ა -
დ ი რ ე ყოფილა თურმე... მ ე ი ქ ა რ ე (=მოიჯარადრე)...

მომ-მ-(ი) არე აფიქსით ნაწარმოები მომსხმ ი ა რ ე-ს პარა-
ლელურად აქ იხმარება მოსხამადი: მოსხამადი ხილი... ეს
ტექნიკურაჲ ძალტან მოსხამადია...

გამო — პრევერბიან მ-ელ აფიქსის მაგიერ მა— ელ გვევლი-
ნება სიტყვაში მ ა ძ ი ე ბ ე ლ ი (=გამომძიებელი): ჯერ კიდევ მ ა -
ძ ი ე ბ ლ ი ს ხელშია ეს საქმე...

სა-ე-ს კი სა-ო: ბოლოს ს ა ც ო ლ ო ს ა ც უ ჯ ე კ ი თ ხ ა... ს ა თ ა -
ვ ო შ ი რომ წამოწუწდები, შენ გარეთ ვერვის ხედავ!.. ს ა დ ე დ ო
ფუტკარი...

გვხედება ასეთი წარმოებაც მი-სა-ო: მი ს ა მ კ მ ე ლ ო ს ვ ინ
ჩივოდა, ცივი ჰადიც გვენატრებოდა... სა-ო: ს ა მ ს მ ე ლ ო (ადგი-
ლის სახელია). სა-ის აფიქსებია გამოყენებული ისეთ სიტყვაში;

1 მსგავსი ფორმები იმერხულშიც გვხვდება: (ქოროლიმ)... თერქზე შამეი-
ჯღუმლა (ხანუმი).. მ ა რ ი, იმერხ. გვ. 68.

რომელთანაც სალიტ. ქართულში ჩვეულებრივ არ გვხვდება. ჰაგალითად:

— ამბობენ, შრალ ალაგეფში უმფო ვარგულოფს ყურძენო.

— მეც ასე ვფიქროვ, მაი დასასტავლისია, ხომ იცი!..

სა-ო გვხვდება სა-ელ აფიქსის პარალელურად სიტყვა სასტავლო-ში: ე ახალგაზრდები რომ თლათ გეჟ კრიფენ სასტავლო-ში, კოლექტივში ვიღანდა იმუშაოს ნეტაჲ!..

— ელ სუფიქსს ზოგჯერ ენაცვლება — იერ: ახლა სოფლიერი ხალხი სულ ტყეში გახიზნულან...

— ელ სუფიქსიან სახელთა ანალოგიით ბრიგადერი-ს პარალელურად იხმარება ბრიგადელი (← ბრიგადა+ელ-ი), მაგალითად: ცხოვრებანი არ მოსულა ჩემთან ბრიგადელი, ყველთინ ჩემდათ მივიღვარ სამუშიერზე...

ზოგჯერ სადაურობის აღმნიშვნელი სახელი იწარმოება ორმაგი სუფიქსით (— ურ-ელ) „ჰად (=სად)“ და „აქ“ ზმნიზღებისაგან, მაგალითად: — ჰიდატრელები ხართ თქვენ, ბიძავ? — აქატრელები, უჩამფიდან.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია აზრი, რომ „სადაური“ და „აქაური“ ალბათ ნივთის კატეგორიისაგან ადამიანის კატეგორიის გასარჩევად — ელ სუფიქსს დაირთავსო.¹

— ელ სუფიქსი სვლა (← სლვა) ძირისაგან (ფუძისაგან) ვერ აწარმოებს „შესასვლელ“-ს, „გასასვლელ“-ს და მისთ. ამიტომ აქ შესავალი შესასვლელს ნიშნავს. გასავალი — გასასვლელ-საც და ა. შ.. შესავალ კარეთთან ერთი გამფურია ძალი ება... შესავალ კარეფში აბია ყოჩი და ვეფხვი (ნოლ. III, გვ. 13)... იმფერი ძნელი გადასავალი ალაგებია, რომე... (მაგრამ: გასასვლელთან დამხთება...).

— იან სუფიქსის ნაცვლად — იერ სუფიქსია სიტყვა ჰკვიერ-ში: (ხენწიფემ) შიეკითხა: — ჩემზე ჰკვიერი კაცი თუ იქნება ჰქვეყანაზეო (ნოლ. III, 170)...

ეულ აფიქსი ფონეტიკურ ნიადაგზე ევლ (||ეტლ), ოვლ (||ოტლ), ულ-ის სახეს ლებულობს:² შაქირასეველი ხარები... მე მე დასეტილი კამბეჩი... ჩემი ჩემოვლობა მაგაში ჩავაყარე... აღ-

1. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, გვ. 85.

2. შდრ. ქ. ძოწენიძე, უხუთური მეტყველება, გვ. 51, პ. გაჩეჩილაძე, ხანურ-ზეგნური მეტყველება, გვ. 134.

რე, გამთენიოს გ რ ი ლ ი ს უ ლ ზ ე შ უ დგა ბარვას... (შდრ. ცივასუ-
ლა, სოფელია ქვემო აქარაში).

—ოვან სუფიქსში ო ჩვეულებრივ დაკარგულია: ფ ე რ ვ ა ნ ი
გ უ ლ ვ ა ნ ი, ე ნ ვ ა ნ ი (ენოვანი)... ი მ ხ ე ლ ვ ა ნ ი, ჩ ე მ ხ ე ლ-
ვ ა ნ ი...

ზოგჯერ ნა-იერ აფიქსია გამოყენებული ნა-არ-ისა და სა-ო-ს
პარალელურად, მაგ. რამით დღეში მომიტან შენ ნ ა მ უ შ ი ე რ ს
(ნოღ. 11, 13). სულ ქვეანარია, ძალთან ძნელი სამუშაო იერია
ეს ადგილები... ოსმალობი დროს ხალხი სოფლიდან გარბოდა, ს ა-
მ უ შ ი ე რ ს ეძებდა... (მაგრამ: ეილე შენეც რაცხა სამუშაო,
ტყვილათა რატონ ხარ გაჩერებული)...

—ელ სუფიქსი არა გვაქვს სიტყვა უ ს ტ ა ვ ლ-ში (=უწაველე-
ლი): ყურები კარქა გამეფხვიე; ჩემსავენ თუ უ ს ტ ა ვ ლ ი დარჩი
შენეც... ახლა იმფერი დრტა, რომ უ ს წ ა ვ ლ ი კაცი შორს ვერ
წავა... (მაგრამ: ნ ა ს წ ა ვ ლ ი და უ ს წ ა ვ ლ ე ლ ი ყველა სამუშა-
იერზე იყო გასული)...

სიტყვათწარმოებითი —ულ სუფიქსის გამოყენება აქ ფარ-
თოვდება. ამასთან —ულ სუფიქსი ულ-ა-ს სახითაა წარმოდგენილი,
სადაც ა ← აღ ბრუნვის ნიშნისაგან, ან როგორც ეს ახსნილია საე-
ნათმეცნიერო ლიტერატურაში,¹ აღნიშნული ბრუნვის აღრინდელი
სახეა: შ ა რ შ ა ნ დ უ ლ ა, გ უ შ ი ნ დ უ ლ ა... შუალამიხან პირ-
ვ ა ნ დ უ ლ ა გეიხედა, რომ კიდეც მოდის რაცხა (ნოღ. 111, 11)...

აღამიანთა წარმომავლობის —ელ სუფიქსის მონაცვლედ გამო-
დის ზოგჯერ არა-აღამიანთა სადაურობის გამომხატველი —ურ-ა
(დისიმილაციით: —ულ-ა): ხ ი ხ ა ძ ი რ უ ლ ა ჯ გ ე ლ ი ნ ი (რძა-
ლი)... ქ ვ ა ნ უ რ ა ჯ ხ ო ჯ ა... დ ა ნ დ ა ლ უ რ ა ჯ (სოფელია
ქვემოაქარაში) ქ ა ლ ი...

მსგავსი შემთხვევები გვხვდება კახურსა და ფშაურში.

ცალკეულ შემთხვევათაგან უნდა აღინიშნოს ისეთი ფორმები,
რომლებშიც შა—არ-ის ნაცვლად შ—ელ წარმოქმნის ელემენტებით
არის ნაწარმოები თხტელი (=მ-თხოვ-ელ-ი, „მათხოვარი“):² უ ა-
მობი დროზე ხალხი თ ხ ტ ე ლ ა თ იყო ამდგარი... (მაგრამ: სულ
თხტარივით რაფერ გაქ გამოწდილი ხელი, თუთუნ ვერ ჩეიდუფ ჯი-
ფეში?!).

1 ვრცლად იხ. „მორფოლოგიური ანალიზი“.

2 შდრ. მათხალი, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში:
იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, 357, გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ბორ-
ჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, გვ. 103.

მოქმედებითი გვარის მიმღობის საწარმოებელ მ-ს ნაცვლად გამოყენებულია იმავე გვარის მიმღობის აფიქსი მ-ელ მ ხ ე ვ ე ლ-ში (=მხერხავი), სადაც ფუძედ იგულისხმება ხ ე ვ ა (=ხერხვა): კაჲ მ ხ ე ვ ე ლ ე ბ ი ო რ დღეში და ხ ე ვ ე ნ ა მ მორეთ...

ასეთივე წარმოებისაა მ დ ე ვ ნ ე ლ ი ც, რომლის ფუძედ გამოყენებულია დ ე ვ ნ ა: მ დ ე ვ ნ ე ლ ე ბ ი გაადევნა (ნოღ. III, 159).

მ—ელ აფიქსიანი სახელების ანალოგიით უნდა იყოს მიღებული მ ყ ო ფ ნ ე ლ ი: გემზე მ ყ ო ფ ნ ე ლ ე ბ ს მიეწონენ ქალი და იყიდეს ვორმოზდაათ ალთუნათ (ნოღ. II.I, 158).

მე-ურ აფიქსით ნაწარმოები ზოგიერთი სახელი ბოლოში ე-ს დაირთავს, მაგალითად: ჩენი ჯეფერაჲ მ ე თ ა ტ რ ე გამხდარა... ვინც თა (=მთა)-ში საქონელ უვლის, იმა მ ე მ თ ი ტ რ ე ს ვეტყვით... მ ე გ ზ უ რ ე ს ჩვენ კოლაუზსაც ვეძახით...

—იარ-ე სუფიქსური წარმოებით მიღებულია ქონების აღმნიშვნელი სიტყვა ქ ო ნ ი ა რ ე, რაც ნიშნავს მქონებელს, შეძლებულს: უწინ თელ კვანაში ორი კაცი არ გამიერევეოდა ქ ო ნ ი ა რ ე...

ასეთივე წარმოებისაა ყ ო ფ ნ ი ა რ ე. ძვ. ქართ. „მფრინველი“-დან არის ნაწარმოები გა მ ფ რ ი ნ ვ ა ლ ე: ' მიწას აღარ ეკარებოდა, ისე მირბოდა, გა მ ფ რ ი ნ ვ ა ლ ე ჩიტივით...

მო-ე (ძვ. ქართ. მოცალე ცალიერი ანუ ცარიელი და მოცალეც. ა. შ ა ნ ი ძ ე) —ს მორფოლოგიური ეკვივალენტია მო-ივ—მ ო ც ა ლ ი ვ ი-ს მიხედვით. მ ო ც ა ლ ი ვ ი ა, ვინც მოიცალა, ვისაც სცალია, მაგალითად: თუ მ ო ც ა ლ ი ვ ა თ ხარ, პაწაჲ წაჲმეკარ ხელი ყურძნი კრეთაზე!..

წარმომავლობის, ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად გამოყენებულია ნ-არიანი ნანათესაობითარი ფორმები: დ უ რ ს უ ნ ა ს ა ნ ი, უ ზ ე რ ა ს ა ნ ი, ქ ო მ ო ს ა ნ ი, დ ე დ ე ს ა ნ ი და მისთ.²

კინობითობის საწარმოებელ სუფიქსთაგან ყურადღებას იქცევს: —აღ-ა (||—ელ-ა) რთული სუფიქსი: ქალმა ძროხა გადადენა, ქმარი დაჰტია მ ა რ ტ ო ტ კ ე ლ ა... პ ა წ ა წ ა ლ ა დაუყუროთ, მოგვიდებენ ზურგში თრისას („დ რ ო ე ბ ა“, № 73)...

ამგვარი დაბოლოებები უნდა გვქონდეს აგრეთვე ზოგიერთ ვი-

1 მსგავსი ფორმა იმერხელშიც გვხვდება: სელამსა რომ შამოგითვლი, გამომფრინვალ ჩიტითა (მ ა რ ი, იმერხ., გვ. 49).

2 შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, საფუძელ, გვ. 124, კახური, გვ. 118.

თარებისა თუ დროის გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებთანაც: ჩ უ-
მ ა თ ა ლ ა, ტ ყ უ ლ ა თ ა ლ ა, მ ა ' მ ი ნ ა თ ვ ე ლ ა...

კინობითობის საწარმოებლად ზოგიერთ ნათესაობითი ურთი-
ერთობის აღმნიშვნელ და საკუთარ სახელებთან იხმარება — ულ-ა
სუფიქსი, მაგალითად: ნ ე ნ უ ლ ა, დ ე დ უ ლ ა ე (ბაბუა), ბ ი ბ ი-
ლ ა ე (მამიდა), ფ ა დ უ ლ ა, ხ ა ტ უ ლ ა (საკუთარი სახელებია)
და სხვ.

ამავე ჯგუფში შედის ბავშვებისადმი მოფერებით — საალერსო
მიმართვითი სიტყვა ტ ა ტ უ ლ ა ე! „რუსმა რომ თურქი გადენა, სა-
მი წლის ვყოფილვარ, მიანგარიშე ერთი, ტ ა ტ უ ლ ა ე, რამდენი
ხნისა ვარ?..

—იკ-ა —უკ-ა სუფიქსები უმთავრესად საკუთარ სახელებთან
გვხვდება: ხ უ ს ი კ ა ე. დღე ჩვენთან ვერ ამოხვალ?.. ზ უ რ ი კ ა ე
არ მოსულა შკოლიდან?.. ფ ა ც უ კ ა ე, შენ ომ გეჯ ზ დები, იმფერ
კაც უნდა მიქცე, იმფერ, რომე...

არის შემთხვევები, როცა ასეულის აღმნიშვნელ რიცხვით სა-
ხელს ათეული და ათმეტეული „და“ კავშირით უერთდება,¹ მაგ.:
ა ს დ ა ხ უ თ ი, ა ს დ ა რ ტ ა, ა ს დ ა ც ხ რ ა მ მ ე ტ ი...

წილობითი რიცხვითი სახელის საწარმოებელ მე-ედ-ის ნაცე-
ლად ნა—აღ—ით წარმოების ერთადერთი შემთხვევა ნ ა ო თ ხ ა-
ლ ი-თ დასტურდება.² ნ ა ო თ ხ ა ლ ს (მეოთხედს) მე დეკტიეფ, და-
ნარჩენი შენი იყოს...

ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება

სახელთა დერეივაციიდან ყურადღებას იპყრობს ტოპონიმიკურ-
რი სახელების წარმოება.³ ტოპონიმიკური სახელები აქ ძირითადად
ისევე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს
სხვა კუთხეების გეოგრაფიული სახელებისათვის. ქვემოთ მოყვანი-
ლი მრავალფეროვანი ტოპონიმიკური სახელები, რომლებიც თავი-
სი ბუნებით ქართული წარმოებისაა, ლექსიკის სხვა მხარეთაგან
ყველაზე უფრო მკვიდრად ინარჩუნებს ძველ სახეობას. შეიძლება

1 იხ. მსგავსი წარმოების შესახებ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და
ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 471-472.

2 იხ. მ. ხ უ ბ უ ა, დასახ. შრ., 17; კახური, გვ. 116.

3 მაკაბლის ხეობის (ქვემო აჰარა) ტოპონიმიკის შესახებ გამოკვლევა გამო-
ქვეყნებული აქვს ა. მ ს ხ ა ლ ა ძ ე ს (იხ. „მაკაბლის ხეობის ტოპონიმიკისათვის“,
ბათუმის სახ. პედინსტიტუტის სტუდ. შრომები, 1, 1954 წ.).

ითქვას, თურქულ ენას ლექსიკის ამ ნაწილზე ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენია.

პროფ. ს. ჯიქია ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს: „ოსმალთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (სამცხე-საათაბაგოში, შ. ნ.) იწყება ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყენაო,¹ და ამის ხელშემწყობად ხუთამდე მიზეზს ჩამოთვლის.

რატომღაც აქარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ტოპონიმიკურ ტერმინთა ასეთი შერყენის შემთხვევები ჩვენ ვერ დავადასტურეთ. ეს ალბათ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ აქარაში თურქთა ბატონობის პერიოდში მსგავსი მიზეზები არ შექმნილა. გასათვალისწინებელია ისიც, როგორც იგივე ავტორი აღნიშნავს, „სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ თურქები დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებს, როგორც წესი, ხელუხლებლად ტოვებდნენ“ (იქვე, გვ. 29).²

ზემოაქარის ტოპონიმიკური სახელები ძირითადად შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

პრეფიქსით ნაწარმოები სახელები:

ნა: ნაკათი, ნათლატი, ნათუნთი.

სა: სარეკი, სასვენთი.

სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

ა: ონაგირა (||უნაგირა), ორხევა, პერანგა, ურემა, თავსახნისა, შიგანა, ღურტა. შავნაბადა, ჩაკოდულა.

ავ: მაკახელავი, გაბრელავი, კრელავი.

ებ: მერცხლები, ნათეტვრები, ბუსუყავრები, პანტნები, სტეფანაშვილები, წინწყალაშვილები.

¹ იხ. მისი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, წიგნი III, 1958 წ., გვ. 25.

² ავტორს ეს ადგილი ციტირებული აქვს შრომიდან: Leon Lamouche La transformation turque des noms de lieux slaves dans les anciennes provinces ottomanes, P. Boyer—ისადმი მიძღვნილ კრებულში, პარიზი, 1926, გვ. 33.

ბი, გორგაძეები (← გორგაძიები ← გორგაძეები), ვანაძეები, ვაშაყმაძეები.¹

ევ: ბოსტნევი, გამანათლენი, ბოსლენი.²

ეთ: ლაკლაკეთი, ძამლეთი, ტომაშეთი, ძინარეთი, ბელლეთი, ტბეთი, ქაშვეთი.³

თა: სხალთა, წყაროთა, ქვაბთა, კობალთა, მაწყუთალთა, ქორთა, რაქვთა.⁴

თი: გვალათი, ტყემალთი, ნისლათი, ტბათი, ღარათი, ხირხათი, წელათი.⁵

ეულ: ჩანტრეტლი, ნიგაზეტლი.

იან: ღარიანი, კაქიანი, ფხავსიანი, კენკიანი, თავიანი, ქორჩხიანი, კავანი.⁶

ის: ცხემლისი, გუგუსი, დიოკნისი.⁷

ნარ (ნალ): ლოდნარი, ლეკნარი, მუხნარი, ურთხნალი, ვერხვნალი, თენნარი (← თელნარი), შოკნარი.⁸

ო: ჩანჩხალო, ჩხრიალო, ძირილო, ფრიაცო, ხულო, კინკყო, ბაკო, ფურტიო.

ოზ: თეთროზი, ფიქლოზი, წითლოზი, ვაშლოზი.

ოზა: სეროზა, ვანაუროზა, ყელოზა.

ოზ: ღორჯომი.

უან (ოვან): ლელუანი.

ურ (ულ): ოლადაური, გოგინაური, წინკალაური, ბოძაური, ფუშრუკატილი, ლომანაური, ბოლაური, ქუთაური, გუნდაური, ხიკაური, ბუთურაული, დანისპარაული.⁹

ივრ (ივ+ურ): ვაჩივრი, ქანივრი, ქანივრი.

1 გვარებისაგან გეოგრაფიული სახელების წარმოების შესახებ იხ. ა. შანიძე, ევკილოს კვალი საქ. გეოგრაფიულ სახელებში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 11, № 8, 1941, გვ. 761, მისივე, საფუძველ. გვ. 138.

2. შდრ. ა. შანიძე, საფუძველ., გვ. 138, ალ. მსხალაძე, დასახ. შრ. გვ. 24-26.

3 ა. შანიძე, საფუძველ. გვ. 140.

4 იქვე, გვ. 138, ვ. თოფურიია, გეოგრაფიულ სახელთა — თა სუფიქსისათვის ქართულში: „ჩვენი მეცნიერება“, № 11-12, 1924, გვ. 8-9.

5 ა. შანიძე, იქვე, 138-140, ვ. თოფურიია, დასახ. შრ., გვ. 8-9.

6 ა. შანიძე, იქვე, გვ. 139.

7 იქვე, ვ. თოფურიია, დასახ. შრ. გვ. 8.

8 ა. შანიძე, იქვე, გვ. 145-146.

9 ამ სახელის ეტიმოლოგიაზე — დანისპარაული ← დარისპანაული — პირად საუბარში მიგვითითა პროფ. ა. შანიძემ.

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები:

ნა—ავ: ნახიზნავი, ნაწითელავი, ნაბელლავი, ნათაცხავა.¹

ნა—არ (ნა-ალ): ნავენახარი, ნაფეტვარი, ნასეფვარი, ნაიფლარი (← ნაიფნარი), ნადიკვარი, ნაგვიმრალი, ნწრსლარი, ნაოსპარი.²

ნა—ებ: ნაბოსტნები, ნაქვავები. ნალღეზები, ნაშეავეები, ნანყნები, ნამასკლავები.

ნა—ურებ: ნაჯავახურები, ნაყანვრები.

ნა—ევ: ნაეაზნევი, ნაჩადჩევი, ნაყიშლევი, ნაკაქიევი, ნახიზნევი, ნაქალაქევი, ნამუნასტრევი (|| ნამონასტრევი) ნატბევი, ნადარბაზისევი.

სა—ავ: საწუმპავი.

სა—ე: საქორე (გვხვდება საქორია-ც), სამარილე, საკანაფე, სატალახე, სათიბე, სამელე.

სა—ია: სანალია, საქინკია, საძმერხლია, საღორია, საწუმპია, საქილია, საკაქია. სამხლია, სალილია, საავდრია, საცხოვრია. საქონდრია.

სა—ეთ: საქორეთი, სამოლეთი, საძგვერეთი, საფუტკრეთი, საფილეთი, სათიბეთი.³

სა—ელ: საქინკელი, სამძიმელი, სათიბელა.

სა—ათ: საკარჭალათი, საწოლათი.⁴

სა—ის: საწაფისა.⁵

სა—ო: საბოგილო, სამსმელო, სავარდებო, საჯაყელო, სათოვლისწყარო, სასადილო, სატბაო, სადაეო, სამაყელო.

სა—არ—ა: საწუმპარა.

სა—ურ: საციხური, საყანური, საბადური.

სა—ურ—ო: საჯიხური.

1 ა. შანიძე, ვეკილოს კვალი, გვ. 765, აღ. მსხალაძე, დასახ. შრ., გვ. 26-27.

2 იხ. სტ. მენტეშაშვილი, ნაოსპარი, ნარსლარი, აქარის ეთნოგრაფიული მასალები: ენიკი-ს მოამბე, II, გვ. 153.

3 ა. შანიძე, საფუძელ. გვ. 140-141.

4 ვ. თოფური, დასახ. შრ., გვ. 8-9.

5 ვ. თოფური, იქვე, ა. შანიძე, საფუძელ. გვ. 139.

სინტაქსური თავისებურებანი

მსაზღვრელ-საზღვრული

ყურადღებას იქცევს სინტაქსური დამოკიდებულების ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელი როგორც პრეპოზიციული, ისე პოსტპოზიციური წყობის დროს საზღვრულთან მართულ-შეთანხმებუ-ლია, მაგალითად: კოტ, ე ბალვი აქ ი ფ ა ს ი ბალიშა?... ა კ მ ე-და ს ი ხარები რატონ არ გამე ჟ ყბა ჟ ხ ჟები სათრევეში... ე ცელი ის მ ე ჟ ლ ა ს ი ა... ამ გ ო გ ო ს ი შობლები დაჰაა ჟ ჟეს...

არაიშვიათად მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან პრეპოზიციული ბოლოთანხმოვ-ნიანი მსაზღვრელი გვევლინება ბრუნვამოკვეცილი ფორმით,¹ მაგ.: ჩ ე მ ა ფ ხ ა ნ ა კ ე ბ მ ა თუ დიმიფასეს... მაგათ შვილებმა რაშინდა გამტადგენ შობლევ... მაშინ გამოვდა ერთ ჯარისკაცმა და უმფოს მტახსენა... ერთ დიდ ნაძვის ქვეშ მეჯყულ-რა... ამოიღო... ვორი ყური ერთ თავიან დევის (ნოლ. III, გვ. 4)... ერთ კილომატყლიდან ვ რწყვილი წინდა გამტა, სუფთათ თუ დართე... ერთმა ერთ კედრიდან წევდა და მიერემ მიერე კედრიდან... ხენწითე რომ შემირთავდეს ერთ კვერცხ იალიდან იმდონ შაქმელ გავაკეთეფ რომე...

ზოგჯერ სახელობით ბრუნვაშია მსაზღვრელი მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვაში დასმულ თანდებულის თუ უთანდებულო საზღვრულთან, მაგ.. ახლა გამოვდა სულ უნცროსი ძმამ... ამაზე თელი სოფელმა ფეხზე ადგა თურმი... აბა, მიპასუდე, თელი ქვეყანაზე რამდონი სურიელიაო.. ხანჯელ შვიდი წელწაც მაზლსაც ვერ დჯელაპარიკებოდა მეგემ...

ანალოგიური მოვლენა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ინგილოურში, გურულსა და კახურში.

როგორც არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი მიუთითებენ თავის „კახურ დიალექტში“,² მეგრულ-ქანურსა³ და ყიზლარ-მოზდოკურ ქართულში⁴ მსაზღვრელი ყოველთვის სახელობითი ბრუნვის ფორმით გვევლინება და არ უწევს ანგარიშს იმას, თუ რომელ ბრუნვაშია საზღვრული.

1 შღრ. მარი, იმერხ. გვ. 55, მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 21, კახური, გვ. 123.

2 კახური, გვ. 124.

3 არხ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, ნ 18.

4 სტ. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული: ტფ. უნივ. შრ. 5, 1936, გვ. 276.

არის შემთხვევები, როცა საზღვრული შინაარსის მიხედვითაა შეთანხმებული სემანტიკურად მრავლობითის გამომხატველ რიცხვითი სახელითა თუ ნაცვალსახელით გადმოცემულ მსაზღვრელთან, მაგალითად: ვერ დწარავ კარეფ, ო რ ვ ე მ ო დ ე ბ ი რომ დ ფიათე... უნცროსმა ძმამ ყ ვ ე ლ ა ფ ე ლ ე ვ ა ნ ე ფ ს მ შ ო გ... შვიდი სახენწიფოს შ ვ ი დ ვ ე ხ ე ნ წ ი ფ ვ ე ფ მ ი ა კ ი თ ხ ა.. სამ მინუჩი ყ ვ ე ლ ა მ ე ზ ო ბ ლ ე ფ შ ა ტ ყ ო ბ ი ა... თ ხ უ თ მ ე ტ ი ბ ი კ ე ბ ი დამდევს („დროება“, № 73)..

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება სხვა ქართულ დიალექტებშიც.

ძვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

გვხვდება როგორც შეთანხმებული, ისე შეუთანხმებელი ფორმები. თუ ქვემდებარე სულიერ საგანს აღნიშნავს, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმებას: კ ა მ ბ ე ჩ ე ბ ი შ ი ე რ ე ბ ი დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა ნ მ ე გ ე მ... სკიდამ თლათ გა ფ რ ე ნ ი ლ ა ნ ფ უ ტ კ რ ე ბ ი... თუმცა ვხვდებით გამონაკლისებსაც, როცა შეთანხმებას ადგილი არა აქვს: ძ რ ო ხ ე ბ ი ყ ა ნ ა შ ი შ ე ს უ ლ ა... ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ მ ა გ ლ ი შ ა მ შ ა მ ი ე ხ ე ი ა...¹

შეთანხმებას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა შემასმენელი სტატიკური ვნებითის ფორმით არის გადმოცემული, მაგ. შევდა მალაროში, რომ, რას ხედავს, თმებით კ ი დ ი ა ნ სამნავე დ ე ე ბ ი... ამღონხან ჰ ა ყ რ ი ა ნ ლ ო რ ი დ ა ყ რ ი ლ ე ბ ი...

ქვემდებარედ გამოყენებული უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელი ხან ითანხმებს შემასმენელს და ხან არა: ხ ე ნ დ ე კ ე ბ ი (თხრილები) თლათ ქვეებით ა რ ა ვ ს ი ლ ა!..

რაც შეეხება ვნ. და საშუალი გვარის ზმნით გამოხატულ შემასმენელს, იგი ზოგჯერ მხოლოდობით რიცხვშია, მაგალითად: თლათ ძირამდინ არ დ ა ს უ ლ ა ე ვ ა შ ლ ი ს ტ ა ნ ე ბ ი!.. ს ი მ ი ნ დ ე ბ მ ა ს უ ლ ჩ ე ლ ე წ ა...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება უფრო ჰისტემატურ ხასიათს ატარებს, როცა ქვემდებარის განსაზღვრებად წარმოდგენილია მნიშვნელობით ერთზე მეტის აღმნიშვნელი

¹ შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 145, მ. ხ უ ბ უ ა, დასახ. შრ., გვ. 21, ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 68, კახური, გვ. 127 და სხვ.

სახელი: ყველა, ზოგი, ბარსამი (← ბარე სამი),¹ მთელი, ბეტრი, ოჯახი, ცოლ-შვილი, დედ-მამა და სხვაგვარეთვე რიცხვითი სახელები, მაგ.: გეგხე, გაღმა სირთხე, კო, რამტონი კაცი მოდიან!.. თქვენ ბრიგადაში უმფო ბეტრი ქალი არიან... გაზეთი ამბოფს, რომ თურქეთში წყალდიდობი დროს ორმოზ დაათი კაცი დარჩობილან... ბარსამი ბაღვი მონგროვილან...

ასევე, ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობით ერთზე მეტის აღმნიშვნელი კრებითი თუ სხვა სახელი (ქვემდებარე) ხშირად ითანხმებს ზმნას (შემასმენელს) შინაარსის მიხედვით, უპირატესობა ეძლევა რეალურად გამოხატულ რიცხვს.² მაგ.: ზოგი კარქა მცხოვრობდენ, ზოგი მწვალობდენ... ყველამ გაკვირდენ (ნოღ. III, 43)... რაც დუნიაზე ხალხია, ყველამ მოყრილან... რასაც ჩემი დედ-მამა ამბობენ, მე სულ თელი ვიცოდი (ნოღ. II, 32)... სამვემ ეიკიდენ გუღა-ნაბადი და წევდენ სამუშიერზე... ხალხს გუუხარდენ და დაფაცურდენ წყლის წასაღებათ (ნოღ. III, 101)... ეამობი დროს ხალხი ეივოდენ, ტიროდენ... (მაგრამ: ხალხი ყველთვინ არ დიგიტმოფს... ჯარმა კრუგი დართყა ხენწიფის სახლ...).

ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტიც ითანხმებს, მაგრამ წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულისა და აღმოსავლური დიალექტებისა, რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოხატულია სუბიექტის მესამე პირის —ენ, —ან სუფიქსებით, მაგ. ამაზე დიდი უკმაყოფილობა შეხდენ ვეზირეფს... რომელ ქვეყნეფში მიკყავან მაიხალხი... ისტე გუუხარდენ, რომ... რა გინდანან, რას მესევეთ ფუტკრებსავენ...

ძველი ქართულისებური ვითარება გვაქვს, როცა მრავლობითში დასმული სახელი (ქვემდებარე) ვნებითი გვარის ზმნას (შემასმენელს) ითანხმებს რიცხვში —ენ (||ნ) სუფიქსით: პირველში მე და ზაბითაჟ ჩევწერენით... დროზე მივეშველენით, თჳარა... ახლა მე და შენ დევეჳედნეთ...

1 ბარსამ (← ბარე სამი)-ს აღარ აქვს „სამი“ რიცხვითი სახელის გავება, როგორც ეს გურულშია, მაგ.: ბარე ორი, ბარე ხუთი, ბარე სამი და ა. შ. ეს სიტყვა აქ მხოლოდ ამ ფორმით იხმარება და ნიშნავს ბევრს, მრავალს, საკმარის, ბარსამი-ს პარალელურად გვხვდება იმავე მნიშვნელობის ბარე ოლი.

2 შდრ. ვ. თოფური, ქართლური, გვ. 145, არ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 78, მისივე, მთიულტრის თავისებურებანი, გვ. 56, მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 21, შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ძიძიანი, გვ. 144, კახური, გვ. 126 და სხვ.

იშვიათ შემთხვევაში უქვემდებარო ზმნებთან გვხვდება ქვემდებარე: ერცულულზე წვიმა წვიმს, მემბრენ უცფათაჲ გედეჲდრის... კარჩხალ უყე დჷთოვია თოვლს.. წვიმა წვიმს და ლამი არა, თეთრ კაბაში გამიარა (ნოლ. II, 115)...

მ ა რ თ ვ ა

ცალკე მდგომი თანდებულები და თანდებულად გამოყენებული ზმნიზედები ქვეშ, უკან, აქეთ, ზედან და მისთ. სახელს ჩვეულებრივ მიცემთ ბრუნვაში მართავენ, მაგ.: ჭაყვა-დანა ქილიმ-ქვეშ ქონდა შამოდებული... ქვა-ქვეშ არი ჩემი ბედი, იქიდან სულ არ იძრება... ამას იქით ფეხი არ გადადგა!.. სამთვეს უკან დეიბარა... საბძელს უკან ბოსტანი იყო გაშენებული... ჩხაკაურა ეავე წყალს ზეჲდანაა... ხულას ზეჲდან ქედლებიო, ჩემი კიბნის დედნებიო (ნოლ. II, 117)...

შვიდ დღეს მემრე ამოიღეს და რას ნახავ (ნოლ. II, 32)...

„შინისაკენ“ სიტყვის პარალელურად გვაქვს „შინათკენ“; როგორც ამ უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს —კენ თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან გვხვდება: შინათკენ რომ გეჲარო, მანგალი წამეჲლე თან!.. (მაგრამ: ასე მალე რას მიგეჩქარება შინისკენ!).

მართვის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ გარდაუვალი (ერთპირიანიც და ორპირიანიც) ზმნა II სერიაში ქვემდებარეს შართავს როგორც მოთხრობითში, ისე (უფრო იშვიათად) სახელობითში, მაგ. ჯერ კიდევ გატიალებული (გათენებული) არ იყო, რომ ფირალემა წამოცვინდენ ზეზე... შერიფ-ზე გმარუსეთ მიემფხო თურმინ... (მაგრამ: თავედუმარე

1 შდრ. იმერზ. ქომოდან, წისქვილ ქვეშ დეიმალე!.. დელესუკანი (ტოპ. საჭელი)... მარო, იმერზ., გვ. 64, აღ. ლეკიაშვილი, ივრის-ხეურე ფშაურე: სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, 1, 1941, გვ. 132.

საშროფში ჩევდა... ახლა შამშებრუნდა დედაბერი...¹
იშვიათად I სერიაშიც მოთხრობით ბრუნვაშია ქვემდებარე-
სულ ერთია გარდამავალ ზმნასთანაა თუ გარდაუვალთან. ოღონდ
ეს კია, რომ ქვემდებარე პირის ნაცვალსახელით უნდა იყოს გამო-
ხატული, მაგ. მან თელი დღია მუშაოფს... მართო მან ეხ-
მარებ... მან ჰადარი, გო?

ამ მოვლენით ზემოაქარული ჰანურს უახლოვდება. ზოგჯერ
დამატება ნაცვლად მიც. ბრუნვისა, სახელობითშია, მაგ. შენ რან-
და მიხდე ჩემი დერდი... რეგებავ, ებალვები თუ არ
ასტავლე, მაგათი ცრდვა შენ დეგედება კისერზე!.. მაგინი
ვერ შევავგნებიე... შდრ. თახსინამ მუატყვილა ხაზა-
ინი...

„დაძახება“ ზმნასთან დამატება II სერიის ფორმასთან სახე-
ლობით ბრუნვაშია, ნაცვლად მიცემითი ბრუნვისა, მაგ. ქოსაშ
თავის შვილიც აღარ დჷძახა... დჷძახა კაცანას დამკ-
ლელი და უთხრა... დჷძახე მაჯბალვი...²

იშვიათად, მაგრამ ორიოდ მაგალითს მაინც შევხვდით, როცა
დამატება II სერიის ფორმასთან მოთხრობით ბრუნვაშია (ნაცვალ-
სახელით გამოხატული პირდაპირი დამატება), მაგ. წისკვილი გა-
ტეხვაც მას დააბრალეს მეგემ და მანაც (ე. ი. ისიც) პასუღ-
გებაში მიცეს... ქალი სულ იწყევლებოდა, ღმერთმა არ
ჩამეფყჷანა ყურბეთიდან მან (ის) სალაშეთით...

1 სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მსგავსი ფაქტები ძირი-
თადად დასავლურ კილოებს ახასიათებს. ე. თ. ო. ფ. რ. ი. ა. ს. აზრით ეს მოვლენა
მეგრულ ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული იხ. მ. ი. ს. ი. „სინტაქსური ანალო-
გიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ „ჩვენი მეცნიერე-
ბა“, 1, 1923, გვ. 120. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულში გარდაუვალ
ზმნასთან ქვემდებარე იმ შემთხვევაში გვევლინება მოთხრობითში, როცა მას
გარდამავალი ზმნა მოსდევს: ადგა კაცმა და ერთი შველი დაიჭირა (ქართლუ-
რი: არილი, გვ. 146), არნ. ჩიქობავა მთიულურში მოთხრობითი ბრუნვის
სმარების ისეთ შემთხვევებს ადასტურებს გარდაუვალ ზმნებთან, როდესაც შერ-
თულს წინადადებაში ერთ სუბიექტთან ორი ზმნაა, მათგან ერთი გარდაუვა-
ლი, მეორე — გარდამავალი (იხ. მ. ი. ს. ი. მთიულურის თავისებულებანი, გვ. 55):
შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 20, ჟ. ნოღაიდელი, აქარა დიალექტო-
ლოგიურად, გვ. 20, ს. ეღენტი, გურული კილო, გვ. 69, შ. ძიძიგუოი.
მესხური: ძიგბანი..., გვ. 144, არნ. ჩიქობავა ქვემდებარის მოთხ. ბრუნ-
ვაში დასმის ფაქტს ანალოგიად მიიჩნევს, ამ მოვლენას დადასტურებულად
თვლის ცოცხალი თქმებიდან არა მარტო გარეკახურში, არამედ მთიულურში,
ფერეიდნულში და აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა კილო—თქმებში: იხ.
მ. ი. ს. ი. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 74, კახური, გვ. 131.

2 სავესებით ანალოგიური მდგომარეობაა მესხურში. შ. ძიძიგუოი ამ მო-
ვლენის პარალელს პოულობს იმერხელულშიც და მ. შარის მიერ ჩაწერილი იმერ-
ხელუ ტექსტებიდან მოჰყავს ასეთი მაგალითი: დუძახა ჰასან-ფაშამა ქელოლ-
ლანი... (ძიგბანი..., გვ. 144, შდრ. კახური, გვ. 131).

მაგრამ კავშირის ნაცვლად აქ მარა გვხვდება: ექს წელ-
წათ გაფირალებული იყო, მარა ბოლოს მაჯც დეჯქირეს...

ამ ფორმითაა დამახასიათებელი ეს კავშირი დასავლური კი-
ლოებისათვის.¹

ოლონდ კავშირი ოლონ (||ოლომ) ფორმითაა წარმოდგენი-
ლი, რომლის მნიშვნელობით უპირატესად ხოლოთ კავშირია გა-
მოყენებული, მაგ. დასთანხმდა გოგომ, ხოლოთ მამამისიდან
უნდა გამიეტანა პირობა (ნოლ. III, 24)... მე ჩემ გზას დავადგე-
ბი, ოლონ კიდევ ალარ მომაკითხო...

ზოგჯერ ხოლოთ ენაცვლება მარა (=მაგრამ)-ს: ყველამ-
ფერ იტანდა, ხოლოთ ტყვილის თქმას კი ვერა...

თორემ, თუ არა კავშირი ჩვეულებრივ თუ არა, თვარას-
სახით გვევლინება: გაბუცდი, თუ არა ყურეფ შაგაფრეწ!.. ახლან-
დელი ბაღები გმთავებენ თვარა საშუალოს, ხელათ უმაღლესზე
აქნენ თუალი... მოხვალ თუ არა. ი მიწეჩი ჩაქწერ...

ამ სახითაა ეს კავშირი დასავლურ კილოებში.²

რომელიც მაქვემდებარებელი კავშირის ნაცვლად აქ დას-
ტურდება რომელცხა.³ პირვლად სამი კაცი გამოჩინდა მეჯ-
დანზე, რომელცხას ეშინჯოდა. ის სულ დანაბოლოს გამოვ-
და. თქვენ ორში რომელცხა უმფოსია, იმან მეეტანოს...

რომ კავშირი გვხვდება რომე. რომენ. რომ, რუმე,
რუმ, რუმე ფორმით: შუჰკიტინა, რომენ, რას ხედავ!..
უთხრა გოგოს, რომენ, თქვენთვინ იმდონზე კაჯ მინდა (ნოლ.
ა. დ. 39)... იქ თურმე განიერი წყალია იმფერი, რუმ გამფრინვალე
ჩიტიც ვერ გავა ზეთ... უნდოდა, რუმე იმ სოფლის ხალხი გაცილი-
ლიყო (ნოლ. ა. დ. 32)... მეერეჯელაჯ ომ დაბრუნდები...

ანალოგიური ფორმები გვხვდება გურულში, იმერულში, ინგი-
ლოურში, იმერხეულში და სხვ.

განსაზღვრების ფუნქციით წარმოდგენილ სადაც კავშირის
ენაცვლება კაცხან:⁴ კაცხან შენ წახვალ, მეც იქ წამუალ...

გურულ-ქვემოიმერულის მსგავსად აქაც დადასტურებულია
ვინცხა,⁵ ოლონდ წინააღმდეგ აღნიშნული დიალექტებისა, ზე-

1 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ დიალექტებში, ძიუბანი, გვ. 67.

2 შდრ. თორე. შ. ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 105.

3 შდრ. „რომელიცხა“, შ. ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 79.

4 ამ კავშირის შესატყვისია დასავლ. კილოებში საცხა

5 შ. ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 80.

მოაქარულს ვინძლა, ვინძლა ფორმებიც გააჩნია, მაგ.:
ეს საქმე თუარ დახერხდა, იცოდე. ვინძლას ხელი ურევია
ამაში... ვინცხა მტასტროფს, იმისა იყოს!..

ასევე, როცხა, როცხა (უპირატესად ეს უკანასკნელი):
როცხა რომ მაგის ხელში ჩავარდა ჩემი საქმე, მაშინ მივხლი
ყველამფერი...

იქ, აქ, მაქ, იმ ადგილას, გურ: იქინე, აქანე, მა-
ქანე ლოკალობის კორელატ-სიტყვებად გვევლინება იგზე, აგ-
ზე, მაგზე, მაგ. ძაჲდამაჲც იგზე ჩარგო ის ჩქოლა, ჰაცხან
ომ ლობე უნდა გემეყვანა... თუარ დეტია მაგზე, ზოგიერთი
აგზე გადმტალაგე!...

ასევე მაშინ კორელატ-სიტყვის პარალელურად გვხვდება
მაშვინ: მაშვინ ანდგარა ეს ვაქარი და პირდაპირ ყათთან წა-
სულა...

როგორც კავშირს აქ ჩვეულებრივ ენაცვლება რავარც,
ხოლო მასთან მოსალოდნელი „მაშინვე“ კორელატ-სიტყვის ნაც-
ვლად გვხვდება მაშინათვე, მაშინათველაჲ: რავარც
რომზე იწვერნიდა, სამნავეჲ ფეხზე იყვენ დამდგარი... რავარც
იმ ორთავე დევმა. დეინძრა ადგილიდან, მაშინათველაჲ
იძრო ამან ხანჯალი...

მიზეზობითი კავშირი „რადგანაც“ ზემოაქარულში არ იხმა-
რება, მის მაგივრად აქ ჩვეულებრივია რადამც: რადამც რუმ
მასე არის, შეიყვანეთ... და ნელდ ტყავში გწხვიეთო... რადამც
ქალი კედრიდანაც თანაყმა არიან, მტაწერეთ ბარემლალაჲ ხელი!..

ჰიდამდი (=სანამ)-ს კორელატად წარმოდგენილია მარო-
ბამდი (||მანობამდი): ჰიდამდი არ ამტაჩინა ეს ურცხო კაცი,
მარობამდი სახლისკენ პირი არ უქნია... ჰიდამდი არ დავ-
ბრუნდები ყურბეთიდან, მანობამდი ამას ხელი არ წწკარო!..

ვითარებით-შედევობითი კავშირების კორელატებად აქ გვევ-
ლინება: ისთე, იმფრათ (ისე), იმფერი, ამფერი, მაქ-
ფერი (ისეთი, ასეთი, მასეთი), იმითანაჲ, ამითანაჲ,
მაგითანაჲ: იმითანაჲ რა არი, ქვეყანას ომ უჭირდება...
მაქფრათ რომ გეჲზდებოდეს ბაღანა, მაშინ ყველა გაზდის...
მაგითანა ფალავენფს ლეკი თითით გწტოლდები...

თავისებურებანი რთულ და მარტივ წინადადებაში

ორმაგი კავშირია გამოყენებული ისეთი კონსტრუქციის რთულ წინადადებაში, რომელშიდაც წევრ-კავშირად „რომელიც“ გვხვდება, ასეთ შემთხვევაში მას ჩვეულებრივ მოსდევს „რომ“ კავშირი,¹ მაგ. იმ ოქროს თმიანმა ქალმა მარტო ის ბოვში აზარდა, რომელიც რომ თვალ-წარფში მისი მინამგვანი იყო... ჯერ მიესალმა ვეზირ, რომელმაც რომ ხენწიფის სახელით გამეჯბარა ე კაცი... ქორწილფში ყველთვინ უნტროს ძმას გზავნიდენ, რომელსაც რომ კახსამა-სიმღერა ეხერხებოდა...

„რომელიც“ წევრ-კავშირის შემცველ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ხშირად წევრ-კავშირს მოსდევს მისათითებელი სახელი, რომელიც განსაზღვრულია მის მიერ,² მაგ. მოდი, ამით გაუმარჯოს იმ ნეფედედოფალს, რომელ ნეფედედოფალსაც გუდუწუწვედიან ახალი ქართული ოჯახის შექმნა... ყოფილა უწინ ერთი განთქმული მონადირე, რომელმამონადირემაც ერთხელ...

არის შემთხვევები, როცა რთული წინადადება აგებულია მისათითებელი სიტყვისა და წევრ-კავშირის გარეშე, მაშინ, როდესაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით ასეთები მოსალოდნელია, მაგ. ...მეომ ხენწიფე შემირთავდეს, ჩიფთათ ბალნებ დავსვამ, სირმიანი ქოჩრები ჰქონდესო (ნოლ. II, 3)...

II სერიაში გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან მომავალ-დროიანი მიმღეობით გამოხატული პირდაპირი ობიექტი ნაცვლად სახელობითი ბრუნვისა, ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ. დაგვაძალეს სამუშიერზე გასასლელათ... ნეფემ უბძანა ხელქვეითეფ. სასტრაფოთ ჯარის შესაგროვებლათ...

შენიშნულია სხვა თავისებურებაც ფრაზის გამართვაში, მაგ. ახლა თუ დეჯჯერე მაინც შენო ქალის სიმართლესი.

ზმნის მწკრივთა ფორმების შეთანხმებულობა ასეთი კონსტრუქციის რთულ წინადადებაში: ოდაში იმხელა ბული იდგა, რომ ნეშტოებში ყურუმი გეექნებოდა სამსე!..

კითხვით წინადადებაში აზრის სიზუსტისათვის ან ყურადღე-

1 შდრ. შ. ძიძიგური, ძივანი, გვ. 81.

2 არნ. ჩიქობავა, კანურის გრამ. ანალიზი, გვ. 184. შ. ძიძიგური შენიშნავს, რომ ამგვარი კონსტრუქციის მაგალითებს უხედავჯაწვილიან აღმოსავლური კილოებით (იხ. იქვე, გვ. 80-81), კახური, გვ. 134-135.

ბის გასამახვილებლად ხშირად ადგილი აქვს წინადადების იმ წევრის განმეორებას, რომელსაც მოქმელი ხაზს უსვამს (resp. ლოგიკურ მახვილს უსვამს). განმეორებული სიტყვა კი პოზიციურად ჩვეულებრივ ბოლოშია,¹ მაგ. ძამლე თ მიდიხარ, ძამლე თ?.. აღარ მიდიხარ, აღარ?.. მართლა დაქორწილდა, მართლა?..

გ ა რ ე მ ო ე ბ ა ნ ი

ზემოაქართულში ზოგჯერ ადგილისა და დროის გარემოება წრფელობითი გადმოიცემა, ასეთ შემთხვევაში აღებულია ლექსიკურად ადგილისა და დროის გადმომცემი სახელები: ადგილი, დამ.ე და მისთ., მაგალითად: ორივემ შააქდენ ცხენს და ამოვდენ იმ ადგილ (ნოლ. III, 5)... იარეს, იარეს და მივდენ კიდვენ იმ ადგილ... იმ დამ კინკის გოგომ უთხრა ჯანფოლადს...

ადგილისა და დროის გარემოება, რომელიც სალიტერატურო ქართულში — ში თანდებულისანი მიცემითითაა გამოხატული, აქ ამ თანდებულის გარეშე გვხვდება,² მაგზანა ბაღდათ... საქონელ ზაფხულობით ვგზავნით ნათელათ, გვალმინდორ, კუნჭულეთ... ერთ საათზე ევდა ხულას...³

გვაქვს პირიქითი შემთხვევაც: ნაცვლად უთანდებულო მიცემითის ფორმისა — ში თანდებულისანი მიცემითს აქვს დაკისრებული დროის გარემოების გამოხატვა, მაგ. იმ დროში გული მუუვი და... აღას (ხუბუა, 36)...

დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: დღე, თვე, წელი (||წელწადი), დღია, საღამო, აგრეთვე „დრო“ დროის გარემოების გადმოსაცემად ხშირად — ში და — ზე თანდებულს დაირთავენ ან უთანდებულო მიცემითის ფორმით გვევლინებიან, ნაცვლად სალიტერატურო ქართულში მოსალოდნელი მოქმედებით ან მიცემით ბრუნვიანი ფორმებისა. მაგ. ჩემს ახალგაზდობაში სამ დღეზე ჩევდოდი ბათუმ.. ამ დროზე ჩიტმა მოვდა ენაზე (ნოლ. II, 84)... საღამოზე ენდა მოვდენ მეზობლებმა... აღრე დი-

1 შდრ. კახური, გვ. 134-135.

2 შდრ. ვ. თოფურიძე, ქართული, გვ. 145-146, ასეთი ფორმები ახასიათებს ქართული ენის მთის კილოებს (ა. შანიძე), დასავლურ დიალექტთაგან მთარაუულს (შ. ძიმიტურიძე, ძიუბანი..., გვ. 184), მსგავსი შემთხვევები არც იმერხელისათვისაა უცხო, მაგ.: ჰასან-ფაშა იყო სილისტრას (ნ. მარო, იმერხ., გვ. 61).

3 ადგილობრივი მკვიდრნი ხულოს ხულას ეძახიან.

ლას (დილით) გვემგზავრეთ სანადიროთ... იქ გავლა დამეში-
ეშინიოდა... ახლა ბათუმიდან დამეში მიდის მატარებელი...¹

არაიშვიათად დროის აღმნიშვნელი სახელები სახელობითი
ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: ადგება ერთი დღე შაჰზადე
და წავა იმ ზისუნახავ ქალთან... რაც იმ ქვეყანაში კედლები იყნენ,
ერთი დღე ყველას დეჰახა... რაც იმ ხეცები იყო იმ ტყეში, ერ-
თი დამე სულ გაულიტა... ცამბეტი წელწადი ისტავლა თურ-
ბი...

ასევე, დროის გარემოების გამოსახატავად იხმარება სახელი
„დრო“, მხოლოდ —ობა-თი ნაწარმოები: ამ დრო ბიხან იშიშ-
ლა ხმალი და... იმ დრო ბიხან ველარ მეითბინა იმ კოლაუშმა...

დროის გარემოებად გამოყენებული „ვალ“ ძირით ნაწარმოები
საწყისები ჟ-თი დაბოლოებულნი, აღნიშნავენ ისეთ მოქმედებას,
რომელიც მეორე, სხვა მოქმედებასთან პარალელურადაა ნაგულის-
ხმევი, მაგ. გავლაჟ (ძვ. ქართ. გავლად) თან წეჟმძღვანიე
ეს ფოცხი!.. ავლაჟ (ავლისას, ავლის დროს) ჩვენებთან შუქციე
აუცილებლათ!..

დროის გარემოებას გამოხატავს ასეთი ფორმებიც: ამ წახა-
ნებაჟ (ამ ბოლო დროს, ამ უყანასკნელ ხანებში) გვალეებმა შე-
წყდა... დანაბოლოს ბიჟმა უთხრა (ნოლ. III, 122)... მოსი-
ახლოვებაზე ხორემა მიგძნო. რომ ჩემიანი იყო... მასხან-
შიც (ამასობაში) შაჰზადე მოუდა...

ადგილის გარემოების როლში გამოდის —ზე და —ში თანდებ-
ულდართული ზმნიზედები: აქში, მაქში, იქში; აგზე, მა-
გზე, იგზე.²

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, —ზე, და —ში თანდებუ-
ლის გავრცელების არე ზემოაქარულში ფართოვდება: სახელებს
გარდა ეს თანდებულები დაერთვის ზმნიზედებსაც და აწარმოებს
ადგილის გარემოების ფორმებს. მაშინ როცა უთანდებულო ფორ-
მებიც ნათლად გამოხატავენ სათანადო შინაარსს, მაგ. შენ აქში
ჩახყარე და მაქში მე ჩავხყარი... აგზე დავთაყროთ ე შიშა...
მაგზე მიებეჟე და!..³

ზემოაქარულში ადგილის გარემოების გამოსახატავად გამოყე-
ნებულია „ზედან“ ფორმაც, მაგ. ზედან კალოზე დახყარა...

1 ასეთი მაგალითები გვხვდება იმერხეულშიც, მაგ. ირმოც დღეზე დუღუნი
მეითავეს (მარი, იმერხ., გვ. 66), შდრ. კახური, გვ. 79 და სხვ.

2 ერთლად ამ ფორმების შესახებ იხ. აქვე „თანდებულები“.

3 შდრ. იმერხ., გუღდა გაღმაზე (მარი, იმერხ., გვ. 67).

იგი. როგორც გარკვეულია არ. მარტიროსოვის მიერ, განვითარებულია საშ. ქართულში; ბოლოკიდური ნ-არი მიღებულია ნა-საგან.¹

ადგილის გარემოების გადმოცემია ასეთი ფორმებიც: ზედატრეფში, ქვედატრეფში, ზედათეფში, ქვედათეფში, ამათეფში (||ამათინეფში) იმათეფში (||იმათინეფში), მაგათეფში (||მაგათინეფში), ამმოყოლაჲ, მაგმოყოლაჲ, იმმოყოლაჲ, ამმოყოლებაზე, იმმოყოლებაზე, მაგმოყოლებაზე: ხვალ ლამ ქვედათეფში მინდა წევდე... ისეგავ ზედათეფში თოვს... ჰაცხან ამათინეფში უნდა იყოს... კარქა მტაცეცე ხელი, მაგმოყოლაჲ უნდა იყოს... ამმოყოლებაზე ვენახი კარქა ვარგულოფს...

დასავლური კილოების მსგავსად —ზე თანდებულდართული „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი გადმოგვცემს მიზეზის გარემოებას: რაზე უნდა ვაწყენილო, რა დიმიშავა... რაზე ტიროდა იბაღვი, ნეტაჲ?.. რაზე არ გედა აქნობამდი სამუშიერზე...

მიზნის გარემოების გამოსახატავად აქ ტიპიურია „გულობაჲ“ ფორმა, რომელიც —თვის თანდებულის ფუნქციითაა აღქურვილი: ჩემ გულობაჲ (=ჩემი გულისათვის) შენ რატომ უნდა სწიო ჩერიმა?.. რას ამბოფ, შენი კირიმე, შენ გულობაჲ ცეცხში შევალ!..

სალიტ. ქართულში ვით. გარემოების გადმოცემა შეიძლება ზედსართავი (აგრეთვე მიმღეობების) სახელების ვითარებით ბრუნვიანი ფორმებით, ზემოაქარულში კი ვითარების გარემოებას ზოგჯერ სახელობითის ფორმიანი ზედსართავებიც გადმოგვცემენ, მაგ. რაც მართალი, მართალი, ასე მალე დაბრუნება მეტი გიმეკვირდაჲ... რალა დაგიმალო და, დიდი მეწყინა ჩემი ძმისტულიდან...

ზემოაქარულში ჩვენი ყურადღება მიიპყრო შესიტყვების ასეთმა კონსტრუქციამ: სოფლი სოფელ, სირთი სირთ, მთისი მთა, ტყისი მტყე. ეს გამოთქმები ნიშნავს სოფლიდან სოფელში, მთიდან მთამდე, ტყიდან ტყემდე.

წინადადებებში: კვალზე ეტყობოდა, რომ თისი მთა გადმოსულიყო დათვი... სოფლი სოფელ რომ დაეთრევი, მაწანწა-

¹ არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 213.

ლა ხომ არ ხარ!.. ფირალები ტყისიმტყე გადმოსულიყენნ...

სირთისირთზე მივდიოდი,
მივდენიდი ჩიტებსაო.
გოგუები მეხვეწება,
ჩამახუტე ბიკებსაო (ნოლ. II, 117)...

ძვ. ქართულში ამ ფორმებს შეესატყვისება ყამითიყამად,
დღითიდღედ, ქალაქითიქალაქად.¹

ზემოაქარულში ხსენებულ მაგალითებში პირველი ორი სიტყვის ბოლოს ხმარებული ი-ნი იგივე უნდა იყოს. რაც ძვ. ქართულის —ითი სუფიქსის ბოლოკიდური ხმოვანი.² აღნიშნული ხმოვანი ჩვენს მაგალითებში ხან ფუძეს დაერთვის და კუმშავს პირველ მათგანს (სოფლი სოფელ, სირთი სირთ); ხან კი ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს (მთისი მთა, ტყისი მტყე), გამოთქმის მეორე ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. ძვ. ქართულში მმართულებითი ბრუნვა გვაქვს.

სინტაქსური კალკი

აღსანიშნავია თურქული ენისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ფრაზა, რომლებშიაც პრედიკატული წევრი ყოველთვის ქართული ზმნითაა გადმოცემული, მაგალითად: მეშვერეთი ვქნათ! (შდრ. თურქ. meşveret yapak! „მოვითათბიროთ, მოვილაპარაკოთ!“)... აღდიგავქრათ! (შდრ. თურქ. ahiit kesek! „ჩვარი დავწეროთ!“)...

ასეთივე მაგალითები დადასტურებულია სხვა ქართულ დიალექტებშიც: ფერეიდნულსა და იმერხელში. არნ. ჩიქობავა ფერეიდნულის მიმოხილვაში აღნიშნავს: „განსაკუთრებით ჩანს სპარსული ზეგავლენა ფრაზების წარმოებაში, ხან სპარსული და ქართული სიტყვა ქმნის ფრაზას, ხან ქართული ან არასპარსული სი-

1 ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, წელიწადული I-II, ტფილისი, 1923-1924 წ., გვ. 4-5.

2 ამ ით-ისთან დაკავშირებულა, — აღნიშნავს ი. იმნაიშვილი, განმეორებული მოქმედების გადმოცემა, სიზშირე, მრავლობითობა. ასე: დილითი—დილ-დილობით, ყოველ დილით, დღით—ყოველდღე, ყოველ დღით და ა. შ. ბოლოსდაბოლოს ასევე დგას საკითხი ორდინალური წარმოებისასაც: ქალაქითი ქალაქად—ერთი ქალაქიდან მეორეში... („სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“, გვ. 226).

ტყეებია აღებული, მაგრამ ფრაზა სპარსულ ყაიდაზეა გამართული: ვაჰრობა ვქნათ! (= ვივაჰროთ!)¹

მსგავს შემთხვევებს ეხვდებით იმერხეულში, მაგალითად: ახეთი უყო (= „ჯვარი დასწერა“ — შ. ნ.), ჩირალიქნა (= ააშენა, ააყვავა — შ. ნ.)²

შ ა ხ ვ ი ლ ი

სპეციალური კვლევის გარეშე მახვილისა და ინტონაციის შესახებ ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება აღინიშნოს ზემოაქართულში მახვილთან დაკავშირებული ერთი თავისებურება. კითხვით წინადადებაში, როგორც წესი, მახვილი უკანასკნელ მარცვალზე კი არ მოდის, არამედ იგი ბოლოდან ნეორე მარცვალზე უწევს,³ მაგალითად:

— ჯემალავ, დღე ბათუმ ვერ წამოსჯალ, კო?

— ბაღვებო, თელი დღია რომ დამეტრევეით ეხო-კარ, საქმე აღარ გქნენ?

— შენ გაჰყვები რ თუ?

ორმაგი უარყოფა

გავრცელებულია ორმაგი უარყოფა:⁴ არ ვის არ ნუნდონე-ბია... იხელა ქვა იყო, რომ ვერ ავი ნ ვერ წამოსწია... არვინ არ ენდობოდა...

უფრო იშვიათია ცალმაგი უარყოფის შემთხვევები:... მარა ვწყერი გეგო... შენ ვწყერ ხე რ მჟთან კაც!..

1 არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 218, შდრ. კახური, გვ. 112.

2 ნ. მარი, იმერხ. გვ. 58, 61 და სხვ.

3 შდრ. გ. ახვლედიანი, საფუძვლ., გვ. 131, არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში: საქ. მეცნ. აკადემიის შოამბე, ტ. III, 1942, ს. ქლენტო, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა): იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 5, გვ. 135, კახური, გვ. 65.

4 იხ. ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, წელიწადი I-II, გვ. 114-115, არნ. ჩიქობავა ორმაგი უარყოფის გამომწვევ მიზეზად აღნიშნავს უარყოფის გაინტენსივების სურვილს (იხ. მისი გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 79), არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 56-57, ს. ქლენტო, გურული კილო, გვ. 69.

ზემოაჭარულის ურთიერთობა

ქვემოაჭარულთან

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯ. ნოღაიდელი მიუთითებს ზემოაჭარულისათვის დამახასიათებელ რამდენიმე თავისებურებას.¹ სახელდობრ:

1. მთის აჭარულში დაცულია უკანაენისმიერი, ყელისმიერი ბგერები, ბარის აჭარულში კი ისინი წინ არიან წამოწეული.

2. შავშურისა და ახალციხური მეტყველების გავლენით, მთის აჭარულში უფრო გავრცელებულია — ნენ სუფიქსი — ენ-ის გვერდით, ხოლო ბარის აჭარულში — ენ სუფიქსია გაბატონებული.

3. მთის აჭარულში ინტონაცია მკვეთრად გამოხატულია და ბარისაში კი არა.

4. მთის აჭარულში მო— წინდებულთან „ვდა“ ზმნაში ზოგერთგან (შუახვევი, მერისი) ფუძისეული ჳ იკარგება (მოვიდა>მოიდა).

5. სახელობითში ბრუნვის ნიშანს ი-ს მთის აჭარულში ზოგან უკვე გავლენა მოუხდენია და ფუძე შეუყუწმავს: ურემი>ურმი, ღრუბელი>ღრუბლი და სხვა.

6. მთის აჭარულში კრებითი სახელი-ქვემდებარე აზრის მიხედვით ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში, ხოლო ბარისაში—პირიქით, —კრებით სახელ-ქვემდებარესთან შემასმენელი ფორმითაა შეთანხმებული.

ზემოაღნიშნულს შემდეგი უნდა დაესძინოთ:

ა) ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით ზემოაჭარულსა და ქვემოაჭარულს შორის არაა არსებითი განსხვავება. ოღონდ ეს კია, რომ ზემოაჭარულში ჰ ბგერა უფრო ხშირად იხმარება; უცხოური (უმთავრესად თურქულ-არაბული) წარმოშობის სიტყვები აქ უფრო ინარჩუნებენ ჰ ბგერას.

ბ) ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია ზემოაჭარულში უფრო სუსტადაა განვითარებული, ვიდრე ქვემოაჭარულში, კერძოდ ქობულეთურ მეტყველებაში.

გ) ნაწილობრივი ასიმილაცია („ლოუწერს“ ტიპის) უფრო ზემოაჭარულისთვისაა ნიშანდობლივი.

¹ იხ. მისი აჭარული კილოს თავისებურებანი: ბათუმის სამსწ. ინსტიტუტის შრომების კრებული, 1941, გვ. 134.

დ) ზემოაქარულში ხმოვანფუძიან სახელთა ბოლოს **ჟ** უფრო იშვიათია, ვინემ ქვემოაქარულში.

ე) —**დამ** თანდებული დამახასიათებელია ზემოაქარულისათვის, ქვემოაქარულში იგი არ შეიხიზნება.

ვ) ზემოაქარულში **ძა-ის** ნიშანი დასტურდება, მაშინ როდესაც ქვემოაქარულში იგი თითქმის გამქრალია.

ზ) გარდაუვალ ზმნასთან **II** სერიაში ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაშია, უფრო იშვიათია მოთხრობით ბრუნვაში, ქვემოაქარულში კი საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს.

ზემოაქარული გვაძლევს საფუძველს აქარულ დიალექტში გამოვყოთ ორი კილოკაური ერთეული: ზემოაქარული და ქვემოაქარული.

ზემოაქარულის მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან

ზემოთ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა განხილვის დროს ხაზს ვუსვამდით იმ მოვლენებს, რომლებიც ზემოაქარულს საერთო აქვს ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტთან. ამ შენიშვნებს რომ თავი მოვეყაროთ, მივიღებთ შემდეგს:

ზემოაქარული როგორც ბგერითი შედგენილობის, ასევე ფონეტიკურ მოვლენათა თვალსაზრისით ძირითადად უახლოვდება ქართული ენის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებს. შეიძლება გამოიყოს ის მომენტები, როდესაც ზემოაქარული განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს მესხურთან და იმერხეულთან. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. ზემოაქარულში გავრცელებული აღმავალი დიფთონგის განვითარების წინა საფეხურის არსებობა მესხურ-ჯავახურსა და იმერხეულში.

2. სიტყვის შუაში **ჟ-ს** განვითარება (ბეჭრი; იმერხეული).

3. ერთმარცვლიან სახელთა წოდ. ბრუნვაში **ო** ხმოვნისაგან **ჟ-ს** მიღება (ჭოჭ! იმერხეული).

4. პრევერბ. ხმოვნებისა და ქცევის ნიშნის **ჟ-ს** ასიმილაცია (იმერხეული).

5. —**ავ** თემის ნიშნის რედუქცია (ნახვენ, ზიდვენ; იმერხეული).

6. სათავისო ქცევის ნიშნის რედუქცია (წევყვან; იმერხელი).
 7. აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები (მესხური, იმერხელი).
 8. ხმოვანფუძიან სახელთაგან ნაწარმოები მრ. რიცხვის ფორმები (თიები; მესხური, იმერხელი).
 9. მოცლითაჲ, ჩუმათალაჲ ტიპის ზმნისართა წარმოება (იმერხელი).
 10. გარდაუვალ ზმნაში მრ. რიცხვის III პირის ირ. ობიექტის წარმოდგენა —ენ სუფიქსით (ძირავდენ; იმერხელი).
 11. კაუზატივის წარმოების წესი (იმერხელი).
- ზემოაქარულს რიგი მოვლენები საერთო აქვს ქართული ენის დასავლურ დიალექტებთან, განსაკუთრებით გურულთან. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შემდეგი:
1. ზემოაქარულისთვის დამახასიათებელი აღმავალი დიფთონგი ოკრიბულში (იმერული); აღმავალი დიფთონგის წინა საფეხური გურულში (დიეწერა).
 2. სიტყვის შუაში ჟ-ს განვითარება (გურული).
 3. პრევერბისეულ ხმოვანთა და ქცევის ნიშნის ჟ-ს ასიმილაცია (გუუკეთა).
 4. პრევერბ. ხმოვნისა და ქცევის ნიშნის ნაწილობრივი ასიმილაცია (წეილო; გურულ-იმერული).
 5. თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (დასავლ. დიალექტები).
 6. რედუქციის წესი (დასავლ. დიალექტები).
 7. მეტათეზისის შემთხვევები (გურული).
 8. აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის წესი (გურული).
 9. ხმოვანფუძიან სახელთაგან მრავლ. რიცხვის ფორმები (თიები, გურული).
 10. —ვეთ თანდებული (ზემოიმერული).
 11. S₂ და O₂-ის ხმარების წესი (დასავლური დიალექტები, განსაკუთრებით გურული).
 12. კავშ. II „მოხვიდო“ ტიპისა (ზემოიმერული).
 13. კაუზატივის წარმოება (გურული-იმერული).
 14. II სერიაში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში ხმარების შემთხვევები (დასავლური დიალექტები).
- ზემოაქარული გარკვეულ შემთხვევებში აღმოსავლურ დიალექტებთან იჩენს სიახლოვეს. მივუთითებთ შემდეგზე:

1. პრევერბ. ხმოვნისა და უ ქცევის ნიშნის სრული ასიმილაცია (გუჟუკეთა; გარეკახური).

2. ო ხმოვნის ასიმილაცია მ-სთან (რუმ, ხუმ; ინგილოური).

3. ხმოვანფუძიან სახელებთან ე-ს ხმარება (აღმოსავლური დიალექტები).

4. —დამ თანდებულის ხმარება (რიგი აღმოს. დიალექტები).

5. ჩვენებითი ნაცვალსახელების ე, ი ფორმები (აღმოსავლ. დიალექტები).

6. —ავ თემის ნიშნის ხმოვნის ე-დ შეცვლა ნამყო უწყვეტელსა და კავშირებით პირველში (აღმოსავლური დიალექტები).

7. ცალკე მდგომ თანდებულებთან მიცემითი ბრუნვის ხმარება (ქვა ქვეშ; ქართლური, ფშაური, კახური).

ლ ე ქ ს ი კ ა

ზემოაქარულის ცოცხალი ხალხური მეტყველება, მსგავსად სხვა დიალექტებისა, ითვლება სალიტერატურო ქართული ენის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ.

ლექსიკის თვალსაზრისით ზემოაქარული, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, მრავალმხრივ საინტერესო მასალას იძლევა.

ზემოაქარულს დაუცავს არაერთი არქაული სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში ან სულ არ გვხვდება, ან თანდათანობით გადის ხმარებიდან. თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზემოაქარული ხასიათდება საინტერესო ნეოლოგიზმებითაც (დემეთი, დატუკვა, დავილკვა, მიტრიალოზი, ფილიჯი, ფისიმწურავი, ქაფიწალა ე და სხვ.), მაშინ ასეთი წინასწარი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ზემოაქარულში ლექსიკის თვალსაზრისით განვითარების ორი ტენდენცია შეინიშნება: ძველი, არქაული წარმოების მოქმედება და ახალი წარმოების გაჩენა. ამის მიხედვით გვაქვს არქაიზმები და ნეოლოგიზმები.

რამ შეუწყო ხელი, რა ფაქტორებმა განაპირობეს ზემოაქარულში ლექსიკური არქაიზმების ასეთი ხელშესახები დაფენება?

არქაიზმების არსებობა ზემოაქარულში ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ იგი კარგა ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო მშობლიურ ქართულ ენას, მის დიალექტებს. სამხრეთ საქართველოს სხვა დიალექტებთან ერთად ზემოაქარული ცნობილი ისტორიული

პროცესების შედეგად, თურქთა ბატონობის დროს ასცდა თავისი განვითარების ბუნებრივ გზას. ამის გამო 2-3 საუკუნის განმავლობაში ჩამოსცილდა სალიტერატურო ქართული ენის დამაქვემდებარებელ კონტროლს. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ზემოხსენებულ პერიოდში ქალი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მუსულმანურმა რელიგიამ, შარიათმა აკარელი ქალი ჩადრში გახვია, სრულიად მოსწყვიტა საზოგადოებას და, შეიძლება ითქვას, მის ენაში ნაკლებად აისახა ის ცვლილებები, რომელიც აკარულმა განიცადა თურქული ენის გავლენით. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ქალი არქაულ ფორმებს, სიტყვებსა და გამოთქმებს გადასცემდა ბავშვებს. ასე რომ ლექსიკური არქაიზმები თაობიდან თაობაში გადადიოდა ინერციით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზემოაქარულს არა ერთი არქაული სიტყვა აქვს შემონახული. ამ ფენაში ჩვენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს ვგულისხმობთ, რომელნიც სალიტერატურო ქართულში (resp. დიალექტებში) ან სრულიად არ გვხვდება, ან, თუ პარალელები დაეძებნა, ისინი არქაული წარმოშობისანი არიან. აქვე უნდა დავესძინოთ, რომ ლექსიკურ არქაიზმებში ზოგჯერ ადგილი აქვს მნიშვნელობის გაფართოების ან დავიწროების შემთხვევებს, ხოლო ზოგჯერაც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, ან ოდნავ განსხვავებულ ლექსიკურ ნიუანსს ატარებს.

ლექსიკური არქაიზმებიდან აქ ზოგიერთს დავასახელებთ:

რ ე მ ა უკუყო. გონებადაფანტული, უზრდელი, უწვრთნელი (საბათი: უკედი ცხენი).

მ ა ნ გ ა ლ ი ნამგალი (ასეა საბასთანაც).

მ ა ღ ა ო მსხვილფეხა საქონლის დაავადების ერთ-ერთი სახეობა (საბასთან: მალაო — ცხენის სენია ყელში).

გ ა ხ ა ნ ი ა ნ ე ბ ა (საბათი: განხანება-ხანის გამოსვლა ჟამთა, გინა ადგილობა; დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობა აქვს აკარულშიც).

დ რ ა მ ი წონის უმცირესი ერთეული, გადატანით: პატარა, მცირე, პაწაწა (საბათი: დრამა-ექუსის დანგის წონაა).

მ ა ვ ი იისფერი (საბასთან მავი—სხუათა ენაა, ქართულად ლურჯი).

კ ე ლ ო ფ ს კოჭლობს (საბასთანაც ასეთივე მნიშვნელობითაა).

ლ ე ღ მ ა თბილი, ღრუბლიანი ამინდი, რომელიც სწრაფად აღწობს თოვლს (საბათი: ლელმა—რა ბზარი თოვლი მზემ შეალბოს).

ს ა მ ა ცეკვა (საბასთან სამა—როკვა შუშპარი). ხ ე ი ბ ა რ ი—
დავრდომილი, კუტი (საბასთან: ხეიბარი — კაცი დაშავებული) და
სხვ.

ზემოაქარულში დღემდე შემორჩენილია ერთი წყება სიტყვე-
ბისა, რომლებიც მეგრულ-ქანური წარმოშობისაა, ასეთებია: დ უ-
დ ი, დ უ დ ხ ა ლ ი, ე რ ი ნ ჯ ი, თ ო რ ი, კ ა ლ ა შ ი, მ ა რ ქ ვ ა ლ ა,
ს ა ჯ ი, ფ ო რ კ ა, ფ უ რ ჩ უ ლ ი, ქ ე რ ე ქ ი, შ ი ლ ი, ჯ ა რ გ ვ ა-
ლ ი; ნ ა ჯ ი ხ უ რ ე ვ ი, ო ხ ო რ თ ი, ო ქ ი ვ ა რ ა თ ი, ო ჩ ი ა (ტოპ.
სახელები) და სხვ.

ყურადღებას იქცევს სოფლის მეურნეობასთან და
საოჯახო საქმიანობასთან (საქმელ-სასმელი, იარაღები, ტან-
საცმელი) და მისთ. დაკავშირებული სახელები: ა რ ვ ა ნ ა ა რ-
ნ ა ბ ი, ბ ე ნ დ ი, ბ ო გ ა -ზ ვ ი ნ ი, გ ა ს ხ ლ ე პ ვ ა, ვ ა რ ი ა, კ ა-
ბ ი წ ი, კ ა პ ი რ ო ნ ა, ლ ე კ მ ა რ ხ ი ლ ა ჯ, მ ა ნ ი დ ი, მ ო ლ გ ა-
მ ი; ზ ა ნ კ ა ლ ი, ზ უ ბ უ ნ ი, ტ ო ტ რ ი ე ლ ი, ძ ი გ ვ ა ჯ; დ ო შ ე-
გ ი, მ ე რ ე გ ი, ს ა ნ ა რ წ ყ ა ლ ი, ფ ე ფ ე ნ ი კ ი; დ ო ნ თ ბ ა რ ი,
კ ო რ კ ო ტ ი, ლ ე ჩ ე რ ი, ყ ა ჯ მ ა ლ ი, ჩ ი რ ბ უ ლ ი, ყ ა ჯ ს ა-
ფ ა; კ ა ბ დ ო, ტ ო ლ ი, ხ ე რ ტ ა ლ ი და სხვა. მცენარეულობა-ბა-
ლახეულობის სახელები: ა ქ ა რ კ ე ლ ა, ბ ი ლ ე ნ ც რ ა, ბ ი რ კ ა,
და თ ვ ი ს ა ფ ე რ თ ქ ე ლ ა, თ ე ლ ა ხ ა რ შ ი ლ ა, კ ლ ე რ ტ ა,
კ ო კ ო მ ყ ა ვ ა ჯ, მ ა რ მ უ ქ ი, ს ვ ი ნ ტ რ ი, ტ ა ბ ე ლ ა ჯ, ჩ ი-
ხ ი ნ დ ა რ ი და სხვა.

ტექსტებში აღმოჩნდა წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული
ტერმინები, რომელნიც სხვა ქართულ დიალექტებში არ გვხვდება,
ასეთებად მიგვაჩნია: ა ლ დ ი ს გ ა კ რ ა, და ბ ა ტ ო ნ ე ბ ა, და კ ო-
ქ ვ ა, თ ვ ა ლ წ ა კ რ ა, ს უ ფ რ ი ს და კ ა ვ ე ბ ა, გ ზ ი ს გა დ ა-
ღ ო ბ ვ ა, ხ ე ლ ი ს და შ ჭ ე ნ ე ბ ა, შ ტ ა ნ თ ო ბ ა და სხვა.

ტექსტებსა და სიტყვაწარმოებაში ერთ ნაწილად შეტანილია
ტოპონიმიკური სახელებიც. ბევრ შემთხვევაში ტოპ. სახელები
გვშველის ისტორიული გეოგრაფიისა თუ ცალკეულ სიტყვათა ისტო-
რიის გათვალისწინებისას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისეთი სა-
ხელები, როგორცაა: დ ე კ ა ნ ა შ ე ი ლ ე ბ ი, დ ი ო კ ნ ი ს ი, თ ა-
გ ო, ნ ვ რ ს ლ ა რ ი, ნ ა ი ფ ლ ა რ ი, ნ ა ო ს პ ა რ ი, ო ქ ი ვ ა რ ა-
თ ი, ო ხ ო რ ი ქ ე თ ი, ნ ა ჯ ი ხ უ რ ე ვ ი, ქ ვ ა ბ უ ლ ი და სხვა.
წარმოების მხრივ: ბ ო ძ ა ტ რ ი, ო ლ ა და ტ რ ი, დ ა ნ ი ს პ ა რ ა-
ტ ლ ი, კ ყ ა ნ ი ს ი, ფ რ ი ა ც ო, თ ე თ რ ო ბ ი, ნ ი ს ლ ა თ ი და
სხვა.

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი სიტყვები, რომლებიც თავისებურადაა ნაწარმოები და რომელთა აღნუსხვასაც ზემოაქარულის შესასწავლად სათანადო მნიშვნელობა ენიჭება. აღნუსხული გვაქვს უფრო ტიპიური, ზემოაქარულისათვის სპეციფიკური. რიგ სიტყვებზე დაკვირვებამ ჩვენ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით აქ ადგილი აქვს ფართო ხმოვანთა დაეიწროების ტენდენციას. ეს მოვლენა განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება წასესხებ სიტყვებში. ასეთებად ჩვენ მიგვაჩნია: უ ჩ ე რ ე დ ი, შ უ ფ ე რ ი, ჯ უ ჯ უ ხ ე თ ი, ხ უ მ, რ უ მ და სხვა. .

ზემოაქარულში საკმაოდ დაიძებნა აგრეთვე ისეთი სიტყვებიც, რომელნიც ქართული ენის სხვა დიალექტებიდან არაა ცნობილი, ანდა რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ყოველ შემთხვევაში არსებულ დიალექტურ ლექსიკონებსა და სიტყვის კონებში არაა აღნუსხული. სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმეს: ა პ ი მ-პ ი ლ ა ქ ე ბ ა, გ ა რ გ ა ნ ი, დ ვ ი ბ ე, კ ო რ ო პ ი ნ ი, მ ო რ ბ ე დ ი, პ ე მ პ ე ლ ა, პ ი მ პ ი ლ ა ქ ი, ყ ი რ ა ვ ი და სხვა.

ტექსტებსა და სალექსიკონო მასალებში ისეთი სიტყვებიც აღმოჩნდა, რაც ძირითადად მხოლოდ ისეთ დიალექტებში (ინგილოური, ფერეიდნული, მესხურ-ჭავჭავური, იმერხეული) გვხვდება, რომლებმაც მსგავსად აქარულისა, განიცადეს უცხოური ენის გავლენა. ასეთი სიტყვებია: ფ ე რ ხ ს ა ტ ი, ფ ე ფ ე ნ ი კ ი, ფ ე შ ხ უ მ ი, ქ ა შ ა ნ ი, ს ა ლ ა ჯ ა, ქ უ ლ ფ ე თ ი, ყ ა თ ი რ ი, ხ ე ნ დ ე კ ი და სხვა.

აპოხტი შესანახად გამხმარი ქათმის ხორცი (მთლინად, დაუჭრულად)
(შდრ. საბა, ჩუბ., აბულ, გრიშ., ს. მაკალ. 76,
მაის., განმ. ლექს.) 150, 3.

აპოხტში ჩავარდა დამკლდა (შდრ. ჯაჯან. ხიოქი) 186,22.

არვანა ჯილის ნაწილი. „გძელი ხე. ოდნავ მოღერებული, უკანა
ნაწილით შეერთებულია მაკვასთან“ (მენტ. აქ.) 153,4.

არნაბი ტარიანი ძელი მოთხრილი მიწის გადასაყრელად (განსაკუთ-
რებით გზების გაყვანის დროს). (ნ. ჭყ., განმ. ლექს.;
შდრ. საბა არნადი, ქლ. არნაბი) 167,32.

არქი ნ. წისქვილის ნაწილები 164,19.

ატკვაფჩნა კანის ამობურცვა, ასივება. ატკრეცა დაწვით ან ქინკ-
რის შეხებით. აქედან: ატკვაფჩული ამობურცული,
ასივებული კანი დაწვის ან ჯინჯრის შეხების გამო (შდრ.
შარაშ. ტკვაფში, ატკვაფშული) 167, 4.

აღდი, აღდის გაჭრა საქორწინო წერილობითი პირობა (შდრ. იმ-
ერხ. ახთი: „[ეთემ სულთანმა] ახთი უყო“ 61) 125,21.

ახალ-ახალ შვიდობაში ახალი ხილის ან სხვა რაიმეს ხილვისას სათქ-

მელი სიტყვები: ახალ-ახალ შვიდობაში, ეს ძველი და სხვა ახალი 165,33.

ახალპირა „პირველად მშობელ ძროხას ახალპირა, დედოძროხა, ერთი ხბოს დედა ჰქვია. შემდეგ, მეორესა და მესამე ყოლაზე, უკვე ფური იქნება (მ ე ნ თ. აკ. 173) 157,14.

ახორი ბოსელი. ჩვეულებრივ ძველებურ საცხოვრებელ ბინას პირველ სართულად ახორი ჰქონდა. (შდრ. ს ა ბ ა, ს ა ხ. 134, ჩ უ ბ., ჯ ა ნ ა შ ვ., ბ ა ქ რ. ახორი, ახვირ, ი მ ე რ ხ., ე ლ., ს. მ ა კ ა ლ. 85. მ ე ნ თ. ახური) 158,15.

ახტაჯი აწყვეტილი, უსირცხვილო, მოურიდებელი, მოუსვენარი, ონავარი (შდრ. ბ ე რ. ა-თხაჯელა, შ ა რ ა შ. ახტაჯი, ახტაჯა) 166,1.

ბ

ბაბოჯ მამა (შდრ. მ ა რ ი ჰ ა ნ. გ რ ა მ. ბაბა, ი მ ე რ ხ. ბაბა: „ბიქის ბ ა ბ ა ს ამეთ ვეზირი ერქვა“ 55) 184,6.

ბაგა ახორის (ნ.) ნაწილი: დაბმული საქონლისათვის საკვების ჩასაყრელი. მსხვილფეხა საქონლისათვის ბაგა ფიცრულია, წერილფეხასათვის — წნული (ნ. ს ა ბ ა, გ უ რ ა მ., ლ ლ., გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.) 158,17.

ბადადი ჩვარი, „ჰინჰი“ 148,25.

ბაჯრამი ძე. რელიგიური დღესასწაული: მუსულმანურ ქვეყნებში წელიწადში ორჯერ ტარდება ბაჯრამი: ერთი რამაზანის ბოლოს, მეორე — რამაზან ბაჯრამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ, რომელსაც ყ უ რ ბ ა ნ ბ ა ჯ რ ა მ ი ანუ მსხვერპლის შეწირვის ბ ა ჯ რ ა მ ი ჰქვია 148,32.

ბარამხო (Pelasites) ბუერა, ბალახეული მცენარე; აქვს დიდი მომრგვალო ფოთლები, გრძელი ყუნწებით; გავრცელებულია ტყისპირას, ტენიან ადგილებში (ნ. გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.) 150,6.

ბარდალი დოქი, ჰურჭელი (შეიძლება სპილენძისაც იყოს) (შდრ. ბ ა ქ რ. ბარდახი, ი მ ე რ ხ. ბარდალი) 168,14.

ბარდენა ბერდანა (შდრ. გ ა ნ მ. ლ ე ქ ს. ბერდანა) 174,25.

ბარსამი (← ბარე სამი) ბევრი, მრავალი. „ბ ა რ ს ა მ ხ ა ნ ი ი არა და დეინახა, ერთ ხიზ ძირში ერთი კაცი ზის“, (ნ ო ლ. III, 52; შდრ. ი მ ე რ ხ. ბარე სამი) 148,8.

ბარუთი თოფის წამალი, დენთი 168,33.

ბარჯიკი ბოძი (შდრ. ს ა ბ ა ბარჯი, ჩ უ ბ., ე ლ. ბარჯგი) 184,20.

- **ბაქლავა** ნამცხვარი; პურის ცომიდან გაკეთებულ თხელ ფენებში ნართავია ნიგოზი შაქრით შეზავებული, რომელსაც ურევენ დამწვარ ერბოს და ისე აცხობენ სპილენძის სპეციალურ თეფშში. იგი უმაღლესი ხარისხის ნამცხვრად ითვლება (ნ. ყ. ლ. ჭან. ტექსტ. ბ ა კ ლ ა ვ ა) 162, 21.
- **ბაღვი ბავშვი** (ნ. ძ ი ძ ი გ. ბ ა ღ ვ ი, ბ ა ღ ვ ი ნ ა) 147,13.
- **ბაღი** სარტყელი, ზონარი, წვივსაკრავი (ნ. ყ. ლ. ჭან. ტექსტ., ს. მ ა - კალ. 90) 132,6.
- **ბაშლული** (|| კაბალახი) ყაბალახი, ბაშლაყი; 2. ძვ. საცოლეს დანიშნის დროს გაღებული საჩუქარი, ქრთამი ქალის მშობლებისათვის (ნ. მ ა რ ი ჭან. გრამ.; შდრ. მ ა რ ტ. და ი მ ნ. კახური ხელთსადები).
- **ბაძგარი** მცენარე წყავის მაგვარი, ეკლიანი ფოთლები იცის. მის ფოთლებს ძალიან ეტანება თხა 156, 4.
- **ბაჯია** და (*сестра*) 178,21
- **ბაჯგა** ნ. ლობიოს ჯიშები 154,20.
- **ბეგი** ძვ. თავადი, ბატონი (ნ. ყ. ჭან. ტექსტ. გ ა ნ მ. ლ ე ქ.) 147, 9:
- **ბეზირგანი** ვაჭარი, სოვდაგარი (ნ. ი მ ე რ ხ. 61: „ბ ე ზ ი რ გ ა ნ ს სამასი დევე დაპვირთული საქონელი მიქონდა“ ვ ა ყ ა 1) 78,36.
- **ბეთმეზი** ხილის (მხალი, ყურძენი, თუთა) წვენი, შესანახად მოდულეებული, ბადგი. ადულებენ მანამ, სანამ თაფლივით არ გასქელდება (შდრ. ჩ უ ბ. ბაქმაზი, მ ა რ ი ჭან. გრამ. პეტმეზი, ი მ ე რ ხ. ბეკმეზი, ყ. ლ. ბეტმეზი, ყ. ლ. ჭან. ტექსტ. პეტმეზი, მ ე ნ თ. ბაქმაზი) 149,10.
- **ბენდი** 1. „წისკვილის ან სარწყავი წყლის სათავეში გამართული ჯებირი წყლის გამოსაყოფად მთავარი კალაპოტიდან“ (მ ა ი ს); 2. ადგილი, რომელიც გამოდგება წყლის, არხის, გზის გასაყვანად (ნ. წ ე რ. სათავე) 165,3.
- **ბენჩქი ბუჩქი** 16,22.
- **ბეჟანა** ნ. ხარის სახელები 159,6.
- **ბერა** საზაფხულო საძოვრებზე — მ ა მ ლ ა - ყ ი შ ლ ე ბ ზ ე სახელდახელოდ გაკეთებული საქონლის სადგომი — ფარეხი (შდრ. გ ა ნ მ ლ ე ქ ს.) 158,9.
- **ბერა** ნ. ვაშლის ჯიშები 152,4.

- ბელელი ყავარი ზომის ერთეული: ერთი ბელელი ყავარი, ანუ სამასი ცალი ყავარი (შდრ. ყ ლ.) 165,25.
- ბერწიშვილი ერთი წლის გამოზამთრებულ ხბოს ბერწიშვილს ეძახიან, ხოლო მეორედ რომ გაიზამთრებს, დედალს, — დეკეულს, ან ერინჯს, მამალს კი — მოზვერს (ნ. მენთ. აჟ. 173) 157,16.
- ბეჩი სულელი, უჭკუო, შტერი, გამოუცდელი (შდრ. საბა, ჩუბ. გაბეჩება — ჩაეება (ვა), ნ. გურამ., ჯ. ლომთ. „შე ბეჩო, შენ რომ ყელში მოგადგა, იგი სისხლი არ არის, შენ ვინ მოგცა უსისხლოს სისხლი“ 301) 147,18.
- ბია-ვაშლა ნ. ვაშლის ჭიშები 152,3.
- ბიბილოები კაბის ბოლო, ნაკეცი, წერილნაკეცი.
- ბილენცრა ბალახეული მცენარეა გვიძრისნაირი, ოღონდ დეროდ ამოდის. ნესტიან ადგილებში ხარობს. არის დედალი ბილენცრაჲ და მამალი ბილენცრაჲ. დედალ ბილენცრას საქონელი ეტანება, მამალს კი — არა 132, 19.
- ბიში ნამცხვარი ღებულასავით (ნ. ს. მაკალ. 76) 163,18.
- ბლაყვა ლობია ნ. ლობიოს ჭიშები 154, 19.
- ბოგაზვინი ოთხ 1-2 მეტრიან ბომზე დაწყობილია ჰერები, შუაზე ამართულია საყე, რომლის ირგვლივ იტყეპნება თივა. ასეთ ზვინს საქონელი ადვილად ვერ სწვდება და დაცულია ქვედა ნაწილი დასველებისა და მიწის სინესტისაგან (ნ. მენთ. აჟ. 164: შედგმული ზვინი ანუ ბოგაზვინი) 132,13.
- ბოლოშავი (*Turdus pilaris*) ერთგვარი ჩიტი, შაშვზე ოღნავ პატარაა, ოღონდ არაა შაშვივით შავი (ნ. ყ ლ.)
- ბოლტები გუთნის ჭანჭიკი (ნ. განმ. ლექს.).
- ბორჩხალა გაშლილი ხშირტოტებიანი ხე (შდრ. საბა ბორჯული, განმ. ლექს. ბორჯულა).
- ბოტა ნ. ვაშლის ჭიშები 152,3.
- ბოლმა ნ. დაავადება 157,20.
- ბოჩიკი 1. პატარა, დაბალი ტანის პირუტყვი; გადატანით: ჭუჭა ტანის კაცი, ქონდრის კაცი; 2. ხარის დაკვედვის დროს სახელდახელოდ შეკრული ჯოხები, რომელზედაც მიკრულია პირუტყვი, რომ ველარ იმოდრას (შდრ. საბა, ბერ. ბოჩიკი, ალავ. ბაჩაკი) 157, 27.

ბოხრიკი მსხვილფეხა საქონელი. გადატანით კაცზედაც იტყვიან: უშნო. ულამაზო, უსანდომო (შდრ. კირ. ბეხრიკი; ნ. ს ა ხ. 190, გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.) 181,18.

ბუიორა „პატარა ჩიტის სახელია, გუნდ-გუნდად იციან ფრენა“ (ქლ.)

ბუიკი წვრილი, წვნიკი, უმწიფარი, მოუსვლელი ხილი, სიმინდის მარცვალი, კართოფილი და მისთ. (შდრ. ს ა ბ ა ბუიტი, გ ა ნ მ. ლ ე ქ ს. ბუირი) 151,36

ბროლაჟ ნ. სიმინდის ჯიშები 154,12.

ბუდალაჟ სულელი, „აბდალაჟ“ (გურ.: ნ. ჩ უ ბ.) 170,17.

ბურძღალაჟ მარცვლებგაცლილი მტევანი, კლერტი (შდრ. ს ა ბ ა ბ უ რ ძ ღ ე ნ ი, ქ ყ. გუძუნლო, წერ. ბონძღალი, შ ა რ ა შ. ბურძღალი) 185,21.

ბურწანი ფური, რომელიც არასოდეს ხბოს არ მოიგებს, სამუდამოდ უშობელი, ბერწი (ნ. მ ე ნ თ. აქ. არწივიანი ყისირი 173) 157,26.

ბუშა-ვაშლი ნ. ვაშლის ჯიშები 152,2.

ბუჯალი 1. ხის (მცენარე) ნაწილი, საიდანაც იწყება განშტოება ტოტებისა; 2. კუთხე (ვთქვათ, ოთახის); (შდრ. მ ა რ ი ქ ა ნ. გ რ ა მ. ბუჯალი ჯ ა ჯ ა ნ. ბოძვალი).

ბლარტი — (აგდებით) ბავშვი, უსუსური (შდრ. მ ე ნ თ., ლ ლ. „ქართლ. ზღ.“ 286) 149, 30.

ბ

გაბარება საქონლის (ვთქვათ, ხარი, ძროხა), დროებით მიბარება სხვაზე გამოსაკვებად გარკვეული გასამრჯელოს გაღებით (შდრ. კირ., ქლ.) 95,13.

გაბლაყვება [← ბლაყვი ნ.] გასულელება, გაბრიყვება, გაწბილება, არაფრად ჩაგდება, აბუჩად აგდება.

გაბუცება (|| შებუცება) გაჩერება, გაყუჩება, გაჩუმება, შეჩერება (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ბუცავდება, ბუცება, გ ა ნ მ. ლ ე ქ ს. გაბუცება) 186, 12..

გადართმევა 1. სურათის გადაღება 2. თმის გადაღება 169,24.

გადაწვერნა მზის გადაწვერვა. მზის ჩასვლის მოახლოება (ნ. შ ა ნ. სინტაქსი, გ ა ნ მ. ლ ე ქ ს. გადაწვერვა) 52, 19.

გაკაწმვა გაწმენდა, გასუფთავება (ვთქვათ, სიმინდის, პურის მარცვლის და მისთ.) 178, 28.

- გალომპრვა ხის ქერქის გაცლა. აქედან გალომპრილი ქერქ-
გაცილილი ხე (შდრ. ჭაჭან. გარიკნილი).
- გამეჩხერება სიმიდის ყანის გათხელება, გაიშვიათება (ნ.
მენტ. აჟ. 151; განმ. ლექს.) 153,21.
- გამობაიანება გამოაშკარავება, გამომქლავნება, გამხელა 183,2.
გამოტიალება იგივეა, რაც გამობაიანება.
- გაპარება ცეცხლის, სინათლის შეუმჩნეველად ჩაქრობა 103,9.
- გამოყვერვა მოზერის, ცხენის და მისთ. წყვილის გამოსხმა. აქე-
დან გამოყვერილი წყვილგამოსხმული, გაწმენდილი
ცხოველი (ნ. ჩუბ. გამოყვერვა, შდრ. განმ. ლექს. და-
კოდვა).
- გამტკიცვა ფქვილის გაცრა წმინდა საცერში. აქედან: გამტ-
კიცული წმინდად გაცრილი, სამტკიცში გაცრილი
ფქვილი (შდრ. ჩუბ., მენტ.).
- გარგანი „არგანი არს კვერთხის უსხოსი, საბრჭენელად და და-
საყრდნელი კაცთა უძღურთათვის“ (საბა); (ნ. ჩუბ. არ-
განი, შარაშ. გარგანი) 170,33.
- გასხლეპვა საქალამნე ტყავის გაკიმვა წაწვეტებული ჯოხებით,
გასწორება (შდრ. საბა გასხრიპვა, ბერ. გასხლიპვა,
წერ. გასხეპვა ტყავისა) 183,21.
- გაშრობა, წველის შეწყვეტა ნორმალური ვადის გასვლის შემდეგ,
ან მანამდე (ცუდი კება, ავადმყოფობა და სხვ.) მეწველს
რძე რომ გაუბრუნდება და აღარ მოიწველის. აქედან:
გამშრალი საქონელი წველა შეწყვეტილი საქონ-
ნელი (ნ. მენტ. გაშრობა) 157,20.
- გაციცავება ჩაქრობა (ცეცხლის); (შდრ. კირ. ლელეჩი) 170,35.
- გაცხრილვა ხორბლეულის ცხრილში (ნ.) გატარება კენჭების,
სარეველა თესლებისა და მიწის წვრილი ნაწილებისაგან
გასაწმენდად; აქედან: გაცხრილული ცხრილში გატა-
რებული 177,34.
- გაწალდვა ბუჩქნარის, ჯაგნარის და მისთ. სახელდახელოდ წალ-
დით გაკაფვა საცალფეხო გზისათვის, გზაბაწარას (ნ) გა-
ყვანა. (შდრ. გაწარბვა, ჩუბ. გაწალდვა) 171,17.
- გაწარბვა გაკვალვა, ხაზის გაყვანა თოხით, წალდით, სადაც უნ-
და გავიდეს, ვთქვათ, გზა, რუ და მისთ. აქედან: გაწარ-
ბული გაკვალული. მაგ. თხილამურით გაწარბული
თოვლის გზა (შდრ. ჭყ. წარბვა, ვაჟა I. დაწარბული,
მენტ. წარბვა, დაწარბვა) 174,14.

გაჭალავება 1. გამოფიტული საყანე მიწის საბალახოდ გაშვება; 2. თავის დროზე გაუთოხნელ ყანაში სიმინდზე ბალახის წასწრება, ბალახით დაფარვა, აქედან: **გ ა ჭ ა ლ ა ვ ე ბ უ ლ ი** „დასასვენებლად“ დატოვებული საყანე მიწა, ბალახ-წასწრებული სიმინდის ყანა.

გაჭყურტვა საუბარში არასერიოზული კილოთი ჩარევა, სასაცილოდ აგდება, სასხვათაშორისოდ ჩათვლა სერიოზული საქმისა, გაბიაბურება 182, 31.

გახებრვა გაფანტვა, „დათიქსვა“, ვთქვათ, ქსოვილის ნაჭრის იმგვარად გაკრა-დანაწილება, რომ შემდგომ ამ ნაწილების გამოყენება შეუძლებელი იყოს (შდრ. **ს ა ბ ა** დაშავება, **ჩ უ ბ.** გასახეობრება, **გ ა ნ მ.** **ლ ე ქ ს.** გახეობრება, **შ ა რ ა შ.** დათიქსნილი) 170,25.

გევეზობა წრეს გადასული, თავშეუქავებელი ოხუნჯობა, გევეზობას ჩვეულებრივ მიმართავს მაყარი სასიძოს ოჯახიდან ნაქორწილევს გამოთხოვებისას 184,26.

გეზი თოფის დასატენი, ზუმბა (ნ. ბ ა ქ რ., **ჭ ყ.**, **ყ ლ.**).

გვარდა ოვალური კასრი, რომელშიც ინახავენ ჩვეულებრივ რძის პროდუქტებს (ნ. **ს ა ხ.** 122) 159,24.

გელინი რძალი, პატარძალი. მოსული (ნ. **ი მ ე რ ხ.** 70: „ქოროლიმ **გ ე ლ ი ნ ს** უთხრა“, **ყ ლ.**) 108,25.

გვარი მაძაგი 1. გვარის შემარცხვენელი, გვარის ამომგდები, სხელის გამტეხი; 2. მოფერებისა და ალერსის გამომხატველი მიმართვა (შდრ. **მ ა ი ს.** გვარის მაქიქი) 184,31.

გზა-ბაწარა **ე ვ ი წ რ ო**, საცალფეხო გზა (ნ. **ს ა ხ.** 178) 149,23.

გლიშამ, გარეშამ ირგვლივ, გარშემო; „ციხეს **გ ლ ი შ ა მ** შამუვარეთ, ზეთ შემოვდევი კირიო“; (შდრ. **ბ ე რ.** გრულიაშამო, **წ ე რ.** გვრილშამო, **ა ლ ა ვ.** გრულშემო, გრულია; **ნ. ლ ლ.** გლიშამ) 155,23.

გობეგი 1. ჭიბი; 2. საბნის გული; 3. კარგი, მისადგომი საყანე ადგილი, სადაც ქარი არ უღგება (შდრ. **დ ვ ი ბ ე, ი მ ე რ ხ., ჭ ყ.**) 174,16.

გოგოშვილი ქალიშვილი, გოგონა; „თუ მეიყვანე ი ზეთუნახავი ჭინკის გოგოშვილი...“ (ნ ო ლ. II ო; შდრ. **ი მ ე რ ხ:** „თეპარ მირზას **გ ო გ ო შ ვ ი ლ ი** ყავდა“ 57) 28,16.

გომბიო გოგო, გოგონა, ქალიშვილი „ერთ დღეს ამ **გ ო მ ბ ი ო ე ბ ი ს** დედა სადილ აკეთებდა“ (ნ ო ლ. III, 86) 56,31.

გონივრა ნ. ვაშლის ჯიშები 152,3.

გო მ ა ვითომ, ვითომც, თითქოს.

გოროხი ბელტი (ნ. საბა, კირ. ჟღ. გოროხი, მენთ. გოროხი) 153,14.

გორძლო ურემზე დასადგმელი ძარი, რომლითაც ჩვეულებრივ ნეხვი დაქვთ ყანაში (შდრ. წერ. სანეხვე ძირი) 174,13.

გორჯოლო მთელმთელი დაუნაწილებელი ყველი 160,17.

გუგულაა გულლე ნ. წისქვილის ნაწილები 164,24.

გუგუმი წყლის ჭურჭელი სპილენძისა, სურას ჰგავს (შდრ. ბაქრ. გუგუნი) 166,17.

გულა „თხისა, ცხვისა და ხბოს ტყავი, გაუჭრელად გაძრობილი და ჭურჭლად გაკეთებული, ზურგზე მოსაკიდებელი რისამე ჩასადებად. კარგია სამგზავროდ მწყემსისათვის (შან. სინტ; შდრ. სახ., ჯაეახ. საფ. საზ., განმ. ლექს.) 154,30.

ღ

დაავადება: შინაურ ცხოველთა ავადმყოფობიდან ცნობილია: 1. ბოღმა — გემორაგიული სექტიცემია, ყელის დაჩირქება; 2. მალა, მალაო — „წინა ფეხი თუ აქტივდა, მალას ვეტყვით“; 3. ხანი-ყარა მენჯის (თქოს) ტკივილი; 4. სახაო „ცხვიდან დეიკავეფს. ეიჟინასავეფ (ნ.); 5. ტაბალი თურქული; 6. ქოთაო წელის ტკივილი (ცხენს ემართება, „წელს უკან დეიკირავეს ცხენს“); 7. ჩორიჭირი; 8. ჯილეხი ციმბირის წყლული 157,19.

დაბინავება ქალის გათხოვება, ახალ ოჯახში მოხვედრა 171,33.

დაბულულება ახლად მოცელილი გასახმობი ბალახის ბულულებად დადგმა; აქედან: დაბულულე ბულულებად დადგმული (შდრ. მენთ. აჰ., მაის.) 155,19.

დაგნება წისქვილის ლინგად (ნ.) ან როხად (ნ.) დასაფქვევად მობართვა. ბრუნვის სიჩქარის მოწესრიგება ხდება წისქვილის ქვების ერთ მხარეს მოწყობილი ასაწევე-დასაწევით, რომელსაც იმერულად ვირიხიდას უწოდებენ. რამდენადაც ზედა ქვა დაცილებულია ქვედას (ე. ი. აწეულია), იმდენად მსხვილად იფქვება, ან როხ ფქვილს მივიღებთ, და, პირიქით, რაც უფრო ახლოს ეკვრის წისქვილის ქვები ერთი მეორეს, იმდენად ლინგად ფქვევს წისქვილი, ლინგადაა დაგნებულნი (შდრ. შარაშ. საცნაური, წერ. დარიგება) 165,1.

დადენტვა [← დენთი (ნ.)] ცხიმეულის ჰამისაგან მადის დაკარგვა-
რამდენადმე უსიამოვნო გრძნობაზე დაყენება (შდრ.
მ ე ნ თ. ასუყება).

დათაკრვა რაიმე საგნების (ფიცარი, შეშა, ლოგინი) გარკვეული
წესით დალაგება, დაწყობა. „ასი საჭენი შიშა
დათაკროს ერთ მიორეზე“ (ნოღ. III, 114); აქედან:
დათაკრული დაწყობილი, დალაგებული (შდრ. დამ-
ქახდება, დამქახდებული) 123,31.

დაკვერცხება მოწყვეტით, ერთბაშად ძირს დაცემა, წაქცევა,
დახეთქება, დანარცხება (ნ. მ ე ნ თ. დაკვერცხება, შ ა
რ ა შ. გაქღვართვა) 171,26.

დალაშტვა წყლის უზომოდ, უთავბოლოდ დაღვრა, ბლომად დაქ-
ცევა რაიმე სითხისა (შდრ. ჰ ყ. თქვარვა, ბერ. დალაშტვ-
რა, შ ა რ ა შ. თქვირიშინი, დათქვირიშინება, მ ე ნ თ.
დათქვრა).

დამქახდება [← ჰახადი (ნ.)] დაწყობა დალაგება (ვთქვათ, შე-
შისა); აქედან: დ ა მ ქ ა ხ დ ე ბ უ ლ ი დაწყობილი, დალა-
გებული (შდრ. დათაკრვა, დათაკრული) 201,21.

დანამბულება [← ნამბული (ნ.)] გამოგვალული მიწის წვიმით დალ-
ბობა, რის შედეგადაც შესაძლებელია მოხვნა (ბუნებრივი
მორწყვა); აქედან: დ ა ნ ა მ ბ უ ლ ე ბ უ ლ ი წვიმით, ბუნ-
ებრივად მორწყული მიწა (შდრ. წ ე რ.) 153,18.

დაოშვა სიმინდის საყანე მიწის დათესვის შემდეგ მეორეჯერ თხლად
(ზეზეურად) მოხვნას (10-15 სმ. სიღრმით) დაოშვა ეწოდებ-
ბა (ნ. მ ე ნ თ. აჭ. 148) 153,17.

დაპოქსვა [← პოქსი (ნ.)] დაჭუჭყიანება; აქედან დ ა პ ო ქ ს ვ ი ლ ი
დაჭუჭყიანებული, გაჭუჭყიანებული 175,21.

დაპწნილი ყველი დაწნული ყველი (ქალის თმასავით); დ ა პ წ ნ ი-
ლ ი ყ ვ ე ლ ი ჩვეულებრივ თავმოხდილი, დაბალი ხარის-
ხისაა 160,17.

დაჟღუმლება საქორწინო ცერემონიის გარეშე ქალის (საცოლეს)
მისვლა მამაკაცის ოჯახში (ზოგჯერ ქალის მშობლებზე შე-
უთანხმებლად, რაზედაც იტყვიან: „გადააჩეჩთა თავზე,
დჟედავო“).

დაროხვა [← როხი (ნ.)] მსხვილად დაფქვა სიმინდის, ხორბლის; აქ-
ედან დ ა რ ო ხ ვ ი ლ ი მსხვილად დაფქვილი სიმინდი, ხო-
რბლეული (ნ. დაგნება) 156,13.

დასაგნები ნ. წისქვილის ნაწილები 165,1.

- დასავსება დამაკება (პირუტყვზე ითქმის მხოლოდ) აქედან: დასავსებულ დამაკებულ 176,20.
- დასამაკინარი დასამაკებელი პირუტყვი (შდრ. შარაშ. სამაკინებელი) 157.33.
- დასახლება 1. დაქორწინება, ცოლის შერთვა, დაოჯახება; 2. სახლკარის გაჩენა, დაბინავება (შდრ. ჩუბ., მენტ. დაბინავება, განმ. ლექს.).
- დაფინვა იატაკის დაგება (ნ. იმერხ. 75) 180,34.
- დაფიშმანება დაფიქრება; მოფიქრება (შდრ. იმერხ.: გამეფიშმანა 63).
- დაყორულება [← ყორული (ნ.)] სათიბი ადგილის დაცვა, შემოღობვა, ნაკრძალად გამოცხადება (ნ. ჩუბ., მენტ.) 174, 19.
- დაჩიჩვა დაჩრჩილევა, ქსოვილის შექმა ჩრჩილისაგან. აქედან: დაჩიჩული ჩრჩილისაგან შექმული (ქსოვილი), დაჩრჩილული.
- დაჩიჩვატული (უბატო გამოთქმით) უშნო, ულაზათო 183, 4.
- დაქაფვა გამსკდარი, გახეთქილი ან გაბზარული ხის ქურჭლის (გობი, კასრი და მისთ.) რკინის ნაქრებით შეეკრვა; აქედან: დაქაფული რკინის ნაქრებით შეეკრილი გამსკდარი ან გაბზარული ხის ქურჭელი 169, 6.
- დედე ბაბუა (ნ. ჩუბ. დადა. იმერხ. 50: „დედე სებები გემიხადა, არ შეედოდი იმ საქმეში“) 179, 1.
- დედიფერა ნ. ძროხის სახელები 159, 1.
- დედო მაწვნის შესადედებელი; ერთ ან ორ სუფრის კოვზ მაწონს იღებენ და ნადულ თბილ რძეში მოურევენ: შედედება მაწონი (ნ. მენტ. დედა) 159, 15.
- დელიჯა ერთგვარი „პურეული“ მცენარეა. თუ პურის ყანაში ბევრი გაერია, ხელით გამოჰმარგლიან (ნ. მენტ. აჭ. 151).
- დელი გიყი, ხელი, გადარეული. შეშლილი მწერალ პ. ლორიას ერთ-ერთ რომანს „დელი-მურადი“ ჰქვია) 171, 21. (ნ. ბესიკი, ჟღ. ლ., განმ. ლექს. დელი) 134, 34.
- დელიყან(ლ)ი მომწიფებული ახალგაზრდა, ყმაწვილი (ნ. მარიკან. გრამ. დელიყანი, იმერხ.: „ბიჭი კამაღა ლამაზი დელიყანი იყო“ 55; შდრ.) 149, 22.
- დელიხორუში ერთგვარი ხორუმი, როცა საცეკვაო იღეთები მეტისმეტად სწრაფად სრულდება (შდრ. იმერხ. 37) 171, 5.
- დემეთი გამხმარი თამბაქოს ფოთლების დასტა (შდრ. მენტ, მაის. დამათი, შარაშ. დემა) 183, 8.

დემირალმა რკინის უხვად შემცველი მაგარი ჯიშის ვაშლი. ოდნავ სასიამოვნო სიმკვავე დაჰკრავს, დიდხანს ძლებს, თითქმის ახლის მოსელამდე (ტრანსპორტაბელურია) 152, 1.

დესტანი დიდი ფორმატის ლექსი (შდრ. იმერხ.).

დვალურაჲ (*Polygonum carneum*) მრავალწლოვანი ბალახი, გავრცელებულია ნოყიერ ადგილებში. ფოთლებს, როგორც მხალს, ისე იყენებენ (შდრ. ჩუბ.) 150, 6.

დვალი ძვ. სადედოფლო შარფი. ქორწილის პროცესში დედოფალს დ ვ ა ღ ი ჰქონდა სახეზე ჩამოფარებული. საქმროს ოჯახში დედოფალს დ ვ ა ღ ს ყამით ახდიდა ძმა, ბიძაშვილი ან სხვა მახლობელი, რის შემდეგ სასიძოს ნათესავეებისაგან დ ვ ა ღ ი ს ამხდელი მიიღებდა გარკვეულ საჩუქარს (შდრ. ჩ უ ბ. პირის სანახავი, მ ა რ ი ჰან. გრამ. დუვალი).

დველი (უფრო ზუსტად: დუელი), სახელმწიფო, სამეფო; „ოი დუ-ნიახე რაც ჭარია, ხელმწიფე და შვიდი დ უ ე ღ ი (გაზ-„ს ა ქ.“, 1916, № 248), (შდრ. მ ა რ ი ჰან. გრამ. დევლეთი. ჩ ი ქ ო ბ. ფრდ. დოულათი) 149, 4.

დვიბე, დუბე კარგი მისადგომი საყანე მიწა, სადაც ქარი არ უდგება, (ნ. გობეგი; შდრ. ჰ ყ ., გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.) 174, 13.

დიბი, დიბაჲ თამბაქოს მცენარის ძირა ფოთლები: მისგან დაბალი ხარისხის თამბაქო გამოდის (ნ. მენთ.) 166, 18.

დიდი ანაჲ, დიდანა ბებია, დიდედა (შდრ. შ ა რ ა შ. დიდნენე) 38, 25.
დიღბერაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 1.

დოდოფლიჭიბაჲ ერთწლიანი ბალახეული მცენარე (მხალს წააგავს)-
დოდოფალაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 2.

დომობრაკულაჲ ერთგვარი საკმელია — ერბოში მოხრაკული დო.

დონთბარი იგივეა: რაც საკარაქე მაწვნის შედღეების შემდეგ დარჩენილი სითხე, რომელსაც ოდნავ მკვავე გემო აქვს. ზაფხულის ცხელ დღეებში საუკეთესო სასმელად ითვლება. დ ო ნ თ ბ ა რ ი შეიძლება მიღებულ იქნეს დოს გაღეს-ვითაც (შდრ. იმერხ. დონთბარი ანუ დონთბა 40) 160. 33.

დოსტი მეგობარი, ამხანაგი, ნაცნობი, მოყვარე-ნათესავი. (ნ. მ ა რ ი ჰან. გრამ., ვ ა ე ა 1, გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.) 172, 22.

დოშევი ლოგინი, ლეიბი, „მინდარი“ (შდრ. ს ა ბ ა დუშაყი, ჩ უ ბ. დოშაქი, ვ ა ე ა, გ რ ი შ. დოშაყი, ე ღ. ჰან. ტექსტი. დუშე-ლი, მ ე ნ თ. დოშაქი) 35, 23.

დოშორვა საკმელია: ერბო — ხახვში გაღესილი დო, ოდნავ მოშუ-შებული 161, 20.

დრამი, დრემი პაწაწა, პაწაწინტელა, ერთი ბეწო (ნ. ილია ჭავჭავაძე: „შენ ვარდის კონავ, დრამის წონავ, რა მოგიჩმახავს“, „აი ისტორია“) 131, 31.

დუდი თხემი (თავის); დუდიანი მხალი თავიანი მხალი 172, 27.

დუღხალი თავიანი მხალი, კომბოსტო (შდრ. ჩუბ. ლახანა, მარი ჭან. გრამ., ელ. ჭან. ტექსტ.) 132, 5.

დუზი ჰადრაკივით სათამაშოა, საკმაოდ რთული და ინტერესის აღძვრელი.

დუნია ქვეყანა, ხმელეთი, მხარე, „ოი დუნიას ვერაც ჯარია, ხელშიფე და შვიდი დტელი“ (გაზ. „საქ.“, 1916 წ. № 248), (ნ. ვაჟა, მარი ჭან. გრამ., ჯანაშვი. დუნია, ელ. ჭან. ტექსტ., ქ. ლომთ.: „არ არის კნიახ დუნიას ვე სამართალი...“ 248, განმ. ლექს.) 170, 28.

ე

ეზანი ძვ. მოწოდება, გამოცხადება. მორწმუნეთა გაფრთხილება ლოცვისათვის; ეზანს ჩვეულებრივ აცხადებდა მინარეთიდან სასულიერო პირი — ხოჯა, მოლა (ნ. ჩუბ., გრიშ. აზანი ელ. ჭან. ტექსტ. იზანი) 171, 1.

ელჩი შუამავალი. მაჰანკალი, მოციქული (ნ. სახ. 189, იმერხ. 37, ელ. ჭან. ტექსტ.) 200, 2.

ემიაჲ მამით ბიძა (ნ. მარი ჭან. გრამ. ემიჯე. იმერხ: „ემიას გოგო ყაუდა ნათხოვარი“ 55) 181, 35.

ემექთარი მოამაგე, მზრუნველი. გულშემატივარი, ღვაწლმოსილი, დამაშვრალი (ნ. ელ. ჭან. ტექსტ.).

ერინჯი მეორედ გამოზამთრებული ხბო (დედალი) (ნ. მენთ. აქ. 173) 157, 17.

ერიშტა საკმელია: პურის ცომს თხლად გააბრტყელებენ, გაახმობენ, ან თუნუქის ფურცელზე გამოაცხობენ, შემდეგ დაჭრიან წვრილად და შეინახავენ. საჭირო შემთხვევაში გამოაშუშებენ ერბოში და შაქრით ან თაფლით დაატკობენ.

ერკელიოფს [← ერკელიაჲ (ნ.) ანინდი ცვალებადობს. ამ წუთში რომ მზიანი ამინდია და უცებ წვიმით შეიცვლება, ან პირიქით 174, 21.

ერცულულზე [← = ერთ + სულულზე ← თურქ. soluk „სუნთქვა“. ერთი წუთით, ერთ წუთას, сию минуту]. 104, 22.

ეში ტოლი, კბილა, ამხანაგი, მეგობარი, კოლეგა (შდრ. ჯანაშ. ჰაშ 274, ელ. კბილა) 180, 9.

3

ვარია სადღვებელი. რითაც კარაქს დღვებავენ (ნ. ს ა ხ. 122) 159, 26.
ვარიოზი დიდი რკინის ურო (ნ. მ ა ი ს.) 169, 26.

ვაშლის ჯიშებიდან ცნობილია: ბოტა, ფაშა-ალმა, შექქერ-ვაშლა, სობა-ალმა (||მახარა-ვაშლი), დემირ-ალმა, წიპლიკა-ვაშლი, ბუშა-ვაშლი (პანტა-ვაშლი). თ. სახოკიას თავის „მოგზაურობაში“ (გვ. 174) ვაშლის ჯიშებიდან დასახელებული აქვს: ბოტია, წითელი, ყარაფილა, შექქერ-ვაშლა, ბი-ვაშლა, სობა-ვაშლა, წითელვაშლა, მწვანია-ვაშლი, გონიერა, ჩალ-ვაშლა, დემირ-ალმა, წიპლიკა-ვაშლი, კაჩ-ვაშლი, ყირ-მიზი-ვაშლი 152, 1.

ვახტიანი შეძლებული, მდიდარი კაცი (შდრ. მარი ჰან. გრამ. ვაკიტი, მენტ. გამართული კაცი) 171, 34.

ვერანა 1. ოხერი, მაწანწალა, თავზე ხელაღებული; 2. მიმოფანტული, აოხრებული, აფორიაქებული (ნ. მარი ჰან. გრამ. ვერანე, გურამ. ვერანა, განმ.) 204, 16.

4

ზანკალი ღაზლისაგან მოქსოვილი წვივზე ამოსაცმელი ყელები (შდრ. საბა პაჰანაგი; ნ; ჩუბ., წერ. საწვივები, ნ. მარი ჰან. გრამ. ზანკალი, იმერხ: „ფირალობას უკეთესია ფეხზე ჩევიცვა ზანგალი“ 54) 132, 15.

ზარმელი სამხარი, ვახშობამდე საკმლის მიღება (ნ. საბა, ჩუბ., ელ., მაის.) 132, 15.

ზემბილი ხელში სპეკერი ჭურჭელი (წნული) (შდრ. ჩუბ. ზამბილი; ნ. იმერხ. ზემბილა 71) 167, 9.

ზემპერაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 2.

ზისამწერელაჲ მზესუმზირა 52, 19.

ზიწვერნა მზის ამოსვლა (შდრ. შან. სინტაქსი გადაწვერვა, მენტ. მზის გადაწვერვა) 149, 34.

ზოჟლი ზორბა, დიდი, კარგი, ყოჩალი, ძალიან, ძლიერ 172, 33.

- ზორი გასაქირი, ჯაფა. ძალა (ნ. პარიკან. გრამ., იმერხ.: „ჩვენ ჰასან ფაშამა ზორით აართვა ცხენი ქოროღლის“ 66; შდრ. ჯანაშ., ელ., კან. ტექსტ. ზორილათე) 152, 26.
- ზოლი ერთი აკრა საქალამნე ტყავი (შდრ. კირ. შოლტი ტყავი, მაის.) 170, 5.
- ზუბუნი ქურთუკივით ჩასაცმელი (მამაკაცისა) (ნ. სახ. 191, ჩუბ., ბაქრ. ზუბუნი, იმერხ. 178) 188, 30.
- ზღმურტლი ფელამუშში, ფაფასა და ცომში გაუქნელი ან მოუზენ-
ლაკი პატარა გუნდა. (ნ. საბა. ჩუბ., ჯანაშ., მენთ. მურკლი) 161, 21.

თ

- თავანი სხენი, черлак (მენტ.) (ნ. კიდევ ბერ., იმერხ. ელ., მაის.) 158, 19.
- თავი დუდი თავის ზემო ნაწილი. თხემი (შდრ. ელ. კან. ტექსტ. დუდი).
- თავრიელი საქალამნე თავის ტყავი (საქონლის თავს ჩვეულებრივ ცალკე ატყავებენ. „ქალამანი შევიყერე ხარის თავრიელია, გოგუებთან წასლა მინდა, ქესა ცარიელია“ (ნოლ. II, 115) (ნ. ჯანაშ. თავრიალ, მენტ.; შდრ. კირ.) 181, 26.
- თალაში გარჯა, შრომა, შფოთი, მოუსვენრობა. „ახლანდა მოგიტანო, ნუ გაქ თალაში, ღამე ქარი ქრის, დილას კალაში“ (ნოლ. II, 142) 174, 18.
- თალარი ყანის საზღვარი (შდრ. საბა, ჩუბ., კირ. სამანი, ნ. შარაშ.) 169, 16.
- თართქალი ახალი, ნორჩი ბოსტნეული ხახვი, ნიორი... ან ბალახეული მცენარე (შდრ. ელ. თორთქოლო, ალავ. თურთქლები) 185, 12.
- თახუმი 1. აჯათი, ინსტრუმენტი; 2. გვარი, ტომი, ჯიში, ჯილაგი, ჩამომავლობა, ოჯახი, ჯალაბობა (ნ. ჩუბ. თახუმი, შდრ. მენტ., ალავ.).
- თეთიკი ცეცხლმსროლელი იარაღის სახსლეტი 171, 23.
- თელღალი ძვ. 1. დაღალი. მაკლერი, შუამავალი; 2. საჯარო გამოცხადება, სახელმწიფო საზოგადო საქმისათვის ხალხის მოხმობა (ნ. იმერხ.: იმან ემრი ქნა, თელღალს დააძახნია“ 61) 147, 15.
- თელღუგაღ დაზლით მოქსოვილი უყელო წინდა. თითებსა და

ქუსლს ფარავს მხოლოდ: ზამთარში წინდაზე ამოიცვამენ ხოლმე (შდრ. წ ე რ. თითი ქუსლისა, მ ე ნ თ. თათი, მ ა ი ს. თათ-ქუსლი) 174, 28.

თემელი ფუნდამენტი, საძირკველი, საფუძველი, ფუძე (შდრ. კ ი რ).

თენეჟა სანავთე, თუნუქის კურკელი ნავთის ჩასასხმელად (შდრ. ჩ უ ბ. თუნუქა, ე ლ. კ ა ნ. ტექსტ. თენეჟე, შ ა რ ა შ. თა-ნაჟა) 147, 4.

თენთენიაჲ ბაბთი (?), „კრუეავო“ (შდრ. მ ა რ ი კ ა ნ. გ რ ა მ. თენთე-ნე, მ ო ს ა, ჩ ერ გ ა).

თესპე რ ე ლ ი გ. ასხმულა, კრიალოსანი, თესპე ჩვეულებრივ 33 ან 99 მრგვალი, მძივივით მარცვლებისაგან შედგება.

თესპა-ლობიაჲ ნ. ლობიოს ჯიშები 154, 21.

თვალის აჭრიალება თვალის აბნევა მდინარის მოძრაობაზე ან ჰრელ საგანზე ცქერით; მცდარად, შებრუნებულად დანახვა საგნებისა მალლიდან (ვთქვათ, ხიდიდან) მოძრაობისას (შდრ. კ ყ. ასიორება თვალისა, ე ლ. აფსიორება თვა-ლისა, შ ა რ ა შ. თვალის ასიორება, თვალის აჭრიალება).

თვარიაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 2.

თითი გამოწვევა მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეჯიბრებიან თითის თითში გაყრით დათრევაში. რომელიც თავისკენ დაითრევეს, ისა გამარჯვებული.

თორბა ტომსიკა, თოფრა, პარკი, პატარა ტომარა. (შდრ. ჩ უ ბ. თორბა, თოფრა; ნ. ბ ა ქ რ.) 174, 32.

თორი 1. წელზე შემოსარტყმელი ქსოვილი, ქამარივით; 2. ბადე (ნ. ჩ ი ქ ო ბ. 323) 132, 6.

თოფის [ს] მენძილი ზომის ერთეულია: მანძილი თოფის გასრო-ლის პუნქტიდან ბოლომდე. დაახლოებით 300-350 მეტრი (შდრ. მ ე ნ თ. ერთი გაქცევა).

თრისა თევზია ერთგვარი, შავ ზღვაშია გავრცელებული.

„მე კდარი და შენ ცოცხალი,

შეგაჭრიან გულზე ნიშანს,

პაწაწალა დაუყუროთ,

მოგკიდებენ ზურგში თრისას“ („დრ.“ 1882, № 73, ვ ი ნ-მ ე მ ე ს ხ ი) 186, 31.

თურთქელა ჩვილი, ნორჩი, რბილი, ნაზი; მაგ., თ უ რ თ ქ ე ლ ა

ყველი, თურთქელა ბალახი და მისთ. (შდრ. ჟღ. თორთქოლო, ალაგ. თურთქლები) 161, 6.
თხუელი მათხოვარი (შდრ. საბა მთხოველი) 184, 22.

ი

იბრეთი უჩვეულო, უცნაური, განსაცვიფრებელი, საკვირველი, საშინელი.
ირემაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 2.
ისლაკუნტა ყირა, გადაყირავება (შდრ. ჟღ. წიკუნტალი, ალაგ. დაყელვა; დაყენტვა).
იშმარი ნიშანი, ნიშნება, თვალის ქნა (ნ. ჟღ. ჰან. ტექსტ.) 173, 32.
იშტა ამგვარად, ამრიგად, ერთი სიტყვით; ასე ვთქვათ, ისე რა-
ლა. (შდრ. მარიჰან. გრამ.) 186, 8.
იშტაპი 1. მადა, აპეტიტი; 2. სურვილი (შდრ. ჩუბ., მარიჰან. გრამ., იმერხ. იშტა 32) 179, 3.
იბრელი სპილენძის მაღალყელიანი ჭურჭელი, წყლის ჭურჭელი (შდრ. აბულ. იბრეხი, მაინ. იბრიხი).

კ

კაბლო „ფარცხივითაა, ყანას რომ მოვხნავთ, კაბლოჲთ მუასტო-
რეთ პირს. კაბლოს უმფო ვაკე ადგილეთში ეხმაროთ, ფარცხ კი — დამრეც ალიგეთში. ძველები კაბლოსაც და ფარცხსაც — ორნავეს თათრულათ თათანს ეახდენ“ (შდრ. საბა, ჩუბ., გურამ., მენთ.) 153, 13.
კალანჩხა პატარა კალათი ყანაში საკმლის ან ხილის წასაღებად (ნ. კყ.; შდრ. შარაშ. კარანჩხაი) 174, 12.
კალაში 1. ცხელი ქარი, სამუმი (?); 2. ქარიშხალი; „ღამე ქარი ქრის, დილას კალაში“ (ნოლ. 11, 142) (შდრ. მარიჰან. გრამ.) 155, 20.
კამპარა ძალიან ხმელი (მაგ. კამპარა შეშა) 163, 34.
კაპრონა სოფლისა და სხვა ადგილეთში საზოგადო წყაროებთან წყლის დასაღევი ჭურჭელი — ხისაგან გამოთლილი ტარიანი ჯამი, კუთხოვანი ფორმისა (შდრ. საბა, ჩუბ., ბაქრ. კოპე) 132, 14.
კაპიწი ოვალური კასრი, რომელშიდაც რძის პროდუქტებს ინახავენ (ნ. საბა.; ჯავახ. საფ. საზ. კაპიწი 37) 149, 12.
კარაპანი სახლის წინამო, რომელიც გადახურულია და ასრულებს

- „სარაიას“ დანიშნულებას. კარაპანში ჩვეულებრივ შემას ჩეხავენ, აქვე დალაგებულია მძიმე საოჯახო ნივთები, სას.-სამეურნეო იარაღები და სხვ. (შდრ. ჩ უ ბ.) 168, 29.
- კარკალი ნიგოზს ზოგან კარკალს (ან კაკალს ეძახიან (ნ. ბ ა ქ რ. ბერძნული თხილი) 207, 30.
- კატარასა გარეული პრასა. ტყისპირას, ტენიან ადგილებში ხა-რობს (ნ. შ ა რ ა შ.).
- კაჩაი-ვაშლი (ნ. ვაშლის ჯიშები) 152, 3.
- კელოფს კოქლობს 178, 11.
- კვენდლი შქერის ნედლი და მოქნილი წნელი, რომელსაც იყენებენ ლობეზე სარის დასაკრავად (ნ. ქ ყ., ე ლ. კვენდლი; შდრ. შ ა რ ა შ. ღვენთქი, ჯ ა ჯ ა ნ. ალახა) 174, 24.
- კვინიხი კეფა, თავის თხემი (ნ. ჩ უ ბ.; შდრ. მ ა რ ტ. და ი მ ნ. კახუ-რი კრენჩხა) 169, 4.
- კვირითავი თითის ტარზე ქვედა მხრიდან წამოცმული მრგვალი, ფირფიტისმაგვარი რგოლი, რთვისას ფუძედ ეკვრის ძათს და თითისტარის ბრუნვას ახანგრძლივებს (შდრ. ს ა ბ ა კვირისტავი, გ უ რ ა მ., ე ლ.) 149, 13.
- კინჩხი კისერი (შდრ. კ ი რ. კინჩხო, ბ ე რ. კინჩხი, ვ ა ე ა III, მ ე ნ თ. კვენჩხი; ნ. ე ლ.) 149, 27.
- კირკლები ალერსით: წვრილი ბავშვები (მხოლოდითის ფორმით ეს სიტყვა არ იხმარება; (შდრ. ბ ე რ. კ ი რ კ ე ლ ა, შ ა რ ა შ. კ ი რ კ ლ ი) 181, 35.
- კიტმიჭი ძუნწი, კრიყანგი, ქვახარშია (შდრ. ჩ უ ბ. ძვირი, მ ე ნ თ. ძვირი კაცი, მ ა ი ს. კუწუნწრახი).
- კობერი გაფშვნილი ტარო სიმინდისა (ნ. მ ე ნ თ. აქ. 159; შდრ. შ ა რ ა შ. ნაკოტალა, ა ლ ა ვ. ქუნჩულა, ნაქუნჩალა) 155, 1.
- კოდანა თიხის ჭურჭელი ცილინდრის ფორმისა, რომლითაც კარაქს დღვებავენ 159, 26.
- კოლი ხის ჭურჭელი, კასრივით (ცილინდრული ფორმისა). გამოყე-ნებულია წონის ერთეულადაც, ჩადის 9 ოყიდან (ხიხაძი-რი) 2¹/₂ ფუთამდე (ნ. ჯ ა ვ ა ხ. საფ. საზ. 46) 149, 12.
- კოთხო ხის ჭურჭელი (საოჯახო-კოლოფივით) (შდრ. ს ა ბ ა კათხა, ჩ უ ბ., ქ ყ., შ ა ნ. სინტაქსი) 149, 12.
- კოკომუავა (Rumex Acetosella L.) „პატარა მეთუნა“ (ს ა ბ ა), (ნ. ჩ უ ბ.) 148, 34.
- კოლაუზი „ქაბუკი მოგზაურთა წინა მავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს“ (ს ა ბ ა ბადრაგა) (შდრ. ს ა ბ ა

ეტიკი, ჩ უ ბ., შ ა ჰ ნ. II ყალოზი, მ ა რ ი ჭ ა ნ გ რ ა მ. კ ო -
ლ ა ლ უ ზ ი) 227, 30.

კ ო რ კ ი მ ე ლ ი ე რ თ გ ვ ა რ ი ჭ ა ნ ჭ უ რ ი — მ ა გ ა რ ი ც ა ა და გ ე მ ო ი ა ნ ი ც
(ნ. ე ლ).

კ ო რ კ ო ტ ა ნ ა ს ი მ ი ნ დ ის ს ა ც ე რ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც ც ხ რ ი ლ თ ა ნ (ნ.) შ ე დ ა რ ე ბ ი თ
წ ვ რ ი ლ ი თ ვ ა ლ ე ბ ი ა ქ ე ს. ა მ ი ტ ო მ მ ა რ ც ვ ა ლ ი არ გა დ ის. კ ო რ -
კ ო ტ ა ნ ა ა ტ ა რ ე ბ ს მ ხ ო ლ ო დ „ჭ უ ნ ტ ა ლ“ წ ვ რ ი ლ ს ი მ ი ნ დ ს
შ დ რ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ც ხ რ ი ლ ი, ვ ა ე ა IV, ა ლ ა ვ. ძ ა ლ ვ ი, მ ე ნ თ. ც ხ ა ე ი, ც ხ რ ი ლ ი) 154, 10.

კ ო რ კ ო ტ ი ხ ო რ ბ ლ ის შ ე ქ ა მ ა დ ი: გა დ ა რ ჩ ე უ ლ და დ ა ნ ა ყ ი ლ ხ ო რ ბ ა ლ ს
მ ო ხ ა რ შ ა ვ ე ნ კ ა რ გა დ და შ ე ა ნ ე ლ ე ბ ე ნ ხ ა ხ ვ ი თ ა და რ ძ ი თ,
შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე რ ბ ო თ ი ც გა კ ე თ დ ე ს (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბ ე რ.
კ ო რ კ ო ტ ო ბ ა, მ ე ნ თ.) 162, 15.

კ ო რ კ ო ტ ი ხ ის პ ა ტ ა რ ა უ რ ო (ნ. ლ ლ. კ ო რ კ ო ტ ა ნ ა) 163, 22.

კ ო ტ ა 1. ს ი მ ი ნ დ ის ტ ა რ ო (შ დ რ. ჯ ა ჯ ა ნ. ჭ უ ზ რ უ ზ ო); 2. „მ ა ჭ კ ე ის ი მ ნ ა -
წ ი ლ ს, რ ო მ ე ლ ი ც გ ვ ე რ დ ზ ე გა მ ო შ ვ ე რ ი ლ ი ა და რ ო მ ე ლ ზ ე -
და ც ხ ე ნ ის დ რ ო ს უ კ ი დ ი ა ხ ე ლ ი მ ხ ვ ნ ე ლ ს კ ო ტ ა ე წ ო დ ე ბ ა“
(მ ე ნ თ. ა ჭ. 145); 3. თ ო ფ ის ს ა კ ე ტ ს ა ც კ ო ტ ა ე წ ო დ ე ბ ა; 4.
„კ ე დ ე ლ ზ ე ა ნ ს ე ვ ე ტ ზ ე მ ის მ უ ლ ი ხ ის რ ი კ ი ს ა კ ი დ ლ ა დ“
(წ ე რ.) (შ დ რ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბ ა ჭ რ., კ ი რ., ვ ა ე ა I,
ე ლ.) 153, 6.

კ ო ტ რ ე უ ლ ი და უ ფ შ ვ ნ ე ლ ი, გა უ რ ჩ ე ვ ე ლ ი ს ი მ ი ნ დ ი, ტ ა რ ო ს ი მ ი ნ -
დ ი 183, 7.

კ ო ტ უ შ ი ტ ა რ ო (შ დ რ. მ ა ი ს. კ ო ტ ო შ ი) 79, 15.

კ უ დ მ ე ლ ა ნ. ძ რ ო ხ ის ს ა ხ ე ლ ე ბ ი 159, 2.

კ უ დ ც ხ ე ლ ა (Phoenicus) ბ ო ლ ო ც ე ც ხ ლ ა, „მ გა ლ ო ბ ე ლ ი პ ა ტ ა რ ა ჩ ი ტ ი,
რ ო მ ე ლ ს ა ც წ ი თ ე ლ ი ბ ო ლ ო ა ქ ე ს, — ბ ო ლ ო წ ი თ ე ლ ა“ (გ ა ნ მ.
ლ ე ქ ს.).

კ უ კ უ ტ ი ე წ ო დ ე ბ ა „მ ა ჭ კ ე ის თ ა ვ ს“ (მ ე ნ თ. ა ჭ. 145).

კ უ ტ ი ლ ო ბ ი ა ნ. ლ ო ბ ი ო ს ჯ ი შ ე ბ ი 154, 19.

კ უ ტ ტ ა ნ ტ რ უ ჭ ა მ ე რ თ გ ვ ა რ ი ჩ ი ტ ი ა (პ ა ტ ა რ ა) გა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე გა მ ო ჩ ნ -
დ ე ბ ა, ყ ა ნ ის ხ ე ნ ის დ რ ო ს (შ დ რ. ჭ ყ. ბ ო ლ ო ჭ ა ნ ჭ ა ლ ა, ე ლ.
მ ა ბ ზ ა კ უ ნ ა/ე,-ი) 34, 28.

კ უ ჭ კ უ ჭ ა მ ხ უ ჭ უ ჭ ი, ხ უ ჭ უ ჭ ა (შ დ რ. შ ა რ ა შ. კ ა კ ვ ი ნ ა) 182, 33.

ლ

ლ ა ლ ე ა დ მ ბ რ დ ე ლ ი, გა მ დ ე ლ ი. „ხ ე მ წ ი ფ ე თ ა ვ ის ლ ა ლ ე ს ე რ თ ა დ
ა დ გა და ი ა რ ე ბ ა ლ ა მ ე შ ი“ (ნ ო ლ. II, 3) (შ დ რ. ჩ უ ბ.
მ ა ი ს. ლ ა ლ ა) 175, 10.

- ლაფერი** 1. პატარა, ხის ბრტყელი ნიჩაბი, რომელსაც იყენებენ კარაქის ასაღებად; 2. მოხარშული მხლის საკეპი შენელებას წინ (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბ ე რ., შ ა რ ა შ. ტატაბი); 3. წისკვილის ღარიდან წყლის გადასაგდები (შდრ. შ ა რ ა შ. საგდულაი. გადასაგდავი) 159, 28.
- ლაფიტი** ხის რიკი. მშენებლობის დროს კედლის, იატაკის და მისთ. კეთებისას ფიცრებს შორის ჩასამატებელი; თხელი, ნაფოტივით ხის სოლი ზედაპირის გასასწორებლად (შდრ. მ ე ნ თ. ლანჩა) 169, 1.
- ლალუმი** ნაღმი (ნ. ი მ ე რ ხ: „ლ ა ლ უ მ ი რომ გევიქნე, ესკერს ეგონა ცისიელი“ 48).
- ლევანდი** ფუჭი, ცარიელი, სწრაფად ტანაყრილი, უნაყოფო სიმინდი, გადატ.: ხელგამოუსვლელი, უმარიფათო, უუნარო კაცი; (შდრ. გ რ ი შ. ლევანდი, შ ა რ ა შ. ელევენდი, მ ა რ ტ. და ი მ ნ. კახური დაკუტება) 153, 33.
- ლექმარხილა** მარხილი, თოვლზე დასაკურებელი, ლეკის (მაგარი, მკერივი) ხისაგან გამოთლილი (ჩვეულებრივ ლექმარხილათი ერთი კაცი მოიტანს შეშას თუ პირუტყვის უხეშ საკვებს ტყიდან) 149, 12.
- ლენშურა** ძაღლის სატაცური (*Tamus communis* L.) აქვს მსხვილი ფესურა; მცენარის ახალგაზრდა ყლორტებს იყენებენ პირუტყვის საკვებად 154, 5.
- ლენტაცურა** ნ. სიმინდის ჯიშები 154, 19.
- ლელმა** თბილი, ღრუბლიანი ამინდი, თოვლის დნობას რომ იწვევს (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ვ ა ე ა, ე ლ. ლეზღმა) 183, 14.
- ლესტერი** კოკისპირული წვიმა, დელგმა, თავსხმა, მერეხი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ჭ ყ. ლესტერი).
- ლესხი** მცენარეულის (ხეხილი, ბოსტნეული), ძალამიცემული ნორჩი ტოტი, შტო, ფოთოლი 173, 31.
- ლესიერი** საქმელი: ხილისაგან გამონაწურ ტკბილ წვენს ადუღებენ მანამ, სანამ თაფლივით არ შესქელდება, შიგ ჩაახარშავენ მსხლის ან თეთრი გოგრის ნაჭრებს და ინახავენ საქმელად (შდრ. ს ა ბ ა ნარაჯი) 162, 14.
- ლინგი** წმინდად დაფქვილი სიმინდის, ხორბლის ფქვილი (ნ. დ ა გ ნ ე ბ ა; შდრ. ე ლ. პიპკი) 164, 33.
- ლიტრიკა** ერთგვარი ჯიშის ვაშლი, წვრილი და გამძლე. ინახება ზამთარში.

- **ლიყიცი** ცომად დარჩენილი ნამცხვარი, დაცემული (მჭადი, პური...) (შდრ. მ ა ი ს. ლეყეცი) 183, 23.
- **ლობიოს** ჭიშებიდან ცნობილია: კუ ტ ი ლობიაჲ, ბ ლ ა ყ ვ ი-
ლობია, შვიდკვირაჲ, ხანუმა, ცერცვალო-
ბიაჲ, თესპალობია, ფათლიჯანაჲ; თ. სახო-
კიასკი აქ გავრცელებული ლობიოს ჭიშებიდან თავის
„მოგზაურობაში“ დასახელებული აქვს: ყურშუმაჲ,
მადა, პაკაყურაჲ, მისირულაჲ, სურუნჯა,
ხიშტა (გვ. 171) 154, 21.
- **ლოდოსი** თბილი, მოღრუბლული ამინდი, რომელიც აჩქარებს თოვ-
ლის დნობას (შდრ. შ ა რ ა შ. ლიმოსი) 183, 14.
- **ლოთომი** ღრმა, საფლობი ტალახი, ქაობიანი ადგილი (ნ. ჭყ., ჟღ-
ლეთემი) 174, 23.

მ .

- **მადა ნ.** ლობიოს ჭიშები 154, 21.
- **მათხირი** საოჯახო ხის ჭურჭელი. კასრზე ოდნავ პატარაა (ნ. საბა.
ჩუბ.) 170, 13.
- **მანიდი, დამანიდება** ძვ. „მეზობლების შეერთება ურთიერთდახმა-
რებისათვის სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში:
ხენის დროს ხარების გაერთიანება“ (მ ა ი ს. დამოდგამება),
ბარვის ან თონის დროს ურთიერთდახმარება რიგ-რიგო-
ბით. მუშაობის ასეთ წესს მ ა ნ ი დ ი ან დ ა მ ა ნ ი დ ე ბ ა
ეწოდება (შდრ. საბა. ჭყ.. მენთ. მოდგამი, ჟღ. მანი-
დი) 154, 28.
- **მახხოში** მომეყო, მეყვე (არომატული). რომელიც სასიამოვნო
გრძნობაზე დააყენებს ადამიანს. განსაკუთრებით ხილზე
იტყვიან: „მახხოშიაო“ (შდრ. ჩუბ., მენთ. მარა-
ხოში, მ ა ი ს. მარხოში) 160, 35.
- **მარიამხალა** ჭყიმი. ამ მცენარის ფოთლებსა და ყვავილებს იყენებენ
სამკურნალოდ გულისწუხილის დროს.
- **მარქვალა** სოკო, წითელი ფერისა. მიწიდან ახლად ამოსვლისას
კვერცხს ჰგავს — გარედან ცილისმავკარად თეთრი გარსი
აქრავს, შიგ წითელი გული (ნ. ჩუბ., ე რ ი ს თ.; შდრ. მ ა-
რ ი ჭ ან. გრამ. მარქვალი) 132, 6.
- **მარჩილი** ძვ. ფულის ერთეული. მ ა რ ჩ ი ლ ი უდრის ოთხ რუბს, ხო-
ლო რუბი 13 ფარას (საბას განმარტებიდან). რუბი, ასევე
უდრის 1/4 ფლურს, ხოლო ფლური „არს ოთხის დრამის
წონა ოქრო“ (ს ა ბ ა). ს ა ბ ა ს ა ვ ე განმარტებით მარ-

ჩილი უდრის სამ აბაზს; დღემდე სიტყვა მარჩილი შე-
რჩა მოზრდილი ქვაბის სახელს „ორმარჩილაჲ“ (ნ.
იმერხ. მარჩილი 5 კაპ.; ქართულ ლიტერატურაში
მარჩილი 60 კაპიკითაა განსაზღვრული, იმერ. 100 ფარა,
რაც იგივეა რუს. 100 კაპ“ 82).

მარხვა ძვ. მუს. თმენა რამაზანში — ერთი თვის განმავლობაში
დღისით მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე შიმშილის გა-
მოცხადება. აქედან: მარხული ის პირი, ვინც ითმენს
(შდრ. გურამ.) 172, 1.

მასკლავაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 3.

მასქან [← მასუკან] შემდეგ, მერე (ნ. ჩუბ. მასუკან, ჯანაშ. მასკან,
მასკვან. მენთ. მასკვან) 166, 7.

მატაჭრი ბავშვების ყელის ავადმყოფობა, ყელჭირება (ნ. სახ. 218,
ნოლ. 1, 10).

მაჭახელა ძვ. ერთგვარი გრძელლულიანი თოფის სახელია. ამ
თოფს მაჭახელში (ქვემო აჭარა. სახელმწიფო სასაზღვრო
ზონა კოროხის ახლოს) ამზადებდნენ. მაჭახლელები გან-
თქმული ყოფილან იარაღის დამზადებისა და შეკეთების
საქმეში (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. კიკინაძე
და სხვ.; ნ. ჩუბ., ქლ.).

მაქვა ჭილის ქუთუკში (ბუდეში) ჩარკობილი მრგვალი ხე, რომე-
ლსაც უერთდება გვერდით გამოშვებული სახელური, კოტა-
(ნ.); (ნ. საბა, მაჭი, მენთ. აჭ. 145) 153, 5.

მახარავაშლი ნ. ვაშლის ჭიშები 152, 1.

მეგემ თურმე, მგონი (ნ. იმერხ. „მეგენ ქურუმ ქვეშედამ კა-
ცია“ 62; შდრ. ქლ. ჭან. ტექსტ. მეგერე მეგევ) 175, 11.

მერე მდინარის პირას მდებარე საყანე (შდრ. საბა, ჩუბ., ბაქრ.,
იმერხ. 32; ქლ., შარაშ).

მემთიჭრე ის პირი, რომელიც საზაფხულო საძოვრებთან დაკავში-
რებულ შრომა-საქმიანობას ეწევა და მღებზე (ნ.), ან ყიშ-
ლაში (ნ.); „მემთიჭრეები ვეღარ ძლებენ, სული შუ-
უწუხდენ ბარში გაზ. „საქ.“, 1916, № 248; შდრ. მენთ.
ნათმევი 158, 6.

მეჭლისი საბჭოს მაგვარი ორგანო აჭარაში თურქეთის ბატონობის
დროს. ოლქში უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა სანჯაყის
მეჭლისი. მეჭლისი იჭდა აგრეთვე მაზრაში, რომე-
ლსაც ყეზა-მეჭლისი ეწოდებოდა, ხოლო სოფლის

საბჭო იხტიარ-მეჯლისად (უხუცესთა საბჭო) იწოდებოდა. მეჯლისის წევრები ასაკით უნდა ყოფილიყვნენ არანაკლებ 30 წლისა და არაუმეტეს 70 წლისა. მეჯლისი ფორმალურად არჩევითი ორგანო იყო, ფაქტიურად მას ნიშნავდა უმაღლესი ორგანოს უფროსი საფეხურებრივი პრინციპით 169, 9.

მითილი ლეიბის ან საბნის მატყლის ჩასაკრავი ქსოვილი, პირველი გადასაკრავი პირი (ნ. საბა, ჩუბ., მენთ., მაიხ. მითელი) 174, 32.

მაღა, მაღაონ. დაავადება 157, 21.

მილახური ნ. მსხლის ჯიშები 152, 3.

მიმხლიობა, ნახლიობა მასობრივი სეირნობა; ზაფხულის სეზონში ალპაის პერიოდში მემთიურეთა (ნ.) დღეობა. (ავვისტოს პირველ კვირას 2-3 დღის განმავლობაში იმართება ცეკვა-თამაში, დროს ტარება, გაშირება. მიმხლიობაში მონაწილეობის მისაღებად მოხალისეები ადიან ბარიდნაც; ნ. მენთ. აჭ. 170) 167, 1.

მიტრიალოზი [← ფრანგ. la mitraillede თურქულის გზით] 1. ტყვიამფრქვევი; 2. ზალპი, ბათქი 220, 23.

მიწა-ვაშლა (*Heliantus tuberosus* L.) მცენარე, რომელიც ვაშლისმაგვარ ნაყოფს ისხამს ფესვზე 148, 34.

მოდგამი მიწის დამუშავების წესი. წინათ ერთპიროვნული გლეხობის დიდი ნაწილი, რომელსაც ულლად მუშა გამწევი ძალა (ხარი, ხარ-კამეჩი) არ ჰყავდა, იძულებული იყო შეამხანაგებოდა მისებრ ცალი ხარ-კამეჩის პატრონს. მიწის დამუშავების ასეთ წესს შამოდგამება ან დამოდგამება ეწოდება, ხოლო „დამოკიდებულს“ — მოდგამი (ნ. საბა, მენთ.) 154, 27.

მოთალრე [← თალარი (ნ.)] ყანის მოსაზღვრე 175, 11.

მოკოტვა სიმინდის ტაროში შესვლა, ტაროს გამოღება; აქედან: მოკოტვილი კოტგამოდებული, ტაროში შესული სიმინდი 172, 6.

მოკურცხვა: „ზვინს კარქა მშკურცხე თავი, წყალი (წვიმა) არ ჩევდეს“ 23, 2.

მოლოქა (*Malva silvestus* L.) ბალბა. მრავალწლიანი მცენარე, იყენებენ ძირმაგარას სამკურნალოდ და ჩირქის გამოსაწმენდად.

მონხეწყალება გახსნილი ნაკელიანი წყლის მიშვებით საყანე მიწის განოყიერება (ნ. მენთ. აჭ. 143) 172, 11.

მორბედი საოჯახო საქმეების შემსრულებელი მოსამსახურე ბიჭი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., მ ა ი ს. მორბედი, შ ა რ ა შ. მოცე-
თი) 152, 24.

მორჩვი მორწყული-სათიბი ჩვეულებრივ ორჯერ ითიბება — აჯვი-
სტოსა და სექტემბერში. მეორედ გათიბული დაბალია და
ნორჩი, სამაგიეროდ ხშირი; მეორედ გათიბულს
მ ო რ ჩ ვ ს ეძახიან (ნ. მ ე ნ თ. აჭ. 163; შდრ. ი მ ნ. მორ-
ჩი).

მოცალივი მოცილილი, თავისუფალი, ხელგააცილი (შდრ. ს ა ბ ა
მოცალე, შ ა რ ა შ. მოცილითი) 149, 21.

მოჭუქვა მოგროვება, თავმოყრა, შეკრება, დაბნეული ნივთების
ერთად დაწყობა, წესრიგში მოყვანა, აქედან: მ ო ჭ უ ჭ-
კ ე ი ლ ი მოგროვილი, თავმოყრილი, შეკრებილი, დალა-
გებული, წესრიგში მოყვანილი (ნ. შ ა რ ა შ.) 184, 9.

მუდერისი ძვ. მუს. უმაღლესი სასულიერო პირი, სასულიერო განა-
თლების მქონე რევოლუციამდელ აქარაში 169, 10.

მურეშაჲ ნ. ხარის სახელები 159, 7.

მუსანდრა სახლის კედელში დატანებული კარადა ლოგინის დასაწ-
ყობად (ნ. ს ა ხ. 134, ბ ა ქ რ. მუსანდარი, ბ ე რ. მუზანდა-
რა, მ ა რ ი ჭ ა ნ. გ რ ა მ.; შდრ. ს ა ბ ა ჩ უ ბ. 150, 13.

მუფთი ძვ. მუს. მაღალი თანამდებობის სასულიერო პირი, თურქე-
თის ბატონობის დროს რევოლუციამდელ აქარაში. მ უ ფ-
თ ი ს ა ნ ჯ ა უ შ ი ყადისთან ერთად სწყვეტდა შარიათისა და
წმინდა იურიდიულ საკითხებს (ნ. ს ა ხ. 151) 169, 10.

მუშამბა 1. გასანთლული ქსოვილი; 2. წამოსასხამი (წყალგაუტარე-
ბელი) (ნ. ჩ უ ბ., ლ ლ. მუშანბა, ი მ ე რ ხ.: „ერთი სანდული
გააკეთებია მ უ შ ა მ ბ ა ლ ი, წყალი არ შეუდიოდა“ 59).

მუშაჯირო გადახიზნული, ლტოლვილი, ემიგრანტი (ნ. ს ა ხ. 152,
ქ ლ. ჭ ა ნ. ტ ე ქ ს ტ.) 183, 31.

მუშტუკი ნ. წისქვილის ნაწილები 164, 31.

მწვანია — ნ. ვაშლის ჯიშები 152, 3.

6

ნაბურავი სახურავი (ნ. ჩ უ ბ., ბ ა ქ რ. 168, ლ ლ., ქ ლ.) 163, 27.

ნავანძარი ოხერი, ნაოხარი, მუდრეგი; ტიალი 182, 4.

ნავერალაჲ წინა წლის ნათეს მიწაში თავისით, დაუთესავად ამოსუ-
ლი მცენარეულობა (კარტოფილი, გოგრა, კიტრი და მისთ)

- (ნ. ს ა ბ ა. ჩ უ ბ.; შდრ. ბ ე რ. მონაკვერება, ქ ლ. ანაგერა, შ ა რ ა შ. ნაგერაი, მ ე ნ თ. ნაგერალა/ე,—ი) 174, 11.
- ნაგულა** გაჩეჩის შემდეგ საჩეჩელზე შერჩენილი მატყლი (ნ. ჰ ყ. ნაგულა, მ ე ნ თ. ნაგული) 175, 3.
- ნამბული** წვიმით, ბუნებრივად დაღობილი (მორწყული) მიწა (ნ. დანამბულება) 153, 18.
- ნათელაჲ** ნ. ძროხის სახელები 159, 3.
- ნამთიური** ზაფხულში, ალპაყის პერიოდში დამზადებული რძის პროდუქტები (ნ. მ ე მ თ ი უ რ ე) 158, 8.
- ნაჰნები** ნაწნავები „წუხელი სიძმარში გნახე, წარბი აღმა აგეყარა; ფანჯარაზე მომდგარიყავ, ნ ა პ წ ე ბ ი გადმოგეყარა“ (ნ ო ლ. II. 112) 194, 24.
- ნარეკაჲ** მაწენიდან კარაქის დამზადების შემდეგ დარჩენილი მჟავე სითხე, განსაკუთრებით კარგი დასალევია ზაფხულის დღეებში 160, 33.
- ნარენდაჲ** ბურბუშელა, ხის ანათალი რანდით მუშაობის დროს, უმეტესწილად სპირალურად რომაა დახვეული (ნ. გ ა ნ მ. ლ ე ქ ს., მ ა ი ს. ბურბუშელა) 176, 24.
- ნარინჯაჲ** ნ. ძროხის სახელები 159, 3.
- ნარჩიელაჲ** სიმინდის, ნიგვზის, თხილისა და მისთ. გადარჩევის დროს დაწუნებული, უვარგისი ნაწილი (ნ. შ ა რ ა შ; შდრ. ი მ ნ. უნარჩევეს-ი) 182, 7.
- ნარცხი** ხილის, ბოსტნეულის ნარჩენების, ან მორჩვის (ნ.) ნახარში, რომელიც პირუტყვის საუკეთესო საკვებად ითვლება, განსაკუთრებით მეწველ საქონელს აძლევენ (შდრ. ჩ უ ბ., ჩ ი ქ ო ბ. ნარჩხ. 380, კიმ. I 206) 63, 13.
- ნასაქში** ყანა, რომელსაც მოსავლის კარგი პირი უჩანს.
- ნაშალი** წვრილი, ხურდა ფული.
- ნაცარგარო** ნაცარტუტა, სარეცხისათვის ნაცარში ნახარში წყალი (შდრ. შ ა რ ა შ. ნაცრისძალი) 169, 35.
- ნაჰურტალაჲ** ნაჰერი, „ჰინჰი“, ჩვარი) 186, 28.
- ნახსენები** სახელგატეხილი (ქალი); (შდრ. ჩ უ ბ. ნაძრახი, მ ე ნ თ. გავარდნილი, ნაძრახი).
- ნედლობა** ახალ გაზაფხულზე ნორჩბალახობა (შდრ. ჩ უ ბ. 182. 1.
- ნენეჲ** ბებია, დიდედა (შდრ. ჩ უ ბ., ბ ა ქ რ. ნ ე ნ ე, ქ ლ. ნ ე ნ ა/ე-ი).
- ნეკერი** ნორჩი შტო, ყლორტი ხისა. ზამთრის პერიოდში საკვების

ნაკლებობისას საქონელს აკმევენ (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ო მ ე რ ხ. 83, მ ა ყ., მ ე ნ თ.) 155, 33.

ნერჩი ფსკერი, ძირი (კურკლისა) (შდრ. ს ა ბ ა, ა ლ ა ვ) 170, 13.
ნებვწყალი გახსნილი ნაკელი, ორგანული სასუქი, რომელსაც მიუშვებენ ყანაში (სადაც წყალი უდგება) გასანოყიერებლად (ნ. მ ე ნ თ. აკ. 141) 181, 28.

ნიკორაჲ ნ. ხარის სახელები 159, 3.

ნიქსარულაჲ განთქმული ჭიშის ხორბალი: შემოდგომაზე მოდის, უფხო, წითელი მარცვალი აქვს. ნიქსარულა უფრო ქვემო აქარაშია გავრცელებული.

ა

მანი ყარა ნ. დააეადება 157, 22.

მაჲლა საზაფხულო შენობა, ჭარგვალი მთის საძოვარზე (ნ. შ ა ნ. სინტ. იალალი) 158, 6.

მაღი ერბო, ქონი, ცხიმი (ნ. ბ ა ქ რ.) 159, 36.

მელეგი ეილეთი (ნ. ბ ა ქ რ. ელელი, ს ა ხ. 192, ჰყ., ე ლ., შ ა რ ა შ. ელეგი).

მელლი სიმინდი ნ. სიმინდის ჭიშები. 154, 13.

მელქარი 1. ძლიერი ქარი; 2. სწრაფი, ქარივით სწრაფი.

მიშ! შურისგების გამომხატველი სიტყვა (შორისდებული) 170, 8.

მორლა თოხარიკი, კარგი მორბენალი ცხენი (ნ. ჩ უ ბ., ვ ა ე ა II, 441)

მოსემაჲ ნ. ძროხის სახელები. 159, 5.

მოხი ჩხირი მრგვალად გაშანდაკებული ჯოხი — ცომის გასაბრტყელებლად (შდრ. მ ე ნ თ. საგორაევი) 162, 2.

ო

ოგვედაჲ ორპოტიკი ჯოხი, რაზედაც დაახვევენ ძაფს, ხეზს (შდრ. შ ა რ ა შ. ოგვადო) 174, 34.

ოღა ოთახი (ნ. ს ა ბ ა; შდრ. კ ი რ.) 150, 25.

ოღქა, ოღქაობა ჭარიანობა, ბრბო, აჯანყება, ჯანყი, ომიანობა; „შემოიღევი ო ღ ქ ა ო ბ ა, ხომ არ ქენი კაი ქარი“ („ივერი ია“, 1877, № 13; ნ. ს ა ხ. 229).

ომრი სიცოცხლე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა, ცხოვრება; „ოი, რა ტყვილაი გამიარა ოზდაათი წლის ო მ რ ი ა“ (გაზ. „ს ა ქ.“, 1916, № 248; შდრ. მ ა რ ი ქ ა ნ. გ რ ა მ. ო მ უ რ ი, ი მ ნ.).

- ორმარჩილაჲ** მოზრდილი ქვაბი (სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ თავის დროზე — მარჩილობის დროს ასეთი ქვაბი ორ მარჩილად უნდა ღირებულყო (ნ. მარჩილი) 165, 14.
- ოროსპი** გარყენილი ქალი, მეძავე (ნ. ბერ.: „ჩვენს ოდაზე ერთი დიდი ხაპია, ვინც რომ იმას ვერ ამოხსნის ოროსპი და ფხარი“ (კუ); შდრ. ჳ. ლომთ. „პო, გონჯი... ვოროსპიო“ 300) 185, 28.
- ოტური** ერთგვარი ჯიშის ქლიავე; მსხვილი და მკვრივი ნაყოფი აქვს (ნ. ერისთ. ოტური — ღორქლიავა, ბაქრ., სახ. 174, მაის.) 188, 15.
- ოქროპოქა** „ოქროს პოქი — სიმინდის უჯანასკნელად ამოყრილი ფესვები; მიწის ზედაპირზე ოქროსფერად შემწკრივებულა სიმინდის ღეროზე“ (შარაშ.; შდრ. ბერ. ოქროს კბილი) 153, 29.

3

- პანტა-ვაშლი** ნ. ვაშლის ჯიშები 152, 2.
- პაპაყურაჲ** ნ. ლობიოს ჯიშები 154, 21.
- პემპელა** მსუბუქი, მჩატე; პემპელა ჳვირთი მსუბუქი ჳვირთი 166, 26. პემპეცი სქელი შექამანდი.
- პიმპილაქი** პირთამდე საესე (ნ. აპიმპილაქება) 133, 16.
- პინა ხის** კასრი, რომელიც საწყაოდაც გამოიყენება; ჩადის 18 ოყა (ოყა=სამ გირვანქას), ზოგან პინა უდრის 10 ოყას. არის გამოყენებული „ნახევარპინაც“, როგორც საწყაოს ერთეული“; (შდრ. საბაპინა, პინაკი, სახ. 139, იმნ., ჳავახ. საფ. საზ. 48) 154, 30.
- პირპილა** სოკოა ერთგვარი; უმად პილპილივით მწარეა, შემწვარი ძალზე გემრიელი (შდრ. ჩუბ. პილპილა, შარაშ. სოკო-პირპილა).
- პირბამბა** (*Plautago major*) მრავალძარღვა (შდრ. საბა, ელ. მრავალძარღვა, მენთ. ლაღვძარღვა 150, 6.
- პოქსი** კუქყი, „წვირო“, „მწიკული“ (ნ. იმერხ. 83, ელ.) 147, 12.
- პრატი** გოგო ქალიშვილი 191, 20.
- პოწოლიკი** კობტა, კოპწია, წკენტია. „ჩვეიხედე საარკეში, პოწოლოკი ვიყავი“ 184, 14.

უიუნაჲ სურდო 147, 18.

რ

რამაზანი მუსლიმანური წლის (მთავრის) მე-9 თვე, როცა მორ-
წმუნენი ერთი თვის განმავლობაში მარხულობენ (ნ-
ჩ უ ბ) 148, 8.

რემა უკუო, რეგენი, ცეტი, გონებაგაფანტული (შდრ. საბა
რემა: უპედი ცხენი, ჩ უ ბ. რემა, რემაკი, ი მე რ ხ.
შესავალი LXVII, ჩ ი ქ ბ. სახ. ფუძე 157, გ უ რ ა მ.,
მ ა ი ს.) 131, 23.

როყო მალალ და უშნო კაცზე იტყვიან: როყო კაციო (შდრ-
საბა როყო, ჯ ა ნ ა შ. როყინ, ბ ე რ.) 168, 4.

ს

სათავანო ნ. წისქვილის ნაწილები 165, 4.

სამა ეეკვა (შდრ. საბა რკოვა სამა... ი მე რ ხ. 37) 221, 16.

სამანი პურეული მცენარის გაღეწვის შემდეგ დარჩენილი ჩალა,
ბზე (შდრ. საბა, წ ე რ. განმ. ლექს. ალერდი) 156, 10.

სამტავრო ბულა, დაუყვერავი მოზარდი ხარი (ნ. მე ნ თ. აჟ.) 157, 33.

სამტკიცე წვრილთვალეზიანი საცერი, წმინდა საცერი, რომელიც
ატარებს მხოლოდ წმინდა ფქვილს. ქსოვენ წვრილი მავ-
თულისაგან, ან ძუისაგან (ნ. ჭ ყ., ბ ა რ ნ., ა ლ ა ვ., მე ნ თ.,
ე ლ. მერდინი) 151, 29.

სამწვერლო სიმინდის მცენარის თავზე ამოსული ყვავილი, „კატა-
რი“, (ნ. მე ნ თ. აჟ. 159) 153, 35.

სანათაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 3.

სანარწყალი ბოსელში შუა ადგილას სიგრძივ გაღარული ნაწილი,
რაზედაც ნებეს მიაგორებენ (ნ. ჭ ყ.) 158, 24.

სანჯალი ადმინისტრაციული ერთეული, სადროშო რევოლუციამდე
თურქეთსა და მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შო-
რის აჟარაშიც. აქედან: ს ა ნ ჯ ა ლ-ბ ე გ ე ბ ი — სანჯაყის
დროშის მფლობელ აბაშიძის წინაპრის შთამომავალი ბეგე-
ბი 175, 5.

სანჯალაჲ ნ. ძროხის სახელები 159, 4.

სარეკელა ანუ ფარცი ნ. წისქვილის ნაწილები 164, 26.

სარნა დიდი, უხეში ხის ჭურჭელი, რომელშიდაც ჩაჩხავენ ხილს
და დაწნების შემდეგ გამოწურული ტკბილი წვნისაგან

ამზადებენ ბეთმეზს (ნ.) (შდრ. ჳ ყ., წე რ. სარნა, ისარნა, სანა) 163, 15.

სარო ლაშქარა (*Symphythum caucasicum* MB), მრავალწლოვანი მცენარე, რომელიც იზრდება 30-60 სმ სიმაღლის. ხა-რობს ნოციერ ადგილებში, გავრცელებულია ბუჩქნარებში. მცენარის ძირს იყენებენ მოტეხილის ან ნალრძობის სამკურნალოდ.

სარძევე ძე ლის (ნ.) უკანა მხარეს გამოყოფილი პატარა ოთახი, სადაც ინახავენ რძის პროდუქტებს. სარძევეს აქვს ფარ-ღალღალა კედლები, საიდანაც თავისუფლად შედის სიო, რომელიც აჩქარებს გობებზე დასხმული რძის ნაღების მოგდებას (ნ. ს ა ხ. 121) 158, 7.

